

სამოქალაქო პროცესი

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: <http://www.supremecourt.ge/court-decisions/>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
სამოქალაქო საქმეებზე

2022, №7

Decisions of the Supreme Court of Georgia
on Civil Cases
(in Georgian)

2022, №7

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien
in Zivilsachen
(in der georgischen Sprache)

2022, №7

Решения Верховного Суда Грузии
по гражданским делам
(на грузинском языке)

2022, №7

გადაწყვეტილებების შერჩევასა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი
ქატიკვან შენგელია

ტექნიკური რედაქტორი

მარიკა მაღალაშვილი

რედაქციის მისამართი:

0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6, ტელ: 298 20 75;
www.supremecourt.ge

ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების
დეპარტამენტის მხარდაჭერით

საკიეხელი

1. სამართალწარმოების ძირითადი დებულებანი	
შეჯიბრებითობის პრინციპი	4
2. პროცესის ხარჯები	
სასამართლო ხარჯების განაწილება მხარეთა შორის	49
3. სასამართლო შეტყობინება და დაბარება	
სასამართლო უწყების გაგზავნა	59
4. მესამე პირები	
საპროცესო უფლებამონაცვლეობა	72
5. სასამართლო მტკიცებულებები	
მტკიცების ტვირთი	77
ნივთიერი და	
წერილობითი მტკიცებულებების ადგილზე დათვალიერება	91
აღიარება	106
6. დაუსწრებელი გადაწყვეტილება	
მოპასუხის გამოუცხადებლობა	118
მოპასუხის მიერ პასუხის წარუდგენლობის შედეგები	143
7. გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულება	
გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა	166

1. სამართალწარმოების ძირითადი დებულებანი

შეჯიბრებითობის პრინციპი

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-516-2021

30 ნოემბერი, 2021 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ერემაძე,
ე. გასიტაშვილი

დავის საგანი: უძრავი ქონების მესაკუთრედ ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

სასარჩელო მოთხოვნა:

1. მ. გ-ქემ, თ. და რ. პ-ებმა (შემდგომ – მოსარჩელეები) სარჩელი აღძრეს სასამართლოში ა. პ-ძის, გ. პ-ძის, თ. პ-ძის, მ. მ-ძის, უ. კ-ძის სავარაუდო მემკვიდრე გ. პ-ძის და გ. პ-ძის სავარაუდო მემკვიდრე გ. პ-ძის (შემდგომ – მოპასუხეები) მიმართ, მოითხოვეს მოპასუხეთა თანასაკუთრებაში არსებული ქ. ბათუმში, ... №108-ში მდებარე უძრავი ქონების ს/კ ... – 1001.00 კვ.მ ფართობის მიწაზე და 347.10 კვადრატული მეტრი საერთო ფართის საცხოვრებელი სახლის 2/5-ზე თანასაკუთრებად ცნობა, საჯარო რეესტრში შესაბამისი ცვლილებების შეტანით.

სარჩელის საფუძვლები:

2. მოსარჩელეებმა მიუთითეს, რომ ცხოვრობდნენ ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ..., რომელიც დღეისთვის წარმოადგენს ქ. ბათუმის ტერიტორიას – მისამართით ... №108. ოჯახი წარმოადგენდა საკოლმეურნეო კომლს, რომელსაც საკუთრებაში ჰქონდა 1001 კვ.მ მიწის ნაკვეთი, მასზე განთავსებული 347 კვ.მ შენობა-ნაგებობით.

3. 2015 წლის 4 აგვისტოს გაცემული საარქივო ცნობის მიხედვით, 1986-2006 წლების მონაცემებით, საკოლმეურნეო კომლი შედგებოდა 11 წევრისაგან: 1. პ. გ. თ. ძე – ოჯახის უფროსი; 2. კ. უ. ს. ასული – ცოლი; 3. პ. ჯ. გ-ს ძე – შვილი; 4. პ. რ. გ-ს ძე – შვილი; 5. პ. თ. გ-ს ძე – შვილი; 6. მ. გ. რ. ასული – გ.; 7. მ-ძე მ. რ. ასული – გ.; 8. გ-ძე მ. ხ. ასული – რძალი; 9. პ. თ. ჯ-ს ასული; 10. პ. ა. თ-ის ასული; 11. პ. გ. თ-ის ძე.

4. საქართველოში შექმნილი მძიმე ეკონომიკური მდგომარეო-

ბის გამო, 1995 წელს რ. პ. და ჯ. პ. თავისი ოჯახით – მეუღლე მ. გ-ძე და შვილი – თ. პ., გაემგზავრნენ სამუშაოდ რუსეთის ფედერაციაში, სადაც მოსარჩელები დღემდე ცხოვრობენ, ხოლო ჯ. პ. 2007 წლის 21 აპრილს გარდაიცვალა.

5. მოსარჩელეთა განმარტებით, მათ კუთვნილ უძრავ ქონებასთან კავშირი არ გაუწყვეტიათ, შეძლებისდაგვარად ჩადიდნენ თავიანთ სახლში. გ. პ-ძის და უ. კ-ძის გარდაცვალებამდე მათ უძრავ ქონებასთან დაკავშირებით არანაირი პრობლემა არ ჰქონიათ, პირიქით, უ-ნი ყოველთვის ელოდა მათ დაბრუნებას და ამბობდა, რომ სახლში მათი წილი ყოველთვის იყო. 2015 წლის აგვისტოში, როცა თ. პ. ჩამოვიდა საქართველოში, მივიდა სახლში, სადაც განუცხადეს, რომ მას არაფერი არ ეკუთვნოდა.

6. მოსარჩელები კომლის არსებობამდე მის წევრებს წარმოადგენდნენ, რაც დასტურდება საარქივო ცნობით, საკომლო ამონაწერით და სხვა მტკიცებულებებით. მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებაა, რომ არ არსებობს მოსარჩელების მიერ ხელმოწერილი რაიმე სახის განცხადება კომლის მიტოვების შესახებ, ისინი არსად არ წასულან, კანონის ამოქმედების დროს ამ კომლის წევრები იყვნენ და ცხოვრობდნენ სადავო სახლში, შესაბამისად, მოპასუხეებთან ერთად, გახდნენ ამ უძრავი ქონების თანამესაკუთრეები.

7. მოპასუხეებს სადავო უძრავი ქონება, რომლის ნაწილიც მოსარჩელების საკუთრებაა, საჯარო რეესტრში აღრიცხული აქვთ თავის საკუთრებად.

8. ჯ. პ., თ. პ. და მ. გ-ძე, ვიდრე კომლი არსებობდა, ყოველთვის იყვნენ კომლის წევრები, რაც დასტურდება საარქივო ცნობით, საკომლო ამონაწერით, ქორწინების მონაწილობით, თ. ს-ს დაბადების მონაწილობით. ხელვაჩაურის რაიონის ... სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოს აღმასკომის საექიმო ამბულატორიის ექიმის მიერ 1993 წლის 27 თებერვალს გაცემული ცნობის თანახმად, თ. ჯ-ს ასულ პ-ს 1991 წლის 01 იანვრიდან 10 ივლისის ჩათვლით ჩატარებული აქვს აცრები. აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებით დასტურდება, რომ 1993 წლის 27 დეკემბერს თ. პ. მშობლებთან ერთად ცხოვრობდა სადაო კომლში.

9. მ. გ-ძის საცხოვრებელი ადგილი ქორწინების შემდეგ იყო სადაო კომლში, საიდანაც იგი ამოენერა 1995 წელს და ოჯახთან ერთად წავიდა რუსეთში.

10. რ. პ. რუსეთში იმყოფება დროებითი ცხოვრების უფლებით, მისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი დღესაც სადაო უძრავი ქონების მისამართია.

11. საარქივო ცნობის თანახმად, კომლის 11 წევრიდან სამი – გ.

და ჯ. პ-ები, უ. კ-ძე გარდაიცვალნენ. მ-ძე გ. კანონის ამოქმედებაზე გასულია კომლიდან. თ. არის ჯ. პ-ძის შვილი, ხოლო მ. გ-ძე – მეუღლე, რომელთაც, გარდა იმისა, რომ სადავო უძრავ ქონებაში აქვთ თავისი წილი, მათ, როგორც პირველი რიგის მემკვიდრეებს, ეკუთვნით გარდაცვლილი მამის სამკვიდრო წილი სადავო ქონებაში, ანუ მთლიანი სადავო უძრავი ქონება უნდა გაიყოს 10 ნაწილად, რომლის $4/10=2/5$ წილი წარმოადგენს მოსარჩელების საკუთრებას.

მოპასუხის პოზიცია:

12. მოპასუხებმა 2016 წლის 21 ივლისს წარდგენილი შესაგებ-ლით სარჩელი არ ცნეს და მოითხოვეს უსაფუძვლობის გამო მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა. მოპასუხებმა მიუთითეს, რომ მოსარჩელებს არასდროს უცხოვრიათ სადავო საცხოვრებელ სახლში, ვინაიდან ჯ. პ-მ მ. გ-ძეზე იქორწინა 1990 წელს და საცხოვრებლად გადავიდა მეუღლის ბიძასთან ა. გ-ძესთან, ხოლო 1992 წლიდან კი რ. პ-სთან ერთად საცხოვრებლად გადავიდნენ რუსეთის ფედერაციაში. მოსარჩელები არ არიან კომლის წევრები. მათ მიერ წარმოდგენილი 2015 წლის 28 სექტემბრის საარქივო ცნობიდან და მასზე დართული საკომლო წიგნის ჩანაწერით დასტურდება, რომ ისინი საკომლო წიგნის ჩანაწერში არიან გადახაზულები, ამასთან 2010 წლის 22 ნოემბერს გაცემული საარქივო ცნობით დასტურდება, რომ მოსარჩელები 1994 წლიდან 2006 წლამდე ირიცხებიან ცალკე კომლად (საკოლმეურნეო კომლიდან გაყრა), სადაც ჩანს, რომ: 1. კომლის უფროსი არის ჯ. გ-ს ძე პ.; 2. კომლს აწერია მინა პირად სარგებლობაში 0.15 ჰა. 3. კომლს საცხოვრებელი სახლი არ აწერია. ამასთან, მოსარჩელებს 1992 წლიდან არანაირი შეხება არ ჰქონიათ სადავო უძრავ ქონებასთან, რადგან ამავე წლიდან წასული არიან რუსეთის რესპუბლიკაში საცხოვრებლად. 22 წლის მანძილზე მათ მშობლებიც კი არ მოუკითხავთ და არანაირი შეხება არ ჰქონიათ სადავო საკომლო ქონებასთან.

13. სადავო კომლი დარეგისტრირებულია საჯარო რეესტრში კომლის უფროსის გ. პ-ძის მიერ 2013 წლის 19 მარტს, ხელვაჩაურის საარქივო ცნობით, რომლითაც დასტურდება, რომ სადავო კომლში ირიცხება 6 წევრი.

14. მოსარჩელებს რუსეთის ფედერაციაში წასვლამდეც 1990 წლიდან განწყვეტილი ჰქონდათ კავშირი სადავო ქონებასთან, რადგან ჯ. პ-ს ქორწინების შემდეგ სადავო საცხოვრებელ სახლში აღარ უცხოვრია. მოსარჩელებს საკომლო ქონების მოვლაში არასდროს მონაწილეობა არ მიუღიათ ან როგორ მიიღებდნენ, როცა 1992 წლის მერე რუსეთის ფედერაციაში წასვლის გამო აღარ გამოჩენილან.

15. რაც შეეხება მოსარჩელების მიერ იმ გარემოებაზე აპელი-

რებას, რომ გ-სა და უ-ის გარდაცვალებამდე, მოსარჩელებს უძრავ ქონებასთან დაკავშირებით არანაირი პრობლემა არ ჰქონდათ, ეს არის სიცრუე, რადგან სადავო კომლის ქონება საჯარო რეესტრში დარეგისტრირებულია 2013 წელს კომლის უფროსის გ. პ-ძის მიერ. ეს ფაქტი ადასტურებს, რომ თუ მოსარჩელებს ეკუთვნოდათ რაიმე წილი სადავო ქონებაში ან ისინი კომლის წევრებს წარმოადგენდნენ, აუცილებლად მოხდებოდა საჯარო რეესტრში მათი აღრიცხვაც თანამესაკუთრებდად.

16. სადავო ქონება არის მოპასუხეების საკომლო ქონება ანუ იმ კომლის საკუთრება, რომელიც რეგისტრირებულია კომლის უფროსის გ. პ-ძის მიერ, ხოლო ის გარემოება, რომ მოსარჩელები სადავო ქონების თითქოსდა თანამესაკუთრეებს წარმოადგენენ, სამართლებრივ საფუძველს მოკლებულია, ვინაიდან კომლის წევრებად აღარ ირიცხებოდნენ, რაც ნათლად დასტურდება ხელვაჩაურის არქივის მიერ 2015 წლის 28 სექტემბერს გაცემულ საარქივო ცნობით, სადაც მითითებულია, რომ მოსარჩელები საკომლო წიგნში არიან გადახაზულები და არ წარმოადგენენ კომლის წევრებს.

17. რაც შეეხება თ. პ-ძის მიერ 1991 წლის 01 იანვრიდან 10 ივლისის ჩათვლით ჩატარებულ აცრებს, ეს არ არის იმ ფაქტის დადასტურება, რომ თ. მის მშობლებთან ერთად ცხოვრობდა სადავო ქონებაში, რადგან 1990 წლიდან ჯ. პ. და მ. გ-ძე საცხოვრებლად იყვნენ გადასული ბიძასთან ა. გ-ძესთან, ხოლო 1992 წლიდან კი რ. პ-სთან ერთად საცხოვრებლად გაემგზავრნენ რუსეთის ფედერაციაში. ის ფაქტი, რომ თ. აცრებს იკეთებდა, არ ნიშნავს, რომ იგი მშობლებთან ერთად ცხოვრობდა სადავო საცხოვრებელ სახლში. წარმოუდგენელია, თუ რატომ ნიშნავს აცრის გაკეთება თ. პ-ძის მშობლებთან ერთად სადავო კომლში ცხოვრებას.

18. რ. პ. რუსეთში იმყოფება დროებით თუ მუდმივად, ეს მისი უფლებაა, თუმცა მას, რაც 1992 წლიდან გაემგზავრა რუსეთის ფედერაციაში, სადავო ქონებასთან არანაირი კავშირი არ ჰქონია.

19. სადავო კომლი შედგება არა 11, არამედ 6 წევრისაგან, რომელთაგან ორი – გ. პ. და უ. კ-ძე გარდაცლილნი არიან, ხოლო მოსარჩელები და კიდევ ორი პირი გადახაზულია და მათ არ ეკუთვნით წილი სადავო კომლში.

20. მოპასუხებმა ასევე სადავო გახადეს მ. გ-ძის და თ. პ-ძის, როგორც ჯ. პ-ძის პირველი რიგის კანონით მემკვიდრეების სადავო ქონებაზე მემკვიდრეობის უფლება იმ საფუძველით, რომ გ. პ. გარდაიცვალა 2014 წლის 12 იანვარს, ხოლო უ. პ. კი 2014 წლის 12 იანვარს, მოსარჩელები სარჩელით ადასტურებენ, რომ მათთვის აღნიშნულის შესახებ ცნობილი იყო, ხოლო მათ კი სამკვიდროს მიღების შესახებ არ განუცხადებიათ კანონით დადგენილ ვადაში და

არც ფაქტობრივად დაუფლებიან. (იხ. შესაგებელი).

21. მოპასუხეებმა აღნიშნეს, რომ 1964 წლის სამოქალაქო კოდექსის 125-ე მუხლის თანახმად, საკოლმეურნეო ქონებაში კომლის წილი განისაზღვრება: 1. მისი გასვლისას კომლის შემადგენლობიდან, ახალი კომლის შეუქმნელად (გაყოფა); 2. ერთი კომლიდან ორი ან მეტი კომლის შექმნა (გაყრა); 3. კომლის წევრის პირადი ვალდებულებების მიხედვით გადახდევინებისას. ამავე კოდექსის 127-ე მუხლის მიხედვით, საკოლმეურნეო კომლის გაყრისას მთელი მისი ქონება იყოფა ახლად შექმნილ კომლებს შორის მათი წევრების წილთა შესაბამისად და თითოეული კომლის სამეურნეო საჭიროების გათვალისწინებით. საკოლმეურნეო კომლის გაყრის მოთხოვნის უფლება აქვთ კომლის სრულწლოვან წევრებს, რომლებიც კომლის წევრები არიან. აქედან გამომდინარე, ნათელია, რომ მოსარჩელები არიან კომლიდან გაყრილები, სრულწლოვან წევრებს ჯ. პ.-ს და მ. გ.-ძეს აქვთ მიღებული თავიანთი წილი კომლიდან გაყრისას, ხოლო რაც შეეხება თ. პ.-ს, ის იმ დროისათვის არ იყო სრულწლოვანი წევრი და მას მოთხოვნის უფლება არ ჰქონდა. ამავე კოდექსის 128-ე მუხლის შესაბამისად, კომლის შრომისუნარიანი წევრი კარგავს უფლებას კომლის ქონების წილზე, თუ მას სამი წლის განმავლობაში ზედზედ არ მიუღია მონაწილეობა თავისი შრომით ან სახსრებით, კომლის საერთო მეურნეობის წარმოებაში. ეს წესი არ გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც კომლის წევრი არ მონაწილეობდა მეურნეობის წარმოებაში ვადიან სამხედრო სამსახურში განწვევის, სასწავლებელში სწავლის ან ავადმყოფობის გამო. მოყვანილი ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, მათ სადავო ქონებასთან 22 წელზე მეტია შეხება არ ჰქონიათ.

22. აღნიშნული ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებებიდან გამომდინარე, მოპასუხეებმა მიიჩნიეს, რომ სარჩელი ყოველგვარ სამართლებრივ საფუძველს მოკლებულია, ვინაიდან: 1. მოსარჩელები იყვნენ საკოლმეურნეო კომლიდან გაყრილები, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ თავიანთი წილი მიიღეს და გ. თ. ძე პ.-ძის კომლში აღარ ირიცხებოდნენ, მათი წილი ამ სადავო უძრავ ქონებაში აღარ არსებობს; 2. მოსარჩელებს სადავო უძრავ ქონებასთან შეხება არ ჰქონიათ 22 წელზე მეტია.

23. 2017 წლის 14 აგვისტოს მოპასუხეებმა წარადგინეს დაზუსტებული შესაგებელიც, სადაც დამატებით მიუთითეს მოთხოვნის ხანდაზმულობაზე, ასევე, რომ ერთ-ერთი მოპასუხე გ. პ. პ./ნ ..., გარდაცვლილია 2014 წლის 12 იანვარს, შესაბამისად, ვერ იქნება სათანადო მოპასუხე.

**პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სა-
რეზოლუციო ნაწილი:**

24. ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 11 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, რაც მოპასუხეებმა გაასაჩივრეს სააპელაციო წესით, მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის უარყოფა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი და ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთება:

25. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 10 მარტის გადაწყვეტილებით მოპასუხეთა სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და სარჩელს უარი ეთქვა დაკმაყოფილებაზე შემდეგ გარემოებათა გამო:

26. სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ 2015 წლის 4 აგვისტოს №AA2015055918-05 საარქივო ცნობით, საკომლო წიგნის ჩანაწერის ასლითა და მხარეთა განმარტებებით დასტურდება, რომ ხელვაჩაურის რაიონის ... თემის საკრებულოს დოკუმენტებით, სოფელ ... 1986-2006 წლების პერიოდში, კომლის უფროსს წარმოადგენდა პ. გ. თ. ძე (ოჯახის უფროსი), რომელიც დასაქმებული იყო ავტოსატრანსპორტო კანტორაში მძღოლად. მასთან ერთად ცხოვრობდნენ: 1. კ. უ. ს. ასული – ცოლი (დიასახლისი); 2. პ. ჯ. გ-ს ძე – შვილი; 3. პ. რ. გ-ს ძე – შვილი; 4. პ-ძე თ. გ-ს ძე – შვილი; 5. მ. გ. რ. ასული – გ.; 6. მ-ძე მ. რ. ასული – გ.; 7. გ-ძე მ. ხ. ასული – რძალი; 8. პ. თ. ჯ-ს ასული; 9. პ. ა. თ-ის ასული; 10. პ. გ. თ-ის ძე.

27. 2021 წლის 5 თებერვლის №2021001089-03 საარქივო ცნობაში დაფიქსირებულია შემდეგი: „ხელვაჩაურის არქივში დაცული ხელვაჩაურის რაიონის ... თემის საკრებულოს სოფელ ... 1986-2006 წლების საკომლო წიგნით დასტურდება, რომ პ. ჯ. გ-ს ძე არის კომლის უფროსი. კომლის შემადგენლობაში ირიცხებიან: 1. პ. ჯ. გ-ს ძე-ოჯახის უფროსი; 2. გ-ძე მ. ხ-ის ასული-ცოლი; 3. პ. თ. ჯ-ს ძე-შვილი, გადახაზულია, მიწერილი აქვს ამოწმება ქ. ბათუმში საცხოვრებლად გადასვლასთან დაკავშირებით 14.02.1995 წელი. კომლს ერიცხება მინის ფართი 1994-2006წ. 0.15 ჰა (საკომლო წიგნი დათარიღებულია 1986-2006წ.). კომლს საცხოვრებელი სახლის გრაფა შევსებული არ აქვს. შენიშვნა: კომლს დამატებითი ცნობების გრაფაში მიწერილი აქვს – მეცხოველეობის ს/მ 1994 წლის 19/05 ბრძანება №19-ით გამოეყო მინის ფართი. აქვე გაცნობებთ, რომ 1994 წლის მეცხოველეობის სანაშენე მეურნეობის ბრძანების წიგნი ძირითად საქმიანობაზე ხელვაჩაურის არქივში სახელმწიფო დაცვაზე შესანახად არ შემოსულა.“

28. 2020 წლის 11 დეკემბრის №AA2020014904-05 საარქივო ცნობაში დაფიქსირებულია შემდეგი: „ხელვაჩაურის არქივში და-

ცული ხელვაჩაურის რაიონის ... თემის საკრებულოს დოკუმენტე-
ბით, სოფელ ... 1986-2006 წლების საკომლო წიგნით დასტურდება,
რომ პ. გ. თ. ძე არის კომლის უფროსი. კომლის შემადგენლობაში
ირიცხება: 1. პ. გ. თ. ძე – ოჯახის უფროსი; 2. კ. უ. ს. ასული – ცოლი;
3. პ. ჯ. გ. ძე – შვილი. გადახაზულია (დოკუმენტში ასეა); 4. პ. რ. გ-ს
ძე – შვილი. გადახაზულია, მინერილია ამონერა 14.02.1995 წელი,
გადავიდა ქ. ს. (დოკუმენტში ასეა); 5. პ. თ. გ-ს ძე – შვილი; 6. მ. გ. რ.
ასული – გ. გადახაზულია, მინერილია ამონერა 23.07.1991წ (დო-
კუმენტში ასე); 7. მ-ძე მ. რ. ასული – გ.; 8. გ-ძე მ. ხ. ასული – რძალი.
გადახაზულია, (დოკუმენტში ასეა); 9. პ. თ. ჯ-ს ასული-შვ/ შვილი,
გადახაზულია, (დოკუმენტში ასეა); 10. პ. ა. თ-ის ასული – შვ/ შვი-
ლი; 11. პ. გ. თ-ის ძ – შვ/ შვილი; კომლს ერიცხება საცხოვრებელი
სახლი აგებული 1975 წელს 70 კვ/მ ფართის ოდენობით. კომლის
სარგებლობაში არსებული მიწის ფართის რაოდენობა შეადგენს
1986-2006 წლებში 0.10 ჰა. შენიშვნა: კომლს დამატებითი ცნობე-
ბის გრაფაში მინერილი აქვს გადანყვეტილება №77, 07.08.1992 წე-
ლი ჯ. გამოყოფილია ცალკე კომლად. შენიშვნა: კომლის მეურნეო-
ბის საზოგადოებრივი ჯგუფის გრაფაში უნერია „მ/მოსამს“ დოკუ-
მენტში ასეა.

29. სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სა-
მოქალაქო კოდექსის (შემდგომ – სსკ) 1507-ე მუხლით და განმარ-
ტა, რომ წარმოდგენილი სარჩელით მოსარჩელები ითხოვენ: ქ. ბა-
თუმი, ... ქუჩა №108-ში მდებარე (ყოფილი, ხელვაჩაურის რაიონი,
... თემი) ს/კ №... უძრავი ქონების – 2/5 წილის თანამესაკუთრებად
ცნობას იმ საფუძვლით, რომ ეს ქონება მიეკუთვნებოდა საკოლმე-
ურნეო კომლს, რომლის გაუქმების დროსაც მოსარჩელებს, რო-
გორც კომლის წევრებს წარმოეშვათ ამ ქონების შესაბამისი წილზე
თანასაკუთრების უფლება.

30. იმისათვის რომ შეფასდეს სასარჩელო მოთხოვნის საფუძ-
ვლიანობა, უპირველესად უნდა გაირკვეს სადავო უძრავი ქონება
რა კატეგორიის კომლს წარმოადგენდა, საკოლმეურნეო კომლი იყო,
თუ მუშა-მოსამსახურეთა კომლი.

31. ამასთან, მოცემული დავის გადანყვეტის მიზნით ფაქტობ-
რივი გარემოებების სამართლებრივი შეფასებისას გამოყენებული
უნდა იქნეს, 1964 წლის რედაქციით მოქმედი სამოქალაქო სამარ-
თლის კოდექსი და იმ დროს მოქმედი სხვა ნორმატიული აქტები,
კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის (1964
წლის რედაქცია) 122-ე-123-ე და 125-ე მუხლები, „საქართველოს
რესპუბლიკაში სახელმწიფო მეურნეობების, კოლმეურნეობების
და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების რეორგანიზაციის წე-
სის შესახებ“ მთავრობის 22.10.92 წლის №949 დადგენილება და სა-

ხელმწიფო საბჭოს 21.10.1993 წლის №29 დეკრეტი.

32. საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის (1964 წლის რედაქცია) 122-ე-123-ე და 125-ე მუხლების თანახმად, კომლის წევრს წარმოდგენდა პირი, რომელიც ფლობდა, სარგებლობდა და განკარგავდა საკოლმეურნეო ქონებას კომლის ყველა წევრის თანხმობით. საკოლმეურნეო კომლის ქონება კომლის წევრებს თანასაკუთრების უფლებით ეკუთვნოდათ, ამასთან კომლის ყველა წევრს, მათ შორის არასრულწლოვანს და შრომისუუნაროსაც თანაბარი წილი ეკუთვნოდათ.

33. ამდენად, საკოლმეურნეო კომლის ერთ-ერთი ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი იყო კომლის ყველა შრომისუნარიანი და სრულწლოვანი წევრის კოლმეურნეობის წევრობა, პირადი შრომით საკოლმეურნეო წარმოებაში და კომლის დამხმარე მეურნეობაში მონაწილეობის სავალდებულო ხასიათი (სსსკ-ის 569-ე მუხლი).

34. საკოლმეურნეო კომლის წევრები დამხმარე მეურნეობას კომლისათვის განკუთვნილ საკარმიდამო მიწის ნაკვეთზე საერთო ძალებით აწარმოებდნენ და ამ კომლის ქონების თანამესაკუთრეებად გვევლინებოდნენ. ამასთან, საკოლმეურნეო კომლის არსებობა დაკავშირებული იყო კოლმეურნეობასთან. ე.ი. თუ არ არსებობდა კოლმეურნეობა – არ არსებობდა საკოლმეურნეო კომლიც.

35. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სამართლოს პოზიცია სადავო ქონების სამართლებრივ სტატუსთან დაკავშირებით.

36. საქალაქო სასამართლო დაეთანხმა რა მოსარჩელეთა მსჯელობას, მხარეთა საერთო ოჯახი ჩათვალა საკოლმეურნეო კომლად, ხოლო მისი გაუქმების შემდეგ, სადავო ქონებას მიანიჭა საკოლმეურნეო კომლის სტატუსი.

37. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ საქმეზე წარმოდგენილი საარქივო ცნობებითა და საკომლო წიგნების ამონაწერების მიხედვით, ხელვაჩაურის რაიონის ... თემის საკრებულოს, სოფელ ა-ში გ. თ. ძე პ-ძის კომლი მიეკუთვნებოდა მუშა-მოსამსახურის კომლს. კომლის უფროსი – გ. თ. ძე პ-ძე დასაქმებული იყო წარმოება-დანესებულებაში ხოლო მისი ოჯახის სხვა წევრების (მათ შორის, მოსარჩელების) კოლმეურნეობაში დასაქმების ფაქტი რაიმე მტკიცებულებით არ დგინდება. შესაბამისად, სადავო ქონებაზე ვერ გავრცელდება სამოქალაქო სამართლის კოდექსით საკოლმეურნეო კომლისათვის განსაზღვრული წესები, მოსარჩელები საკოლმეურნეო კომლის წევრებად ვერ მიიჩნევიან და ნორმატიული აქტებით („საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო მეურნეობების, კოლმეურნეობების და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარ-

მოების რეორგანიზაციის წესის შესახებ“ მთავრობის 22.10.92 წლის №949 დადგენილება და სახელმწიფო საბჭოს 21.10.1993 წლის №29 დეკრეტი) კოლექტიური მეურნეობის გაუქმების შემდეგ მათზე, როგორც საკოლმეურნეო კომლის წევრებზე, კომლის ქონებაზე თანასაკუთრება გადაცემულად ვერ ჩაითვლება. ამდენად, სასარჩელო მოთხოვნა საკოლმეურნეო კომლის ქონებაზე თანამესაკუთრედ აღიარების თაობაზე უსაფუძვლოა, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება მისი დაკმაყოფილების თაობაზე დაუსაბუთებელი, რაც ამ გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია.

38. სააპელაციო სასამართლომ დამატებით აღნიშნა, რომ მოცემული დავის ფარგლებში ვერ შეფასდება ის ფაქტი, ადგილი აქვს თუ არა მემკვიდრეობის გზით სადავო ქონებაზე საკუთრების უფლების წარმოშობას, ვინაიდან, სარჩელში მითითებული ფაქტები არ გამომდინარეობდა მემკვიდრეობით-სამართლებრივი ურთიერთობიდან და მოსარჩელეთა მოთხოვნა ამ სამართლებრივი საფუძვლით წარდგენილი არ ყოფილა.

კასატორის მოთხოვნა და საფუძვლები:

39. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე მოსარჩელებმა შეიტანეს საკასაციო საჩივარი, მოითხოვეს მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი საფუძვლებით:

40. კასატორთა მითითებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საქმეში არსებულ ფაქტობრივ გარემოებებს, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდგომ – სსსკ) მე-4 და 102-ე მუხლებს, რაც მისი გაუქმების აბსოლუტური საფუძველია.

41. კასატორებმა აღნიშნეს, რომ მოპასუხეებს სარჩელისაგან თავდასაცავად წარდგენილ შესაგებელში სადავოდ არ გაუხდიათ ის ფაქტი, რომ სადავო ქონება საკოლმეურნეო კომლს ეკუთვნოდა და არ მიუთითებიათ, რომ იგი მუშა-მოსამსახურეთა კომლის საკუთრებაა. აღნიშნულ გარემოებაზე ყურადღება გაამახვილა სააპელაციო პალატამ, რისი საპროცესო უფლებაც მას არ გააჩნდა. მეტიც, მოპასუხეები სხვა დავასაც აწარმოებდნენ სადავო საკოლმეურნეო კომლის ქონების წილზე საკუთრების უფლების დაკარგულად ცნობის მოთხოვნით. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ საკუთარი ინიციატივით დაიწყო იმ გარემოების გამოკვლევა, სადავო კომლი საკოლმეურნეო იყო თუ მუშა-მოსამსახურეთა კატეგორიის. აღნიშნულით პალატამ დაარღვია სსსკ-ის მე-2, მე-4, მე-5, 102-ე, 377-ე, 384-ე და 389-ე მუხლები. სააპელაციო სასამართლოს არ გამოუკვლევია, თუ როდის იქნა შესრულებული საკომლო წიგნში ჩანაწერი პ-დ გ. თ. ძე დასაქმებული იყო ავტოსატრანსპორტო

კანტორაში. შესაძლოა ჩანაწერი კომლის არსებობის შეწყვეტის შემდეგ გაკეთდა. მინაწერი შესრულებულია მხოლოდ 1987 წლის გრაფაში და არ გრძელდება მომდევნო წლებში. არც ის გარემოება დადგენილა, რომელ წლებში მუშაობდა გ. პ-ძე მძლოლად და რა კანტორაში. 1993 წლიდან 2006 წლამდე საკომლო წიგნში ჩანაწერები ჩვეულებრივად ხორციელდებოდა.

42. კასატორებმა მიუთითეს, რომ სააპელაციო პალატა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმებისას დაეყრდნო სახელმწიფო საბჭოს არარსებულ 21.10.1993 წლის №29 დეკრეტს, არსებობს მხოლოდ 21.10.1992 წლის №29 დეკრეტი.

43. კასატორთა განმარტებით, საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო მეურნეობების, კოლმეურნეობების და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების რეორგანიზაციის წესის შესახებ მთავრობის 22.10.92 წლის №949 დადგენილებაში არსად არ არის ცალცალკე, განსხვავებული უფლებებით მოხსენებული საკოლმეურნეო კომლი და მუშა-მოსამსახურეთა კომლი. სახელმწიფო საბჭოს არარსებულ 21.10.1992 წლის №29 დეკრეტის მე-6 მუხლში მითითებულია, რომ მეურნეობათა ხელმძღვანელებმა და კომისიებმა მიწაზე მეურნეობრიობის ახალი ორგანიზაციული ფორმის შექმნის თაობაზე განცხადების შეტანის დღიდან ერთი თვის ვადაში განიხილონ და მიიღონ გადაწყვეტილება მუშაკისა და მისი ოჯახის წევრთა კუთვნილი მიწის ნატურით გამოყოფის შესახებ. დასახელებულ დეკრეტში არ არის მითითება იმის შესახებ, რომ თუ ოჯახი მეურნეობას ეკუთვნის, ასეთი ოჯახის ქონება მხოლოდ კომლის უფროსისა და დანარჩენ წევრების საკუთრებას არ წარმოადგენს. სააპელაციო პალატა ვალდებული იყო, ზემოაღნიშნულ დეკრეტსა და დადგენილებაში ამგვარი შინაარსის ნორმის არსებობის შემთხვევაში, მიეთითებინა ასეთზე და განემარტა ნორმა.

44. კასატორთა მოსაზრებით, სააპელაციო პალატას უნდა გამოეყენებინა და არ გამოიყენა 1996 წლის 22 მარტის საქართველოს კანონი „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტი, მე-4 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტები.

45. მ. გ-ძე და რ. პ-ძე ეწეოდნენ საკომლო მეურნეობას, თ. პ-ძე კი იყო მცირეწლოვანი. საარქივო ცნობის თანახმად, თითოეული მათგანი რეგისტრირებულია საადგილმამულო წიგნში კონკრეტული წილის მითითების გარეშე, რაც ადასტურებს, რომ ქონება მათ თანასაკუთრებაში იმყოფებოდა. კასატორებმა მიიჩნიეს, რომ თუ სააპელაციო პალატა უკანონოდ ჩათვლიდა, რომ სადავო კომლი მუშა-მოსამსახურეთა კატეგორიას განეკუთვნებოდა და მისი წევრები სადავო უძრავი ქონების თანამესაკუთრეები არ იყვნენ, მა-

შინ გაურკვეველია, როგორ გახდნენ სადავო ქონების თანამესაკუთრები მოპასუხეები. მათ კომლის ქონება იმავე საარქივო ცნობის საფუძველზე დაირეგისტრირეს, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ მოპასუხეებს უპირატესობა დაუსაბუთებლად მიანიჭათ და მოსარჩელები დისკრიმინირებულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლს, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-14 მუხლს.

46. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 03 ივნისის განჩინებით საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლით და ამავე კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამონმმებლად, ხოლო 2021 წლის 14 ივლისის განჩინებით კი, საკასაციო საჩივარი ცნობილი იქნა დასაშვებად სსსკ-ის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, კერძოდ, საკასაციო საჩივარი ქონებრივ ან არაქონებრივ დავაზე დასაშვებია, თუ კასატორი დასაბუთებს, რომ საქმე მოიცავს სამართლებრივ პრობლემას, რომლის გადაწყვეტაც ხელს შეუწყობს სამართლის განვითარებას და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას. იმავე განჩინებით გადაწყდა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მესამე ნაწილის შესაბამისად, საქმე განხილული იქნებოდა ზეპირი მოსმენის გარეშე, რის შესახებაც მხარეებს ეცნობათ კანონით დადგენილი წესით.

სამოტივაციო ნაწილი:

47. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დასაბუთებულია, გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სააპელაციო სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

48. სსსკ-ის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია (შედავება).

49. მოცემულ საქმეზე სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

50. 2015 წლის 4 აგვისტოს №AA2015055918-05 საარქივო ცნობით, საკომლო წიგნის ჩანაწერის ასლითა და მხარეთა განმარტებებით დასტურდება, რომ ხელვაჩაურის რაიონის ... თემის საკრებულოს დოკუმენტებით, სოფელ ... 1986-2006 წლების პერიოდში,

კომლის უფროსს წარმოადგენდა პ-ძე გ. თ. ძე (ოჯახის უფროსი), რომელიც დასაქმებული იყო ავტოსატრანსპორტო კანტორაში მძღოლად. მასთან ერთად ცხოვრობდნენ: 1. კ. უ. ს-ის ასული – ცოლი (დიასახლისი); 2. პ-ძე ჯ. გ-ს ძე – შვილი; 3. პ. რ. გ-ს ძე – შვილი; 4. პ. თ. გ-ს ძე – შვილი; 5. მ. გ. რ-ს ასული – გერიშვილი; 6. მ-ძე მ. რ. ასული – გერიშვილი; 7. გ-ძე მ. ხ. ასული – რძალი; 8. პ. თ. ჯ-ს ასული; 9. პ. ა. თ-ის ასული; 10. პ. გ. თ-ის ძე.

51. 2021 წლის 5 თებერვლის №AA2021001089-03 საარქივო ცნობაში დაფიქსირებულია შემდეგი: „ხელვაჩაურის არქივში დაცული ხელვაჩაურის რაიონის ... თემის საკრებულოს სოფელ ... 1986-2006 წლების საკომლო წიგნით დასტურდება, რომ პ-ძე ჯ. გ-ს ძე არის კომლის უფროსი. კომლის შემადგენლობაში ირიცხებიან: 1. პ-ძე ჯ. გ-ს ძე – ოჯახის უფროსი; 2. გ-ძე მ. ხ-ის ასული – ცოლი; 3. პ. თ. ჯ-ს ძე-შვილი, გადახაზულია, მიწერილი აქვს ამოწმება ქ. ბათუმში საცხოვრებლად გადასვლასთან დაკავშირებით 14.02.1995 წელი. კომლს ერიცხება მიწის ფართი 1994-2006წ. 0.15 ჰა (საკომლო წიგნი დათარიღებულია 1986-2006წ.). კომლს საცხოვრებელი სახლის გრაფა შეესებული არ აქვს. შენიშვნა: კომლს დამატებითი ცნობების გრაფაში მიწერილი აქვს-მეცხოველეობის ს/მ 1994 წლის 19/05 ბრძანება № 19-ით გამოეყო მიწის ფართი. აქვე გაცნობებთ, რომ 1994 წლის მეცხოველეობის სანაშენე მეურნეობის ბრძანების წიგნი ძირითად საქმიანობაზე ხელვაჩაურის არქივში სახელმწიფო დაცვაზე შესანახად არ შემოსულა.“

52. 2020 წლის 11 დეკემბრის №2020014904-05 საარქივო ცნობაში დაფიქსირებულია შემდეგი: „ხელვაჩაურის არქივში დაცული ხელვაჩაურის რაიონის ... თემის საკრებულოს დოკუმენტებით, სოფელ ... 1986-2006 წლების საკომლო წიგნით დასტურდება, რომ პ-ძე გ. თ. ძე არის კომლის უფროსი. კომლის შემადგენლობაში ირიცხება: 1. პ. გ. თ. ძე – ოჯახის უფროსი; 2. კ. უ. ს. ასული – ცოლი; 3. პ. ჯ. გ. ძე – შვილი. გადახაზულია (დოკუმენტში ასეა); 4. პ. რ. გ-ს ძე – შვილი. გადახაზულია, მიწერილია ამოწმება 14.02.1995 წელი, გადავიდა ქ. ს. (დოკუმენტში ასეა); 5. პ. თ. გ-ს ძე – შვილი; 6. მ. გ. რ. ასული – გერიშვილი. გადახაზულია, მიწერილია ამოწმება 23.07.1991წ (დოკუმენტში ასეა); 7. მ-ძე მ. რ. ასული – გერიშვილი; 8. გ-ძე მ. ხ. ასული – რძალი. გადახაზულია, (დოკუმენტში ასეა); 9. პ. თ. ჯ-ს ასული-შვ/ შვილი, გადახაზულია, (დოკუმენტში ასეა); 10. პ-ძე ა. თ-ის ასული – შვ/ შვილი; 11. პ-ძე გ. თ-ის ძ-შვ/ შვილი; კომლს ერიცხება საცხოვრებელი სახლი აგებული 1975 წელს 70 კვ/მ ფართის ოდენობით. კომლის სარგებლობაში არსებული მიწის ფართის რაოდენობა შეადგენს 1986-2006 წლებში 0.10 ჰა. შენიშვნა: კომლს დამატებითი ცნობების გრაფაში მიწერილი აქვს გადანყვეტილება

№77, 07.08.1992 წელი ჯ. გამოყოფილია ცალკე კომლად. შენიშვნა: კომლის მეურნეობის საზოგადოებრივი ჯგუფის გრაფაში უნერია „მ/მოსამს“ დოკუმენტში ასეა. (იხ. წინამდებარე განჩინების პ.26-28).

53. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ საქმეზე წარმოდგენილი საარქივო ცნობებითა და საკომლო წიგნების ამონაწერების მიხედვით, ხელვაჩაურის რაიონის ... თემის საკრებულოს, სოფელ ა-ში გ. თ. ძე პ-ძის კომლი მიეკუთვნებოდა მუშა-მოსამსახურის კომლს. კომლის უფროსი – გ. თ. ძე პ. დასაქმებული იყო წარმოება-დანესებულებაში ხოლო მისი ოჯახის სხვა წევრების (მათ შორის, მოსარჩეეების) კოლმეურნეობაში დასაქმების ფაქტი რაიმე მტკიცებულებით არ დგინდება. შესაბამისად, სადავო ქონებაზე ვერ გავრცელდება სამოქალაქო სამართლის კოდექსით საკოლმეურნეო კომლისათვის განსაზღვრული წესები, მოსარჩეეები საკოლმეურნეო კომლის წევრებად ვერ მიიჩნევიან და ნორმატიული აქტებით („საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო მეურნეობების, კოლმეურნეობების და სხვა სასოფლო-სამეურნეო სანარმოების რეორგანიზაციის წესის შესახებ“ მთავრობის 22.10.92 წლის №949 დადგენილება და სახელმწიფო საბჭოს 21.10.1993 წლის №29 დეკრეტი) კოლექტიური მეურნეობის გაუქმების შემდეგ მათზე, როგორც საკოლმეურნეო კომლის წევრებზე, კომლის ქონებაზე თანასაკუთრება გადაცემულად ვერ ჩაითვლება. ამდენად, სასარჩელო მოთხოვნა საკოლმეურნეო კომლის ქონებაზე თანამესაკუთრედ აღიარების თაობაზე უსაფუძვლოა, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება მისი დაკმაყოფილების თაობაზე დაუსაბუთებელი, რაც ამ გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია. (იხ. წინამდებარე განჩინების პ.37).

54. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის დისპოზიციიდან გამომდინარე (საკასაციო სასამართლო ამონმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია თავისი ინიციატივით შეამონმოს საპროცესო დარღვევები, გარდა 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტებისა), საკასაციო პალატის შეფასების საგანი იქნება კასატორების შედავებების საფუძველიანობა, კერძოდ, კასატორების მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ემყარება კანონდარღვევას, მან გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მნიშვნელოვანი მატერიალური და პროცესუალური ნორმების დარღვევით;

55. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის თანახმად, საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადანყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი. სამართლის ნორმები დარღვეულად ითვლება, თუ სასამართლომ: არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა; გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა; არასწორად განმარტა კანონი. საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება, გახდეს გადანყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადანყვეტილება იქნა გამოტანილი.

56. ვიდრე დადგენილი გარემოებების სამართლის ნორმებთან სუბსუმირებას შეუდგებოდეს, საკასაციო პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს, ყურადღება გაამახვილოს სამართალწარმოების ფუნდამენტურ პრინციპებზე: მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლით რეგლამენტირებულია პროცესის შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე წარმართვა და დადგენილია, რომ მხარეებს აქვთ მტკიცებულებათა წარდგენის გზით საკუთარი პოზიციის დადასტურების შესაძლებლობა, გარდა ამისა, დემოკრატიულ საზოგადოებაში ფუნდამენტური მნიშვნელობა ენიჭება მხარეთა თანასწორობის დაცვას (სსსკ-ის მე-5 მუხლი), რაც იმას ნიშნავს, რომ საქმის განხილვის თითოეულ ეტაპზე სასამართლო ინარჩუნებს ნეიტრალიტეტს და მოსამართლეს მიუკერძოებლად, მხოლოდ მტკიცებულებათა ობიექტური შეფასების გზით უყალიბდება შინაგანი რწმენა დავის გადანყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ამა თუ იმ ფაქტის არსებობის თაობაზე. საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“ განსაზღვრავს საქართველოს უზენაესი სასამართლოს როლს საერთო სასამართლოების სიტემაში და ადგენს, რომ უზენაესი სასამართლო დადგენილი საპროცესო ფორმით ზედამხედველობს მართლმსაჯულების განხორციელებას საქართველოს საერთო სასამართლოებში. კანონის მითითებული დანაწესიდან გამომდინარეობს მათ შორის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის დებულება, რომელიც ადგენს უზენაესი სასამართლოს მხრიდან დავის ფაქტობრივი ნაწილის შეფასების ფარგლებს, კერძოდ, საკასაციო სასამართლო მსჯელობს საპროცესო წესების დაცვით მოპოვებული მტკიცებულებებისა და მხარეთა მიერ მიცემული ახსნა-განმარტებების შეფასების კანონიერებაზე იმგვარად, რომ თავად ვერც ახალ ფაქტებს დაადგენს და ვერც ახალ განმარტებებს მიიღებს მხარეებისგან.

57. საკასაციო სასამართლო შეზღუდულია პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის მომზადების ეტაპის დასრულების დრო-

ისათვის წარდგენილი ფაქტებისა და მტკიცებულებების კვლევით, რამდენადაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტების თანახმად, სარჩელში უნდა აღინიშნოს კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნებს; მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს მოსარჩელის მიერ მითითებულ გარემოებებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამავე კოდექსის 219-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე, მხარეები შეზღუდული არიან, ახსნა-განმარტების მოსმენისას წარადგინონ ახალი მტკიცებულებები ან მიუთითონ ახალ გარემოებებზე, რომელთა შესახებაც არ ყოფილა მითითებული სარჩელსა თუ შესაგებელში ან საქმის მომზადების სტადიაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მათ შესახებ თავის დროზე საპატიო მიზეზით არ იყო განცხადებული.

58. სასამართლო კი, ზემოთაღნიშნული ნეიტრალიტეტის პრინციპიდან გამომდინარე, ვერ უზრუნველყოფს მხარისათვის იურიდიული დახმარების განევას, რაც თანაბრობას დაარღვევს და სამართალწარმოებას მიუკერძოებულს გახდის. ევროკონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტით „მიუკერძოებლობის“ მოთხოვნა ორი ასპექტისაგან შედგება. პირველი, სასამართლო სუბიექტურად თავისუფალი უნდა იყოს პიროვნული ზრახვებისა და მიდრეკილებებისაგან. მეორე, იგი ასევე მიუკერძოებელი უნდა იყოს ობიექტური თვალსაზრისით, ანუ მან უნდა უზრუნველყოს საკმარისი გარანტიები ამ თვალსაზრისით ნებისმიერი კანონიერი ეჭვის გამოსარიცხად (იხ. გოტრინი და სხვები საფრანგეთის წინააღმდეგ, 1998 წლის 20 მაისის გადაწყვეტილება, Reports of Judgments and Decisions 1998-III, გვ. 10-0-31, §58; მორისი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, №38784/97, §58, ECHR 2002-I). რაც შეეხება სუბიექტურობას, მოსამართლე პიროვნულად მიუკერძოებლად უნდა იქნას მიჩნეული, ვიდრე ამის საწინააღმდეგო არ დამტკიცდება (იხ. ჰაუსშიდტი და ნიის წინააღმდეგ, 1989 წლის 24 მაისის გადაწყვეტილება, სერია A № 154, გვ. 21, §47; დაკარასი ლიტვის წინააღმდეგ, №42095/98, §30, ECHR 2000-X). სამართლიანი სასამართლოს კონცეფცია თავის თავში მოიცავს სასამართლოს მხრიდან მხარისათვის საკუთარი პოზიციის დაცვის მოსამზადებლად ადეკვატური დროის განსაზღვრას და დაცვის მომზადების შესაძლებლობის მიცემას (იხ. Case If Galstyan v. Armenia, საჩივარი no26986/0), რაც საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით განსახილველ შემთხვევაში, როგორც კასატორებთან, ასევე კასატორების მოწინააღმდეგე მხარესთან მიმართებით უზრუნველყოფილ იქნა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო სადავო ფაქტებს შეაფასებს საპროცესო წესების დაცვით მი-

ღებულის განმარტებების ფარგლებში.

59. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სასამართლოს უპირველესი ამოცანაა, დაადგინოს, თუ რას ითხოვს მოსარჩელე მოპასუხისაგან და რის საფუძველზე, ანუ რომელ ფაქტობრივ გარემოებებზე ამყარებს თავის მოთხოვნას. სასამართლომ მხარის მიერ მითითებული მოთხოვნის ფარგლებში უნდა მოძებნოს ის სამართლებრივი ნორმა (ნორმები), რომელიც იმ შედეგს ითვალისწინებს, რისი მიღწევაც მხარეს სურს. ამასთან, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველად განხილული ნორმა (ან ნორმები) შეიცავს იმ აღწერილობას (ფაქტობრივ შემადგენლობას), რომლის შემოწმებაც სასამართლოს ვალდებულებაა და რომელიც უნდა განხორციელდეს ლოგიკური მეთოდების გამოყენების გზით, ანუ სასამართლომ უნდა დაადგინოს, ნორმაში მოყვანილი აბსტრაქტული აღწერილობა, რამდენად შეესაბამება კონკრეტულ ცხოვრებისეულ სიტუაციას და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები. ის მხარე, რომელსაც აქვს მოთხოვნა მეორე მხარისადმი, სულ მცირე, უნდა უთითებდეს იმ ფაქტობრივ შემადგენლობაზე, რომელსაც სამართლის ნორმა გვთავაზობს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის რომელიმე ფაქტობრივი წინამძღვრის (სამართლებრივი წინაპირობის) არარსებობა, გამორიცხავს მხარისათვის სასურველი სამართლებრივი შედეგის დადგომას.

60. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქმის განმხილველი სამართლო შეზღუდულია მხოლოდ მხარის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებებით, რაც შეეხება სამართლის ნორმების გამოყენებას, სასამართლო, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით, ადგენს თუ რა სამართლებრივი ურთიერთობა არსებობს მხარეთა შორის და ამ ურთიერთობის მარგულირებელი სამართლებრივი ნორმების საფუძველზე აკმაყოფილებს ან არ აკმაყოფილებს სარჩელს. მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის შეფასება შედის სასამართლოს კომპეტენციაში, თუმცა საქმეზე გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს შეჯიბრებითობის პრინციპის სრულად რეალიზაციის პირობებში.

61. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოთხოვნის საფუძველი სამოქალაქო სამართალში, ზოგადად არის სამართლის ის ნორმა, რომელიც დამოუკიდებლად ან სხვა მოთხოვნის საფუძველზე თან ერთობლიობაში აფუძნებს ამა თუ იმ მოთხოვნას ანუ სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა კონკრეტულ უფლება-მოვალეობებს (იხ. ჰ. ბოელინგი, ლ. ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდიკა, მეორე გამოცემა, თბ., 2004, 38.) კერძოსამართლებრივი ურ-

თიერთობის მომწესრიგებელი მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების დანიშნულებაა ურთიერთობაში მონაწილე სუბიექტების უფლებების განსაზღვრა და მათი განხორციელების უზრუნველყოფა. მოთხოვნა უფლების რეალიზაციის კანონით გათვალისწინებული შესაძლებლობაა. მოთხოვნა და მოთხოვნის საფუძველი სხვადასხვა ცნებებია და სასურველია მათი აღრევა თავიდან იქნეს აცილებული. ამ გამიჯვნას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმის გათვალისწინებით, რომ მოთხოვნათა შორის არჩევანის უფლება, მოსარჩელის უფლებამოსილებაა, ხოლო მოსარჩელის მიერ წარდგენილი მოთხოვნის დამფუძნებელი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველთა შორის ერთ-ერთის მისადაგება სასამართლოს უფლებამოსილება და ვალდებულებაა (იხ. ჰ. ბოელინგი, ლ. ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდოლოგია, მეორე გამოცემა, თბ., 2004, 42.).

62. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ მოთხოვნა პირის ნებას დაქვემდებარებული და სხვა პირზე მიმართული უფლებაა, რომელიც მისი პროცესუალური განხორციელებისაგან მკვეთრად იმიჯნება. მოთხოვნა ძირითადად მატერიალურ-სამართლებრივი მნიშვნელობის მატარებელია. მოთხოვნა საპროცესო-სამართლებრივი გაგებით, ყოველთვის მიმართულია სასამართლო გადაწყვეტილების დადგომისაკენ. მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი არის სამართლის ნორმა, რომლის სამართლებრივი შედეგით გათვალისწინებულია სამართლებრივ ურთიერთობაში მონაწილე პირის მიერ რაიმე მოქმედების განხორციელებისა თუ მოქმედების შესრულებისაგან თავის შეკავების ვალდებულება. თითოეული მოთხოვნის დამფუძნებელი სამართლის ნორმა განსაზღვრავს მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს, თუმცა მისი განმარტება და ფაქტობრივ გარემოებებზე მისადაგება სასამართლოს უფლებამოსილებაა. მოთხოვნის საფუძველი ორი ნაწილისაგან შედგება: ა) ნორმის შემადგენლობა, რომელიც მოიცავს ცალკეულ წინაპირობას და ბ) სამართლებრივი შედეგი, რომელიც კანონის საფუძველზე დადგება იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა ნორმის შემადგენლობით განსაზღვრული ყველა წინაპირობა.

63. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსის განმსაზღვრელია სარჩელში მითითებული ფაქტები და გარემოებები. სარჩელის ინდივიდუალიზაცია სარჩელის ელემენტების მეშვეობითაა შესაძლებელი. სსსკ-ის მე-3, მე-4, 83-ე და 178-ე მუხლების ანალიზით შესაძლებელია, დავასკვნათ, რომ სარჩელი შედგება ორი ელემენტისგან: სარჩელის საგნისა და სარჩელის საფუძვლისგან. სარჩელის საგანია მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხისადმი (სსსკ-ის 178.1 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი), ხოლო სარ-

ჩელის საფუძველი – კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნას (სსსკ-ის 178.1 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი). საქმის გარემოებათა ანალიზის საფუძველზე მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსის დადგენა და მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის მოძიება კი, სასამართლოს ვალდებულებაა. სადავო ურთიერთობის შეფასებისას, ზემდგომი ინსტანციის სასამართლო არაა შებოჭილი ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს სამართლებრივი შეფასებებით, შესაბამისად, თუ ზემდგომი ინსტანციის სასამართლო გამოარკვევს, რომ ქვემდგომი სასამართლოს სამართლებრივი შეფასება არ გამომდინარეობს საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან, იგი ვალდებულია, ეს გარემოებები თავად შეაფასოს სამართლებრივად სწორად და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

64. საკასაციო პალატა კიდევ ერთხელ განმარტავს, რომ სადავო ურთიერთობის სამართლებრივი შეფასება სასამართლოს ვალდებულებაა, მიუხედავად იმისა, ედავებიან თუ არა ამ შეფასებას მხარეები. ეს იმას ნიშნავს, რომ არც სააპელაციო და არც საკასაციო სასამართლო არაა შებოჭილი სააპელაციო თუ საკასაციო საჩივარში მითითებული კანონის დარღვევებით და ისინი ამონმებენ გადაწყვეტილებას მატერიალურსამართლებრივი ნორმების სწორად გამოყენების თვალსაზრისით. თუ ასეთი შემომხების შედეგად სასამართლო იმ დასკვნას გამოიტანს, რომ საჩივრის მოთხოვნა გადაწყვეტილების გაუქმების ან შეცვლის შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს, მაგრამ არა საჩივარში მითითებული, არამედ მატერიალურსამართლებრივი ნორმის (კანონის) სხვა დარღვევის გამო, სასამართლომ უნდა გამოიტანოს შესაბამისი გადაწყვეტილება. იმ შემთხვევაში კი, თუ არასწორი სამართლებრივი შეფასების შედეგად, ანუ კანონის (სსსკ-ის 393.2 მუხლის) დარღვევით მიღებული გადაწყვეტილების ძალაში დატოვება შესაძლებელია სხვაგვარი სამართლებრივი შეფასებით, სააპელაციო სასამართლოს შეუძლია, თავისი განჩინებით ძალაში დატოვოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება ან ამ გადაწყვეტილების შეცვლით მიიღოს ახალი გადაწყვეტილება (სსსკ-ის 386-ე მუხლი). ასეთივე შესაძლებლობითაა აღჭურვილი საკასაციო სასამართლოც, კერძოდ, მას შეუძლია, არ გააუქმოს გადაწყვეტილება და ძალაში დატოვოს იგი (სსსკ-ის 410-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტი) ან ახალი გადაწყვეტილებით დაადგინოს სხვა სამართლებრივი შედეგი (სსსკ-ის 411-ე მუხლი).

65. სასამართლომ, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით, უნდა გაარკვიოს, თუ საიდან გამომდინარეობს მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი, კერძოდ, სახელმეკრულეებო შეთან-

სმებებიდან, ზიანის მიყენებიდან (დელიქტი), უსაფუძვლო გამდიდრებიდან თუ კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლიდან.

66. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს უფლება მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან კომპონენტს, რომლის მიხედვითაც, სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება უნდა იყოს მხარისათვის განჭვრეტადი. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არაერთ გადაწყვეტილებაში უთითებს, რომ ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა პასუხობდეს მხარის მიერ სამართლებრივ და პროცედურულ საკითხებთან დაკავშირებით წარმოდგენილი არგუმენტების ძირითად ასპექტებს (იხ., გადაწყვეტილება საქმეზე *Ruiz Torija v. Spain*, §§ 29-30). შესაბამისად, უფლება მოსმენაზე მოიცავს არა მხოლოდ სასამართლოს წინაშე არგუმენტების წარდგენის შესაძლებლობას, არამედ სასამართლოს ვალდებულებას, გადაწყვეტილების დასაბუთებაში მიუთითოს მიზეზები, რომელთა საფუძველზეც გაიზიარა ან უარყო შესაბამისი არგუმენტები. სასამართლომ შეიძლება აუცილებლად არ მიიჩნიოს იმგვარ არგუმენტებზე პასუხის გაცემა, რომლებიც აშკარად არარელევანტური, დაუსაბუთებელი ან სხვაგვარად დაუშვებელია მსგავსი არგუმენტების მიმართ არსებული სამართლებრივი დებულებების ან მყარად დადგენილი სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე, თუმცა, ყველა გადაწყვეტილება უნდა იყოს ნათელი და საქმეში მონაწილე მხარეებს შესაძლებლობას უნდა აძლევდეს გაიგონ, თუ რატომ გაითვალისწინა სასამართლომ მხოლოდ კონკრეტული გარემოებები და მტკიცებულებები (იხ., გადაწყვეტილება საქმეზე *Seryavin and Others v. Ukraine* §§ 55-62). სასამართლოს აქვს ვალდებულება, სათანადოდ იმსჯელოს მხარეთა მიერ წარდგენილ დოკუმენტებზე, არგუმენტებსა და მტკიცებულებებზე (იხ. *Kraska v. Switzerland*, § 30; *Van de Hurk v. the Netherlands*, § 59; *Perez v. France*, § 80). ამასთან, მხარეებს უნდა ჰქონდეთ არა მხოლოდ იმის შესაძლებლობა, რომ იცოდნენ იმ მტკიცებულებათა შესახებ, რომლებიც მათ სჭირდებათ თავიანთი სარჩელის წარმატებისათვის, არამედ ჰქონდეთ კომენტარის გაკეთების საშუალება ყველა იმ მტკიცებულებასთან და მოსაზრებასთან დაკავშირებით, რომლებიც წარდგენილია სასამართლოს აზრის ფორმირებაზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით (იხ. *Milatova and others v. The Czech republic* §59; *Niderost-huber v. Switzerland*, § 24; *K.S. v. finland* § 21).

67. საკასაციო პალატა მიუთითებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომაზე კანონის ერთგვაროვანი ინტერპრეტაციის აუცილებლობასთან მიმართებით. კანონის ნორმის

განსხვავებული ინტერპრეტაციის პრობლემა დადგა საქმეში ALBU AND OTHERS v. ROMANIA (Applications no. 34796/09), 10 მაისი, 2012 წელი) §§: 34 (III, IV), რომელშიც აღნიშნა, რომ სასამართლოს სამართლებრივი დასკვნები უნდა დაეფუძნოს სამართლის განსაზღვრულობის პრინციპს, რომელიც იმპლიმენტირებულია კონვენციის ყოველ მუხლში და ადგენს კანონისმიერი წესრიგის ერთ-ერთ ფუნდამენტურ ასპექტს. სამართლებრივი განსაზღვრულობის პრინციპი, დასახელდა სამართლებრივი სტაბილურობის *inter alia*, გარანტიად, რომელიც იმავდროულად, უზრუნველყოფს საზოგადოების ნდობას სასამართლოების მიმართ. სასამართლო გადაწყვეტილებათა კონფლიქტი არაერთგვაროვნების კონტექსტში კი, პირიქით საზოგადოების ნდობის ხარისხს ამცირებს სასამართლოს მიმართ, მაშინ როდესაც ამგვარი ნდობა წარმოსდგება სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტად. (მსგავს საკითხებზე აგრეთვე იხ., *Jordan Jordanov and Others*, §-47; *Ștefănică and Others*, §-31). ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ სხვა საქმეში აღნიშნა, რომ კონვენციის ხელშემკვერელი სახელმწიფოების სასამართლო სისტემებმა უნდა შექმნან მექანიზმი, რომელიც ხელს შეუწყობს სამართლებრივ განსაზღვრულობას (*Nejdet Şahin and Perihan Şahin v. Turkey* [GC] (Application no. 13279/05), 21 ოქტომბერი, 2011 წელი, §§59-96) და ხელს შეუწყობს ერთგვაროვანი პრაქტიკის დადგენას კონვენციის მე-6 მუხლის მიზნებისათვის (სამართლიანი სასამართლოს უფლება).

68. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დასკვნის გაკეთება, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, სამართლებრივი განჭვრეტადობის დარღვევას ადგილი აქვს იმ შემთხვევებში, როდესაც ზემდგომი ინსტანციის სასამართლო ახდენს დადგენილი სასამართლო პრაქტიკისაგან გადახვევას. „კანონმდებელს აკისრია ვალდებულება, რომ მოსამართლე უზრუნველყოს სახელმძღვანელო მიმართულებებით, რომლებიც განჭვრეტადს ხდიან მის მიერ კონკრეტული გადაწყვეტილების მიღების აუცილებლობას, გარდაუვალობას, იმავდროულად, მოქალაქეს უქმნიან წარმოდგენას, თუ რა ზომები იქნება მის მიმართ გატარებული“. (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე №1/2/384).

69. საკასაციო სასამართლო პირველ რიგში იმსჯელებს კასატორების იმ პრეტენზიაზე, რომელიც შეეხება სააპელაციო სასამართლოს მიერ საპროცესო ნორმების შესაძლო დარღვევას.

70. კასატორთა მითითებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საქმეში არსებულ ფაქტობრივ გარემოებებს, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდგომ – სსსკ)

მე-4 და 102-ე მუხლებს, რაც მისი გაუქმების აბსოლუტური საფუძველია.

71. კასატორები უთითებენ, რომ მოპასუხეებს სარჩელისაგან თავდასაცავად წარდგენილ შესაგებელში სადავოდ არ გაუხდიათ ის ფაქტი, რომ სადავო ქონება საკოლმეურნეო კომლს ეკუთვნოდა და არ მიუთითებიათ, რომ იგი მუშა-მოსამსახურეთა კომლის საკუთრებაა. აღნიშნულ გარემოებაზე სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა თავისი ინიციატივით, რისი საპროცესო უფლებაც მას არ გააჩნდა. მეტიც, მოპასუხეები სხვა დავასაც აწარმოებენ სადავო საკოლმეურნეო კომლის ქონების წილზე მოსარჩელებების საკუთრების უფლების დაკარგულად ცნობის მოთხოვნით და ამის თაობაზე 2018 წლის 19 ნოემბერს სარჩელიც კი აქვთ შეტანილი. მოპასუხეები ორივე ინსტანციაში მიიჩნევდნენ, რომ ცალსახად წარმოადგენენ საკოლმეურნეო კომლის წევრებს. აპელანტებმა 2018 წლის 09 დეკემბერს შუამდგომლობით მიმართეს სააპელაციო სასამართლოს საქმის წარმოების შეჩერების მოთხოვნით იმ საფუძველით, რომ აღძრული აქვთ სარჩელი მოსარჩელების მიმართ საკომლო ქონებაზე უფლების დაკარგულად ცნობის თაობაზე. საქმის წარმოების შეჩერების შუამდგომლობა სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა (იხ. 2018 წლის 09 დეკემბრის სააპელაციო სასამართლოს სხდომის ოქმი, 12.13 წუთი). აღნიშნულიც ადასტურებს იმ ფაქტობრივ გარემოებას, რომ მოპასუხეებს არც ერთ ინსტანციაში სადავოდ არ გაუხდიათ ის ფაქტობრივი გარემოება, რომ კომლი არ იყო საკოლმეურნეო და ამ საფუძველით არ შედავებიან სარჩელს. პირიქით, მოპასუხეებს ყოველთვის მიაჩნდათ და რეალურად ასეცაა, რომ გ. თ. ძე პ-ძის კომლი იყო საკოლმეურნეო კომლი და არ შედავებიან ამ ფაქტობრივ გარემოებას, ვიდრე სააპელაციო სასამართლომ სხდომაზე არ მიანიშნა აპელანტებს იმაზე, რომ სადავო კომლი შეიძლება იყოს მუშა-მოსამსახურის კომლი, ამდენად, სააპელაციო სასამართლომ საკუთარი ინიციატივით დაიწყო იმ გარემოების გამოკვლევა, სადავო კომლი საკოლმეურნეო იყო თუ მუშა-მოსამსახურეთა კატეგორიის. აღნიშნულით პალატამ დაარღვია სსსკ-ის მე-2, მე-4, მე-5, 102-ე, 377-ე, 384-ე და 389-ე მუხლები. სააპელაციო სასამართლოს არ გამოუკვლევია, თუ როდის იქნა შესრულებული საკომლო წიგნში ჩანაწერი – პ-ძე გ. თ. ძე დასაქმებული იყო ავტოსატრანსპორტო კანტორაში. შესაძლოა ჩანაწერი კომლის არსებობის შეწყვეტის შემდეგ გაკეთდა. მინაწერი შესრულებულია მხოლოდ 1987 წლის გრაფაში და არ გრძელდება მომდევნო წლებში. არც ის გარემოება დადგენილა, რომელ წლებში მუშაობდა გ. პ-ძე მძლოლად და რა კანტორაში. 1993 წლიდან 2006 წლამდე საკომლო წიგნში ჩანაწე-

რები ჩვეულებრივად ხორციელდებოდა, ან როგორ დაადგინა სააპელაციო სასამართლომ, რომ ავტოსატრანსპორტო კანტორა, რომელშიც გაურკვეველ პერიოდში მუშაობდა გ. პ-ძე, კოლმეურნეობას ეკუთვნოდა თუ მუშა-მოსამსახურეთა მეურნეობას. საქმეში არსებულ ყველა სარჩევო ცნობაში მითითებულია კომლი, კომლის წევრები და მათი ქონება, არსად მეურნეობაზე ჩანაწერი არ არსებობს. საპელაციო სასამართლომ დაარღვია სსკ-ის მე-4 მუხლით გათვალისწინებული შეჯიბრებითობის პრინციპი, რადგან სასამართლო შებოჭილია არა მარტო სასარჩელო მოთხოვნის თუ შესაგებლის ფარგლებით, არამედ მხარეთა მითითებით, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს თუ შესაგებელს, ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. მოპასუხეებს არცერთ ინსტანციაში სადავო არ გაუხდიათ, რომ კომლი არ იყო საკოლმეურნეო და ამ საფუძვლით არ შედავებიან სარჩელს. სააპელაციო სასამართლოს საპროცესო ნორმებიდან გამომდინარე, რადგან საქმე არ ეხება ადმინისტრაციულ დავას, არ ჰქონდა უფლება თავისი ინიციატივით ემსჯელა იმ გარემოებებზე, რასაც მოპასუხეები არ უთითებდნენ და სადავოდ არ ხდიდნენ. თუ სააპელაციო პალატა უკანონოდ ჩათვლიდა, რომ სადავო კომლი მუშა-მოსამსახურეთა კატეგორიას განეკუთვნებოდა და მისი წევრები სადავო უძრავი ქონების თანამესაკუთრეები არ იყვნენ, მაშინ გაურკვეველია, როგორ გახდნენ სადავო ქონების თანამესაკუთრეები მოპასუხეები. მათ კომლის ქონება იმავე სარჩევო ცნობის საფუძველზე დაირეგისტრირეს, (იხ. საკასაციო საჩივარი).

72. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზება უმეტესწილად დამოკიდებულია და გულისხმობს სასამართლოს მიერ დასაბუთებული, მტკიცებულებათა შეჯერების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილების მიღებას. შესაძლებელია მხარის მოთხოვნა საფუძვლიანი იყოს, მაგრამ შეუძლებელია მხარემ მიიღოს თავისი სასარგებლო გადაწყვეტილება, თუ ვერ დაამტკიცებს თავის სასარგებლო გარემოებებს საპროცესო სამართლით დადგენილი წესით.

73. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მიხედვით მხარეები იწყებენ საქმის წარმოებას სასამართლოში, ამ კოდექსში ჩამოყალიბებული წესების შესაბამისად, სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით. ისინი განსაზღვრავენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის (განცხადების) შეტანის შესახებ. მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოე-

ბა მორიგებით დაამთავრონ. მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას სარჩელზე, ხოლო მოპასუხეს – ცნოს სარჩელი. ამავე კოდექსის მე-4 მუხლის მიხედვით სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული შესაგებლები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები.

74. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპს. შეჯიბრებითობის პრინციპი, მხარეთა თანასწორობის პრინციპთან ერთად, წარმოადგენს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით, აგრეთვე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-5 მუხლებით გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლო უფლების მნიშვნელოვან კომპონენტს.

75. სსსკ-ის მე-4 მუხლის თანახმად, სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. შეჯიბრებითობის პრინციპმა თავისი ასახვა ჰპოვა სსსკ-ის მთელ რიგ სხვა ნორმებში.

76. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ შეჯიბრებითობის პრინციპის შინაარსის ანალიზი საფუძველს გვაძლევს გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები: 1. შეჯიბრებითობის პრინციპი მოიცავს მხარეთა საქმიანობას მხოლოდ საქმის ფაქტობრივი გარემოებებისა და მტკიცებულებების სფეროში. საკითხი იმის შესახებ, რომ სასამართლო საქმის განხილვას (სამოქალაქო პროცესს) იწყებს მხოლოდ დაინტერესებული პირის მოთხოვნით, ან, რომ სასამართლო არ უნდა გასცდეს მხარეთა მოთხოვნის ფარგლებს და ა.შ. განეკუთვნება არა შეჯიბრებითობის, არამედ დისპოზიციურობის პრინციპის სფეროს. 2. მხარეთა მოთხოვნების თუ შესაგებლის ფაქტობრივი (და არა იურიდიული) დასაბუთება (გამართლება) ეკისრებათ თვითონ მხარეებს. 3. მხარეებმა თვითონ უნდა განსაზღვრონ, თუ რომელი ფაქტები დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს (შესაგე-

ბელს). ამის შესახებ პირდაპირაა მითითებული აგრეთვე სსსკ-ის 178-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტში, რომლის თანახმად, სარჩელში აღნიშნული უნდა იყოს გარემოებები, რომლებზეც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნებს, აგრეთვე სსსკ-ის 201-ე მუხლში, რომლის თანახმად, თუ მოპასუხე სარჩელს არ ცნობს, მან უნდა მიუთითოს რა კონკრეტულ გარემოებებს ემყარება მისი შესაგებელი სარჩელის წინააღმდეგ. 4. მხარეებმა თვითონ უნდა მიუთითონ მტკიცებულებებზე, რომელთა საფუძველზე უნდა დამტკიცდეს (დადასტურდეს) მათ მიერ თავიანთი მოთხოვნის (შესაგებლის) დასაბუთების მიზნით მითითებული ფაქტები. ამის შესახებ პირდაპირაა მითითებული სსსკ 178-ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტში, რომლის თანახმად სარჩელში აღნიშნული უნდა იყოს მტკიცებულებანი, რომლებიც ადასტურებენ ამ გარემოებებს (ე.ი. მოსარჩელის მიერ სარჩელში მითითებულ გარემოებებს), აგრეთვე, სსსკ-ის 201-ე მუხლში, რომლის თანახმად, მოპასუხემ თავის პასუხში (შესაგებელში) უნდა მიუთითოს რა მტკიცებულებებით შეიძლება დამტკიცდეს ეს გარემოებები, (ე.ი. მოპასუხის მიერ თავის შესაგებელში მითითებული გარემოებები.

77. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ კონცენტრირებულად შეჯიბრებითობის პრინციპი გამოხატულია სსსკ-ის 102-ე მუხლში, რომლის თანახმად თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს.

78. შეჯიბრებაში გამარჯვებულად გამოცხადდება მხარე, რომელმაც უკეთ შეძლო დაერწმუნებინა სასამართლო თავისი მოთხოვნის (შესაგებლის) ფაქტობრივ დასაბუთებულობაში, ანუ მხარე, რომელმაც მიუთითა ფაქტებზე, რომლებიც იურიდიულად ამართლებენ მოთხოვნას (შესაგებელს) და წარმოუდგინა სასამართლოს მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ ამ ფაქტებს.

79. საკასაციო პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს ყურადღება გაამახვილოს იმ საკითხზე, თუ რა როლი შეუძლია შეასრულოს სასამართლომ მხარეთა შეჯიბრების პროცესში. ფაქტიურად ესაა საკითხი, თუ რა ზომითაა გამოყენებული სამძებრო პრინციპის ელემენტები სამოქალაქო სამართალწარმოებაში. სსსკ-ის მე-4 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქმის გარემოებათა გასარკვევად სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით მიმართოს ამ კოდექსში გათვალისწინებულ ღონისძიებებს. სამართლებრივი მნიშვნელობის საკითხია, თუ რა შინაარსის შეიძლება იყოს ეს ღონისძიებები. პირველ რიგში მიზანშეწონილია განხილული იქნეს მტკიცების საგნის ანუ გადაწყვეტილებისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტების წრის ზუსტად და სრულად განსაზღვრის შესახებ საკითხი. მიუთი-

თონ ფაქტებზე, რომლებიც ასაბუთებენ მხარეთა მოთხოვნებს და შესაგებელს, არის თვითონ მხარეთა მოვალეობა.

80. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მხარეთა მიერ დაშვებული შეცომა ფაქტების მითითების დროს, შეიძლება გამოიხატოს იმით, რომ „მათ არ მიუთითეს ყველა იმ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომელსაც აქვს მნიშვნელობა საქმეზე სწორი გადაწყვეტილების გამოტანისათვის. მხარეთა მიერ დაშვებულ შეცდომას სასამართლო ვერ გამოაწილებს: სასამართლო ვერ „გამდიდრებს“, ვერ შეაყვებს მხარეთა მიერ მითითებულ ფაქტებს, რადგან მხოლოდ მხარეებს შეუძლიათ განსაზღვრონ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს (სსსკ-ის მე-4 მუხლი)“. (იხ. თ. ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბილისი, 2005, გვ. 215.).

81. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს სარჩელისაგან მოპასუხის თავდაცვის ისეთ ეფექტურ საშუალებას, როგორცაა შესაგებელი.

82. შესაგებელი, როგორც მოპასუხის საპროცესო თავდაცვის საშუალება მნიშვნელოვანი ინსტიტუტია სამოქალაქო სამართალწარმოებაში, მასში ერთგვარი გამოხატულებითი შეჯიბრებითობის პრინციპი. იგი ასევე ერთგვარი გამოხატულებაა დისპოზიციურობის (სსსკ-ის მე-3 მუხლი) პრინციპისა, რომელიც უზრუნველყოფს მხარეთა საპროცესო უფლებების ავტონომიურად განკარგვის შესაძლებლობას. საპროცესო ავტონომიის ფარგლებში მოპასუხის გადასაწყვეტია ცნობს თუ არა სარჩელს, დაასრულებს თუ არა საქმეს მორიგებით, ან რა სახის საპროცესო თავდაცვის საშუალებას გამოიყენებს, რაც გარკვეულწილად დავაში შესვლას და სარჩელში მითითებულ გარემოებებზე პასუხის გაცემას გულისხმობს. შესაბამისად, სარჩელის წარმატება იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ რამდენად კვალიფიციურად დაიცავს თავს მოპასუხე სარჩელისაგან.

83. ვიდრე საქმის არსებითად განხილვა დაიწყება სასამართლოში, მოსამართლემ უნდა უზრუნველყოს საქმის მომზადება, რომელიც მათ შორის მხარეთა წერილობითი პოზიციების გაცვლას მოიცავს. სწორედ ამ მიზანს ემსახურება, ერთი მხრივ სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლების მოპასუხისათვის, ხოლო მეორე მხრივ, შესაგებლისა და თანდართული დოკუმენტების ასლების მოსარჩელისთვის ჩაბარება. სასამართლომ მკაცრად უნდა გააკონტროლოს ამ კონტექსტში მხარეთა საპროცესო უფლებების დაცვა (წერილობითი დოკუმენტაციის სრულყოფილად მიღება და პასუხის გასაცემად გონივრული ვადის დადგენა), წინააღმდეგ

შემთხვევაში სახეზე იქნება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 6.1 მუხლით გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევა. მოპასუხეს მისთვის გზავნილის (სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლები) ჩაბარების შემდეგ წარმოეშობა შესაგებლის წარდგენის ვალდებულება.

84. კანონმდებლის ამგვარი მოთხოვნა გამომდინარეობს წერილობითი სამართალწარმოების პრინციპიდან, რაც წინა ეტაპია ზეპირი სამართალწარმოებისა და რასაც ვერ ჩაანაცვლებს მხარეთა მოსმენის პრინციპი, წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო პროცესი დაკარგავდა განსაზღვრულობის სახეს და მივიღებდით საპროცესო მოქმედებების ქაოსს. მხარეს უფლება აქვს წინასწარ, საქმის არსებითად განხილვის დაწყებამდე იცოდეს, რაზე აფუძნებს მეორე მხარე თავის მოთხოვნას ან რა საპროცესო საშუალებებით აპირებს თავის დაცვას. მხარეებს უნდა მიეცეთ ეფექტური სამართლებრივი დაცვის საშუალება, რათა დაიცვან საკუთარი სამოქალაქო უფლებები, რაც სამართლიანი სასამართლოს უფლების მოთხოვნაა.

85. ამგვარი მიდგომა სრულადაა შესაბამისობაში სამართლებრივი სიცხადის პრინციპთან. ამიტომაცაა კანონმდებელი ასეთი მკაცრი მოპასუხის მხრიდან თავისი საპროცესო მოვალეობის დარღვევის მიმართ და სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში შესაგებლის წარუდგენლობის შედეგს უკავშირებს არა სამართალწარმოების გაგრძელებას, არამედ ზეპირი მოსმენის გარეშე დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას. ამ თვალსაზრისით სასამართლო პრაქტიკასა თუ დოქტრინაში შესაგებლის წარუდგენლობა სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობას უთანაბრდება (ივარაუდება, რომ მხარემ დაკარგა იურიდიული ინტერესი დავის მიმართ), ანუ სამართლებრივი შედეგი იგივეა, რაც მოპასუხის სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობისას – მოსამართლე სარჩელში მითითებულ, დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვან ფაქტებს შეუდავებლად (დამტკიცებულად) მიიჩნევს, ამასთან, თუ სარჩელში მითითებული ფაქტები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას, სარჩელი დაკმაყოფილდება, წინააღმდეგ შემთხვევაში მოსამართლე ნიშნავს სხდომას, ხოლო სხდომის ჩატარების შემთხვევაში, მოპასუხე ვერ განახორციელებს ფაქტობრივ შედავებას, მათ შორის მტკიცებულებათა წარდგენას (სსსკ-ის 232¹-ე მუხლი), შესაბამისად, მოპასუხეს მხოლოდ სამართლებრივი შედავების უფლება რჩება. ვინაიდან საქმის განხილვის და დავის გადაწყვეტის მთავარი ფიგურანტი მოსამართლეა, მას ჯერ კიდევ წერილობითი ფორმით წარდგენილი სარჩელიდან და შესაგებლიდან უნდა შეექმნას წარმოდგენა დავის სურათზე (ფაბულა), მოთ-

ხოვნის სამართლებრივ საფუძველზე (სარჩელით მოთხოვნილი შედეგის განმსაზღვრელი ნორმა), მოთხოვნის წინაპირობებზე (ნორმის შემადგენლობა), მტკიცების საგანსა (სადავო გარემოება, რომელიც უნდა დამტკიცდეს) თუ სარჩელის პერსპექტიულობაზე. იმის მიხედვით, რამდენად აკმაყოფილებს სარჩელი და შესაგებელი ფორმალური დასაბუთებულობის (გამართულობის) მოთხოვნებს, მოსამართლე ნიშნავს მოსამზადებელ ან მთავარ სხდომას. შესაბამისად, თუ მოსამართლე დანიშნავს მოსამზადებელ სხდომას, მან აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს მხარეთა საპროცესო უფლებები – დააზუსტონ/შეავსონ სარჩელში/შესაგებელში მითითებული გარემოებები (სსსკ-ის 83-ე მუხლი). დასაბუთებულობის მოთხოვნა გამოიყენება შესაგებელთან მიმართებაშიც, ამ დროს მოწმდება როგორი შესაგებელი წარადგინა მოპასუხემ (მოთხოვნის შემწყვეტი, შემაფერხებელი, გამომრიცხავი). შესაგებლის შინაარსიდან უნდა მიხვდეს მოსამართლე, რომელია უდავო და რომელია სადავო მტკიცების საგანში შემავალი ფაქტები. შესაგებლის ინსტიტუტი, სარჩელის ინსტიტუტთან ერთად ერთგვარი გზამკვლევაა მტკიცების სტადიისა, რომელზე გადასვლაც არ ხდება, ვიდრე არ ამოიწურება მხარეთა პოზიციების (სარჩელი; შესაგებელი; მოპასუხის მხრიდან არსებითი შედეგების შემთხვევაში მოსარჩელის პასუხი და ა.შ.) ურთიერთგაცვლა და უდავო გარემოებების იდენტიფიცირება. საქმის განმხილველი მოსამართლის გადასაწყვეტია, თუ რა ფაქტობრივი აღწერილობა (ფაბულა) უნდა დაუდოს საფუძვლად საკუთარ მსჯელობას, თავის მხრივ მთავარ როლს ფაბულის შექმნაში მხარეები ასრულებენ, რაც სრულად პასუხობს შეჯიბრებითობის პრინციპის მოთხოვნებს. ერთი მხრივ რელევანტური ფაქტების დახარისხება ხდება სამართლის ნორმის მიხედვით, ხოლო მეორე მხრივ, ფაქტები განსაზღვრავენ, რომელია მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმა. აქედან გამომდინარე, დავის გადაწყვეტაში სარჩელთან ერთად შესაგებლის, როგორც საპროცესო ინსტიტუტის როლი, უაღრესად მნიშვნელოვანია.

86. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ შესაგებლის ზოგადი კლასიფიკაცია შემდეგია: მატერიალური და საპროცესო შესაგებელი; აბსტრაქტული (ზოგადი) და კონკრეტული შესაგებელი; მარტივი და კვალიფიციური (არსებითი) შესაგებელი. რა ტიპის შესაგებელს წარადგენს მოპასუხე, სრულად თავსდება ამ უკანაქნელის ნების ავტონომის ფარგლებში. კონკრეტული შესაგებლის წარდგენის ვალდებულება გამომდინარეობს 201-ე მუხლის მე-4 ნაწილის შინაარსიდან (ივარაუდება, რომ შედეგებული უნდა იყოს დავის გადასაწყვეტად მნიშვნელოვანი ფაქტები და არა სამართლებრივი მოსაზრებები, ე.ი. ისეთი ფაქტები, რომელთა არსებობა წარმოშო-

ბენ მოთხოვნას), წინააღმდეგ შემთხვევაში მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები, დამტკიცებულად ითვლება. მოსამართლემ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს პირველ რიგში საპროცესო შესაგებელს, ხოლო ამის შემდეგ მატერიალურ შესაგებელს.

87. მატერიალური შედავება მიმართულია სარჩელის მატერიალურ-სამართლებრივი შედეგის მიღწევის წინააღმდეგ, რაც გულისხმობს მოპასუხის მხრიდან ისეთ ფაქტებზე (წინაპირობებზე) მითითებას, რომლებიც გამორიცხავენ, წყვეტენ ან აფერხებენ (განუხორციელებელს ხდიან) სარჩელით მოთხოვნილი შედეგის დადგომას.

88. საკასაციო პალატამ ერთ-ერთ საქმეზე აღნიშნა, რომ სსსკ-ის 201-ე მუხლის მეოთხე და მეხუთე ნაწილების თანახმად, „პასუხში (შესაგებელში) სრულყოფილად და თანამიმდევრობით უნდა იყოს ასახული მოპასუხის მოსაზრებები სარჩელში მითითებულ თითოეულ ფაქტობრივ გარემოებასა და მტკიცებულებასთან დაკავშირებით. თუ მოპასუხე არ ეთანხმება სარჩელში მოყვანილ რომელიმე გარემოებას, იგი ვალდებულია მიუთითოს ამის მიზეზი და დაასაბუთოს შესაბამისი არგუმენტაციით; წინააღმდეგ შემთხვევაში მას ერთმევა უფლება, შეასრულოს ასეთი მოქმედება საქმის არსებითად განხილვის დროს. მოპასუხე ვალდებულია, პასუხს დაურთოს მასში მითითებული ყველა მტკიცებულება. თუ მოპასუხეს საპატიო მიზეზით არ შეუძლია პასუხთან ერთად მტკიცებულებათა წარდგენა, იგი ვალდებულია, ამის შესახებ მიუთითოს პასუხში. წინააღმდეგ შემთხვევაში მოპასუხეს ერთმევა უფლება, შემდგომში წარადგინოს მტკიცებულებები). სამოქალაქო პროცესში მტკიცების საგანი, რომელიც წარმოადგენს სადავო მატერიალურსამართლებრივ ფაქტებს, რომელზეც მიუთითებენ მოსარჩელე და მოპასუხე, მოთხოვნის თუ შესაგებლის დასაბუთების ან გაქარწყლებისათვის, შეუძლებელია წარმოვიდგინოთ მტკიცებითი საქმიანობის გარეშე. სსსკ-ის მე-4 მუხლის პირველი ნაწილი ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ მოპასუხე ვალდებულია, საქმის მომზადების მიზნით აქტიურად იმოქმედოს, რაც, უპირველესად, სასამართლოსათვის სარჩელზე მისი წერილობითი მოსაზრებების წარდგენაში გამოიხატება. მოპასუხის მიერ ამ უფლების განუხორციელებლობა, სსსკ-ის 206-ე მუხლის შესაბამისად, ართმევს მას უფლებას, შეასრულოს ასეთი მოქმედება ამ საქმის არსებითად განხილვის დროს (ანუ, სასამართლოს სხდომაზე მხარისაგან მტკიცებულების მიღება აღარ ხდება). ამ შემთხვევისათვის სხვა რაიმე სპეციალურ შედეგს კანონი არ ადგენს“ (შდრ. სუსგ დიდი პალატის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-664-635-2016, 02 მარტი, 2017, პ.201).

89. საკასაციო პალატა იზიარებს კასატორების პრეტენზიას, რომ მოპასუხებს არც შესაგებლით და არც დაზუსტებული შესაგებლით სადავოდ არ გაუხდიათ მოსარჩელის მიერ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოება, რომ დავა უკავშირდება საკოლმეურნეო კომლის წევრობას. (იხ. სარჩელი, შესაგებელი).

90. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლო საქართველოში სასამართლო სისტემის მნიშვნელოვანი რგოლია, რომელიც განიხილავს მხარეთა მიერ სადავოდ მიჩნეული პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერებასა და დასაბუთებულობას. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი განსაზღვრავს სააპელაციო წარმოების წესსა და ფარგლებს, ამავე დროს, იმპერატიულად ადგენს, რომ სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილია, სააპელაციო საჩივრის დასაბუთება შეამოწმოს მხოლოდ იმ ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით და იმ მტკიცებულებებით, რომლებიც წარდგენილი იყო და შემოწმდა პირველი ინსტანციის სასამართლოში. ახალი ფაქტებისა და მტკიცებულებების წარდგენა სააპელაციო სასამართლოში მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ გამოჩაკლის შემთხვევებშია დასაშვები (არასრული (შეზღუდული) აპელაცია) (მდრ: სუს-ს დიდი პალატის 2016 წლის 17 მარტის განჩინება საქმეზე №ას-121-117-2016).

91. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს 2004 წლის 24 ნოემბერს, სტრასბურგში, ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) მიერ შემუშავებული №6 დასკვნის 98-ე და 135-ე პარაგრაფებზე, რომლის თანახმად, „უნდა არსებობდეს გარკვეული შეზღუდვები ყოველი მხარისათვის წარმოადგინოს ახალი მტკიცებულება ან ახალი ფაქტობრივი გარემოებები სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას. აპელაცია არუნდა იყოს და განიხილებოდეს, როგორც შეუზღუდავი შესაძლებლობა შესწორებების შეტანისა ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებში, რომელთა წარდგენაც მხარეს შეეძლო და უნდა წარედგინა პირველი ინსტანციის სასამართლოში. შეუზღუდავი აპელაცია აკნინებს პირველი ინსტანციის მოსამართლის როლს და ამ ფაქტმა შეიძლება პოტენციურად გამოიწვიოს პირველი ინსტანციის მოსამართლის მიერ საქმის მართვის მიზანშეწონილობის დღის წესრიგში დაყენება. მხარეები უფლებამოსილი არიან მათი მოთხოვნისა თუ დაცვის „სამართლიან სასამართლო მოსმენაზე, რომელიც უნდა დასრულდეს გონივრულ მისაღებ ვადაში“ და არა განუსაზღვრელ შესაძლებლობებზე. ეს განსაკუთრებით ეხება მეორე ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმის განხილვას“.

92. ამდენად, ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ითქვას, რომ მხარეთა აქტიურობა უფლებებისა და ინტერესების დასაცავად უზ-

რუნველყოფილი და ეფექტურია საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოში განხილვის დროს, ხოლო სააპელაციო სასამართლოში მხარეთა აქტიურობა შეზღუდულია თვით სააპელაციო სამართალწარმოების შეზღუდვის გამო.

93. სსსკ-ის 380-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას შეიძლება მოყვანილი იქნეს ახალი ფაქტები და წარდგენილი იქნეს ახალი მტკიცებულებები. სააპელაციო სასამართლო არ მიიღებს ახალ ფაქტებსა და მტკიცებულებებს, რომლებიც მხარეს შეეძლო წარედგინა პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას, მაგრამ არასაპატიო მიზეზით არ წარადგინა.

94. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საპროცესო კოდექსით დადგენილი მონწერიგება, რომელიც იმპერატიულად ადგენს ფორმალურ წესებს, სავალდებულოა არა მხოლოდ მხარეებისათვის, არამედ სასამართლოსათვისაც და ამ რეგულაციების შეცვლა ან განსხვავებული ინტერპრეტაცია მხარეთა ნებაზე ან სასამართლოს მიხედულებაზე ვერ იქნება დამოკიდებული.

95. შესაბამისად, გასაზიარებელია კასატორების პრეტენზია, რომ სააპელაციო სასამართლო მოკლებულია სამართლებრივ შესაძლებლობას, იმსჯელოს იმ ფაქტობრივ გარემოებებზე, რაც მხარეებს სარჩელში ან შესაგებელში არ მიუთითებიათ. გამონაკლის წარმოადგენს სსსკ-ის 380-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევები.

96. კასატორების ერთ-ერთ პრეტენზია უკავშირდება იმ გარემოებას, რომ სააპელაციო სასამართლო პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმებისას დაეყრდნო სახელმწიფო საბჭოს არარსებულ 21.10.1993 წლის №29 დეკრეტს, არსებობს მხოლოდ 21.10.1992 წლის №29 დეკრეტი. კასატორთა განმარტებით, საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო მეურნეობების, კოლმეურნეობების და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების რეორგანიზაციის წესის შესახებ მთავრობის 22.10.92 წლის №949 დადგენილებაში არსად არ არის ცალცალკე, განსხვავებული უფლებებით მოხსენებული საკოლმეურნეო კომლი და მუშა-მოსამსახურეთა კომლი. სახელმწიფო საბჭოს 21.10.1992 წლის №29 დეკრეტის მე-6 მუხლში მითითებულია, რომ მეურნეობათა ხელმძღვანელებმა და კომისიებმა მიწაზე მეურნეობრიობის ახალი ორგანიზაციული ფორმის შექმნის თაობაზე განცხადების შეტანის დღიდან ერთი თვის ვადაში განიხილონ და მიიღონ გადაწყვეტილება მუშაკისა და მისი ოჯახის წევრთა კუთვნილი მიწის ნატურით გამოყოფის შესახებ. დასახელებულ დეკრეტში არ არის მითითება იმის შესახებ, რომ თუ ოჯახი მეურნეობას ეკუთვნის, ასეთი ოჯა-

ხის ქონება მხოლოდ კომლის უფროსისაა და დანარჩენი წევრების საკუთრებას არ წარმოადგენს. სააპელაციო პალატა ვალდებული იყო, ზემოაღნიშნულ დეკრეტსა და დადგენილებაში ამგვარი შინაარსის ნორმის არსებობის შემთხვევაში, მიეთითებინა ასეთზე და განემარტა ნორმა. კასატორთა მოსაზრებით, სააპელაციო პალატას უნდა გამოეყენებინა და არ გამოიყენა 1996 წლის 22 მარტის საქართველოს კანონი „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტი, მე-4 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტები. მ. გ-ძე და რ. პ-ძე ენეოდნენ საკომლო მეურნეობას, თ. პ-ძე კი იყო მცირეწლოვანი. საარქივო ცნობის თანახმად, თითოეული მათგანი რეგისტრირებულია საადგილმამულო ნიგნში კონკრეტული წილის მითითებული გარეშე, რაც ადასტურებს, რომ ქონება მათ თანასაკუთრებაში იმყოფებოდა.

97. საკასაციო პალატის მოსაზრებით, განსახილველი საკასაციო პრეტენზია წარმოდგენილი იქნა, საქმეში არსებულ მტკიცებულებათა ერთობლიობაში შეუფასებლობის სამართლებრივი საფუძვლით [სსსკ-ის 105-ე, 407.1, 393-ე მუხლის მე-3 ნაწილი და 396-ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტი].

98. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში, სადავო ქონებებზე (საკომლო ქონება) მოსარჩელების თანამესაკუთრებად ცნობის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველია 1964 წლის რედაქციის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 122-ე და 125-ე მუხლები; „საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო მეურნეობების, კოლმეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების რეორგანიზაციის წესის შესახებ“, საქართველოს მთავრობის 1992 წლის 22 სექტემბრის №949 დადგენილება; სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 21 ოქტომბრის №29 დეკრეტი.

99. ამ ტიპის სარჩელის წარმატებულობა, ბუნებრივია, უნდა შემონმდეს მისი დამფუძნებელი ნორმის/ნორმების წინაპირობებთან მიმართებაში, რაც იმას ნიშნავს, რომ უპირველესად, სასამართლომ სწორად უნდა განსაზღვროს მოთხოვნის მარეგულირებელი სამართლებრივი საფუძველი – კანონის ნორმა, გამოარკვიოს სარჩელში მითითებული ფაქტების შესაბამისობა დამფუძნებელი ნორმის აბსტრაქტულ ელემენტებთან (ფორმალური გამართულობა), დადებითი პასუხის შემთხვევაში, სარჩელსა და შესაგებელში გამოთქმული პოზიციების ურთიერთშეჯერებით გამოარკვიოს სადავო და უდავო ფაქტობრივი გარემოებები (მტკიცების საგანი) და გაანალიზოს მხარეთა შორის მტკიცების საგანში შემავალი ფაქტების დადასტურების ტვირთი (მტკიცების ტვირთი).

100. განსახილველ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოე-

ბების საფუძველზე საკასაციო პალატა საჭიროდ მიიჩნევს ყურადღება გაამახვილოს კომლის წევრობასა და კომლის საკუთრებაზე.

101. კომლი სოფლის ადგილობრივი ორგანოების მიერ ყოველთვის ცალკე იყო რეგისტრირებული საადგილმამულო წიგნში, ოჯახის თითოეული წევრის და ოჯახის რიცხვული ქონების აღნიშვნით. კომლი წარმოადგენდა ოჯახის წევრთა ერთიან კავშირს, რომელსაც გააჩნდა ერთიანი ქონება, გარკვეული უფლება-მოვალეობები, აგრეთვე პასუხისმგებლობა როგორც ერთმანეთის, ისე მესამე პირთა მიმართ. (იხ. თამარ ჩიტოშვილი, კომლი ქართულ სამართალში, თბ., 2004, გვ. 11). კომლში შეიძლებოდა ყოფილიყო როგორც რამდენიმე, ისე ერთი წევრი. კომლის საქმიანობა არ რეგულირდებოდა სპეციალური წესდებით, რადგან კომლი არ განიხილებოდა როგორც იურიდიული პირი. კომლს გააჩნდა პირადი საკუთრება და როგორც ამ საკუთრების უფლების სუბიექტი, რეგისტრირებული იყო სოფლის საბჭოში, სადაც მითითებული იყო კომლის უფროსი, კომლის წევრები და კომლის ქონება.

102. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საკომლო ქონებასთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობები რეგულირებული იყო 1964 წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსით, რომლის 122-ე მუხლის თანახმად, კომლის ქონება ეკუთვნის მის წევრებს თანასაკუთრების უფლებით, ამავე კოდექსის 125-ე მუხლის თანახმად, საკოლმეურნეო კომლის ყველა წევრს კომლის ქონება თანაბარი წილით ეკუთვნის.

103. კომლს გააჩნდა საერთო საკუთრება, რომელიც მის წევრებს ეკუთვნოდა თანასაკუთრების უფლებით. კომლის საერთო საკუთრებაში არსებული ქონების მფლობელობა, სარგებლობა და განკარგვა წარმოებდა კომლის ყველა წევრის თანხმობით. კომლის საერთო ქონებიდან კომლის წევრის წილის განსაზღვრა – გამიჯვნა შესაძლებელი იყო მხოლოდ სამ შემთხვევაში, კერძოდ, 1) მისი გასვლისას კომლის შემადგენლობიდან, ახალი კომლის შეუქმნელად (გამოყოფა); 2) ერთი კომლიდან ორი ან მეტი კომლის შექმნისას (გაყრა); 3) კომლის წევრის პირადი ვალდებულებების მიხედვით გადახდევინება. კომლის ქონებაში ყველა წევრს, მათ შორის არასრულწლოვანსა და შრომისუუნაროსაც, თანაბარი წილი ეკუთვნოდათ. (იხ. თამარ ჩიტოშვილი, კომლი ქართულ სამართალში, თბ., 2004, გვ. 18).

104. მიწისა და საერთოდ სოფლის მეურნეობის სისტემაში რეფორმის განხორციელებამ, შესაბამისად ახალი საკანონმდებლო ბაზის შექმნამ, მნიშვნელოვნად შეცვალა მანამდე არსებული მოწესრიგება. ქონება, რომელიც საკოლმეურნეო კომლის ქონებას წარმოადგენდა, არის კომლის ყოფილ წევრთა საერთო საკუთრება თა-

ნაბარ წილში, რომელზედაც ვრცელდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული საერთო საკუთრების სამართლებრივი რეჟიმი.

105. საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო მეურნეობების, კოლმეურნეობების და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების რეორგანიზაციის წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 1992 წლის 22 სექტემბრის №949 დადგენილების, სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 21 ოქტომბრის №29 დეკრეტის საფუძველზე, 1993 წლიდან დადგინდა სახელმწიფო მეურნეობების, კოლმეურნეობების რეორგანიზაცია და ახალ ორგანიზაციულ სამართლებრივ ფორმაზე გადასვლა. კოლმეურნეობების გაუქმებით საკოლმეურნეო კომლის არსებობას სამართლებრივი საფუძველი გამოეცალა და მან არსებობა შეწყვიტა. „საქართველოს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რეფორმის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 18 იანვრის №48 დადგენილებით საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებზე კანონით დადგენილი ნორმის ფარგლებში რიცხული საკარმიდამო, საბარე და სააგარაკო მიწები უსასყიდლოდ გადადიოდა მათ კერძო საკუთრებაში. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 6 თებერვლის №128 დადგენილების მეორე პუნქტით კი, დადგინდა, რომ საკარმიდამო მიწის ნაკვეთები უნდა გაცემულიყო 1992 წლის 1 იანვრის მდგომარეობით რიცხული კომლების მიხედვით. (მდრ: სუსგ №ას-211-203-2013, 03 ივნისი, 2013 წ.).

106. ამ მიმართებით არსებითი მნიშვნელობა ენიჭებოდა იმ ფაქტს, რომ ნორმატიული აქტით დადგენილი პერიოდისათვის, კერძოდ, 1992 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, პირი კომლის ოჯახის წევრად უნდა ყოფილიყო რეგისტრირებული (აღრიცხული). ამავე ნორმატიული ბაზიდან გამომდინარე, აღნიშნულ ფაქტს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა, რადგან დამოუკიდებელ ოჯახად გასულ და რეგისტრირებულ ოჯახს უფლება წარმოეშობოდა, სხვა ადგილას მიეღო ასევე ქონება მიღება-ჩაბარების აქტით. შესაბამისად, ზემოაღნიშნული ნორმატიული წყაროს მიზანი იყო ოჯახების მფლობელობასა და სარგებლობაში არსებული მიწების დაკანონება, ამდენად, აღნიშნული პერიოდისათვის ოჯახის ერთ-ერთი სრულწლოვანი წევრის სახელზე მიღება-ჩაბარების აქტით გადაცემულ ქონებაზე საკუთრების უფლებას იძენდა ამავე ოჯახის ყველა ის წევრი, რომელსაც სხვა მიწის ნაკვეთის მიღებაზე უფლება არ გააჩნდა, მიუხედავად იმისა, აპირებდა თუ არა იგი აღნიშნული უფლების რეალიზებას.

107. საკასაციო სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე განმარტა „საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო მეურნეობების, კოლმე-

ურნეობების და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების რეორგანიზაციის წესის შესახებ“ მთავრობის 1992 წლის 22 სექტემბრის №949 დადგენილების, სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 21 ოქტომბრის №29 დეკრეტის საფუძველზე, 1993 წლიდან დადგინდა სახელმწიფო მეურნეობების, კოლმეურნეობების რეორგანიზაცია და ახალ ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმაზე გადასვლა. კოლმეურნეობების გაუქმებით საკოლმეურნეო კომლის არსებობას სამართლებრივი საფუძველი გამოეცალა და მან არსებობა შეწყვიტა. შესაბამისად, ქონება, რომელიც კომლის ქონებას და ამავე დროს კომლის წევრთა საერთო საკუთრებას წარმოადგენდა, აღარ წარმოადგენს კომლის ქონებას და არის იმ პირთა საერთო საკუთრება თანაბარ წილში, რომლებიც კომლის წევრებს წარმოადგენენ. აღნიშნულ ქონებაზე ვრცელდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული საერთო საკუთრების რეჟიმი“ (შდრ. სუსგ №ას-1778-1756-2011, 29.06.2012წ).

108. „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საქუთრების უფლების აღიარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 15 სექტემბრის №525-ე ბრძანებულების მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, მიწის მართლზომიერი მფლობელობის (სარგებლობის) დამადასტურებელი დოკუმენტების ჩამონათვალში მითითებულია ამონაწერი საკომლო წიგნიდან, ასევე „საქართველოს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რეფორმის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 18 იანვრის №48 დადგენილების შესაბამისად, სოფლის (დაბის) ადგილობრივი მმართველობის ორგანოების გადაწყვეტილებით შექმნილი მიწის რეფორმის კომისიის მიერ შედგენილი და სოფლის (დაბის) ყრილობაზე (საერთო კრებაზე) დამტკიცებული მიწების განაწილების სია თანდართული მიწის გამოყოფის გეგმით ან მის გარეშე, ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოების მიერ დამტკიცებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწით სარგებლობისათვის სარეგისტრაციო პერიოდში მოქმედი გადასახადი სია.

109. მაშასადამე, აღნიშნული სამართლებრივი დანაწესების საფუძველზე, მიწის ნაკვეთის მართლზომიერი მფლობელობა წარმოადგენს საჯარო რეესტრში ამ მიწის ნაკვეთზე საქუთრების უფლების აღიარების საფუძველს, ხოლო მართლზომიერი მფლობელობის დამდგენ დოკუმენტად კი მიჩნეულია საკომლო წიგნიდან ამონაწერი და საგადასახადო (ან სარეფორმო სია და სხვა დოკუმენტები) სია. საკანონმდებლო მოწესრიგების საფუძველზე მყა-

რად დადგენილი სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, საკომლო ცნობა მართლზომიერი მფლობელობის დამადასტურებელ დოკუმენტს წარმოადგენს იმ შემთხვევაში, თუ იგი ასახავს კომლის წევრთა ვინაობას და კომლზე რიცხულ ქონებას 1992 წლის 01 იანვრის მდგომარეობით.

110. საკომლო წიგნის ჩანაწერების მნიშვნელობასთან მიმართებით, სახელმწიფო ქონების შესახებ საქართველოს კანონის მეორე მუხლის „პ“ პუნქტში განმარტებულია, რომ საკომლო წიგნი არის ადმინისტრაციული ერთეულის-დასახლების (სოფლის, დაბის, ქალაქის) დასახლებათა გაერთიანების (თემის) ტერიტორიულ საზღვრებში კომლების და მათში პირთა რაოდენობის ამსახველი ჟურნალი, რომელიც ადასტურებს ამ პირთა კონკრეტულ დასახლებულ პუნქტში ცხოვრებისა და კომლის წევრად ყოფნის ფაქტს.

111. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ევროპული კონვენციის 6.1 მუხლით გათვალისწინებული გარანტიები მოიცავს სასამართლოს ვალდებულებას, მიუთითოს გადაწყვეტილების მიღების საკმარისი საფუძვლები. მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული სასამართლო მტკიცებულებების დასაშვებად ცნობის და არგუმენტების შერჩევის დროს სარგებლობს შეფასების ფართო ფარგლებით, ის ვალდებულია, რომ საკუთარი ქმედებები გაამართლოს, გადანყვეტილების მიღების შესაბამისი მიზეზების მითითებით (კარმელ სალიბა მალტის წინააღმდეგ – *Carmel Saliba v. Malta*, N 24221/13, §73, 29 ნოემბერი 2016; §73). როდესაც მხარის არგუმენტს არსებითი მნიშვნელობა აქვს სამართალწარმოების შედეგზე, იგი საჭიროებს ნათელ და კონკრეტულ პასუხს (ჰირო ბალანი ესპანეთის წინააღმდეგ, *Hiro Balani v. Spain*, 9 დეკემბერი 1994, §28, Series A N 303-B; §28), შესაბამისად, სასამართლოებს მოეთხოვებათ გამოიკვლიონ მხარეთა ძირითადი არგუმენტები (ბუზესკუ რუმინეთის წინააღმდეგ – *Buzescu v. Romania*, N 61302/00, §67, 24 მაისი 2005, §67. დონადე საქართველოს წინააღმდეგ – *Donadze v. Georgia*, N 74644/01, §35, 7 მარტი, 2006).

112. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 134-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, წერილობით მტკიცებულებას წარმოადგენს აქტები და საბუთები, რომლებიც შეიცავენ ცნობებს საქმისათვის მნიშვნელოვან გარემოებათა შესახებ.

113. საქმეში განთავსებულია 2015 წლის 4 აგვისტოს №AA2015055918-05, 2021 წლის 5 თებერვლის №AA2021001089-03 და 2020 წლის 11 დეკემბრის №AA2020014904-05 საარქივო ცნობები კომლის წევრთა შესახებ.

114. საკასაციო პალატა ამონმებს რა სააპელაციო სასამართლოს

მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოების სისწორეს, წარმოდგენილი კასაციის ფარგლებში [სსსკ-ის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილი] აღნიშნავს, რომ სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის სამართლებრივი შეფასებისათვის უნდა დადგინდეს მატერიალურ სამართლებრივი ნორმით გათვალისწინებული გარკვეული იურიდიული ფაქტების (იურიდიული შემადგენლობის) უტყუარად არსებობა, რაც შესაძლებელია სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით აღიარებული მტკიცებულებებით. ამასთან, ამა თუ იმ ფაქტობრივი გარემოებების დასადგენად მტკიცებულებათა მიღება და შეგროვება უნდა განხორციელდეს განკუთვნიანობისა და დასაშვებობის პრინციპების მოთხოვნათა გათვალისწინებით. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი განსაზღვრავს მტკიცებულებათა სახეებს, რომელთა შეფასება სასამართლოს კომპეტენციაა. ამავე კოდექსის 105-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ.

115. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზება უმეტესწილად დამოკიდებულია და გულისხმობს სასამართლოს მიერ დასაბუთებული, მტკიცებულებათა შეჯერების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილების მიღებას. მტკიცების ტვირთის როლი განსაკუთრებით ვლინდება სამოქალაქო სამართალწარმოებაში, სადაც მხარეთა ნების ავტონომიას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. შესაძლებელია მხარის მოთხოვნა საფუძვლიანი იყოს, მაგრამ შეუძლებელია მხარემ მიიღოს თავისი სასარგებლო გადაწყვეტილება, თუ ვერ დაამტკიცებს თავის სასარგებლო გარემოებებს საპროცესო სამართლით დადგენილი წესით. ამიტომაც, ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ფაქტების მითითების ტვირთისა და ფაქტების დამტკიცების ტვირთის სწორი გადანაწილება მოდავე მხარეებს შორის.

116. შეჯიბრებაში გამარჯვებულად გამოცხადდება მხარე, რომელმაც უკეთ შეძლო დაერწმუნებინა სასამართლო თავისი მოთხოვნის (შესაგებლის) ფაქტობრივ დასაბუთებულობაში, ანუ მხარე, რომელმაც მიუთითა ფაქტებზე, რომლებიც იურიდიულად ამართლებენ მოთხოვნას (შესაგებელს) და წარმოუდგინა სასამართლოს მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ ამ ფაქტებს.

117. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ყოველი კონკრეტული

სამოქალაქო საქმის გადაწყვეტა სასამართლოში დაკავშირებული გარკვეული ფაქტების დადგენასთან. ფაქტების დადგენის აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ სასამართლო იხილავს და წყვეტს მხარეთა შორის წარმოშობილ დავებს, რომლებიც სამართლით რეგულირებული ურთიერთობებიდან წარმოიშობიან. სამართლებრივი ურთიერთობა კი, როგორც ეს ცნობილია, შეიძლება აღმოცენდეს, განვითარდეს ან შეწყდეს მხოლოდ იურიდიული ფაქტების საფუძველზე. ე.ი. ისეთი ფაქტების საფუძველზე, რომლებსაც სამართლის ნორმა უკავშირებს გარკვეულ იურიდიულ შედეგს. ამრიგად, სასამართლო ვერ გადაწყვეტს ვერცერთ სამოქალაქო საქმეს, თუ მან წინასწარ არ დაადგინა გარკვეული ფაქტები. ამ ფაქტების დადგენა ხორციელდება უმთავრესად დამტკიცების გზით, შესაბამისი მტკიცებულებების გამოყენებით.

118. ფაქტების დამტკიცების პროცესი საკმაოდ დეტალურად რეგულირდება სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით, კერძოდ, განსაზღვრულია მტკიცების საშუალებათა (მტკიცებულებათა) წრე, რომლებიც შეიძლება გამოიყენოს სასამართლომ ფაქტობრივი გარემოებების დასადგენად, ამ მტკიცებულებათა დასაშვებობა და განკუთვანადობა, მტკიცების ტვირთის (მოვალეობის) განაწილება მხარეთა შორის, ანუ რომელმა მხარემ რა გარემოება უნდა დაამტკიცოს, მტკიცებულებათა გამოკვლევის წესი, მტკიცებულებათა შეფასების ზოგადი წესები და ა.შ.

119. სასამართლო მტკიცების პროცესი – ესაა საქმიანობა, რომელსაც ახორციელებენ მხარეები და სასამართლო იმ ფარგლებში და წესით, რომლებიც განსაზღვრულია კანონით. მხარეები წარუდგენენ სასამართლოს მტკიცებულებებს იმ ფაქტების დადასტურების მიზნით, რომლებზეც ისინი ამყარებენ თავიანთ მოთხოვნებს და შესაგებელს. სასამართლო მტკიცებულებათა დასაშვებობის და განკუთვანადობის პრინციპების მოთხოვნა დაცვით იღებს ამ მტკიცებულებებს და აფასებს მათ თავისი შინაგანი რწმენით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სასამართლო მტკიცების პროცესის სხვადასხვა მონაწილე სხვადასხვა ფუნქციას ასრულებს, მაგრამ ყველა მათგანის საქმიანობა მიმართულია ერთი მიზნისაკენ – გაირკვეს სიმართლე, დადგინდეს საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები.

120. სამოქალაქო სამართალწარმოებაში მტკიცების პროცესი, როგორც გაშუალებული შემეცნება, საკმაო სისრულითაა მოწესრიგებული კანონით. კანონი განსაზღვრავს, თუ რომელმა მხარემ რომელი ფაქტობრივი გარემოებები უნდა დაამტკიცოს. კანონი განსაზღვრავს აგრეთვე, თუ რომელ მხარეს ეკისრება ფაქტების მითითებისა და ამ ფაქტების დამტკიცების ტვირთი, რომელი ფაქ-

ტები არ საჭიროებენ დამტკიცებას, მტკიცების რა საშუალებები დაიშვება და რა არ დაიშვება, როგორ და რა წესით ხდება მტკიცებულებათა შეგროვება, შემონახვა და შეფასება და ა.შ.

121. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სამოქალაქო პროცესში დადგენილი უნდა იქნეს სამი სხვადასხვა ხასიათის, შინაარსისა და შედეგების მიხედვით ისეთი ფაქტები, როგორიცაა: 1) ფაქტები, რომლებსაც უკავშირდება მხოლოდ პროცესუალურ სამართლებრივი შედეგი (სარჩელის მიღება წარმოებაში, ან ასეთ მიღებაზე უარის თქმა); 2) ფაქტები, რომლებსაც უკავშირდება მატერიალურ სამართლებრივი შედეგი, ანუ მთავარი საძიებელი ფაქტები (სარჩელის დაკმაყოფილება, ან მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა); 3) მტკიცებულებითი ფაქტები, რომელთა მეშვეობით ხორციელდება მთავარი, ანუ გადანყვეტილებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტების დამტკიცება – დადასტურება.

122. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მტკიცების საგანში შედიან მხარეთა მიერ მითითებული ფაქტები, რომლებიც სასამართლოს შეხედულებით სამართლებრივად ასაბუთებენ (ამართლებენ) მათ მოთხოვნებს და შესაგებელს. კრიტერიუმი, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს სასამართლო იმისათვის, რომ სწორად განსაზღვროს მხარეთა მიერ მითითებული ფაქტებიდან, თუ რომელი ამართლებს სამართლებრივად მხარეთა მოთხოვნებს (შესაგებელს) და რომელი არა, ესაა სარჩელის საგანი (მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსი), მოპასუხის შესაგებელი და მატერიალურ სამართლებრივი ნორმა.

123. „სამართლებრივი დავისას სამოქალაქო საქმის განმხილველ მოსამართლეს ორი ამოცანა აქვს დასაძლევია: პირველ რიგში, მან უნდა გამოარკვიოს, თუ რა მოხდა სინამდვილეში. მეორე რიგში კი მოსამართლემ სამართლებრივად უნდა შეაფასოს ფაქტობრივი გარემოებები და დაადგინოს, არსებობს თუ არა სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველი. მოსარჩელემ სასამართლოს უნდა მიუთითოს ყველა იმ გარემოებაზე, რომლებიც კანონის მიხედვით ასაბუთებს სასარჩელო მოთხოვნას. თუ მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებები ვერ აკმაყოფილებს აღნიშნულ მოთხოვნას, მაშინ სარჩელი უკვე ამ საფუძველზევე არ უნდა დაკმაყოფილდეს. ასეთ შემთხვევაში, მოსამართლეს არა აქვს უფლება, საკუთარი ინიციატივით მოიძიოს სასარჩელო მოთხოვნის დამადასტურებელი გარემოებები და შეაგროვოს მტკიცებულებები. თუ მოსარჩელის მიერ სარჩელში მითითებულია ყველა იმ გარემოებაზე, რომლებიც კანონის მიხედვით ადასტურებენ მოთხოვნის არსებობას, მაშინ უკვე მოპასუხეზეა დამოკიდებული, ამ გარემოებების არსებობის უარყოფა“. (იხ. თომას ჰერმანი, მტკი-

ცებულებითი სამართალი, GIZ, თბილისი, 2016, გვ.3-4). „მტკიცების საგანში შემავალი გარემოებებიდან ერთი ნაწილი უნდა დაამტკიცოს მოსარჩელემ, მეორე ნაწილი კი – მოპასუხემ. ამასთან ერთად, დამტკიცების ტვირთის განაწილების საფუძველზე, მოსარჩელე თავისუფლდება იმ ფაქტების დადგენისაგან, რომელიც მოპასუხემ უნდა დაამტკიცოს და პირიქით, მოპასუხე თავისუფლდება იმ ფაქტების დადგენისაგან, რომელიც მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს. მტკიცების ტვირთის მხარეთა შორის განაწილების ინსტიტუტი მიუთითებს არა მარტო იმაზე, თუ რომელმა მხარემ რა ფაქტები უნდა დაამტკიცოს, არამედ იმაზეც, თუ რომელი ფაქტების დადგენის მოვალეობისაგან თავისუფლდება ესა თუ ის მხარე. შესაბამისად, მოსარჩელემ, როგორც წესი, უნდა დაამტკიცოს ყველა გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის წარმოშობის საფუძველს, ხოლო მოპასუხემ კი – ყველა გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს“ (იხ. ჰ. ბოელინგი, ლ, ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდოლოგია, თბ., 2004, გვ.64). შეუძლია თუ არა სასამართლოს თავისი ინიციატივით შეიტანოს მტკიცების საგანში და საფუძველად დაუდოს გადაწყვეტილებას ფაქტები, რომლებზეც მხარეები არ მიუთითებენ? იურიდიულ დოქტრინაში გაბატონებული მოსაზრების თანახმად, სასამართლოს ეს არ შეუძლია. (იხ. დამატებით: თ. ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბილისი, 2005, გვ. 87; ჰ. ბოელინგი, ლ, ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდოლოგია, თბ., 2004, გვ.64).

124. სასამართლოს შეუძლია მხოლოდ მხარეთა ახსნა-განმარტების მოსმენის დროს, რაც შეიძლება მოხდეს მოსამზადებელ სხდომაზე (სსსკ-ის 205-ე მუხლი) ან მთავარ სხდომაზე (სსსკ-ის 218-ე მუხლი), შეკითხვების მიცემის საშუალებით კიდევ ერთხელ დააზუსტოს ფაქტიური გარემოებები, რომლებსაც ემყარება მხარეთა მოთხოვნა (შესაგებელი). ამის შესახებ პირდაპირაა მითითებული სსსკ-ის 128-ე მუხლში, რომლის თანახმად სასამართლოს უფლება აქვს შეკითხვები მისცეს მხარეებს, რომლებიც ხელს შეუწყობენ საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების სრულად და ზუსტად განსაზღვრას. საგულისხმოა სსსკ-ის 219-ე მუხლის დანაწესი იმის შესახებ, რომ მხარეები შეზღუდული არიან, ახსნა-განმარტების მოსმენისას წარადგინონ ახალი მტკიცებულებები ან მიუთითონ ახალ გარემოებებზე, რომელთა შესახებაც არ ყოფილა მითითებული სარჩელსა თუ შესაგებელში ან საქმის მომზადების სტადიაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მათ შესახებ თავის დროზე საპატიო მიზეზით არ იყო განცხადებული. ამ-

რიგად, ფაქტებზე თვითონ მხარეებმა უნდა მიუთითონ. სასამართლოს შეუძლია მხოლოდ მხარეთა გამოკითხვისა და შეკითხვების მიცემის გზით ხელი შეუწყოს გადაწყვეტილებისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტების სრულად და ზუსტად განსაზღვრას.

125. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მხარეთა ნამდვილი შეჯიბრება რეალურად შეუძლებელი იქნებოდა, რომ არ იყვნენ ამ შეჯიბრებაში მონაწილე მხარეები თანასწორნი. მხარეთა პროცესუალური თანასწორობის პრინციპითაა გამსჭვალული საპროცესო კანონმდებლობის თითქმის ყოველი ნორმა, დაწყებული საქმის მომზადების სტადიით და დამთავრებული გადაწყვეტილების გამოტანით და მისი გასაჩივრებით. მაგალითად, სარჩელის წარმოებაში მიღების შემდეგ მოპასუხეს ეგზავნება ამ სარჩელისა და მასზე დართული დოკუმენტების ასლები. მოპასუხეს თავის მხრივ შეუძლია ცნოს სარჩელი, ან არ ცნოს, მაგრამ თუ არ ცნობს – უნდა წარმოუდგინოს სასამართლოს წერილობითი ფორმით შედგენილი პასუხი სარჩელზე და მასზე თანდართულ საბუთებზე. ამ წერილობით პასუხში მანვე უნდა აცნობოს სასამართლოს, თუ რა საპროცესო საშუალებებით აპირებს მოსარჩელისაგან თავის დაცვას. ისე, როგორც მოსარჩელეს, მოპასუხეს სრული უფლება აქვს არამართო გამოთქვას თავისი მოსაზრებები მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი ფაქტების უარსაყოფად, არამედ წარმოუდგინოს სასამართლოს ფაქტები და მტკიცებულებები, რომლებიც ამართლებენ მის შესაგებელს, აქარწყლებენ მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს, ადასტურებენ ამმტკიცებულებების სიყალბეს ან არასარწმუნოებას და ა.შ. სასამართლო ვერ გამოიტანს გადაწყვეტილებას, თუ მან არ მოუსმინა ორივე დაპირისპირებულ მხარეს ან არ მისცა მათ შესაძლებლობა გამოიყენონ საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა უფლება და მექანიზმი თავიანთი პოზიციის გასამართლებლად, თავიანთი უფლებების დასაცავად.

126. „მხარეთა თანასწორობა და შეჯიბრებითობა სამოქალაქო საპროცესო სამართლის უმნიშვნელოვანესი პრინციპია, რაც პირველ რიგში გულისხმობს მოსარჩელისა და მოპასუხისათვის თანაბარი პროცესუალური შესაძლებლობების მინიჭებას. შეჯიბრებითობის პრინციპი ეფუძნება მხარეთა თანაბარ შესაძლებლობას, აღიჭურვონ სათანადო საპროცესო ინსტრუმენტებით...“ (შდრ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №1/8/594; 2017 წლის 01 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №2/6/746).

127. თუ მოსარჩელე ვერ დაამტკიცებს სადავო (დავის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე) გარემოებებს, სარ-

ჩელი არ დაკმაყოფილდება. სარჩელის წარმატება მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის (დამფუძნებელი ნორმა) წინაპირობების მითითება/დადასტურებაზეა დამოკიდებული, ასეთი შედაგების დროს მოპასუხე სადავოდ ხდის სწორედ მოთხოვნის წარმოშობის წინაპირობებს, უთითებს ისეთ გარემოებებზე, რომლებიც მოთხოვნის არსებობას გამოორიცხავენ, საკმარისია მოპასუხის მხრიდან თუნდაც ერთი წინაპირობის გამოორიცხვა, რომ სარჩელის წარმატებას საფრთხე შეექმნას.

128. მოსარჩელისათვის სასურველი შედეგის დადგომა, მისი სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება შესაძლებელია მხოლოდ გარკვეული ფაქტების საფუძველზე, რომლებსაც კანონი უკავშირებს მოსარჩელის მატერიალურ სამართლებრივი მოთხოვნის დაკმაყოფილებას. ზუსტად იგივე უნდა განსაზღვროს იმ ფაქტების წრე, რომლებსაც უკავშირდება მხარეთა მოთხოვნის (შესაგებლის) ფაქტობრივი დასაბუთებულობა. მიუთითონ ფაქტებზე, რომლებიც ასაბუთებენ მხარეთა მოთხოვნებს და შესაგებელს, არის თვითონ მხარეთა მოვალეობა.

129. იმ შემთხვევაში, თუ მოპასუხე სათანადოდ ახერხებს მოსარჩელის მიერ მითითებულ (არსებით) გარემოებებზე შედაგებას საპირისპირო ნორმის წინაპირობების დასაბუთების გარეშე, მაშინ ამ გარემოებებთან დაკავშირებით გადანყვეტილება უკვე მტკიცების სტადიაზე მიიღება იმისდა მიხედვით, (მტკიცების ტვირთის განაწილების გათვალისწინებით) დამტკიცდება თუ არა ეს სადავო გარემოებები; თუ მოპასუხე ვერ ახერხებს საპირისპირო ნორმის წინაპირობების დასაბუთებას და ვერც მოსარჩელის მიერ მითითებული და მოთხოვნის დამაფუძნებელი გარემოებების სათანადო შედაგებას, სასამართლოს შეუძლია მოსარჩელის სასარგებლოდ დააკმაყოფილოს სარჩელი; თუ მოპასუხე სათანადოდ ახერხებს სამართლებრივი შესაგებლის დასაბუთებას და თუ მოსარჩელე არ ხდის სადავოს მის შესაგებელს, მაშინ სასამართლო მიდის დასკვნამდე, რომ უარი უნდა ეთქვას სარჩელს საპირისპირო (მოთხოვნის გამომრიცხავი) ნორმის არსებობის გამო; თუ მოპასუხე სათანადოდ ახერხებს მოსარჩელის არსებითი გარემოებების შედაგებას და ასევე საპირისპირო ნორმის წინაპირობების საკმარისად დასაბუთებას, მაშინ მტკიცების სტადიაზე უნდა გაირკვეს, მტკიცდება თუ არა სადავო გარემოებები (მტკიცების ტვირთის განაწილების შესაბამისად). შემდეგ ეტაპზე უნდა შემოწმდეს, ახერხებს თუ არა მოსარჩელე თავისი მოთხოვნის დამაფუძნებელი გარემოებების იმგვარ დასაბუთებას, რომელიც ასევე აქარწყლებს მოპასუხის მიერ დასაბუთებულ საპირისპირო მითითებებს (ნორმებს).

130. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ შესაგებლის სახეებიდან განსაკუთრებული დატვირთვა გააჩნია კვალიფიციურ შედეგებს. კვალიფიციური შედეგება იურიდიულ დოქტრინაში განმარტებულია შემდეგნაირად: „მოპასუხე მოსარჩელის მოხსენების ნაცვლად წარმოადგენს მოვლენათა განვითარების მისეულ, განსხვავებულ ვერსიას, რომელიც ცალკეულ საკითხებში სადავოს ხდის მოსარჩელის მოხსენებას“. (შდრ. მოსამართლის მიერ გადანყვეტილების მიღების პროცესი სამოქალაქო სამართალში, შ. შმიტი, ჰ. რიჰტერი, (GIZ), 2013წ., გვ.19.) კვალიფიციურ შედეგებს არსებით შედავებადაც მოიხსენიებენ. ამგვარი შედავება, ერთი მხრივ, შეიძლება გამორიცხავდეს სარჩელის დაკმაყოფილებას უსაფუძვლობის გამო, ხოლო მეორე მხრივ, ცვლიდეს მოსარჩელის მიერ შემოთავაზებული სამართლებრივი ურთიერთობის კვალიფიკაციას, საიდანაც მოსარჩელეს დამატებითი მოხსენების (ფაქტების მითითების) გარეშე გაუჭირდება იმ შედეგის მიღწევა, რომელიც სარჩელით აქვს მოთხოვნილი. კვალიფიციური (არსებითი) შედავება მოსამართლეს ცალკეულ შემთხვევაში ავალდებულებს მოიძიოს მოთხოვნის სხვა დამფუძნებელი ნორმა, ასევე შეამოწმოს საგამონაკლისო ნორმები.

131. მას შემდეგ, რაც მოსამართლე მოიძიებს მოთხოვნის დამფუძნებელ ნორმას, განსაზღვრავს ნორმის ფაქტობრივ ელემენტებს (წინაპირობებს), ამ წინაპირობებს მიუსადაგებს მოსარჩელის მიერ მოხსენებულ ფაქტებს და თითოეულ წინაპირობაზე გასცემს დადებით პასუხს, იგი ამოწმებს რომელ ფაქტებს ხდის მოპასუხე სადავოდ (მოპასუხის სტადია). თუ მოპასუხეს არ აქვს წარდგენილი კვალიფიციური (არსებითი) შედავება, არამედ მხოლოდ სამართლებრივად მნიშვნელოვანი ფაქტების უარყოფით შემოიფარგლება, მოსამართლე გადადის მტკიცების სტადიაზე, რაც ნიშნავს სადავოდ გამხდარი ფაქტების დადგენის პროცესს. მოპასუხის მხრიდან არსებითი ხასიათის შედავების შემთხვევაში, მოსამართლემ ასევე უნდა მოიძიოს სამართლებრივი ნორმა, რომელიც გამორიცხავს, წყვეტს ან აფერხებს მოთხოვნის განხორციელებას, ხოლო ნორმის წინაპირობების შემოწმება იმავე წესით ხორციელდება. აქაც მნიშვნელოვანია რას პასუხობს მოსარჩელე მოპასუხის არსებით შედავებას, არ არის გამორიცხული მოსარჩელემაც კვალიფიციური პასუხი გასცეს მოპასუხის ამგვარ განმარტებას. ამდენად მოსამართლე ასე უწყვეტად გადადის მოსარჩელის სტადიიდან მოპასუხის სტადიაზე და პირიქით, ვიდრე არ დასრულდება მხარეთა განმარტებების ურთიერთგაცვლის პროცესი, რომლის შედეგადაც უნდა გაირკვეს უდავო და სადავო (მტკიცების საგანში შემავალი) ფაქტები.

132. შესაგებლის შინაარსობრივი მხარე, განსაკუთრებით ფაქტობრივი ნაწილი გავლენას ახდენს მტკიცების ტვირთზე. სსსკ-ის 102.1 მუხლის ზოგადი დათქმიდან გამომდინარე, უფლების შემწყვეტი, შემაფერხებელი და გამომრიცხველი შესაგებლის მტკიცების ტვირთი მოდის მოპასუხეზე.

133. იმ შემთხვევაში, თუ მოპასუხე სათანადოდ ახერხებს მოსარჩელის მიერ მითითებულ (არსებით) გარემოებებზე შედავებას საპირისპირო ნორმის წინაპირობების დასაბუთების გარეშე, მაშინ ამ გარემოებებთან დაკავშირებით გადაწყვეტილება უკვე მტკიცების სტადიაზე მიიღება იმისდა მიხედვით, (მტკიცების ტვირთის განაწილების გათვალისწინებით) დამტკიცდება თუ არა ეს სადავო გარემოებები; თუ მოპასუხე ვერ ახერხებს საპირისპირო ნორმის წინაპირობების დასაბუთებას და ვერც მოსარჩელის მიერ მითითებული და მოთხოვნის დამაფუძნებელი გარემოებების სათანადო შედავებას, სასამართლოს შეუძლია მოსარჩელის სასარგებლოდ დააკმაყოფილოს სარჩელი; თუ მოპასუხე სათანადოდ ახერხებს სასამართლებრივი შესაგებლის დასაბუთებას და თუ მოსარჩელე არ ხდის სადავოს მის შესაგებელს, მაშინ სასამართლო მიდის დასკვნამდე, რომ უარი უნდა ეთქვას სარჩელს საპირისპირო (მოთხოვნის გამომრიცხავი) ნორმის არსებობის გამო; თუ მოპასუხე სათანადოდ ახერხებს მოსარჩელის არსებითი გარემოებების შედავებას და ასევე საპირისპირო ნორმის წინაპირობების საკმარისად დასაბუთებას, მაშინ მტკიცების სტადიაზე უნდა გაირკვეს, მტკიცდება თუ არა სადავო გარემოებები (მტკიცების ტვირთის გადანაწილების შესაბამისად). შემდეგ ეტაპზე უნდა შემოწმდეს, ახერხებს თუ არა მოსარჩელე თავისი მოთხოვნის დამაფუძნებელი გარემოებების იმგვარ დასაბუთებას, რომელიც ასევე აქარწყლებს მოპასუხის მიერ დასაბუთებულ საპირისპირო მითითებებს (ნორმებს).

134. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მტკიცებულებას წარმოადგენს მხარის ახსნა-განმარტების ის ნაწილი, რომელიც საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოების არსებობა-არარსებობას ადასტურებს. იმის მიუხედავად, თუ რა ფორმითაა წარმოდგენილი მხარეთა ახსნა-განმარტება – წერილობით თუ ზეპირი ფორმით. ამის ნათელი მაგალითია სსსკ-ის 127-ე მუხლის პირველი ნაწილის დისპოზიციური დანაწესი, კერძოდ, საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების დადგენის პროცესი იწყება მხარეთა (მესამე პირთა, თანამონაწილეთა, კანონისმიერ წარმომადგენელთა) ახსნა-განმარტების მიღებით: მხარეები იძლევიან ახსნა-განმარტებებს მათთვის ცნობილი და საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა შესახებ.

135. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ ერთ-ერთ მტკიცებულებას წარმოადგენს მოწმის ჩვენება. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, ნებისმიერ შემთხვევაში, მონმეთა კომპეტენცია, პირველ რიგში ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად წესრიგდება (იხ. *the Ludi v. Switzerland*, გადაწყვეტილება 15.06.1992, სერია A, №238, გვ. 20, პარაგრაფი 43 და *the Schuler-Zraggen v. Switzerland* გადაწყვეტილება 24.06.1993. სერია №263, გვ.21. პარაგრაფი 66). საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე და 140-ე მუხლების ანალიზიდან კი, გამომდინარეობს, რომ მოწმის ჩვენების მიღებისას ეროვნულმა სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს ყველა იმ ობიექტური თუ სუბიექტური ფაქტორით, რაც ამ მტკიცებულების იურიდიულ ბუნებას ახლავს, მათ შორისაა მოწმის, როგორც სუბიექტის დამოუკიდებლობა მხარეთა შორის სადავო ფაქტებისა და მოვლენების მიმართ. სწორედ ამ კრიტერიუმებით განისაზღვრება ჩვენებაში გადმოცემული ფაქტების იურიდიული სანდოობა.

136. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მხარეთა შეჯიბრებითობისა და დისპოზიციურობის პრინციპების გათვალისწინებით წარმოდგენილ არცერთ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს საქმეში არსებული მტკიცებულებების ერთობლიობაში შეფასების საფუძველზე.

137. საკასაციო პალატა იზიარებს კასატორების პრეტენზიას, სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმეში არსებული მტკიცებულებების ერთობლივად შეუფასებლობის თაობაზე.

138. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სსსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ პუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, რაც მისი გაუქმების საფუძველია, თუ გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული, ხოლო სსსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად კი, საკასაციო სასამართლო მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები.

139. იმის გათვალისწინებით, რომ სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს განსახილველ საქმეზე სრულად არ გამოუკვლევიდა და შეუფასებია მხარეთა მიერ შეჯიბრებითობისა და დისპოზიციურობის პრინციპების გათვალისწინებით წარმოდგენილი მტკიცებულებები, საკასაციო პალატა სსსკ-ის 412-ე მუხლის თანახმად, მოკლევადიან სამართლებრივ შესაძლებლობას, თვითონ მიიღოს საქმეზე

გადაწყვეტილება.

140. შესაბამისად, უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სააპელაციო სასამართლოს, რომელმაც საკასაციო პალატის წინამდებარე განჩინებაში მოცემული მსჯელობების შესაბამისად, უნდა შეამოწმოს მოსარჩელეთა მოთხოვნების წინაპირობები და საქმეში არსებული მტკიცებულებების ყოველმხრივი კვლევის შედეგად, განსაზღვროს უფლების საკითხი.

141. ვინაიდან საკასაციო სასამართლოს წინამდებარე განჩინებით საქმის წარმოება არ დასრულებულა, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ (სსსკ-ის 53-ე მუხლის მეოთხე ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განეუღია ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით), რომ ხარჯების საკითხი უნდა გადაწყდეს შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღებისას.

142. საკასაციო პალატა დაუსაბუთებლობის გამო არ აკმაყოფილებს კასატორის მოწინააღმდეგე მხარის მიერ საკასაციო სასამართლოში 2021 წლის 10 აგვისტოს წარმოდგენილ წერილობით შუამდგომლობას საქმის წარმოების შეჩერების შესახებ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 404-ე, 412-ე მუხლებით, 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და,

და ა დ ბ ი ნ ა:

1. მ. გ-ძის, თ. და რ. პ-ების საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 10 მარტის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სააპელაციო სასამართლოს;

3. კასატორის მოწინააღმდეგე მხარის შუამდგომლობა საქმის წარმოების შეჩერების შესახებ, არ დაკმაყოფილდეს;

4. საკასაციო სასამართლომ განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. პროცესის ხარჯები

სასამართლო ხარჯების განაწილება მხარეთა შორის

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ას-1641-2018

25 ოქტომბერი, 2019 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ნ. ბაქაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ბ. ალავეცი

დავის საგანი: საადვოკატო მომსახურების ხარჯის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. გ. თ-ძემ (შემდგომში – „მოსარჩელე“ ან „კასატორი“) სარჩელი აღძრა სასამართლოში თ. ჭ-ის (შემდგომში – „მოპასუხე“) მიმართ და მოითხოვა:

1.1. მოსარჩელის კუთვნილი მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრის გაკვლევა აღმოსავლეთის მხრიდან მოქ. კ-ას საცხოვრებელი სახლის კუთხიდან 2011 წლის 6 აპრილის ექსპერტიზის დასკვნაში მოცემული მოქ. ა. ლ-ძის კუთვნილი ნაკვეთის საზღვრის ბოლო ნერტილამდე (დანართი №1, ნერტილი №10) საჯარო რეესტრის მასალების, 2011 წლის 6 აპრილისა და 2015 წლის 1 აპრილის ექსპერტიზის დასკვნების შესაბამისად (იხ. განცხადება სარჩელის დაზუსტების შესახებ);

1.2. მოპასუხისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ მის მიერ გაწეული ხარჯების ანაზღაურების დაკისრება.

2. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო.

3. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილებით დაზუსტებული სარჩელი დაკმაყოფილდა; დადგინდა, რომ გაკვლეული იქნას მოსარჩელის კუთვნილი მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი აღმოსავლეთის მხრიდან მოქ. კ-ას საცხოვრებელი სახლის კუთხიდან 2011 წლის 6 აპრილის ექსპერტიზის დასკვნაში მოცემული მოქ. ა. ლ-ძის კუთვნილი ნაკვეთის საზღვრის ბოლო ნერტილამდე (დანართი №1, ნერტილი №10) საჯარო რეესტრის მასალების, 2011 წლის 6 აპრილისა და 2015 წლის 1 აპრილის ექსპერტიზის დასკვნების შესაბამისად; მოპასუხემ მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა სარჩელის აღძვრისათვის გა-

დახდილი სახელმწიფო ბაჟი 120 ლარის ოდენობით, ასევე, ექსპერტიზის ჩატარების ხარჯები 300 ლარის ოდენობით, და საადვოკატო ხარჯები 160 ლარის ოდენობით.

4. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ.

5. 2017 წლის 11 აგვისტოს მოსარჩელემ განცხადებით მიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა, რომ გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების შემთხვევაში, აპელანტს (მოპასუხეს) სსსკ-ის 53-ე მუხლის საფუძველზე დაკისრებოდა მის მიერ განუხლები საადვოკატო მომსახურების ხარჯი, რომლის ქვითარიც წარდგენილი იყო საქმეში.

6. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 6 სექტემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელი დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

7. სააპელაციო პალატამ საპროცესო ხარჯებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაკისრებული ჰქონდა საადვოკატო ხარჯის სახით 160 ლარის ანაზღაურება. იმის გათვალისწინებით, რომ განსახილველ შემთხვევაში დავის საგნის ღირებულება, სსსკ-ის 41.1 მუხლის „კ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, განსაზღვრული იყო 4000 ლარით, რომლის 4% შეადგენდა 160 ლარს, სსსკ-ის 53.1 მუხლის მიხედვით, აღარ არსებობდა მოპასუხისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ საადვოკატო ხარჯის დამატებით დაკისრების საფუძველი.

8. 2017 წლის 8 სექტემბერს მოსარჩელემ განცხადებით მიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანა მის მიერ განუხლები საადვოკატო მომსახურების ხარჯის (300 ლარის) მოპასუხისათვის დაკისრების თაობაზე.

9. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 15 ნოემბრის დამატებითი განჩინებით მოსარჩელის განცხადება ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 6 სექტემბრის განჩინებაზე დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

10. სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოში მოწინააღმდეგე მხარის (მოსარჩელის) მიერ წარდგენილი იქნა სს „თ. ბ-ის“ ქუთაისის ფილიალში, 2017 წლის 7 ივნისს, ფ. ბ-ს ანგარიშზე წარმომადგენლის მომსახურებისათვის განუხლები ხარჯის, 300 ლარის, შეტანის დამადასტურებელი სალაროს შემოსავლის ორდერი №1643106230.

11. სააპელაციო სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 6 სექტემბრის გადაწყვეტილების მე-6 პარაგრაფი (საპროცესო ხარჯები) შეიცავდა მსჯელობას მხარეთა შორის საპროცესო ხარჯების განაწილების თაობაზე, მათ შორის, სააპელაციო სასამართლოში მონაწილემდევე მხარის მიერ წარმომადგენლის მომსახურებისათვის გაწეული ხარჯის, 300 ლარის, ანაზღაურების საკითხზე.

12. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ, ვინაიდან 2017 წლის 6 სექტემბრის განჩინებით გადაწყვეტილი იქნა სააპელაციო სასამართლოში მონაწილემდევე მხარის მიერ წარმომადგენლის მომსახურებისათვის გაწეული ხარჯის მხარეთა შორის განაწილების საკითხი, აღარ არსებობდა ამ ხარჯების თაობაზე დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის საფუძველი.

13. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 15 ნოემბრის განჩინებაზე მოსარჩელემ წარადგინა კერძო საჩივარი და მოითხოვა აღნიშნული განჩინების გაუქმება და მოპასუხისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ წარმომადგენლის დახმარებისათვის გაწეული ხარჯის – 300 ლარის დაკისრება.

14. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 3 აპრილის განჩინებით მოსარჩელის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 15 ნოემბრის განჩინება და საქმე დაუბრუნდა იმავე სასამართლოს განცხადების ხელახლა განსახილველად.

15. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 6 სექტემბრის განჩინება, რომლის სარეზოლუციო ნაწილი არ ასახავდა მოსარჩელის მიერ საადვოკატო მომსახურებისათვის გაწეული ხარჯების მოპასუხისათვის დაკისრების ან ამ ხარჯის დაკისრების უსაფუძვლობის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებას, შესაძლებელია შეესაბამებოდეს დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანით.

16. 2018 წლის 18 ივლისს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილებაზე წარდგენილ მოპასუხის სააპელაციო საჩივარზე, სასამართლო ხარჯებთან დაკავშირებით მიიღო დამატებითი განჩინება, რომლითაც მოსარჩელის შუამდგომლობა მოპასუხისათვის (აპელანტი) მის სასარგებლოდ დამატებით, სააპელაციო ინსტანციის სასამართლო წარმოებისათვის გაწეული საადვოკატო მომსახურების ხარჯის – 300 ლარის, დაკისრების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

17. სააპელაციო პალატამ მიუთითა წინამდებარე გადაწყვეტი-

ლების მე-10 პუნქტში დადგენილ გარემოებაზე და აღნიშნა, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 6 სექტემბრის გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის მე-6 პარაგრაფი (საპროცესო ხარჯები) შეიცავდა მსჯელობას მხარეთა შორის საპროცესო ხარჯების განაწილების თაობაზე, მათ შორის, სააპელაციო სასამართლოში მონაწილედგე მხარის მიერ წარმომადგენლის მომსახურებისათვის გაწეული ხარჯის, 300 ლარის, ანაზღაურების საკითხზე (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების მე-7 პუნქტი), თუმცა სარეზოლუციო ნაწილში აღნიშნულ ხარჯთან დაკავშირებით გადაწყვეტილება ასახული არ ყოფილა.

18. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 18 ივლისის დამატებითი განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ და მოითხოვა აღნიშნული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით მოპასუხისათვის მოსარჩელის მიერ გაწეული ხარჯის – საადვოკატო მომსახურების თანხის დაკისრება.

19. საკასაციო საჩივარი ემყარება შემდეგ საფუძვლებს:

19.1. სასამართლომ არასწორად განმარტა სსსკ-ის 53-ე მუხლი, რომლის მიხედვით, მოპასუხეს უნდა დაკისრებოდა მოსარჩელის მიერ გაწეული ხარჯი. აღნიშნული მუხლით ხდება გაწეული საადვოკატო მომსახურების თანხის დაკისრება სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში. სსსკ-ის 53-ე მუხლის მე-2 ნაწილში გარკვევით წერია, რომ ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება აგრეთვე სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. ვინაიდან მოსარჩელემ ადვოკატის მომსახურების თანხა გადაიხადა სააპელაციო წარმოებისათვის, ეს ხარჯი უნდა დაეკისროს მოპასუხეს სსსკ-ის 53-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე;

19.2. სასამართლომ არ გაითვალისწინა და არ შეაფასა საქმეში წარმოდგენილი საადვოკატო მომსახურების ქვითარი, რომლის მიხედვით, საადვოკატო მომსახურების თანხა გადახდილია სააპელაციო წარმოებისათვის. ეს ხარჯი სასამართლოს მოპასუხისათვის უნდა დაეკისრებინა, მიუხედავად იმისა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მას დაკისრებული ჰქონდა ადვოკატის მომსახურების თანხა. აღნიშნული თანხა იყო პირველი ინსტანციის წარმოებისათვის გაწეული ხარჯი, ხოლო სააპელაციო სასამართლოს მოპასუხისათვის უნდა დაეკისრებინა სააპელაციო მომსახურების ხარჯი.

20. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 18 ოქტომბრის განჩინებით მოსარჩელის საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი, სსსკ-ის 391-ე მუხ-

ლის მე-5 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

სამოტივაციო ნაწილი:

21. საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძველების შესწავლისა და გასაჩივრებული დამატებითი განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მოსარჩელის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

22. საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამონიშნავს საკასაციო საჩივრის ფარგლებში [სსსკ-ის 404.1 მუხლის პირველი წინადადება]. საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები. სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება) [სსსკ-ის 407-ე მუხლი].

23. განსახილველ შემთხვევაში სადავოდ არის გამხდარი სააპელაციო სასამართლოში საქმის წარმოებისას წარმომადგენლის მომსახურებისათვის განეული ხარჯის მხარეთა შორის განაწილების საკითხი.

24. საქმის მასალებით დასტურდება, რომ 2017 წლის 11 აგვისტოს მოსარჩელემ განცხადებით მიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა, რომ გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების შემთხვევაში, აპელანტს (მოპასუხეს) სსსკ-ის 53-ე მუხლის საფუძველზე დაჰკისრებოდა მის მიერ განეული საადვოკატო მომსახურების ხარჯი, რომლის ქვითარიც წარდგენილი იყო საქმეში.

25. სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული დამატებითი განჩინებით არ დააკმაყოფილა მოსარჩელის შუამდგომლობა სააპელაციო ინსტანციის სასამართლო წარმოებისათვის განეული საადვოკატო მომსახურების ხარჯის – 300 ლარის მოპასუხისათვის (აპელანტისათვის) დაკისრების თაობაზე. სააპელაციო პალატის განმარტებით, პირველი ინსტანციის სასამართლოს უკვე დაკისრებული ჰქონდა მოპასუხისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ საადვოკატო ხარჯების ანაზღაურება, 160 ლარის ოდენობით, რაც დავის საგნის ღირებულების (4000 ლარი) 4%-ს შეადგენდა და სსსკ-ის 53.1 მუხლის შესაბამისად, აღარ არსებობდა მოპასუხისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ 160 ლარზე მეტი ოდენობით საადვოკატო ხარჯების დაკისრების საფუძველი.

26. კასატორი არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მიერ სსსკ-ის 53-ე მუხლის ზემოაღნიშნულ განმარტებას და მიიჩნევს, რომ მას დამატებით უნდა აუნაზღაურდეს სააპელაციო წარმოებისას განეული საადვოკატო მომსახურების ხარჯი.

27. საკასაციო პალატა იზიარებს კასატორის პრეტენზიას სააპელაციო სასამართლოს მიერ სსსკ-ის 53-ე მუხლის არასწორი განმარტების თაობაზე [სსსკ-ის 393-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილები: საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი. სამართლის ნორმები დარღვეულად ითვლება, თუ სასამართლომ: ა) არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა; ბ) გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა; გ) არასწორად განმარტა კანონი].

28. იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის განეულ ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, სასამართლო დააკისრებს მეორე მხარეს გონივრულ ფარგლებში, მაგრამ არაუმეტეს დავის საგნის ღირებულების 4 პროცენტისა, ხოლო არაქონებრივი დავის შემთხვევაში – განსახილველი საქმის მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, 2 000 ლარამდე ოდენობით [სსსკ-ის 53.1 მუხლის ბოლო წინადადება]. ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება აგრეთვე სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას [სსსკ-ის 53.2 მუხლი].

29. საქართველოს უზენაესი სასამართლოს მყარად დადგენილი პრაქტიკის თანახმად, საპროცესო კანონმდებლობა პროცესის ხარჯების საკითხის განხილვის თაობაზე რაიმე სპეციალური წარმოების სახეს არ იცნობს, გარდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა. ამასთან, სასამართლოს ყოველთვის შეუძლია გამოიტანოს გადაწყვეტილება პროცესის ხარჯების თაობაზე, თუკი ამას მხარეები მოითხოვენ და დადასტურებენ სათანადო მტკიცებულებებით. სასამართლოსთვის მინიჭებული ამგვარი ლეგიტიმური უფლება გამომდინარეობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249-ე მუხლის მე-5 ნაწილის დებულებიდან, რომლის მიხედვითაც, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი უნდა შეიცავდეს სასამართლოს მითითებას სასამართლო ხარჯების განაწილების თაობაზე. საპროცესო ხარჯების განაწილება მხარეთა შორის ხდება თითოეული ინსტანციის სასამართლოში ცალ-ცალკე და იმის მიხედვით, თუ როგორ შეცვლის ზემდგომი ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილებას, ამას მოჰყვება პროცესის ხარჯების განაწილების ცვლილება. ამდენად, საკა-

საცო პალატის შეფასებით, ვინაიდან არსებობს დავის გადაწყვეტასთან ერთად იმავე დავაზე განეული ხარჯების დაბრუნების სამართლებრივი მექანიზმი, ხოლო საპროცესო კანონი სპეციალურ რეგულაციას არ იცნობს, მხარეებმა პროცესის ხარჯების დაბრუნების (მეორე მხარისათვის მათ სასარგებლოდ დაკისრება) შესახებ უნდა მიუთითონ ძირითად სასარჩელო მოთხოვნასთან ერთად, წინააღმდეგ შემთხვევაში, ივარაუდება, რომ მათ პრეტენზია პროცესის ხარჯებთან დაკავშირებით არ გააჩნიათ. ამასთან, მხარეებს არ უნდა შეეზღუდოთ პროცესის ხარჯების მოთხოვნის უფლება საქმის მომზადების დასრულების შემდგომ, ან საქმის ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში განხილვის ეტაპზე, თუკი ხარჯების საკითხი სწორედ საქმის განხილვის ამ სტადიაზე წარმოიშვა და მანამდე მხარისთვის ამ ფაქტის შესახებ ობიექტურად ცნობილი ვერ იქნებოდა (იხ. სუსგ №ას-165-158-2013, 27 იანვარი, 2014 წელი).

30. განსახილველ საქმეში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილებით მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა საადვოკატო ხარჯი 160 ლარის ოდენობით. თუმცა, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ აღნიშნული არ გამოორცხავს სააპელაციო წარმოებისას განეული წარმომადგენლის მომსახურების ხარჯის მხარეთა შორის განანხილებას, ვინაიდან, როგორც ზემოთ ითქვა, საპროცესო ხარჯების განანხილება მხარეთა შორის ხდება თითოეული ინსტანციის სასამართლოში ცალ-ცალკე.

31. ამდენად, არსებობს სააპელაციო სასამართლოს დამატებითი განჩინების გაუქმების სსსკ-ის 393.3 მუხლით გათვალისწინებული საფუძველი, რამდენადაც საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და მოსარჩელეს არასწორად ეთქვა უარი სააპელაციო წარმოებისას განეული სასამართლოსგარეშე ხარჯების ანაზღაურებაზე.

32. საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები [სსსკ-ის 411-ე მუხლი]. ვინაიდან, მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს ამგვარი საფუძველები და არ არის საჭირო მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა, საკასაციო პალატა უფლებამოსილია თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება.

33. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოსარჩელის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 18 ივლისის დამატებითი განჩინება და მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება, მოსარჩელის მოთხოვნა წარმომადგენლის მომსახურებისათვის მის მიერ განეული ხარჯის მოპასუხისათვის დაკისრების თაობაზე უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

34. საკასაციო პალატის განმარტებით, სსსკ-ის 53.1 მუხლის დისპოზიცია იმგვარად არის ფორმულირებული, რომ არ ადგენს განეული ხარჯის სანაცვლო ანაზღაურების ერთმნიშვნელოვან ოდენობას, არამედ ამ ოდენობის გონივრულად განსაზღვრის უფლებას უტოვებს სასამართლოს. კანონმდებლის ამგვარი მიდგომა განპირობებულია იმ მოსაზრებით, რომ ადვოკატის მომსახურებაში გადახდილი ხარჯების სანაცვლო ანაზღაურებამ დაუსაბუთებლად არ უნდა შეზღუდოს პროცესის მონაწილე მხარის უფლება და არ უნდა შექმნას წარმომადგენლის დახმარებისათვის განეული ხარჯების ოდენობის ხელოვნურად გაზრდის პროცესუალური საფუძველი; ნორმის ამგვარი შინაარსის მიზანია პროცესის მონაწილე მეორე მხარის უფლებების დაუსაბუთებელი შეზღუდვის თავიდან აცილება. გონივრულობის კრიტერიუმად კი, კანონმდებელი მიიჩნევს დავის საგნის ღირებულების არაუმეტეს 4%-ს. ნიშნდობლივია, რომ დავის საგნის საღირებულების 4% წარმომადგენს ზედა ზღვარს (კანონით დადგენილ მაქსიმალურ ოდენობას), რომლის ფარგლებშიც ხდება ხარჯების ოდენობის სასამართლოსმიერი განსაზღვრა და ამ თვალსაზრისით, მხედველობაში მიიღება კონკრეტულად რა იურიდიული მნიშვნელობის მქონე ქმედებები იქნა განხორციელებული ადვოკატის მიერ, რა სახის ადამიანური რესურსი დაიხარჯა, საქმის წარმოების რომელ ეტაპზე პროცესის მონაწილე რომელმა მხარემ გასწია იგი და სხვა (იხ. სუსგ №ას-316-316-2018, 7 მაისი, 2018 წელი).

35. საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ მოწინააღმდეგე მხარის (მოსარჩელის) ინტერესებს სააპელაციო სასამართლოში იცავდა მისი წარმომადგენელი ფ. ბ. საქმეში წარმოდგენილია სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობა, რომლის თანახმად, მოსარჩელემ ფ. ბ-ს მიანიჭა მისი ინტერესების სასამართლოში დაცვის უფლება. სააპელაციო სასამართლოში 2017 წლის 30 მაისს წარდგენილია მოსარჩელისა და მისი წარმომადგენლის მიერ ხელმოწერილი სააპელაციო შესაგებელი. ფ. ბ. წარმომადგენდა მოსარჩელეს ასევე 2017 წლის 9 აგვისტოს გამართულ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე.

36. დადგენილია, რომ სააპელაციო სასამართლოში მოწინააღმდეგე მხარის (მოსარჩელის) მიერ წარდგენილი იქნა სს „თ. ბ-ის“

ქუთაისის ფილიალში, 2017 წლის 7 ივნისს, ფ. ბ-ს ანგარიშზე წარმომადგენლის მომსახურებისათვის განეული ხარჯის, 300 ლარის, შეტანის დამადასტურებელი სალაროს შემოსავლის ორდერი №1643106230 (იხ. წინამდებარე გადანყვეტილების მე-17 და მე-10 პუნქტები).

37. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოსარჩელის წარმომადგენლის მიერ განხორციელებული იურიდიული მნიშვნელობის მქონე ქმედებების, დავის საგნის ღირებულებისა და ასევე სსსკ-ის 53.1 მუხლით დადგენილი ზღვრული პროცენტული ოდენობის გათვალისწინებით, მოპასუხეს უნდა დაეკისროს მოსარჩელის მიერ სააპელაციო სასამართლოში საადვოკატო მომსახურებისათვის განეული ხარჯის ნაწილის, 160 ლარის გადახდა (დავის საგნის ღირებულების – 4000 ლარის 4%).

38. იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადანყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მაშინ ამ მუხლში აღნიშნული თანხა მოსარჩელეს მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რომელიც სასამართლოს გადანყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნის იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა [სსსკ-ის 53-ე მუხლის პირველი და მე-2 წინადადება]. ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება აგრეთვე სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას [სსსკ-ის 53.2 მუხლი].

39. ვინაიდან, მოსარჩელის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ საკასაციო სასამართლოში განეული ხარჯის, საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის, 150 ლარის ნახევრის, 75 ლარის გადახდა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ე ტ ი ა :

1. გ. თ-ძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალა-

ქო საქმეთა პალატის 2018 წლის 18 ივლისის დამატებითი განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. გ. თ-ძის მოთხოვნა წარმომადგენლის მომსახურებისათვის მის მიერ განეული ხარჯის თ. ქ-ისათვის დაკისრების თაობაზე დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

4. თ. ქ-ს (პ/ნ: ...) დაეკისროს გ. თ-ძის (პ/ნ: ...) მიერ სააპელაციო სასამართლოში საადვოკატო მომსახურებისათვის განეული ხარჯის ნაწილის, 160 ლარის გადახდა;

5. თ. ქ-ს (პ/ნ: ...) გ. თ-ძის (პ/ნ: ...) სასარგებლოდ დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ საკასაციო სასამართლოში განეული ხარჯის, საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის, 150 ლარის ნახევრის, 75 ლარის გადახდა;

6. საკასაციო პალატის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

3. სასამართლო შეტყობინება და დაბარება

სასამართლო უწყების გაგზავნა

განჩინება

საქართველოს სახელმწიფო

№ას-975-2019

5 ივნისი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ბ. ალავეიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ე. გასიტაშვილი,
ზ. ძლიერიშვილი

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

**1. მოსარჩელის მოთხოვნა და სარჩელის ფაქტობრივი საფუძ-
ვლები:**

1.1. შპს „ჯ. ლ-კამ“ (შემდგომში – მოსარჩელი, მოწინააღმდეგე მხარე, კრედიტორი ან ექსპედიტორი) სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს „გ. ს-ის“ (შემდგომში – მოპასუხე, საჩივრის ავტორი, აპელანტი, კასატორი, მოვალე ან დამკვეთი) მიმართ, 7 108 ევროს ეკვივალენტი ეროვნული ლარის მოპასუხისათვის დაკისრების მოთხოვნით.

1.2. სარჩელი ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: 2017 წლის 30 ნოემბერს მხარეებს შორის გაფორმდა ტვირთების ექსპედიციის შესახებ №30/11-17 ხელშეკრულება, რომლის პირველი პუნქტის თანახმად, ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა ექსპედიტორის მიერ დამკვეთის სახელითა და დავალებით დამკვეთის ხარჯზე ტვირთების ექსპედიცია, მასთან დაკავშირებული სამუშაოების შესრულება და მომსახურების განწევა. ექსპედიტორმა მოპასუხის დავალებით გადაზიდა ტვირთი გერმანიიდან საქართველოში, რომელიც ჩაიბარა დამკვეთმა. საერთაშორისო ავტოსატრანსპორტო ზედდებული ხელმოწერილი და დამონმებულია მხარეების მიერ, რომლის ბოლო გვერდზე ფიქსირდება გამგზავნისა და მიმღების ხელმოწერები და ბეჭედი. ხელშეკრულების თანახმად, მოსარჩელემ მოპასუხეს წარუდგინა შესრულებული სამუშაოს ღირებულების დამადასტურებელი დოკუმენტები და მოითხოვა შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება, მაგრამ მოპასუხე უარს აცხადებს თანხის გადახდაზე იმ მოტივით, რომ ტვირ-

თი დაზიანდა. დაზიანების რეალურად არსებობის შემთხვევაში, ის გადამზიდავის ბრალით არ მომხდარა, ამასთან, ტვირთი იყო დაზღვეული, მაგრამ მიმღებმა უარი განუცხადა სადაზღვევო კომპანიას ზარალის შეფასებაზე, რადგან სავარაუდოდ ტვირთი იყო უმნიშვნელოდ დაზიანებული.

2. მოპასუხის პოზიცია:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 184-ე მუხლის თანახმად, მოსარჩელის წარმომადგენელს გადაეცა სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლები მოპასუხისათვის ჩასაბარებლად. 2018 წლის 7 მარტს ექსპედიტორმა მიმართა სასამართლოს და წარადგინა სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების სარჩელში მითითებულ მისამართზე – ქ. თბილისში, ... გაგზავნის დამადასტურებელი საფოსტო გზავნილი, საიდანაც ირკვევა, რომ 2018 წლის 27 თებერვალს აღნიშნულ მისამართზე გზავნილი ჩაიბარა მ. შ-ამ (პ/ნ ...), კომპანიის დირექტორის რძალმა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლში მითითებული მოთხოვნის შესაბამისად, მოპასუხეს სასამართლოს მიერ დაევალა გზავნილში მითითებულ ვადაში პასუხის (შესაგებლის) წარმოდგენა, ამავე დროს მოპასუხის არასაპატიო მიზეზით წარუდგენლობის შემთხვევაში ზეპირი მოსმენის გარეშე დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობის შესახებ. 2018 წლის 9 მარტის ჩათვლით, სასამართლოს მიერ დადგენილ 10-დღიან ვადაში მოპასუხეს შესაგებელი არ წარუდგენია და არც მისი წარმოდგენლობის საპატიო მიზეზების შესახებ უცნობებია სასამართლოსთვის. მან შესაგებლით სასამართლოს ამ ვადის დარღვევით მიმართა, რის გამოც, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 24 სექტემბრის განჩინებით, იგი დარჩა განუხილველად.

3. პირველი ინსტანციის სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების/განჩინების სარეზოლუციო ნაწილი:

3.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 24 სექტემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, მოვალეს კრედიტორის სასარგებლოდ დაეკისრა 7 108 ევროს ეკვივალენტი ლარის ანაზღაურება;

3.2. ამავე სასამართლოს 2018 წლის 30 ოქტომბრის განჩინებით კი, მოპასუხის საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო დაუსწრებელი გადაწყვეტილება დარჩა ძალაში.

4. აპელანტის მოთხოვნა:

საქალაქო სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება/განჩინება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ და მოითხოვა

მათი გაუქმება.

5. გასაჩივრებული განჩინების სარეზოლუციო ნაწილი:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 8 მაისის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება/განჩინება დარჩა უცვლელად.

6. კასატორის მოთხოვნა:

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა აპელანტმა, მოითხოვა მისი, ასევე, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილი დაუსწრებელი გადაწყვეტილებისა და ამ გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ განჩინების გაუქმება და საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ იგი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

1. გასაჩივრებული განჩინების გაუქმების დასაბუთება:

1.1. საკასაციო განაცხადის მოცულობა და საკასაციო განხილვის ფარგლები:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო ამონმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია თავისი ინიციატივით შეამომოს საპროცესო დარღვევები, გარდა 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტებისა.

1.1.1. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო პალატის შეფასების საგანს მოპასუხის მიერ სარჩელის წინააღმდეგ სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში შესაგებლის ნარუდგენლობის მოტივით გამოტანილი დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების კანონიერება წარმოადგენს. საკასაციო საჩივრის თანახმად, მხარე პრეტენზიას ძირითადად მისთვის სასამართლო შეტყობინების კანონით დადგენილი წესის დაუცველად ჩაბარებაზე ამყარებს (სსსკ-ის 70-ე-78-ე მუხლები). კასატორის განმარტებით, ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა შეტყობინების ჩაბარებულად მიჩნევას საფუძვლად დაუდეს ის ფაქტი, რომ იურიდიული პირისათვის ქ. თბილისში, ... გაგზავნილი შეტყობინება ადრესატის – დირექტორის რძალს ჩაჰბარდა, რაც სასამართლოს შეფასებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის შესაბამის მოქმე-

დებას წარმოადგენს. ამ მხრივ არ იქნა გათვალისწინებული ის გარემოება, რომ მოსარჩელისათვის ცნობილი იყო მოპასუხე კომპანიის დირექტორის ტელეფონის ნომერი, რომელიც 2017 წლის 30 ნოემბრის ხელშეკრულებაშიცაა მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართთან ერთად, საქმეში წარმოდგენილ არაერთ ინვოისზეა მითითებული კომპანიის ტელეფონის ნომერიც. აღნიშნული მონაცემები მოსარჩელეს არ მიუთითებია და არც საკომუნიკაციო საშუალებებით არ უსარგებლია. სასამართლომ არაერთი კორესპონდენცია გააგზავნა იურიდიული პირის მისამართზე – ქ. თბილისში, ... №85-ში, თუმცა, არცერთი შეტყობინება მხარეს არ ჩაჰბარებია, სასამართლოში დაბრუნებული უკუგზავნილების თანახმად, კომპანია არ იმყოფებოდა ამ მისამართზე. 2018 წლის 20 თებერვალს სასამართლომ კორესპონდენცია ჩააბარა კომპანიის ფაქტობრივ მისამართზე – გურჯაანში, სოფელ ..., რაც იმაზე მეტყველებს, რომ 2018 წლის 23 თებერვალს, მანამ ვიდრე მოპასუხე წარადგენდა საეჭვო ხასიათის კორესპონდენციის ჩაბარების დასტურს, სასამართლომ იცოდა, რომ კომპანია ... ქუჩაზე არ ფუნქციონირებდა, თუმცა, მაინც ჩათვალა, რომ ... ქუჩაზე მ. შ-ას მიერ გზავნილის ჩაბარება ნიშნავდა კომპანიის ინფორმირებას. სააპელიაციო პალატა ადგენს, რომ შეტყობინება ჩაჰბარდა კომპანიის დირექტორის რძალს, თუმცა, აუხსნელი რჩება, რა მტკიცებულებაზე დაყრდნობით დაადგინა სასამართლომ ის ფაქტი, რომ ვინმე შ-ია წარმოადგენს კომპანიის დირექტორის რძალს. საგულისხმოა სასამართლოს მსჯელობა სამეწარმეო რეესტრში ცვლილებების განხორციელებასთან დაკავშირებით: დაუსწრებელი გადანაცვტილება გამოტანილია 2018 წლის 24 სექტემბერს, ხოლო, ცვლილება რეგისტრირებულია 2018 წლის 27 მარტს.

1.2. საკასაციო სასამართლოს შეფასებები და სამართლებრივი დასკვნები:

1.2.1. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის თანახმად, საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადანაცვტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი. სამართლის მიზნებისათვის კანონდარღვევად განიხილება სასამართლოს მიერ მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმის არასწორი მოძიება ან მისი არასწორი გამოყენება ან/და განმარტება. საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება, გახდეს გადანაცვტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადანაცვტილება იქნა გამოტანილი. თავის მხრივ, განსახილველი ნორმიდან გამომდინარეობს ის დასკვნაც, რომ საკასაციო საჩივრის წარმატებას თავად კასატორის მიერ ზემოხსენებულ საფუძვლებზე მითითება და ამ გზით საკასაციო შედავება-

თა დასაბუთება განაპირობებს.

1.2.2. საკასაციო პრეტენზიათა საფუძვლიანობის შემოწმების მიზნით პალატა ყურადღებას გაამახვილებს საკითხის შეფასების-სათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

– მოსარჩელის მიერ სარჩელში მოპასუხის მისამართად მითითებულია ქ. თბილისი, ..., ანალოგიურია მოპასუხე კომპანიის იურიდიული მოსამართი 2017 წლის 27 ივნისის მდგომარეობით მომზადებულ, სარჩელზე დართულ სამენარმეო რეესტრის ამონაწერში;

– სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 184-ე და 201-ე მუხლების შესაბამისად, მოპასუხისათვის ჩაბარების მიზნით, სარჩელი და თანდართული მასალები ჩაჰბარდა მოსარჩელეს. საქმეში წარმოდგენილი სასამართლო გზავნილით ირკვევა, რომ შესაგებლის წარდგენისათვის მოპასუხეს განესაზღვრა 10 დღის ვადა და განემართა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXVI თავით გათვალისწინებული შესაგებლის წარუდგენლობის შედეგები;

– უდავოა, რომ საქმის მომზადების ეტაპზე თბილისის საქალაქო სასამართლომ იმსჯელა სარჩელის უზრუნველყოფის საკითხზეც, მიღებული განჩინება მოპასუხე მხარეს ორჯერ გაეგზავნა სარჩელში მითითებულ მისამართზე, თუმცა, არ ჩაჰბარდა მითითებით – „ადრესატი არ იმყოფება მისამართზე“, ამასთანავე, საქმეში წარმოდგენილია საქალაქო სასამართლოს გზავნილი, რომლითაც 2/2754-18 განჩინება მოპასუხეს გაეგზავნა და ჩაბარდა გურჯაანში, სოფელ ... საფოსტო უკუგზავნილზე მითითებულია, რომ კორესპონდენცია ჩაიბარა ორგანიზაციის წარმომადგენელმა, სპეციალისტმა ა. გ-მა;

– საქმეში წარმოდგენილია 2018 წლის 20 თებერვლით დათარიღებული მინდობილობები, რომლითაც მოპასუხის წარმომადგენელმა კომპანიის საპროცესო უფლებების დაცვა მიანდო გ. ნ-სა და შ. ი-ძეს. აღნიშნული მინდობილობები საქალაქო სასამართლოს კანცელარიაში რეგისტრირებულია 2018 წლის 1 მარტს, სადაც მითითებულია მხარის წარმომადგენლის საკონტაქტო მისამართი და ტელეფონის ნომერი;

– 2018 წლის 7 მარტს საქალაქო სასამართლოს განცხადებით მიმართა მოსარჩელის წარმომადგენელმა. განცხადებას დაურთო საფოსტო შეტყობინება და აღნიშნა, რომ სარჩელი და თანდართული მასალები ჩაჰბარდა მოპასუხე კომპანიის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის – გ. ხ-ის რძალს. საფოსტო პასუხის შესწავლით კი, ირკვევა, რომ შპს „გ. ს-ისათვის“ გაგზავნილი კორესპონდენცია მისამართზე: ქ. თბილისში, ... ჩაჰბარდა მ. შ-ას 2018 წლის 27 თებერვალს. საფოსტო ბლანკზე გრაფაში – „ადრესატთან კავშირი“ მითითებულია სიტყვა რძალი;

– საქმეში წარმოდგენილი შესაგებლითა და მასზე დართული მტკიცებულებებით ირკვევა, რომ მოპასუხემ შესაგებელი ფოსტას ჩააბარა 2018 წლის 23 მარტს და იმავე დღესაა დოკუმენტები რეგისტრირებული სასამართლოში. შესაგებელში მოპასუხის ძირითად მისამართად მითითებულია გურჯაანი, ...;

– თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 24 სექტემბრის განჩინებით, საპროცესო ვადის დარღვევის მოტივით, შესაგებელი დატოვებულ იქნა განუხილველად. განჩინების თანახმად, კომპანიის დირექტორის რძალს შეტყობინება ჩაჰპარდა 2018 წლის 27 თებერვალს და სასამართლოს მიერ პასუხის წარდგენისათვის განსაზღვრული 10-დღიანი ვადა ამოიწურა 9 მარტს. არსებითად ამავე გარემოებას ემყარება საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 24 სექტემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება. რაც შეეხება ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგ წარდგენილ საჩივარს, მისი განხილვის დროს მოპასუხემ უარყო ის ფაქტი, რომ გ.ზ., კომპანიის უფლებამოსილი წარმომადგენელი ცხოვრობს ქ. თბილისში, ..., არამედ, რეგისტრირებულია გურჯაანის სოფელ ..., ამასთანავე, მხარე უარყოფს რაიმე კავშირს მ. შ-ასთან და განმარტავს, რომ მას რძალი არ ჰყავს. მართალია, საქმეში წარმოდგენილი განახლებული ამონაწერით კომპანიის რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილებაა შეტანილი და იურიდიულ მისამართად მითითებულია გურჯაანის სოფელი ..., თუმცა, ამონაწერი მომზადებულია 2018 წლის 27 მარტს;

– დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ 2018 წლის 30 ოქტომბრის განჩინებით, მიუხედავად ზემოხსენებული განმარტებებისა, საქალაქო სასამართლომ ჩათვალა, რომ სარჩელი და თანდართული მასალები ჩაჰპარდა უფლებამოსილ პირს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის შესაბამისად;

– გასაჩივრებული განჩინებით თბილისის სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნები და ჩათვალა, რომ მ. შ-ა წარმოადგენდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ უფლებამოსილ სუბიექტს, კომპანიის სახელით ჩაებარებინა სასამართლო შეტყობინება. გარდა ამისა, ქვემდგომმა სასამართლოებმა დაასკვნეს, რომ სარჩელში მითითებული ფაქტები იურიდიულად ამართლებდნენ მოთხოვნას.

1.2.3. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ პირველი ინსტანციის წესით საქმის განხილვისას დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის საკითხს არეგულირებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXVI თავი, კერძოდ კი, მოპასუხის მიერ შესაგებლის შეუტანლობის მოტივით დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისათვის სახეზე უნდა იყოს (სსსკ-ის 232¹-ე მუხლი) შემდეგი წინაპირო-

ბები:

ა) მოპასუხე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით უნდა იყოს ინფორმირებული საქმის განხილვის თაობაზე, კერძოდ, მას დადგენილი წესით უნდა ჰქონდეს ჩაბარებული სარჩელი და თანდართული მასალები და ამომწურავად უნდა ჰქონდეს განმარტებული 201-ე მუხლის მე-7 ნაწილის ფარგლებში დანიშნული საპროცესო ვადის არასაპატიოდ დარღვევის ნეგატიური შედეგების თაობაზე;

ბ) მოპასუხემ ბრალეულად უნდა დაარღვიოს შესაგებლის შეტანისათვის განსაზღვრული ვადა.

ამ ფაქტობრივი წინაპირობების არსებობა განაპირობებს სარჩელში მითითებული გარემოებების დადგენილად მიჩნევის აუცილებლობას იმგვარად, რომ სასამართლო არათუ ვალდებული, უფლებამოსილიც არაა შეამოწმოს და შეფასება მისცეს საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებს. ზემოაღნიშნული საფუძვლების კუმულაციურად არსებობა კი, ქმნის დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის ფორმალურ წინაპირობას, თუმცა, იმისათვის, რათა სასამართლომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის გზით დააკმაყოფილოს სარჩელი, მოსამართლე ვალდებულია, გამოთარგმნოს კანონის ძალით დადგენილად მიჩნეული ფაქტობრივი გარემოებები (სარჩელში მითითებული ფაქტები) ამართლებენ თუ არა იურიდიული თვალსაზრისით მოთხოვნას. მოთხოვნის იურიდიული მართებულობის კვლევა, თავის მხრივ, მოიაზრებს მოთხოვნის დამფუძნებელი მატერიალურსამართლებრივი ნორმის სწორად განსაზღვრასა და იმის უტყუარად დადგენას, სარჩელში მითითებული და კანონის ძალით დადგენილად მიჩნეული გარემოებების სამართლებრივი თვალსაზრისით შეფასება იძლევა თუ არა დამფუძნებელი ნორმის შემადგენლობას. მითითებულ წინაპირობათაგან თუნდაც ერთ-ერთის არარსებობა იწვევს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე უარის თქმასა და მხარეთა დაბარებას სასამართლო სხდომაზე. ასეთ შემთხვევაში, განსხვავებულია მოპასუხის უფლებრივი მდგომარეობა, კერძოდ, მოპასუხისაგან მტკიცებულებები არ მიიღება, სამართლებრივი ბალანსი იმგვარია, რომ მოპასუხეს მხოლოდ სამართლებრივი შესაგებლის წარდგენის უფლება აქვს, ანუ თავდაცვის საპროცესო საშუალება მხოლოდ მოთხოვნასთან მიმართებით მისი სამართლებრივი მოსაზრებით შემოიფარგლება.

1.2.4. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 184-ე მუხლით დადგენილი რეგულაციიდან გამომდინარე, მოსარჩელეს ეკისრება მოპასუხის ინფორმირების მტკიცების ტვირთი. ამ მხრივ, მართალია, პირველი ინსტანციის სასამართლოში გაგზავნილ იქნა დოკუმენტი

– საფოსტო უკუგზავნილი, რაც ფორმალურად წარმოშობდა შესაგებლის წარდგენის ვადის დენის დაწყებას, თუმცა, მოპასუხის შედავეების გათვალისწინებით, ამ მტკიცებულების სარწმუნოობა საჩივრის განხილვის ეტაპზე უნდა შეფასებულიყო (აღნიშნულზე ქვემოთ იმსჯელებს სასამართლო).

1.2.5. რაც შეეხება მიღებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებას, როგორც ზემოთ ითქვა, მხარე პრეტენზიას აცხადებს, რომ მას სარჩელი და თანდართული მასალები სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით არ ჩაბარებია, ხოლო შეტყობინებაზე ხელმოწერი პირი არ წარმოადგენს კომპანიის დირექტორის რძალს. ამ წინაპირობების შემომწმების მიზნით სასამართლო განმარტავს, რომ მიღებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლები ასევე ამომწურავადაა რეგლამენტირებული კანონში და შესაგებლის შეუტანლობის მოტივით დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლად მიჩნეულია შემდეგი:

ა) სასამართლოსათვის ცნობილი გახდა, რომ ადგილი ჰქონდა დაუძლეველ ძალას ან სხვა მოვლენებს, რომელსაც (რომლებსაც) შეეძლო ხელი შეეშალა სასამართლოში მხარის დროულად გამოცხადებისათვის;

ბ) გამოუცხადებელ მხარეს დროულად არ ეცნობა საქმის ფაქტობრივი გარემოებები;

გ) არსებობს სხვა საპატიო მიზეზი, რომლის შესახებაც მას არ შეეძლო თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის (სსსკ 241-ე მუხლი).

1.2.6. საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის არგუმენტს ქვემდგომი სასამართლოს მხრიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების არასწორად განმარტების თაობაზე და უპირველესად ყურადღებას გაამახვილებს კონვენციური სამართლით დადგენილ მართლწესრიგზე, რამდენადაც სასამართლო შეტყობინების მხარისათვის ჩაბარება და პირის სხდომაზე მონაწილე ემსახურება სამართლიან და თანასწორ პირობებში პროცესის მონაწილეთა ჩაყენებას და მართლმსაჯულების ეფექტიანი განხორციელების მიზანს. პრეცედენტული სამართლის თანახმად, მხარეთა თანასწორობის პრინციპი, რომელიც სამართლიანი სასამართლოს ფართო კონცეფციის ერთ-ერთი ელემენტია, მოითხოვს თითოეულ მხარეს ჰქონდეს გონივრული შესაძლებლობა წარმოადგინოს საკუთარი საქმე ისეთ პირობებში, რომელიც არ ჩააყენებს მას მნიშვნელოვნად არახელსაყრელ მდგომარეობაში მის მოწინააღმდეგე მხარესთან მიმართებით (იხ. „ნიდეროსტ-ჰუბერი შვეიცარიის წინააღმდეგ“, (Niderost-Huber v. Switzerland), 18/02/1997, §23,

გადანყვეტილებათა და განჩინებათა კრებული 1997-I; „კრესი საფრანგეთის წინააღმდეგ“ (Kress v. France) [დიდი პალატა], №39594/98, §72, ECHR 2001-VI; „ეივონი საფრანგეთის წინააღმდეგ“ (Yvon v. France), №. 44962/98, §31, ECHR 2003-V; და „გორაიზი და სხვები ესპანეთის წინააღმდეგ“ (Gorraiz Lizarraga and Others v. Spain), №. 62543/00, §56, ECHR 2004-III). ეროვნული ორგანოები ვალდებული არიან უზრუნველყონ „სამართლიანი განხილვის“ მოთხოვნები თითოეულ საქმეზე (იხ. *Dombo Beheer B.V. ნიდერლანდების წინააღმდეგ* (*Dombo Beheer B.V. v. the Netherlands*), 27/10/1993, §33, Series A №. 274). კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფი არ ითვალისწინებს დოკუმენტების გაგზავნის კონკრეტულ ფორმას (იხილეთ „ბოგონოსი რუსეთის წინააღმდეგ“ (განჩინება) (*Bogonos v. Russia (dec.)*), № 68798/01, 05/02/2004, და „ორამსი კვიპროსის წინააღმდეგ“ (განჩინება) (*Orams v. Cyprus (dec.)*, № 27841/07, 10/06/2010), თუმცა, სამართლიანი სასამართლოს ზოგადი კონცეფცია მოიცავს შეჯიბრებითი სამართალწარმოების ფუნდამენტურ პრინციპს (იხ. რუიზ-მატეოსი ესპანეთის წინააღმდეგ (*Ruiz-Mateos v. Spain*), 23/06/1993, §63, Series A №262). ამასთან, სამართლიანი პროცესი მოითხოვს, რომ სამოქალაქო სამართალწარმოების ყველა მხარე ინფორმირებული იყოს და შესაძლებლობა ჰქონდეს, გამოთქვას მოსაზრება წარდგენილ დასკვნებსა და მტკიცებულებებზე, რათა გავლენა მოახდინოს სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (იხ. „ლობო მაჩადო პორტუგალიის წინააღმდეგ“ (*Lobo Machado v. Portugal*), 20/02/1996, §31, ანგარიშები 1996-I). უპირველეს ყოვლისა, აღნიშნული საკითხი გულისხმობს იმას, რომ პირი ინფორმირებული უნდა იყოს მის წინააღმდეგ მიმდინარე სამართალწარმოების შესახებ (იხ. „დილიპაკი და კარაკაია თურქეთის წინააღმდეგ“ (*Dilipak and Karakaya v. Turkey*), № 7942/05 და 24838/05, §77, 04/03/2014). თუ სასამართლო დოკუმენტები – მათ შორის სასამართლო სხდომის უწყებები არ ჩაბარდა მხარეს პირადად, მაშინ განმცხადებელს შეიძლება, ხელი შეეშალოს საკუთარი თავის დაცვის განხორციელებაში სამართალწარმოების პროცესში (იხ. „ოზგურ-კარადუმანი გერმანიის წინააღმდეგ“ (განჩინება) (*Ozgur-Karaduman v. Germany (dec.)*, no. 4769/02, 26/06/2007; „ვებერი გერმანიის წინააღმდეგ“ (განჩინება), (*Weber v. Germany (dec.)*, no. 30203/03, 02/10/2007 და „ზადოვნიკი სლოვენიის წინააღმდეგ“, (*Zavodnik v. Slovenia*), no. 53723/13, § 70, 21/05/2015). კონვენციის მე-6 მუხლი მოითხოვს და საშუალებას აძლევს სახელმწიფოებს, მოაწყონ მათი სამართლებრივი სისტემები იმგვარად, რომ ხელი შეეწყოს სწრაფ და ეფექტურ სამართალწარმოებებს, მათ შორის, დაუსწრებელი გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობის კუთხით (იხ. „აჟდაჯიჩი სლოვენიის წინააღმდეგ“ (*Aždajić*

v. Slovenia), no. 71872/12, §49, 08/10/2015, და „განკინი და სხვები რუსეთის წინააღმდეგ“ (Gankin and Others v. Russia), nos. 2430/06, 1454/08, 11670/10 და 12938/12, § 26, 31/05/2016), თუმცა, აღნიშნული არ შეიძლება განხორციელდეს სხვა პროცედურული გარანტიების, განსაკუთრებით მხარეთა თანასწორობის პრინციპის ხარჯზე. საქმეში – „დილიპაკი და კარაკაია“ (Dilipak and Karakaya) ევროსასამართლომ გადაწყვიტა სისხლის სამართლის საკითხებისადმი მისი მიდგომის სულისკვეთება გადმოეტანა და დაუსწრებელი სისხლის სამართალწარმოების პროცესში განვითარებული პრინციპები მიესადაგებინა სამოქალაქო სამართალწარმოების მიმართაც. შესაბამისად, აღნიშნულ საქმეში, სასამართლო დაეყრდნო მის პრეცედენტულ სამართალს, რომლის მიხედვითაც სამართლიანობის უარყოფა დგინდება, როცა პროცესზე დაუსწრებლად მსჯავრდებულ პირს არ აქვს საშუალება, მიიღოს ბრალდების არსის ცხადი განმარტება იმ გარემოებებში, როცა არ არის დადგენილი მის მიერ სასამართლოში გამოცხადების უფლებასა და საკუთარი თავის დაცვის უფლებაზე უარის თქმა (იხილეთ „კოლოზა იტალიის წინააღმდეგ“ (Colozza v. Italy), 12/02/1985, §29, Series A no. 89; „ეინორნი საფრანგეთის წინააღმდეგ“ (Einhorn v. France) (dec.), no. 71555/01, §33, ECHR 2001-XI; „კრომბახი საფრანგეთის წინააღმდეგ“ (Krombach v. France) no. 29731/96, §85, ECHR 2001-II; და „სეჯდოვიჩი იტალიის წინააღმდეგ“ (Sejdovic v. Italy) [დიდი პალატა], no. 56581/00, §82, ECHR 2006-II) ან როცა იგი მიზნად არ ისახავს მართლმსაჯულებისგან თავის დაღწევას (იხილეთ „მედენიკა შვეიცარიის წინააღმდეგ“ (Medenica v. Switzerland), no. 20491/92, §55, ECHR 2001-VI). ამასთან, კონვენციის მე-6 მუხლის არც ფორმალური და არც შინაარსობრივი მხარე ხელს არ უშლის პირს საკუთარი თავისუფალი ნებით გამოხატულად ან ნაგულისხმევად უარი თქვას სამართლიანი სასამართლოს გარანტიებზე (იხილეთ „ჰერმი იტალიის წინააღმდეგ“ (Hermi v. Italy) [დიდი პალატა], no. 18114/02, §73, ECHR 2006-XII), თუმცა, ასეთი უარი დადგენილი უნდა იყოს ცალსახად და უზრუნველყოფილი უნდა იყოს მისი მნიშვნელობის შესაბამისი მინიმალური გარანტიებით (იხ. „პოიტრიმოლი საფრანგეთის წინააღმდეგ“ (Poitrimol v. France) 23/11/1993, §31, Series A no. 277-A) და არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს რაიმე მნიშვნელოვან საჯარო ინტერესს (იხ. „სეჯდოვიჩი“ (Sejdovic) §86, და „დილიპაკი და კარაკაია“ (Dilipak and Karakaya), §79, აგრეთვე, „ნაცვლიშვილი და ტოგონიძე საქართველოს წინააღმდეგ“ (Natsvlishvili and Togonidze v. Georgia), no. 9043/05, §91, ECHR 2014 (ამონარიდები)).

1.2.7. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მოდავე სუბიექტს, მო-

პასუხს წარმოადგენს კომპანია, შესაბამისად, კომპანიის იურიდიულ მისამართზე უწყების გაგზავნის შემთხვევაში (თუკი იგი არ ეგზავნება მის წარმომადგენელ ფიზიკურ პირს) ჩაბარების საპროცესო წესები სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე და 73.8 მუხლების კონტექსტში უნდა შეფასდეს, კერძოდ, ორგანიზაციისათვის შეტყობინება შეიძლება გაიგზავნოს, როგორც უშუალოდ მის მისამართზე, ისე – წარმომადგენლის მისამართზე. ორგანიზაციისათვის გაგზავნილი შეტყობინება კი, ჩაბარებულად ითვლება, თუ იგი ჩაბარდა კანცელარიას ან ასეთივე დანიშნულების სტრუქტურულ ერთეულს ანდა პირს, ხოლო ასეთის არყოფნის შემთხვევაში – ორგანიზაციის შესაბამის უფლებამოსილ პირს, რომელიც უწყებას ადრესატს გადასცემს. მოქალაქეს ან ორგანიზაციას სასამართლო უწყება შესაძლოა ასევე გადაეცეს მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული ჩაბარების განსხვავებული წესით. ამ ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში უწყების ჩაბარება დასტურდება მის მეორე ეგზემპლარზე უწყების მიმღების ხელმოწერით.

1.2.8. განსახილველ შემთხვევაში, კომპანიის იურიდიულ მისამართზე გაგზავნილი დოკუმენტების ჩაბარება ფიზიკური პირისათვის, რომელიც შეტყობინებაზე აღნიშნავს, რომ იგი ჩაბარდა „რძალს“, არ შეიძლება მხარის ინფორმირებულად მიჩნევის საფუძველი გახდეს, უფრო მეტიც, როდესაც ეს შეტყობინება შედავებულია ადრესატის მიერ და უფლებამოსილი პირი აცხადებს, რომ მას არ ჰყავს რძალი, სასამართლომ არ შეიძლება ჩათვალოს საპროცესო წესების დაცვით ჩაბარებულ შეტყობინებად თუ საქმის გარემოებებით არ დგინდება ის ფაქტი, რომ მიმღები პირი კანონით გათვალისწინებულ უფლებამოსილ სუბიექტს წარმოადგენს. ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ მტკიცების ნეგატიური კონტექსტიდან გამომდინარე, მოპასუხეს არ შეიძლება დაეკისროს რძლის არყოლის მტკიცების ტვირთი და ამ პირობებში განხორციელებული შეტყობინება არ უნდა იქნეს მიჩნეული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამის ქმედებად. საკასაციო პალატა ამ განჩინების სამოტივაციო ნაწილის 1.2.2. პუნქტში გადმოცემული ქრონოლოგიის გათვალისწინებით დამატებით მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის პირველი ნაწილის დისპოზიციაზე, რომლის თანახმადაც, სასამართლო უწყება ადრესატს ბარდება მხარის მიერ მითითებული ძირითადი მისამართის (ფაქტობრივი ადგილსამყოფელის), ალტერნატიული მისამართის, სამუშაო ადგილის, სასამართლოსთვის ცნობილი სხვა მისამართის ან მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული ჩაბარების განსხვავებული წესის მიხედვით. კანონით განსაზღვრული თანმიმდევრობა ემსახურება მხარის რეალური ინ-

ფორმირების მიზანს და ნორმის ლოგიკური განმარტებიდან გამომდინარეობს, რომ სასამართლომ გონივრული ზომები უნდა მიიღოს იმისათვის, რათა პროცესის სუბიექტებს მიეცეთ სხდომაზე გამოცხადებისა და საპროცესო თავდაცვის საშუალება.

1.2.9. საქმეზე – „გახარია საქართველოს წინააღმდეგ“, რომელიც დაუსწრებელი გადაწყვეტილების კანონიერებას შეეხებოდა, ევროსასამართლომ განმარტა, რომ კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევასთან დაკავშირებით პირველ რიგში უნდა დადგენილიყო სახელმწიფომ გამოიჩინა თუ არა საკმარისი გულისხმიერება ყველა შესაბამისი ნაბიჯის გადასადგმელად, რათა ეცნობებინა მომჩივნისთვის სამართალწარმოების დაწყების შესახებ ... და ამ კუთხით, უარი თქვა თუ არა განმცხადებელმა მის უფლებაზე – წარდგენილიყო პროცესზე და დაეცვა საკუთარი თავი; და მეორე რიგში, ეროვნული კანონმდებლობა უზრუნველყოფდა თუ არა განმცხადებელს სათანადო საშუალებებით შეჯიბრებითი სამართალწარმოების განსახორციელებლად, მას შემდეგ, რაც მისთვის ცნობილი გახდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების შესახებ. პირველ კითხვასთან დაკავშირებით სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ საქმის მასალების მიხედვით, სრულად სამი მცდელობა განხორციელდა, რათა განმცხადებელს უწყება ჩაბარებოდა იმ მისამართზე, რომელიც მომჩივანმა მხარემ მიუთითა ორი სამართალწარმოების განმავლობაში. სამივე შემთხვევაში, მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა. სასამართლო კურიერმა აღნიშნა, რომ უწყების ჩაბარება შეუძლებელი იყო, რადგან სახლი დაკეტილი იყო და არავინ ცხოვრობდა იქ. ასეთ ვითარებაში განხორციელებული საჯარო შეტყობინება ევროსასამართლომ არაგონივრულ ზომად ჩათვალა მით უფრო იმ პირობებში, როდესაც მოპასუხე სადავოდ ხდიდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების კანონიერებას. ევროსასამართლომ აღნიშნა, რომ მთავრობა ვერ ხსნიდა თუ რატომ არ გაუგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლომ სამართალწარმოების პირველ ეტაპზე სასამართლო უწყება ორჯერ განმცხადებელს, სანამ საჯარო შეტყობინებას განახორციელებდა, რითაც დაირღვა სსსკ-ის 73-ე მუხლის 1-ლი პარაგრაფი. ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოსარჩელის მიერ წარდგენილი საფოსტო დოკუმენტი არ შეიძლებოდა მიჩნეული ყოფილიყო მოპასუხის ინფორმირების საკმარის საფუძვლად, მით უფრო იმ ვითარებაში, როდესაც დაუსწრებელი გადაწყვეტილების წინააღმდეგ წარდგენილი საჩივრით მოპასუხე სადავოდ ხდიდა ჩაბარების ფაქტს და შეტყობინებაზე ხელმოწერი პირთან რაიმე კავშირს, შესაბამისად, არ არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის, მით უფრო მისი ძალაში დატოვების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე

მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძველი.

1.3. გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და საქმის იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების პროცესუალური დასაბუთება:

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, აუქმებს გასაჩივრებულ განჩინებას და ვინაიდან საქორაო მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევა, ამავე კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, საქმეს ხელახლა განსახილველად უბრუნებს იმავე სასამართლოს, რომელმაც წინამდებარე განჩინების კვლევით ნაწილში ასახული სამართლებრივი დასაბუთების გათვალისწინებით უნდა იმსჯელოს და დაადგინოს არსებობს თუ არა პირველი ინსტანციის სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების/მისი ძალაში დატოვების შესახებ განჩინების უცვლელად დატოვების ფაქტობრივ-სამართლებრივი წინაპირობები.

2. სასამართლო ხარჯები:

ვინაიდან წინამდებარე განჩინებით საქმის წარმოება არ დასრულებულა, პალატა მიიჩნევს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად (თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო დაბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განეულება ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით) პროცესის ხარჯების საკითხი უნდა გადაწყდეს შემჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანისას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 412-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. შპს „გ. ს-ის“ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 8 მაისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილებით, გ. ბ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 11 ოქტომბრის განჩინება ზიანის ანაზღაურების დაკისრების ნაწილში და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება. ლ. რ-ას სარჩელი გ. ბ-ისათვის ზიანის 26 561 ლარის გადახდის დაკისრების ნაწილში არ დაკმაყოფილდა. დანარჩენ ნაწილში გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 11 ოქტომბრის განჩინებით, გ. ბ-ის განცხადება/შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების შესახებ, დაკმაყოფილდა. გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 27 იანვრის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება და ყადაღა მოეხსნა თბილისში, ... №5-ის მიმდებარედ მდებარე, 1311 (ათას სამას თერთმეტი) მ² ფართის მქონე, მოპასუხე გ. ბ-ის საკუთრებაში არსებულ №22/049 მიწის ნაკვეთს (ს/კ ...).

2020 წლის 13 ივლისს საქართველოს უზენაეს სასამართლოს განცხადებით მომართა მოპასუხე გ. ბ-ის შვილმა, მ. ბ-მა (შემდგომში „განმცხადებელი“) და მიუთითა, რომ მოცემულ საქმეზე საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში, თუმცა უზენაეს სასამართლოს გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმებაზე არ უმსჯელია. შესაბამისად განმცხადებელმა მოითხოვა სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 27 იანვრის განჩინებით გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება.

2020 წლის 21 აგვისტოს განმცხადებელმა დააზუსტა მოთხოვნა, უზენაეს სასამართლოში წარმოადგინა გ. ბ-ის გარდაცვალების მოწმობა და სამკვიდრო მოწმობა, რომლის თანახმად, მ. ბ-ი არის გარდაცვლილი გ. ბ-ის კანონისმიერი პირველი რიგის მემკვიდრე – შვილი, რომელმაც მიიღო სამკვიდრო ქონება 2014 წლის 14 ივნისს. ამასთან მიუთითა, რომ როგორც მისთვის გახდა ცნობილი, 2012 წელს თბილისის საქალაქო სასამართლომ გააუქმა 2010 წლის 27 იანვრის განჩინებით გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება, შესაბამისად განმცხადებელმა მოითხოვა წინამდებარე განცხადების განუხილველად დატოვება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები და მიიჩ-

ნეეს, რომ მ. ბ-ის განცხადება უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

საკასაციო სასამართლო სსსკ-ის 92-ე მუხლის პირველი ნაწილზე მითითებით, „სადავო ან სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი სამართლებრივი ურთიერთობიდან ერთ-ერთი მხარის გასვლის შემთხვევაში (მოქალაქის გარდაცვალება, იურიდიული პირის რეორგანიზაცია, მოთხოვნის დათმობა, ვალის გადაცემა და სხვა) სასამართლო დაუშვებს ამ მხარის შეცვლას მისი უფლებამონაცვლით. უფლებამონაცვლეობა შესაძლებელია პროცესის ყოველ სტადიაზე“, განმარტავს, რომ საქმის განხილვისას, ისევე, როგორც მისი დასრულების შემდეგ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების ეტაპზეც დასაშვებია კანონით დადგენილ შემთხვევაში ერთ-ერთი მხარის შეცვლა სხვა პირით. მოდავე მხარის ნაცვლად, მისი უფლებამონაცვლის ჩაბმა დაკავშირებულია ამა თუ იმ საფუძვლით მხარეთა შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობიდან მის გასვლასთან, რა დროსაც მხარე კარგავს და სხვა პირს გადასცემს თავის საპროცესო სტატუსს. (საქმე სუსგ №ას-1089-2018, 24 დეკემბერი, 2018 წელი).

განსახილველი ნორმის მოქმედება ვრცელდება არა მხოლოდ საქმის განხილვის, არამედ აღსრულების პროცესზეც, რამდენადაც აღსრულება სასამართლო პროცესის განუყოფელი ნაწილია და ემსახურება სამართლიან სასამართლოზე ხელმისაწვდომობის უფლების რეალიზაციას. გარდა ამისა, აღსრულების პროცესში უფლებამონაცვლეობას ადგენს სპეციალური კანონი – „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლი. (საქმე სუსგ №ა-2427-შ-74-2014, 4 მაისი, 2020 წელი, საქმე სუსგ №ას-375-375-2018, 8 მაისი, 2018 წელი). აღნიშნული მუხლის მიხედვით: „სააღსრულებო ფურცელი შეიძლება გაცემულ იქნეს გადაწყვეტილებაში დასახელებული კრედიტორის უფლებამონაცვლე პირის სასარგებლოდ ან მოვალის უფლებამონაცვლე პირის საწინააღმდეგოდ, თუ უფლებამონაცვლეობა ნათელია ან ამის დამადასტურებელი დოკუმენტი შეადგინა სათანადოდ უფლებამოსილმა ორგანომ ან დაამონაწილა ნოტარიუსმა. თუ საჭირო დადასტურება ვერ ხერხდება სათანადოდ უფლებამოსილი ორგანოს მიერ შედგენილი ან ნოტარიუსის მიერ დამონაწილებული დოკუმენტის საშუალებით, მაშინ კრედიტორმა ან მისმა უფლებამონაცვლე პირმა უფლებამონაცვლეობის დადგენის და სააღსრულებო ფურცლის გაცემის თაობაზე უნდა მიმართოს გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს.“

საკასაციო პალატა თვლის, რომ განსახილველ შემთხვევაში, არსებობს მოვალის უფლებამონაცვლის დადგენის ფაქტობრივ-სა-

მართლებრივი წინაპირობები, სახელდობრ:

საქმეში წარმოდგენილი სამკვიდრო მონუმბით ირკვევა, რომ მოპასუხე გ. ბ-ი გარდაიცვალა და სამკვიდრო მიიღო მისმა შვილმა (სამკვიდრო მონუმბა №140608962 გაცემული 2014 წლის 14 ივნისს), რაც, სამოქალაქო კოდექსის 1421-ე და 1328-ე მუხლების თანახმად, სამკვიდრო აქტივის ფარგლებში უფლებამონაცვლეობის დაშვების საკმარისი საფუძველია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა მიიჩნევს, რომ განმცხადებლის მოთხოვნა საფუძველიანია და უნდა დაკმაყოფილდეს. გ. ბ-ის უფლებამონაცვლედ ცნობილ უნდა იქნეს მისი კანონისმიერი პირველი რიგის მემკვიდრე, შვილი – მ. ბ-ი.

რაც შეეხება განმცხადებლის მოთხოვნას, განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მოცემული მოთხოვნა თავისი არსით საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ მოთხოვნაა და იგი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სსსკ-ის 272-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით სასამართლო, მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით, შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ არ არსებობს დავის საგანი.

კანონის მითითებული დანაწესი იმპერატიული ხასიათისაა და ადგენს სასამართლოს ვალდებულებას, მხარეთა შუამდგომლობის ან ასეთის არარსებობის პირობებშიც, შეწყვიტოს საქმის წარმოება, თუ დაადგენს, რომ მხარეთა შორის სადავო საკითხი გადაწყვეტილია და აქედან გამომდინარე, საქმის წარმოების გაგრძელების საჭიროება აღარ არსებობს.

განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 11 ოქტომბრის განჩინებით, გ. ბ-ის განცხადება/შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების შესახებ, დაკმაყოფილდა, ხოლო როგორც განმცხადებლის მიერ 2020 წლის 21 აგვისტოს საკასაციო სასამართლოში წარდგენილი დაზუსტებული განცხადებით ირკვევა, მხარისათვის ცნობილი გახდა საქალაქო სასამართლოს მიერ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების შესახებ (რასაც იგი ითხოვდა 2020 წლის 13 ივლისს წარდგენილი განცხადებით). სწორედ აღნიშნულ მოთხოვნას აყენებდა იგი(განმცხადებელი).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ საქმეზე დავის საგანი აღარ არსებობს, რაც სსსკ-ის 272-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, განსახილველ განცხადებაზე საქმის წარმოების შეწყვეტის სამართლებრივ წინაპირობას ქმნის. საკასაციო სასამართლო ასევე განუმარტავს

მხარეს, რომ სსკ-ის 273-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით არ შეიძლება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სა-მოქალაქო საპროცესო კოდექსის 92-ე, 272-ე მუხლის ა¹“ ქვეპუნ-ქტით, 284-ე, 285-ე, 372-ე, 399-ე მუხლებით, „სააღსრულებო წარ-მოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მ. ბ-ის განცხადება დაკმაყოფილდეს;
2. გ. ბ-ის უფლებამონაცვლედ ცნობილ იქნეს მისი კანონისმიე-რი პირველი რიგის მემკვიდრე, შვილი – მ. ბ-ი;
3. მ. ბ-ის განცხადებაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სა-მოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 27 იანვრის განჩინებით გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების შესა-ხებ შეწყდეს წარმოება დავის საგნის არარსებობის გამო;
4. განემარტოს მხარეს, რომ საქმის წარმოების შეწყვეტის შემ-თხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმა-ვე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით არ შეიძ-ლება;
5. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

5. სასამართლო მტკიცებულება

მტკიცების ტვირთი

ბანჩინება

საქართველოს სახელმწიფო

№ას-366-340-2017

19 ივლისი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ნ. ბაქაქუერი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ბ. ალავეცი

დავის საგანი: სახელფასო დავალიანების ანაზღაურება, და-
ყოვნებული თანხის 0.07%-ის გადახდა (ძირითად სარჩელში), შრო-
მითი ხელშეკრულებების ბათილად ცნობა, თანხის დაკისრება (შე-
გებულ სარჩელში)

აღწერილობითი ნაწილი:

1. დ. ა-ემ (შემდგომ – „პირველი მოსარჩელე“) და ჟ. ჟ-მ (შემ-
დგომ – „მეორე მოსარჩელე“) (შემდგომ ერთობლივად – „მოსარჩე-
ლეები“, „შეგებებული სარჩელით მოპასუხეები“, „კასატორები“ ან
„საკასაციო საჩივრის ავტორები“) სარჩელი აღძრეს სასამართლო-
ში შპს „ნ-ის“ (ყოფილი შპს „ჰ-ა“) (შემდგომში – „მოპასუხე“, „მოპა-
სუხე კომპანია“, „კომპანია“ ან „შეგებებული სარჩელით მოსარჩე-
ლე“) მიმართ და მოითხოვეს მოპასუხისათვის:

1.1. პირველი მოსარჩელის სასარგებლოდ, სახელფასო დავალი-
ანების – 44986,15 ლარისა და დაყოვნების ყოველი დღისათვის,
დაყოვნებული თანხის – 44986,15 ლარის 0,07 პროცენტის –
11713,90 ლარის გადახდის დაკისრება;

1.2. მეორე მოსარჩელის სასარგებლოდ, სახელფასო დავალი-
ანების – 53390,63 ლარისა და დაყოვნების ყოველი დღისათვის, და-
ყოვნებული თანხის – 53390,63 ლარის 0,07 პროცენტის – 18166
ლარის გადახდის დაკისრება.

2. სარჩელი ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:

2.1. 2012 წლის 3 სექტემბერს მოპასუხე კომპანიასა და თითოე-
ულ მოსარჩელეს შორის გაფორმდა შრომითი ხელშეკრულებები,
რომელთა თანახმად, მოსარჩელები დაინიშნენ მართვის კონსულ-
ტანტთა თანამდებობებზე და თითოეული მათგანის ყოველთვიუ-
რი ანაზღაურება განისაზღვრა დარიცხული ხელფასით – 3375 ევ-

როს ეკვივალენტით ეროვნულ ვალუტაში;

2.2. მოსარჩელები ჯეროვნად და კეთილსინდისიერად ასრულებდნენ თავიანთ შრომით მოვალეობებს. მოპასუხე კომპანიამ კი მათ მიმართ შრომის ანაზღაურების გადახდის ვალდებულება არა-ჯეროვნად შეასრულა. მიუხედავად მოსარჩელების არაერთი ზეპირი თუ წერილობითი მოთხოვნისა, მოპასუხე არ უხდის მათ კუთვნილ ხელფასს.

3. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო, აღძრა შეგებებული სარჩელი და მოითხოვა:

3.1. 2012 წლის 3 სექტემბერს პირველ მოსარჩელესთან გაფორმებული №2 შრომითი ხელშეკრულების ბათილად ცნობა და მისთვის 55435,55 ლარის გადახდის დაკისრება;

3.2. 2012 წლის 3 სექტემბერს მეორე მოსარჩელესთან გაფორმებული №3 შრომითი ხელშეკრულების ბათილად ცნობა და მისთვის 47726,27 ლარის გადახდის დაკისრება.

4. შეგებებული სარჩელი ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:

4.1. 2011 წელს კომპანიის დირექტორი იყო პირველი მოსარჩელი, ხოლო კომპანიის საკონტროლო პაკეტის ფაქტიური მფლობელი (შპს „ო.“) ლ. ჟ. – მეორე მოსარჩელის შვილი;

4.2. აღნიშნულმა პირებმა კომპანიას შესთავაზეს საზოგადოებაში მათი წილის (70%) შექენა უცხოური მხარის მიერ ინვესტიციის განხორციელების პერსპექტივით. 2012 წლის 21 აგვისტოს გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, კომპანიამ გადაიხადა 10 000 ევრო. პირველმა მოსარჩელემ და ლ. ჟ.-მ, ინვესტიციების განხორციელებისა და კომპანიისათვის დამატებითი გრანტების სანაცვლოდ, მოითხოვეს „წილი“, რომელიც კომპანიას შემოსატანი თანხიდან უნდა გადაეხადა;

4.3. ამ გარიგების დასაფარად, მათ კომპანიას შესთავაზეს შრომითი ხელშეკრულებების დადება, რათა შემოსასვლელი ინვესტიციების პარალელურად მომხდარიყო თანხების გადაცემა. შრომითი ხელშეკრულებების პროექტებიც კომპანიას პირველმა მოსარჩელემ მიანოდა;

4.4. ვინაიდან ლ. ჟ.-ს, მისი მაღალი თანამდებობიდან გამომდინარე, არ სურდა ხელშეკრულებაში მხარედ ყოფილიყო მითითებული, მის ნაცვლად ხელშეკრულება გაფორმდა მის დედასთან, რომელიც პროფესიით მკერავია და რაიმე სახის კავშირი არ ჰქონია სამედიცინო სფეროსთან. მეორე მოსარჩელე კომპანიაში არავის უნახავს;

4.5. პირველმა მოსარჩელემ და ლ. ჟ.-მ პირობა არ შეასრულეს. პირველ ეტაპზე შემოსასვლელი ინვესტიციის მხოლოდ ნაწილი შე-

მოვიდა, დამატებით შემოსატანი ინვესტიციები კი საერთოდ არ შემოსულა;

4.6. მოსარჩელებთან მოჩვენებით და თვალთმაქცურად დადებული შრომით ხელშეკრულებებში თითოეული მათგანის სახელფასო ანაზღაურებად განსაზღვრული იყო 3375 ევრო შესაბამისი კურსით ლარში, მაშინ როდესაც კომპანიაში დასაქმებულ პირთა ხელფასი არ აღემატება 1000 ლარს, ხოლო საშუალო ხელფასი შეადგენს 400 ლარს. მოსარჩელებმა შრომითი ხელშეკრულებით 16 თვის განმავლობაში ხელფასის სახით მისაღები თანხის ოდენობა დაიანგარიშეს შემოსატანი ინვესტიციის დროში შემოსვლის პროპორციულად. მათ ერთი დღეც კი არ უმუშავიათ კომპანიაში. მიუხედავად ამისა, შრომითი ურთიერთობების შენიღვით, ტყუილების საფუძველზე გამოსძალეს მას სოლიდური თანხები, რასაც კომპანიის ჰოლანდიური მხარეც ადასტურებს.

5. მოსარჩელებმა (შეგებებული სარჩელით მოპასუხეებმა) შეგებებული სარჩელი არ ცნეს და განმარტეს, რომ:

5.1. პირველი მოსარჩელე კომპანიის საქმიანობაში ჩართული იყო მისი დაფუძნების დღიდან და წარმოადგენდა მის პირველ დირექტორს;

5.2. მოსარჩელებს მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით კომპანიისათვის გრანტების მოპოვებასა და წინსვლაში. ისინი იყვნენ კომპანიის მთავარი კონსულტანტები და უშუალო კავშირი ჰქონდათ როგორც ჰოლანდიელ პარტნიორებთან, ისე ჰოლანდიის მთავრობასთან;

5.3. ის ფაქტი, რომ მოსარჩელეთა შრომის ანაზღაურების ოდენობა აღემატებოდა სხვა დასაქმებულთა სახელფასო ოდენობას, არ შეიძლება გახდეს გარიგებების მოჩვენებითად ან თვალთმაქცურად მიჩნევის საფუძველი. შრომითი გარიგებები დაიდო მხარეთა ორმხრივი ნების გამოვლენის საფუძველზე, შეთანხმებულ იქნა შრომის ანაზღაურების ოდენობა და კომპანიას რაიმე პრეტენზია არ ჰქონია გარიგებების ნამდვილობასთან დაკავშირებით იმ დრომდე, სანამ მათ სარჩელით არ მიმართეს სასამართლოს შრომის ანაზღაურების დავალიანებასთან დაკავშირებით.

6. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილებით სარჩელი და შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

7. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ორივე მხარემ.

8. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 13 დეკემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა; უცვლელი დარჩა თბილისის საქალაქო

სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილება.

9. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია საქმის გადანყევტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

9.1. 2012 წლის 3 სექტემბრის შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე, პირველი მოსარჩელე მიღებულ იქნა კომპანიაში კომპანიის მართვის კონსულტანტის თანამდებობაზე. შრომითი ხელშეკრულება დაიდო 16 კალენდარული თვის ვადით (2012 წლის 3 სექტემბრიდან 2014 წლის 3 იანვრამდე). ხელშეკრულების თანახმად, დასაქმებულის ყოველთვიური შრომის ანაზღაურება განისაზღვრა 3375 ევროს (დარიცხული) ეკვივალენტით ეროვნულ ვალუტაში. დამსაქმებელს დასაქმებულისათვის შრომის ანაზღაურების გადახდა უნდა განეხორციელებინა ყოველი თვის 30 რიცხვში;

9.2. 2012 წლის 3 სექტემბრის შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე, მეორე მოსარჩელე მიღებულ იქნა კომპანიაში კომპანიის მართვის კონსულტანტის თანამდებობაზე. შრომითი ხელშეკრულება დაიდო 16 კალენდარული თვის ვადით (2012 წლის 3 სექტემბრიდან 2014 წლის 3 იანვრამდე). ხელშეკრულების თანახმად, დასაქმებულის ყოველთვიური შრომის ანაზღაურება განისაზღვრა 3375 ევროს (დარიცხული) ეკვივალენტით ეროვნულ ვალუტაში. დამსაქმებელს დასაქმებულისათვის შრომის ანაზღაურების გადახდა უნდა განეხორციელებინა ყოველი თვის 30 რიცხვში;

9.3. მოსარჩელებს დამსაქმებელი კომპანიისგან, როგორც ანგარიშზე ჩარიცხვით, ასევე ხელზე, შრომის ანაზღაურების სახით მიღებული აქვთ გარკვეული თანხები. კერძოდ: პირველ მოსარჩელეს 2012 წლის 3 სექტემბრიდან კომპანიისაგან მიღებული აქვს 55435,55 ლარი, რაც წარმოადგენს 2013 წლის ივნისის თვემდე პერიოდის შრომის ანაზღაურებას. მეორე მოსარჩელეს 2012 წლის 3 სექტემბრიდან შრომითი ურთიერთობისას, ხელფასის სახით, კომპანიისაგან მიღებული აქვს 47726,27 ლარი, რაც წარმოადგენს 2013 წლის მაისის თვემდე პერიოდის შრომის ანაზღაურებას;

9.4. მოსარჩელებმა დამსაქმებელი კომპანიისაგან მოითხოვეს დაგროვილი სახელფასო დავალიანების ანაზღაურება. პირველი მოსარჩელის 2013 წლის 16 სექტემბრის წერილის თანახმად, მის მიმართ მოპასუხე კომპანიის დაგროვილი დავალიანება აღემატება 22000 ლარს, ხოლო მეორე მოსარჩელის 2013 წლის 2 ოქტომბრის წერილის თანახმად, მის მიმართ მოპასუხე კომპანიის დავალიანება აღემატება 24000 ლარს. წერილების თანახმად, თუკი მოპასუხე კომპანია დავალიანებას არ დაფარავდა ხუთი სამუშაო დღის განმავლობაში, დასაქმებულები შრომითი ხელშეკრულების 5.2. მუხ-

ლის შესაბამისად, ცალმხრივად შეწყვეტდნენ ხელშეკრულებას და მოითხოვდნენ ხელშეკრულების 4.3. მუხლის შესაბამისად ნაკისრი ვალდებულების შესრულებას. მითითებული თანხები მოპასუხე კომპანიას მოსარჩელებისათვის არ გადაუხდია;

9.5. 2012 წლის 3 სექტემბრის შრომითი ხელშეკრულებების საფუძველზე, მხარეთა შორის წარმოშობილი იყო შრომით-სამართლებრივი ურთიერთობა. სააპელაციო პალატის მითითებით, პირველმა მოსარჩელემ სააპელაციო სასამართლოში საქმის ზეპირი განხილვისას მიუთითა იმ უფლება-მოვალეობების თაობაზე, რომლებიც გააჩნდათ დასაქმებულებს დამსაქმებელი კომპანიის მიმართ. მისი განმარტებით, კომპანია წარმოადგენს სამედიცინო დაწესებულებას, რომელიც ნერგავდა ახალ ტექნოლოგიებს. მათ მოვალეობას წარმოადგენდა პროექტის დანერგვასთან დაკავშირებით (მაგ.; ნიდერლანდების საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ დაფინანსებული პროექტი) შესაბამისი რეკომენდაციებისა და კონსულტაციების განევა, უცხოელ პარტნიორებთან წარმოებულ მოლაპარაკებებში მონაწილეობის მიღება.

10. სააპელაციო პალატამ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე და 103-ე მუხლებზე დაყრდნობით მიუთითა, რომ იმ პირობებში, როდესაც მხარეთა შორის დადებული იყო შრომითი ხელშეკრულებები და ამ ხელშეკრულებების შესაბამისად მოსარჩელებისათვის გადახდილი იყო ანაზღაურება, საპირისპიროს მტკიცების ტვირთი, კერძოდ, იმ გარემოების დადასტურების ტვირთი, რომ მხარეთა შორის რეალურად არ არსებობდა შრომითი ხელშეკრულება და ამ გარიგებებით დაიფარა სხვა გარიგებები, ეკისრებოდა მოპასუხეს, რისი დადასტურებაც მან ვერ შეძლო.

11. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოება, რომ მოსარჩელებს 2013 წლის მაისი-ივნისის თვეებიდან არ შეუსრულებიათ შრომითი მოვალეობები. განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელები მიუთითებდნენ საქმის მასალებში წარმოდგენილ ელექტრონულ მიმონერებზე, თუმცა დადგენილია, რომ მითითებული დოკუმენტები მოპასუხის მიერ სადავოდ იქნა გახდილი, კერძოდ, მოპასუხის წარმომადგენელმა პირველი ინსტანციის სასამართლოში მითითებულ მტკიცებულებებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ამ წერილებით არ დასტურდებოდა, თუ ვის მიერ ან ვის მიმართ იყო განხორციელებული მიმონერა. შესაბამისად, მხარემ სადავოდ გახადა მოსარჩელის მიერ მტკიცებულებების სახით წარდგენილი ელექტრონული მიმონერის სუბიექტები, ხელმოწერები. წარმომადგენელმა ასევე მიუთითა, რომ პირველი მოსარჩელის მიერ წარდგე-

ნილი დოკუმენტაცია უკავშირდებოდა სხვა სამართლებრივ ურთიერთობებს და პერიოდს, აღნიშნული მტკიცებულებები წარდგენილი არ იყო კანონით გათვალისწინებული წესით, რომლითაც დადასტურდებოდა ადრესატების ვინაობა, ამასთან, სადავო მიმონერა არ ყოფილა განხორციელებული ორგანიზაციის ელ.ფოსტით. სააპელაციო პალატის შეფასებით, მითითებული ელექტრონული მიმონერის საფუძველზე, სადავო გარემოება იმის შესახებ, რომ მოსარჩელები 2013 წლის მაისი-ივნისიდან კვლავ ასრულებდნენ სამსახურეობრივ მოვალეობებს, ვერ იქნებოდა მიჩნეული დადასტურებულად. სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასება, რომ პირველი მოსარჩელის მიერ საქმეში წარდგენილი ელექტრონული მიმონერის ის ნაწილი, რომელიც დათარიღებული იყო 2013 წლის ივნისის თვის შემდგომი თარიღით და წარმოადგენდა კომპანიის ხელმძღვანელობასთან და კომპანიასთან რაიმე სახით კავშირში მყოფ პირებთან პერიოდულად წარმოებულ მიმონერას, ვერ ჩაითვლებოდა მის მიერ მასზე შრომითი ხელშეკრულებით დაკისრებული იმ შრომითი მოვალეობების შესრულების მტკიცებულებად, რაც მას ევალებოდა შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე და რაშიც მას კომპანიისაგან ყოველთვიურად უნდა მიეღო 3375 ევროს ეკვივალენტი ლარში. რაც შეეხება მეორე მოსარჩელეს, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მის მიერ სადავო პერიოდში შრომითი მოვალეობის შესრულება ასევე არ დასტურდებოდა და მხარემ ვერ წარუდგინა სასამართლოს მისი მოთხოვნის საფუძველიანობის დამადასტურებელი არგუმენტები და მტკიცებულებები.

12. სააპელაციო სასამართლომ საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლზე, საქართველოს შრომის კოდექსის პირველი და მეორე მუხლების პირველ ნაწილებზე და ამავე კოდექსის მე-3 და 31-ე მუხლებზე დაყრდნობით არ გაიზიარა მოსარჩელების პრეტენზია დავის გადანყვეტისას სასამართლოს მიერ შრომითი ხელშეკრულების 4.3. პუნქტის გამოუყენებლობასთან დაკავშირებით, რომლის თანახმად, დამსაქმებელი კომპანია შრომითი ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში ვალდებული იყო დასაქმებულებისათვის შრომის ანაზღაურება გადაეხადა ხელშეკრულების მოქმედების ვადის დასრულებამდე. სააპელაციო პალატის მითითებით, ვინაიდან ირკვეოდა, რომ მხარეთა შორის არსებობდა შრომით-სამართლებრივი ურთიერთობა და მოსარჩელები კომპანიასთან დადებული 2012 წლის 3 სექტემბრის შრომითი ხელშეკრულებების საფუძველზე დასაქმებულები იყვნენ მოპასუხე კომპანიაში, მხარეთა შორის არსებული ურთიერთობა ექცეოდა საქართველოს შრომის კოდექსის რეგულირების სფეროში, რომლის თა-

ნახმად, დასაქმებული დამსაქმებლისაგან ანაზღაურებას იღებს შესრულებული სამუშაოს სანაცვლოდ. მოსარჩელებმა კი ვერ დაადასტურეს სადავო პერიოდიდან (2013 წლის მაისი-ივნისის თვეებიდან) კომპანიაში დაკისრებული სამუშაოს შესრულების ფაქტი, რის გამოც არ არსებობდა სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველი.

13. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე მოსარჩელებმა შეიტანეს საკასაციო საჩივარი და მოითხოვეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 13 დეკემბრის განჩინების გაუქმება მოსარჩელების სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

14. კასატორებმა მიუთითეს სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმების შემდეგ საფუძვლებზე:

14.1. სააპელაციო სასამართლომ არასწორად დაადგინა, რომ მოსარჩელებს 2013 წლის მაისი-ივნისის თვეებიდან არ შეუსრულებიათ შრომითი მოვალეობები. ეს გარემოება არ დგინდება საქმეში წარდგენილი მტკიცებულებებით;

14.2. სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლი და ხელშეკრულებით ნაკისრი შრომითი მოვალეობების შესრულების მტკიცების ტვირთი მთლიანად დასაქმებულებს დააკისრა, მაშინ როდესაც დასაქმებულების მიერ სამუშაოს შეუსრულებლობა (ვალდებულების დარღვევა) დამსაქმებლის მტკიცების ტვირთს წარმოადგენს. დასაქმებულის მტკიცების მოვალეობაში არ შედის, რომ იგი ასრულებდა დაკისრებულ შრომით მოვალეობას, პირიქით, დამსაქმებელმა უნდა ამტკიცოს, რომ დასაქმებულმა არ შეასრულა ან/და არაჯეროვნად შეასრულა ნაკისრი ვალდებულება და ეს გახდა შრომის ანაზღაურების გაცემაზე უარის თქმის საფუძველი. მიუხედავად ამისა, მოსარჩელეთა მიერ წარდგენილია არაერთი მტკიცებულება, რომელიც ადასტურებს სამუშაოს შესრულებას 2013 წლის მაისი-ივნისის თვეების შემდეგაც;

14.3. მოპასუხეს არ წარუდგენია არცერთი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა მოსარჩელეთა მიერ სამუშაოს შეუსრულებლობას ან მისი მხრიდან რაიმე სახის პასუხისმგებლობის გამოყენებას. თუ დავა შეეხება სამუშაოს შეუსრულებლობას, დადგენილი უნდა იყოს, მხარემ საერთოდ არ შეასრულა სამუშაო თუ არაჯეროვნად შეასრულა. თუ დასაქმებულები 2013 წლის მაისი-ივნისის თვეებიდან არ ასრულებდნენ ნაკისრ შრომით მოვალეობებს, დამსაქმებელს მათ მიმართ უნდა გამოეყენებინა გაფრთხილება მაინც, სამართლებრივი აქტით ან/და სხვა ოფიციალური სახით.

თუმცა არც გაფრთხილება და არც სხვა სახის დისციპლინური ღონისძიება დასაქმებულების მიმართ გამოყენებული არ ყოფილა. მხარეთა შორის დავა დაიწყო მას შემდეგ, რაც პირველმა მოსარჩელემ 2013 წლის 16 სექტემბერს, ხოლო მეორე მოსარჩელემ 2013 წლის 1 ოქტომბერს წერილობით მიმართეს დამსაქმებელს სახელფასო დავალიანების გადახდის მოთხოვნით;

14.4. სააპელაციო პალატამ არ გამოიყენა საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე-38-ე მუხლები, რომლებიც შრომითი ურთიერთობის შეწყვეტას ანერიგებს. დამსაქმებელი ვალდებულია მიიღოს გადაწყვეტილება ან/და გაატაროს შესაბამისი ღონისძიება, თუ დასაქმებულები არ ასრულებენ დაკისრებულ შრომით მოვალეობას. წინააღმდეგ შემთხვევაში ივარაუდება, რომ დასაქმებულებმა შეასრულეს სამუშაო და უნდა გაიცეს შრომის ანაზღაურება. ვიდრე შრომითი ხელშეკრულება არ შეწყდება, დამსაქმებელი ვალდებულია დასაქმებულებს გადაუხადოს შრომის ანაზღაურება, ხოლო, თუ დასაქმებულები არღვევენ ხელშეკრულების პირობებს, შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულების შეწყვეტა;

14.5. დასაქმებულების მიერ სარჩელის აღძვრის შემდეგ, დამსაქმებელმა გამოსცა ურთიერთსაწინააღმდეგო შინაარსის სამი ბრძანება: 2013 წლის 14 ნოემბრის №25 ბრძანებით ცალმხრივად ბათილად ცნო შრომითი ხელშეკრულების 4.3. მუხლი, 15 ნოემბერს გამოსცა №26 ბრძანება შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტასთან დაკავშირებით, ხოლო 20 ნოემბერს №27 ბრძანებით გააუქმა 14 და 15 ნოემბრის ბრძანებები. დაუსაბუთებელი და ურთიერთგამომრიცხავი შინაარსის ბრძანებების გამოცემა ადასტურებს დამსაქმებლის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების უკანონობას;

14.6. ამასთან, დამსაქმებელი 2013 წლის 21 ნოემბრის შესაგებლით ეთანხმება მოსარჩელეთა წინაშე სახელფასო დავალიანების არსებობას და სადავოდ ხდის მხოლოდ პირგასამტეხლოს. მან მხოლოდ 2014 წლის 20 თებერვლის შესაგებლით უარყო შრომითი ურთიერთობის არსებობა და მიუთითა მოჩვენებით გარიგებაზე;

14.7. სასამართლომ არ გამოიყენა საქართველოს შრომის კოდექსის მე-2 მუხლის პირველი და მე-6 ნაწილები. სასამართლოს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლით გარანტირებულ შრომის უფლებას. დასაქმებული შესრულებული სამუშაოს სანაცვლოდ ვერ იღებს ანაზღაურებას, რაც ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლებრივი აქტების მოთხოვნებს. ევროპის სოციალური ქარტიის მიხედვით, ყველა მუშაკს აქვს უფლება ჰქონდეს სათანადო, სამართლიანი ანაზღაურება, რაც შეესაბამება საცხოვრებელ სტანდარტებს თავისთვის და თავიანთი ოჯახებისათვის. ქარტიის მე-4 მუხლით სახელმწიფომ აი-

ლო ვალდებულება აღიაროს მუშაკთა უფლება ისეთ ანაზღაურებაზე, რომელიც უზრუნველყოფს მათი და მათი ოჯახების ცხოვრების ღირსეულ დონეს. სახელმწიფოს ეს ვალდებულება არ იქნა უზრუნველყოფილი პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოების მიერ.

15. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 30 მარტის განჩინებით საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით, დასაშვებობის შესამოწმებლად.

16. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 31 ივლისის განჩინებით საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტების საფუძველზე.

სამოტივაციო ნაწილი:

17. საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მოსარჩელეთა საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 13 დეკემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

18. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამონებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში. ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებში და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

19. კასატორები უთითებენ სააპელაციო სასამართლოს მიერ საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევაზე, რაც გამოიხატა მტკიცების ტვირთის არასწორ განაწილებაში. საკასაციო პრეტენზიის თანახმად, სააპელაციო სასამართლომ 2013 წლის მაისი-ივნისის თვეებიდან მოსარჩელების მიერ შრომითი მოვალეობების შეს-

რულების ფაქტობრივი გარემოების მტკიცების ტვირთი არასწორად დააკისრა მოსარჩელე მხარეს, რამაც არსებითად იმოქმედა საქმის განხილვის შედეგზე.

20. ევროპის სოციალური ქარტიის (რაციფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 2005 წლის 1 ივლისის დადგენილებით) პირველი მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, შრომის უფლების ეფექტიანი განხორციელების მიზნით, მხარეები ვალდებულია იღებენ ეფექტიანად დაიცვან მუშაკის მიერ ნებაყოფლობით არჩეული სამუშაოს შესრულების გზით ფულადი სახსრების გამომუშავების უფლება. მაშასადამე, ქარტია განამტკიცებს დასაქმებულის უფლებას მიიღოს ანაზღაურება შრომითი მოვალეობის შესრულების სანაცვლოდ, რაც უზრუნველყოფილია ეროვნული კანონმდებლობითაც. საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“ მე-2 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, შრომითი ურთიერთობა არის შრომის ორგანიზაციული მონესრიგების პირობებში დასაქმებულის მიერ დამსაქმებლისათვის სამუშაოს შესრულება ანაზღაურების სანაცვლოდ.

21. განსახილველ შემთხვევაში სადავოა სწორედ დასაქმებულთა მიერ სამუშაოს შესრულების ფაქტი, რომლის დადასტურების შემთხვევაშიც მათ წარმოემოხათ სანაცვლო შრომის ანაზღაურების მიღების უფლება.

22. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ იმ ფაქტობრივ გარემოებებზე, რომლებიც სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, რადგან კასატორების მიერ არ არის შედავებული. კერძოდ, დადგენილია, რომ 2012 წლის 3 სექტემბრის შრომითი ხელშეკრულებების საფუძველზე მხარეთა შორის წარმოშობილი იყო შრომით-სამართლებრივი ურთიერთობა. შრომითი ხელშეკრულებები დაიდო 16 კალენდარული თვის ვადით (2012 წლის 3 სექტემბრიდან 2014 წლის 3 იანვრამდე). დამსაქმებელს დასაქმებულებისათვის შრომის ანაზღაურების გადახდა უნდა განეხორციელებინა ყოველთვიურად. მოსარჩელებს დამსაქმებელი კომპანიისაგან შრომის ანაზღაურების სახით მიღებული აქვთ გარკვეული თანხები, კერძოდ, პირველ მოსარჩელეს მიღებული აქვს 2013 წლის ივნისის თვემდე პერიოდის შრომის ანაზღაურება, ხოლო მეორე მოსარჩელეს – 2013 წლის მაისის თვემდე პერიოდის შრომის ანაზღაურება. მოსარჩელებმა 2013 წლის 16 სექტემბრისა და 2 ოქტომბრის წერილებით დამსაქმებელი კომპანიისაგან მოითხოვეს დაგროვილი სახელფასო დავალიანების ანაზღაურება, თუმცა მოპასუხე კომპანიას მათ მიერ მოთხოვნილი თანხები მოსარჩელებისათვის არ გადაუხდია.

23. აღსანიშნავია, რომ დამსაქმებელი უარყოფდა დასაქმებუ-

ლების მიერ სამუშაოს შესრულების ფაქტს შრომითი ხელშეკრულებების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში (იხ. წინამდებარე განჩინების 4.6. პუნქტი), რომელიც ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა არ გაიზიარეს. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, იმ გარემოების დადასტურების ტვირთი, რომ მხარეთა შორის რეალურად არ არსებობდა შრომითი ხელშეკრულება და ამ გარიგებებით მოხდა სხვა გარიგებების დაფარვა, ეკისრებოდა მოპასუხეს. პირველი ინსტანციის სასამართლოს მითითებითაც, სწორედ მოპასუხე მხარეს ეკისრებოდა იმის მტკიცების ტვირთი, რომ მოსარჩელებისათვის შრომის ანაზღაურება არასწორად და უსაფუძვლოდ იქნა გადახდილი და, რომ მოსარჩელები 2013 წლის მაისი-ივნისის თვეებამდე შრომით მოვალეობებს არ ასრულებდნენ.

24. თუმცა, რაც შეეხება 2013 წლის მაისი-ივნისის თვეების შემდგომ პერიოდს, სააპელაციო სასამართლომ მტკიცების ტვირთი გადაიტანა დასაქმებულებზე და დაასკვნა, რომ მოსარჩელებმა სათანადო მტკიცებულებების წარდგენით ვერ დაადასტურეს 2013 წლის მაისი-ივნისის თვეებიდან მათ მიერ სამსახურებრივი მოვალეობების შესრულების ფაქტი.

25. საკასაციო პალატა არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნულ მსჯელობას და მიიჩნია, რომ 2013 წლის მაისი-ივნისის თვეებიდან დასაქმებულების მიერ შრომითი მოვალეობების შეუსრულებლობის ფაქტი მოპასუხის მტკიცების საგანია.

26. საკასაციო სასამართლომ არაერთ გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტების განსაზღვრის შემდეგ სასამართლომ უნდა განსაზღვროს სადავო და უდავო ფაქტები. სადავო ფაქტები მტკიცების საგანში შემავალ ფაქტებს წარმოადგენს და მტკიცების ტვირთის განაწილების პროცესიც სწორედ აქ ჰპოვებს გამოვლინებას. სასამართლომ, როგორც საპროცესო საქმიანობის სუბიექტმა, მტკიცების ტვირთი იმგვარად უნდა გაანაწილოს, რომ საფრთხე არ შეექმნას მხარეთა მატერიალურ-სამართლებრივი უფლების რეალიზაციას. მტკიცების ტვირთის განაწილების ზოგადი პროცესუალური წესი მოცემულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლში, რომლის პირველი ნაწილის მიხედვით, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. მოცემული მუხლის საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლთან ერთობლიობაში განხილვის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ მხარეს, რომელმაც სასამართლოს მიმართა მოთხოვნით, აწევს როგორც ამ მოთხოვნის საფუძვლად არსებული ფაქტების მითითების, ასევე მათი დამტკიცების ანუ მტკიცებულებების წარდგენის ტვირთი (იხ. სუსგ №ას-1485-1401-2012, 2013 წლის 11 ნოემბერი).

27. მხარეთა მიერ მტკიცების ტვირთის რეალიზებასა და მტკიცების საგნის განსაზღვრას ახასიათებს მჭიდრო ურთიერთკავშირი, რადგანაც სასამართლოში ყოველი კონკრეტული სამოქალაქო საქმის გადაწყვეტა დაკავშირებულია განსაზღვრული ფაქტების დადგენასთან. სწორედ ამიტომ მტკიცების საგანს პროცესუალურ კანონმდებლობასა და პრაქტიკაში გააჩნია პრინციპული მნიშვნელობა. ასეთივე პრინციპული მნიშვნელობის მქონეა პროცესუალური საკითხი მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების შესახებ. სამოქალაქო სამართალწარმოებაში არსებობს მტკიცების ტვირთის განაწილების სპეციალური და ზოგადი წესები. ზოგიერთ შემთხვევაში მტკიცების ტვირთის განაწილების წესები ჩამოყალიბებულია მატერიალურ-სამართლებრივ ნორმებში და გამოხატულია იმპერატიული ფორმით. მატერიალური კანონმდებლობით გათვალისწინებულ ზოგიერთ საგამონაკლისო შემთხვევებში, ფაქტების მითითების ტვირთი და დამტკიცების ტვირთი ერთმანეთს უნდა გაემიჯნოს. ეს ის საგამონაკლისო შემთხვევებია, როდესაც სამართალწარმოება ძირითადად მონინალმდევე მხარის მტკიცების ტვირთი უნდა იყოს (იხ. სუსგ №ას-1020-963-2015, 2015 წლის 25 ნოემბერი).

28. საქართველოს უზენაეს სასამართლოს შრომით-სამართლებრივ დავებთან დაკავშირებულ საქმეებში არაერთხელ აქვს განმარტებული, რომ აღნიშნულ დავებში მტკიცების ტვირთის განაწილება გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება, რასაც მტკიცებულებების წარდგენის თვალსაზრისით დამსაქმებლისა და დასაქმებულის არათანაბარი შესაძლებლობები განაპირობებს.

29. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ დასაქმებულის სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლების შემთხვევის მსგავსად (იხ. სუსგ №ას-1183-1125-2014, 2015 წლის 13 თებერვალი; №ას-1004-965-2014, 2015 წლის 8 აპრილი; №ას-922-884-2014, 2015 წლის 16 აპრილი), მოცემულ შემთხვევაშიც დამსაქმებელს გააჩნია მტკიცებითი უპირატესობა, სასამართლოს წარუდგინოს მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ დასაქმებულმა არ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა მასზე დაკისრებული მოვალეობები, რადგან დასაქმებული ობიექტურად ვერ შეძლებს მტკიცებულებების წარდგენას მასზე, რომ იგი ვალდებულებას ჯეროვნად ასრულებდა. საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორების მოსაზრებას, რომ შრომითი ხელშეკრულებით დაკისრებული მოვალეობების შეუსრულებლობისას დამსაქმებელი ვალდებულია დასაქმებულის მიმართ გაატაროს შესაბამისი დისციპლინური ღონისძიება ან/და მოითხოვოს ხელშეკრულების შეწყვეტა. წინააღმდეგ შემთხვევაში ივარაუდება, რომ დასაქმებულები ჯეროვნად ასრულებდნენ შრომითი

ხელშეკრულებებით მათზე დაკისრებულ მოვალეობებს. შესაბამისად, ფაქტი იმის თაობაზე, რომ დამსაქმებელმა არ შეასრულა სამუშაო, რის გამოც დამსაქმებელი თავისუფლდება მისი შრომის ანაზღაურებისაგან, წარმოადგენს დამსაქმებლის მტკიცების საგანში შემავალ გარემოებას. სწორედ დამსაქმებელმა უნდა ამტკიცოს, თუ რაში გამოიხატა დასაქმებულების მიერ შრომითი მოვალეობების შეუსრულებლობა ან/და, მაგალითად, რა კონკრეტული დისციპლინური ღონისძიებები გაატარა მან დასაქმებულების მიმართ მათ მიერ შრომითი მოვალეობების შეუსრულებლობისას, რაც გახდა შემდეგ შრომის ანაზღაურების გაცემაზე უარის თქმის საფუძველი.

30. განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს მიერ მტკიცების ტვირთის არასწორი განაწილება გამოიხატა იმაში, რომ სააპელაციო პალატა სადავო ფაქტობრივი გარემოების დადგენისას დაეყრდნო მხოლოდ მოსარჩელეთა მიერ წარდგენილ მტკიცებულებებს, კერძოდ, ელექტრონული ფორმით განხორციელებულ მიმოწერებს და, ვინაიდან აღნიშნული მიმოწერები მოპასუხემ სადავო გახადა სხვადასხვა მიზეზთა გამო (მაგ.; სადავო მიმოწერა არ არის განხორციელებული ორგანიზაციის ელ.ფოსტით, აღნიშნული წერილებით არ დასტურდება, ვის მიერ ან ვის მიმართ არის განხორციელებული მიმოწერა, წარმოდგენილი დოკუმენტაცია უკავშირდება სხვა სამართლებრივ ურთიერთობებს და პერიოდს (იხ. წინამდებარე განჩინების მე-11 პუნქტი)), 2013 წლის მაისი-ივნისის თვეებიდან მოსარჩელეთა მიერ შრომითი მოვალეობების შესრულება არ მიიჩნია დადასტურებულად. ამრიგად, სააპელაციო სასამართლომ სადავო ფაქტობრივი გარემოება დაადგინა მტკიცების ტვირთის სამართლიანი განაწილების პრინციპის დარღვევით, რამაც არსებითად იმოქმედა საქმის განხილვის შედეგზე, კერძოდ, არ დაკმაყოფილდა მოსარჩელეთა სასარჩელო მოთხოვნა სახელფასო დავალიანების ანაზღაურების თაობაზე.

31. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი.

32. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწ-

ყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა. მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო ზემოაღნიშნული საფუძვლით საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს ქვემდგომ სასამართლოში, რომელმაც წინამდებარე განჩინებაში ჩამოყალიბებული დასაბუთების გათვალისწინებით, 2013 წლის მაისი-ივნისის თვეებიდან მოსარჩელების მიერ შრომითი მოვალეობების შეუსრულებლობის სადავო ფაქტობრივი გარემოების დადგენა უნდა განახორციელოს მოპასუხის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების გამოკვლევისა და შეფასების საფუძველზე და მხოლოდ ამის შემდეგ გადაწყვიტოს სარჩელის ბედი.

33. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განეულება ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქმის ხელახლა განხილვისას, სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი უნდა გადაწყდეს შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანისას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. დ. ა-ისა და ჟ. ჟ-ს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 13 დეკემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ნივთიერი და ნერილოპიტი მტკიცებულებების აღბილზე დათვალიერება

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-331-2019

9 ივლისი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ნ. ბაქაქუერი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ე. გასიტაშვილი

დავის საგანი: უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა,
ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

1. 2010 წლის 28 ოქტომბერს ამხანაგობა „ჩ-დე“-სა (შემდგომში – „ამხანაგობა“) და ს. მ-ს შორის გაფორმდა ხელშეკრულება ამხანაგობაში უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემის შესახებ, რომელიც წარმოადგენდა წინარე ხელშეკრულებას და რომლის მიხედვით, ამხანაგობის მიერ მისი წევრისთვის გადასაცემი ქონება იყო ქ. თბილისში, ... მდებარე 18 კვ.მ. ფართის უძრავი ქონება. ხელშეკრულების საფუძველზე, საჯარო რეესტრში დარეგისტრირდა ს. მ-ის საკუთრების უფლება №37 ავტოსადგომზე (მშენებარე), 18.00 კვ.მ ფართით, საკადასტრო კოდით: №... .

2. ს. მ-სა და მ. შ-ას შორის 2013 წლის 11 თებერვალს გაფორმდა უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც მყიდველმა შეიძინა ქ. თბილისში, ... მდებარე №37 ავტოსადგომი (მშენებარე), სართული – 2, ფართით – 18.00 კვ.მ.; საჯარო რეესტრის ამონაწერის შესაბამისად, 2013 წლის 11 თებერვლის ხელშეკრულების საფუძველზე, №37 მშენებარე ავტოსადგომზე დარეგისტრირდა მ. შ-ას საკუთრების უფლება.

3. მ. შ-ასა და ლ. გ-ას (შემდგომში – „მოსარჩელე“) შორის გაფორმებული 2013 წლის 24 ივლისის უძრავი ნივთის ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე, უძრავი ნივთი, კერძოდ, ქ. თბილისში, ..., სართული 2-ზე მდებარე ავტოსადგომი №37 (მშენებარე), ფართით 18.00 კვ.მ., საკადასტრო კოდით №..., საკუთრების უფლებით დარეგისტრირდა მოსარჩელის სახელზე.

4. უძრავ ქონებაში, მდებარე ქ. თბილისში, ..., ლ. ნ-დე (შემდგომში – „მოპასუხე“) საკუთრების უფლებით ფლობს №42, №41, №33,

№31, №30 და №29 ავტოსადგომებს, საკადასტრო კოდებით: №...; №...; №...; №...; №... და №... აღნიშნული ავტოსადგომებიდან №30 და №31 ავტოსადგომები მოპასუხემ შეიძინა თ. ს-გან მხარეთა შორის გაფორმებული 2011 წლის 12 ივლისის ხელშეკრულებების საფუძველზე, ხოლო №42, №41, №33 და №29 ავტოსადგომები კი – გ. ს-გან, შესაბამისი ხელშეკრულებების საფუძველზე. კერძოდ, მათ შორის №42 და №41 ავტოსადგომებზე ხელშეკრულებები გაფორმდა 2013 წლის 2 აგვისტოს, ხოლო №29 და №33 ავტოსადგომებზე – 2011 წლის 12 ივლისს. საჯარო რეესტრში საკუთრების უფლება ზემოაღნიშნულ უძრავ ნივთებზე ირიცხება მოპასუხის სახელზე. საკუთრებაში არსებული №41 და №42 ავტოსადგომები მოპასუხეს იჯარის ხელშეკრულებებით აქვს გაცემული შპს „ი-ოს“ სასარგებლოდ.

5. 2007 წლის 27 ივნისის ამხანაგობის №3 საერთო კრების ოქმის მიხედვით დადგინდა, რომ უნდა მომხდარიყო სახლის საჯარო რეესტრში რეგისტრაცია წარდგენილი განშლითი ნახაზის შესაბამისად, რომელიც ერთვოდა კრების ოქმს.

6. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 16 თებერვლის №01/386 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში, ... საერთო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა და სამშენებლო მოწმობა.

7. ამხანაგობის 2012 წლის 15 თებერვლის კრების ოქმით დამტკიცდა სსიპ ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 16 თებერვლის №01/386 ბრძანებით შეთანხმებული, ქ. თბილისში, ... საერთო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შესაბამისად, ავტოსადგომების განლაგება.

8. 2012 წლის 4 ივნისის ამხანაგობის წევრთა საერთო კრების ოქმით ამხანაგობის სამშენებლო პროექტი შევიდა კორექტირება. 2012 წლის 7 აგვისტოს ამხანაგობის წევრთა საერთო კრების კორექტირებული ოქმის მიხედვით კვლავ დამტკიცდა სსიპ ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 16 თებერვლის №01/386 ბრძანებით შეთანხმებული, ქ. თბილისში, ... საერთო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შესაბამისად, ავტოსადგომების განლაგება.

9. ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის №298281 ბრძანებით განუხილველად იქნა დატოვებული თ. მ-ძის 2012 წლის 1 მაისის განცხადება. ამავე სამსახურის №324937

ბრძანებით დადასტურდა განხორციელებული მშენებლობის ქალაქგეგმარებით მოთხოვნებთან შესაბამისობა და მისი დასაშვებობა.

10. ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის №561413 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური ხარვეზი ქ. თბილისის მერიის სსიპ ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 11 თებერვლის №541279 ბრძანებაში და საერთო სასარგებლო ფართად დაფიქსირდა 10 446,15 კვ.მ.; ქალაქ თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2013 წლის 4 მარტის ბრძანებით საერთო სასარგებლო ფართად ასევე მიეთითა 10 446,15 კვ.მ., ნაცვლად 10 325,77 კვ.მ.-ისა.

11. 2011 წლის მდგომარეობით მომზადებული საჯარო რეესტრის ამონაწერის შესაბამისად, ქ. თბილისში, ... გარაჟების ფართად რეგისტრირებულია 1 928,00 კვ.მ.; ამონაწერით ირკვევა, რომ საერთო ჯამში 68 მშენებარე ავტოსადგომი არის რეგისტრირებული. 2014 წლის მდგომარეობით მომზადებული საჯარო რეესტრის ამონაწერიდან გამომდინარე, საერთო ფართად რეგისტრირებულია 10 446,15 კვ.მ., საიდანაც: ბინების საერთო ფართია – 4836 კვ.მ., მანსარდის ფართი – 1332,45 კვ.მ., აივნების ფართი – 288,4 კვ.მ., ტერასების ფართი – 406 კვ.მ., გარაჟების ფართი – 2019,76 კვ.მ., ხოლო მაღაზიებისა და ოფისების ფართი – 1563,51 კვ.მ.; ამასთან, ამონაწერში რეგისტრაცია უკვე ფიქსირდება 84 ავტოსადგომზე.

12. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 8 თებერვლის №24166 წერილის მიხედვით, უფლებათა რეესტრის ელექტრონული წიგნის მონაცემებით, უძრავ ნივთზე, მდებარე ქ. თბილისში, ..., რეგისტრირებულია 83 ავტოსადგომი.

13. მოსარჩელემ სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხის მიმართ და მოითხოვა:

13.1. მოპასუხისა და მისი ოჯახის უკანონო მფლობელობიდან მოსარჩელის საკუთრებაში არსებული, თბილისში, ... მდებარე უძრავი ქონების, №37 ავტოსადგომის, საკადასტრო კოდით №..., გამოთხოვა, მოპასუხისთვის დამონტაჟებული შლაგბაუმის მოხსნის დავალება და აღნიშნული უძრავი ქონების მესაკუთრისთვის ფაქტობრივ მფლობელობაში გადაცემა;

13.2. მოპასუხისთვის მოსარჩელის სასარგებლოდ ზიანის ანაზღაურების სახით, 2 400 ლარის, ასევე, 2015 წლის 1 მარტიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე ყოველთვიურად 200 ლარის გადახდის დაკისრება.

14. მოსარჩელის განმარტებით:

14.1. 2015 წლის აპრილის დასაწყისში მოსარჩელე ოჯახთან ერ-

თად ჩამოვიდა თბილისში და მის საკუთრებაში არსებულ №37 ავტოსადგომზე დახვდა მოპასუხის მიერ უკანონოდ დამონტაჟებული შლაგბაუმი. აღნიშნული ავტოსადგომით უკანონოდ სარგებლობდნენ მოპასუხე და მისი ოჯახის წევრები. მოპასუხე დღემდე უკანონოდ ფლობს და სარგებლობს მოსარჩელის საკუთრებაში არსებული ავტოსადგომით და არ ხსნის შლაგბაუმს;

14.2. ს. მ-ანი წარმოადგენდა ამხანაგობის წევრს და №37 ავტოსადგომის მესაკუთრედ საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია 2010 წლის 3 ნოემბრიდან. აღნიშნული ავტოსადგომის მდებარეობა იმთავითვე იყო განსაზღვრული და ის სწორედ მოპასუხის მიერ არის უკანონოდ დაკავებული. ამასთან, ს. მ-ანი ადასტურებს, რომ მას №37 ავტოსადგომის მის საკუთრებაში არსებობის პერიოდში არ გაუცია თანხმობა ავტოსადგომის მდებარეობის ან ნომრის ცვლილების შესახებ;

14.3. მოსარჩელეს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 8 თებერვლის №24166 წერილთან ერთად გადაეცა ავტოსადგომების სართულის გეგმა, ავტოსადგომების განთავსებისა და ფართების მითითებით. საჯარო რეესტრში დაცული სართულის გეგმარებით ცალსახად დასტურდება №37 ავტოსადგომის მდებარეობა და იგი ზუსტად შეესაბამება, როგორც მოსარჩელის მიერ შექმნილი ავტოსადგომის მდებარეობას, ასევე ს. მ-ანის ხელწერილზე თანდართული გეგმარებით გათვალისწინებულ მდებარეობას. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს განმარტებით, სარეესტრაციო მასალებში სხვა გეგმა არ არის წარდგენილი;

14.4. მოსარჩელეს სურდა, ავტოსადგომი გაექირავებინა და შემოსავლის სახით ყოველთვიურად მიეღო 200 ლარი, რაც მან ვერ განახორციელა მოპასუხის მიერ ავტოსადგომის უკანონოდ დაკავების გამო.

15. მოპასუხემ წარდგინილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ ქ. თბილისში, ... მდებარე საცხოვრებელი სახლის მინისქვეშა ავტოსადგომის მე-2 სართულზე, ამხანაგობის მიერ შეთანხმებული ავტოსადგომების განლაგების სქემის მიხედვით, სადავო ტერიტორიაზე, ორ კოლონას შორის, ურთიერთმომიჯნავედ იგი კანონიერად ფლობს ექვს ავტოსადგომს, კერძოდ, №42, №41, №33, №31, №30 და №29 ავტოსადგომებს.

16. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 11 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ.

17. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 30 ნოემბრის განჩინებით სააპელაციო სა-

ჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელი დარჩა გასაჩივრებული განწყვეტილება.

18. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია წინამდებარე განჩინების 1-12 პუნქტებში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები.

19. სააპელაციო პალატის განმარტებით, აღძრულია ვინდიკაციური სარჩელი. შესაბამისად, მისი საფუძვლიანობის შესამოწმებლად უნდა დადგინდეს შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: 1. მოსარჩელე უნდა იყოს ნივთის მესაკუთრე; 2. მოპასუხე უნდა იყოს ნივთის მფლობელი; 3. მოპასუხეს არ უნდა ჰქონდეს ამ ნივთის ფლობის უფლება. იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება სამივე გარემოების არსებობა, სარჩელი საფუძვლიანია.

20. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ მხარეთა შორის სადავო იყო მოპასუხის მიერ სადავო ავტოსადგომის ფლობის ფაქტი, რაც მოსარჩელის მტკიცების საგანში შემავალ გარემოებას და მისი მტკიცების ტვირთს წარმოადგენდა. პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა, რომ საქმის მასალებით დადასტურებული არ იყო მოპასუხის მიერ მოსარჩელის კუთვნილი სადავო ავტოსადგომის ფლობის ფაქტი. საქმეში არსებული ფოტოსურათებით, ასევე თავმჯდომარის განცხადებით დადასტურებული იყო, რომ მოპასუხე რეალურად ფლობდა მის საკუთრებაში არსებულ ექვს ავტოსადგომს და მოსარჩელეს მშენებარე ავტოსადგომი საკუთრებაში გადაეცა ექსპლუატაციაში შესვლამდე, რამაც ადგილმდებარეობის შეცვლა გამოიწვია. დადგენილი იყო, რომ 2011 წლის მდგომარეობით 68 ავტოსადგომი ირიცხებოდა, 2014 წელს კი ეს რიცხვი 84-მდე გაიზარდა და, ვინაიდან მოსარჩელეს სადავო ავტოფარეხი საცხოვრებელი კორპუსის ექსპლუატაციაში შესვლამდე ჰქონდა შექმნილი, ექსპლუატაციაში შესვლის შემდგომ არსებული მდგომარეობით ველარ ადასტურებდა იმ ფაქტს, რომ სწორედ შლაგბაუმის ადგილას მდებარეობდა მისი ავტოსადგომი, რომელსაც მოპასუხე ფლობდა.

21. სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა სსკ-ის 170.1. და 172.1 მუხლებით და დაასკვნა, რომ სახეზე არ იყო ვინდიკაციური სარჩელის დაკმაყოფილებისათვის საჭირო ფაქტობრივი შემადგენლობა, კერძოდ, არ დასტურდებოდა მოპასუხის მიერ სადავო ნივთის ფლობა. გამომდინარე აქედან, არ არსებობდა ასევე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით აღძრული სარჩელის დაკმაყოფილების წინამძღვრები.

22. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე მოსარჩელემ შეიტანა საკასაციო საჩივარი და მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკ-

მაყოფილება.

23. საკასაციო საჩივარი ემყარება შემდეგ საფუძვლებს:

23.1. სააპელაციო სასამართლომ არასწორად არ მიიჩნია დადგენილად ის გარემოება, რომ მოსარჩელის საკუთრებაში არსებული №37 ავტოსადგომი სწორედ იმ ადგილზე მდებარეობს, რომელიც მონინაალმდეგე მხარეს აქვს თვითნებურად დაკავებული და, სადაც შლაგბაუმი აქვს მოწყობილი. სასამართლომ შეფასების გარეშე დატოვა საქმეში არსებული ისეთი მნიშვნელოვანი მტკიცებულება, როგორც არის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 8 თებერვლის №24166 ცნობა და მისი დანართი – ავტოსადგომების გეგმა. მოცემულ წერილში საჯარო რეესტრმა ცალსახად დააფიქსირა, რომ დანართის სახით წარმოდგენილი ავტოსადგომის გეგმა წარმოადგენს არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 16 თებერვლის №01/386 ბრძანებით შეთანხმებული პროექტიდან ავტოსადგომის გეგმას და, რომ სხვა გეგმა ავტოსადგომების განთავსებისა და ფართების მითითებით სარეგისტრაციო მასალებში წარდგენილი არ არის. აღნიშნული გეგმარებით დასტურდება №37 ავტოსადგომის მდებარეობა/ადგილი, რომელიც მონინაალმდეგე მხარეს თვითნებურად აქვს დაკავებული. აღნიშნულ წერილში მითითებული არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 16 თებერვლის №01/386 ბრძანება სწორედ ის ბრძანებაა, რომელსაც თავად მოპასუხე მხარე უთითებდა და ამტკიცებდა, რომ ამ ბრძანებით შეთანხმდა ის კორექტირებული პროექტი, რომლითაც ავტოსადგომების გეგმარებაში ცვლილებები შევიდა. თავად მოპასუხემ არაერთხელ და არაერთი მტკიცებულებით დაადასტურა, რომ ავტოსადგომების საბოლოო გეგმა შეთანხმებულ იქნა არქიტექტურის სამსახურის სწორედ 2012 წლის 16 თებერვლის №01/386 ბრძანებით. კერძოდ, მონინაალმდეგე მხარემ საქმეში წარმოადგინა ამხანაგობის 2012 წლის 15 თებერვლის კრების ოქმი (დამონმებული 2012 წლის 18 თებერვალს), რომელშიც აღნიშნულია, რომ არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 16 თებერვლის №01/386 ბრძანებით შეთანხმებული კორექტირებული პროექტის საფუძველზე ავტოსადგომის ფართებზე უნდა განხორციელდეს საჯარო რეესტრში ამხანაგობის საკუთრების უფლების რეგისტრაცია. ასევე წარმოდგენილ იქნა 2012 წლის 7 აგვისტოს ამხანაგობის კრების ოქმი, დამონმებული 2012 წლის 8 აგვისტოს, რომლითაც ამხანაგობამ დაამტკიცა არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 16 თებერვლის №01/386 ბრძანებით შეთანხმებული კორექტირებული პროექტის შესაბამისად ავტოსადგომების განლაგება. სწორედ ამავე ბრძანების საფუძველზე, 2012 წლის 29 აგვისტოს ექსპლუატაციაში იქნა მიღებული განხორციელებული

მშენებლობა. თუმცა, არც პირველი ინსტანციის სასამართლოს და არც სააპელაციო სასამართლოს აღნიშნულისთვის ყურადღება არ მიუქცევია. შესაბამისად, სასამართლოს №37 ავტოსადგომის მდებარეობის დასადგენად უნდა ეხელმძღვანელა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული იმ გეგმარებით, რომელიც არქიტექტურის სამსახურთან იქნა შეთანხმებული (16/02/2012წ. №01/386 ბრძანება) და, რომელსაც თავად მოპასუხე მხარეც ადასტურებს;

23.2. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 16 თებერვლის №01/386 ბრძანებით შეთანხმდა კორექტირებული პროექტი და, რომ ამხანაგობის 2012 წლის 15 თებერვლის კრების ოქმითა და ასევე 2012 წლის 7 აგვისტოს კრებით ოქმით დამტკიცდა შეთანხმებული კორექტირებული პროექტის შესაბამისად ავტოსადგომების განლაგება. თუმცა, ამის მიუხედავად, აღნიშნავს, რომ მხარეთა შორის სადავოა მოპასუხის მიერ ავტოსადგომის ფლობის ფაქტი. თუკი სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 16 თებერვლის №01/386 ბრძანებით შეთანხმებული იქნა კორექტირებული პროექტი, რომელიც ამხანაგობის მიერ კრების ოქმებით იქნა დამტკიცებული, გაუგებარია, რატომ არ/ვერ აქცევს ყურადღებას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 8 თებერვლის წერილს და მის დანართს, რომლითაც ცალსახად დასტურდება, რომ წარმოდგენილი გეგმა სწორედ იგივე არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 16 თებერვლის №01/386 ბრძანებით შეთანხმებული ავტოსადგომის გეგმაა. აღნიშნული ბრძანებით შეთანხმებული პროექტით კი დასტურდება მოსარჩელის საკუთრებაში არსებული №37 ავტოსადგომის მდებარეობა, რომელსაც ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე დღემდე ფლობს მოპასუხე და მისი ოჯახი, რაც სასამართლო განხილვისას არაერთხელ დაადასტურა, თუმცა მოცემულ ადგილს მოიხსენებდა სხვა ნომრის სადგომად. შესაბამისად, სასამართლო მოცემული გარემოებების დადგენით ადასტურებს, რომ მხარეთა შორის სადავო არის არა სადავო ავტოსადგომის ფლობის ფაქტი, არამედ მოცემულ ადგილზე №37 ავტოსადგომის არსებობის გარემოება. ამდენად, სასამართლომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები არ შეაფასა ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად;

23.3. სასამართლომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 8 თებერვალს გაცემული №24166 ცნობით დაადგინა, რომ რეგისტრირებულია 83 ავტოსადგომი. ასევე, დადგენილად მიიჩნია, რომ 2014 წელს ეს რიცხვი 84-მდე გაიზარდა და, ვინაიდან მოსარჩელეს საცხოვრებელი კორპუსის ექსპლუატაციაში შეს-

ვლამდე ჰქონდა შეძენილი სადავო ავტოფარეხი, ექსპლუატაციაში შესვლის შემდგომ არსებული მდგომარეობით ველარ ადასტურებდა იმ ფაქტს, რომ სწორედ შლაგბაუმის ადგილზე მდებარეობდა მისი ავტოსადგომი, რომელსაც მოპასუხე ფლობდა. მოცემულ გარემოებებს მნიშვნელობა არ აქვს საქმის გადაწყვეტისთვის, რადგან ავტოსადგომების რაოდენობის ცვლილება ვერ და არ შეიძლება ინვესტის საკუთრებაში რეგისტრირებული უძრავი ქონების მდებარეობის ან/და ნუმერაციის ცვლილებას, ამავე უძრავი ქონების მესაკუთრის თანხმობის ან/და ადმინისტრაციულ წარმოებაში დაინტერესებულ პირად ჩართვის გარეშე. ამასთან, ავტოსადგომების რაოდენობა, მისი მესაკუთრის ნების შემთხვევაში, შეიძლება შეიცვალოს ნებისმიერ დროს, მათი დაყოფის ან/და თუნდაც გაერთიანების გზით, რაც, რა თქმა უნდა, ვერ შეცვლის სხვა უძრავი ქონების მდებარეობას ან/და ნუმერაციას. აღსანიშნავია, რომ არც კასატორს და არც №37 ავტოსადგომის წინა მესაკუთრეებს არ გაუციათ მსგავსი თანხმობა. სასამართლოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 8 თებერვლის წერილითა და მისი დანართით – ავტოსადგომის გეგმარებით, რომელიც არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 16 თებერვლის №01/386 ბრძანებით არის შეთანხმებული, უნდა დაედგინა №37 ავტოსადგომის ის მდებარეობა, რომელიც მოპასუხეს თვითნებურად აქვს დაკავებული. მოპასუხემ კი ვერ წარმოადგინა საინინალმდეგოს დამადასტურებელი ვერცერთი მტკიცებულება. პირიქით, თავად მოპასუხე უთითებდა არქიტექტურის სამსახურის იმავე ბრძანებაზე, რომლის საფუძველზე შეთანხმებული ავტოსადგომების გეგმა წერილთან ერთად გასცა საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ;

23.4. ამას გარდა, სასამართლომ არასწორად დაადგინა, რომ 2014 წლის მდგომარეობით ავტოსადგომების რიცხვი 84-მდე გაიზარდა, რადგან საქმეში წარმოდგენილი 2014 წლის 19 მაისს მომზადებული ერთიანი ამონაწერით დასტურდება, რომ რეგისტრირებული ავტოსადგომების ჯამური რაოდენობა 83-ს შეადგენს. 2014 წლის მდგომარეობით 83 ავტოსადგომის რეგისტრაციის ფაქტს ადასტურებს მონინალმდეგე მხარეც სააპელაციო შესაგებელში. ამასთან, ნომრით 84 ავტოსადგომის არსებობა ვერ შეცვლის იმ უდავო ფაქტს, რომ 2014 წლის მდგომარეობით (რაც უცვლელი აღმოჩნდა 2016 წლის 6 თებერვალს) რეგისტრირებული ავტოსადგომების რაოდენობაა 83;

23.5. სასამართლოს ასევე მხედველობიდან გამოორჩა ის მნიშვნელოვანი გარემოება, რომ მოპასუხესაც, კასატორის მსგავსად, მის საკუთრებაში რეგისტრირებული ავტოსადგომები შეძენილი აქვს საცხოვრებელი სახლის ექსპლუატაციაში შესვლამდე;

23.6. სააპელაციო სასამართლომ არასწორად მიიჩნია დადგენილად, რომ მოპასუხე რეალურად ფლობს მის საკუთრებაში არსებულ 6 ავტოსადგომს, რადგან თავად მოპასუხემ არაერთხელ განაცხადა, რომ მითითებულ ადგილზე ფიზიკურად არ ეტევა 6 ავტომანქანა;

23.7. მოპასუხის მიერ იმის დადასტურების მიუხედავად, რომ ავტოსადგომის სართულის საბოლოო გეგმარება სწორედ არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 16 თებერვლის №01/386 ბრძანებით შეთანხმებული გეგმარება იყო (რომელიც გაცემულია საჯარო რეესტრის მიერ 2016 წლის 8 თებერვალს), მან საქმეში წარმოადგინა განსხვავებული გეგმარებები, თუმცა, გაუგებარი დარჩა, საიდან იქნა ის მოპოვებული, რომელი ორგანოს მიერ იქნა გაცემული, ხოლო რამდენიმე გეგმარება თავად მოწინააღმდეგე მხარის მიერ არის შედგენილი და მასსა და მესამე პირს შორის გაფორმებული იჯარის ხელშეკრულების დანართია. კასატორი, როგორც პირველი ინსტანციის სასამართლოში, ასევე სააპელაციო სასამართლოში, მუდმივად ამახვილებდა ყურადღებას აღნიშნულ საკითხზე, თუმცა სასამართლომ წარმოდგენილი მტკიცებულებები არ განიხილა ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად;

23.8. სსსკ-ის 102.3 მუხლის თანახმად, საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით. სწორედ ასეთი მტკიცებულებაა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 2016 წლის 8 თებერვალს გაცემული №24166 ცნობა, რადგან საჯარო რეესტრის მონაცემების მიმართ მოქმედებს უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია. თუმცა, სასამართლომ საერთოდ არ გამოიყენა სსკ-ის 312-ე მუხლი, რომელიც უნდა გამოეყენებინა მოცემული დავის განხილვისას;

23.9. მოცემულ შემთხვევაში არსებობს ვინდიკაციური სარჩელის დაკმაყოფილების აბსოლუტურად ყველა წინაპირობა. კერძოდ: ა) კასატორი წარმოადგენს №37 ავტოსადგომის მესაკუთრეს; ბ) მოწინააღმდეგე მხარე ფლობს და სარგებლობს კასატორის კუთვნილი ავტოსადგომით და ამას თავად ადასტურებს; გ) მოწინააღმდეგე მხარეს არ გააჩნია ამ ნივთის ფლობის უფლება. მხარეთა შორის სადავო იყო მხოლოდ №37 ავტოსადგომის მდებარეობა და სწორედ ეს საკითხი უნდა დაედგინა სასამართლოს, თუმცა აღნიშნულთან დაკავშირებით საერთოდ არ უმსჯელია;

23.10. გასაჩივრებული განჩინებით დგინდება, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმე სათანადოდ არ განიხილა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში დაეყრდნო არა წარმოდგენილ მტკიცებუ-

ლებებს და მხარეთა ახსნა-განმარტებებს, არამედ – მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოს დასაბუთებას, რომელიც თავისთავად ასევე არ იყო იურიდიულად საკმარისად დასაბუთებული და მასში მითითებული იყო არაერთი ფაქტობრივი უსწორობა. შესაბამისად, სააპელაციო პალატის მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების ტექსტის კოპირება ვერ ჩაითვლება დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების მოთხოვნის დაკმაყოფილებად.

24. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 23 მაისის განჩინებით მოსარჩელის საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი, სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

სამოტივაციო ნაწილი:

25. საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის არსებითად განხილვისა და მტკიცებულებათა ერთობლივად გაანალიზების შედეგად მიიჩნევს, რომ მოსარჩელის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

26. საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამონმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში [სსსკ-ის 404.1 მუხლის პირველი წინადადება]. საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები. სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება) [სსსკ-ის 407-ე მუხლი].

27. მოსარჩელის ძირითადი სასარჩელო მოთხოვნა – მოპასუხის უკანონო მფლობელობიდან მოსარჩელის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების გამოთხოვა, ეფუძნება სსკ-ის 172.1 მუხლს, რომლის თანახმად, მესაკუთრეს შეუძლია მფლობელს მოსთხოვოს ნივთის უკან დაბრუნება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მფლობელს ჰქონდა ამ ნივთის ფლობის უფლება. შესაბამისად, ვინდუკაციური სარჩელის დაკმაყოფილებისათვის უნდა არსებობდეს შემდეგი წინაპირობები: ა) მოსარჩელე უნდა იყოს მესაკუთრე, ბ) მოპასუხე უნდა იყოს ნივთის მფლობელი და გ) მოპასუხეს არ უნდა ჰქონდეს ამ ნივთის ფლობის უფლება.

28. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორმა სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებასთან მიმართებით, რომელიც ეხება მოპასუხის მიერ მოსარჩელის კუთვნილი სადავო ავტოსადგომის ფლობის არარსებობის ფაქტს, წარმოადგინა ნაწილობრივ დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

29. კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო პალატამ სადავო ფაქტობრივი გარემოება საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებათა შეფასების წესის დარღვევით დაადგინა. საკასაციო საჩივრის თანახმად, სააპელაციო სასამართლომ შეფასების გარეშე დატოვა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 2016 წლის 8 თებერვალს გაცემული №24166 ცნობა და მისი დანართი – ავტოსადგომების გეგმა. კასატორის განმარტებით, აღნიშნული მტკიცებულებით დასტურდება №37 ავტოსადგომის მდებარეობა/ადგილი, რომელიც მოწინააღმდეგე მხარეს თვითნებურად აქვს დაკავებული.

30. საკასაციო პალატა ნაწილობრივ იზიარებს კასატორის პრეტენზიას და მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს საქმის გადასაწყვეტად არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტი (მოპასუხის მიერ მოსარჩელის კუთვნილი სადავო ავტოსადგომის ფლობის არარსებობის გარემოება) სათანადოდ არ აქვს გამოკვლეული.

31. სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. მოსაზრებები, რომლებიც საფუძვლად უდევს სასამართლოს შინაგან რწმენას, უნდა აიხსნოს გადაწყვეტილებაში [სსსკ-ის 105-ე მუხლი].

32. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მტკიცებულებათა შეფასება სათანადოდ მოტივირებული და დამაჯერებელი უნდა იყოს. მტკიცებულებათა შეფასება ეფუძნება შეჯიბრებითობის ფარგლებში მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას და არა – სასამართლოს სუბიექტურ მოსაზრებებს. სასამართლო ობიექტურ საწყისებზე მტკიცებულებათა ყოველმხრივი და სრული გამოკვლევის შედეგად ადგენს მათ იურიდიულ ძალას, კერძოდ, განსაზღვრავს თუ რა გარემოების დადგენა ან პირიქით, უარყოფაა შესაძლებელი. აქ, უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება მტკიცებულებათა შეფასება მათი უტყუარობის თვალსაზრისით, რისთვისაც საჭიროა ამ მტკიცებულებათა ყოველმხრივი შემოწმება, მათი დაპირისპირება საქ-

მეში არსებულ სხვა მტკიცებულებებთან. მტკიცებულებათა შეფასებას კი პროცედურულად მოჰყვება საქმის ფაქტობრივი გარემოებების დადგენა.

33. დადგენილია, რომ უძრავი ნივთი, კერძოდ, ქ. თბილისში, ..., სართული 2-ზე მდებარე ავტოსადგომი №37 (მშენებარე), ფართით 18.00 კვ.მ., საკადასტრო კოდით №..., საკუთრების უფლებით დარეგისტრირდა მოსარჩელის სახელზე.

34. დადგენილია ასევე, რომ უძრავ ქონებაში, მდებარე ქ. თბილისში, ... მოპასუხე საკუთრების უფლებით ფლობს №42, №41, №33, №31, №30 და №29 ავტოსადგომებს, საკადასტრო კოდებით: №...; №...; №...; №... და №....

35. სარჩელის თანახმად, მოპასუხე უკანონოდ ფლობს მოსარჩელის საკუთრებაში არსებულ ავტოსადგომს და არ ხსნის შლაგბაუმს. მოსარჩელეს №37 ავტოსადგომის მდებარეობის დასადასტურებლად სარჩელზე თანდართული აქვს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 8 თებერვალს გაცემული №24166 წერილი, რომლის თანახმად, უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრის ელექტრონული ნიგნის მონაცემებით უძრავ ნივთზე მდებარე: ქალაქი თბილისი, ... (მინის საკადასტრო კოდი: ...) რეგისტრირებულია 83 ავტოსადგომი. აღნიშნული წერილის თანახმად, სააგენტო წერილის ადრესატს უგზავნის ავტოსადგომებზე საკუთრების უფლების პირველადი რეგისტრაციის საფუძვლებსა და 16.02.2012 წლის არქიტექტურის სამსახურის №01/386 ბრძანებით შეთანხმებული პროექტიდან ავტოსადგომების გეგმის ასლს. აგრეთვე, აცნობებს, რომ სხვა გეგმა ავტოსადგომების განთავსებისა და ფართების მითითებით სარეგისტრაციო მასალებში წარდგენილი არ არის. წერილს თან ახლავს ზემოაღნიშნული გეგმის ასლი, რომელშიც ასახულია №37 ავტოსადგომის მდებარეობა.

36. მოპასუხეს სარჩელისაგან თავის დასაცავად წარმოდგენილი აქვს ავტოსადგომების განსხვავებული გეგმა, რომელშიც №37 ავტოსადგომის ადგილმდებარეობა არ ემთხვევა მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ გეგმაში მოცემულ №37 ავტოსადგომის მდებარეობას.

37. თუმცა, საყურადღებოა ის გარემოება, რომ ამხანაგობამ ავტოსადგომების განლაგება დაამტკიცა სსიპ ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 16 თებერვლის №01/386 ბრძანებით შეთანხმებული კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შესაბამისად (იხ. წინამდებარე განჩინების მე-7 და მე-8 პუნქტები).

38. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მხარეთა მიერ წარმოდგენილი ავტოსადგომების განსხვავებული გეგმების პირობებში, სა-

აპელაციო სასამართლო ვალდებული იყო ერთობლიობაში შეეფასებინა, ერთმანეთისთვის შეედარებინა და გამოეკვლია ორივე მტკიცებულება და მხოლოდ ამის შემდეგ დაედგინა სადავო გარემოება. თუმცა, სააპელაციო პალატამ მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 2016 წლის 8 თებერვალს გაცემული №24166 წერილით, რომელსაც თან ერთვოდა 2012 წლის 16 თებერვლის არქიტექტურის სამსახურის №01/386 ბრძანებით შეთანხმებული პროექტიდან ავტოსადგომების გეგმის ასლი, მხოლოდ ავტოსადგომების რაოდენობა დაადგინა (იხ. წინამდებარე განჩინების მე-12 პუნქტი) და საერთოდ შეფასების გარეშე დატოვა როგორც თანდართული ავტოსადგომების გეგმა, ასევე წერილის ის ნაწილი, რომლის თანახმად, სხვა გეგმა ავტოსადგომების განთავსებისა და ფართების მითითებით სარეგისტრაციო მასალებში წარდგენილი არ ყოფილა. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 2016 წლის 8 თებერვალს გაცემული №24166 წერილი და მისი დანართი – 2012 წლის 16 თებერვლის არქიტექტურის სამსახურის №01/386 ბრძანებით შეთანხმებული პროექტიდან ავტოსადგომების გეგმის ასლი მოპასუხის მიერ წარმოდგენილ ავტოსადგომების გეგმასთან და ასევე საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად უნდა გამოიკვლიოს და შეაფასოს.

39. ამასთან, საკასაციო პალატა სადავო ფაქტობრივი გარემოების დადგენისთვის საკმარისად არ თვლის მხოლოდ საქმეში წარმოდგენილ წერილობით მტკიცებულებათა გამოკვლევა-შეფასებას და მიიჩნევს, რომ აღნიშნულის პარალელურად სააპელაციო სასამართლომ სსსკ-ის 120-ე მუხლის საფუძველზე [სასამართლოს, მხარეთა მოთხოვნით ან თავისი ინიციატივით, შეუძლია დაადგინოს იმ ნივთიერი და წერილობითი მტკიცებულებების ადგილზე დათვალიერება და გამოკვლევა, რომელთა წარდგენაც სასამართლოში ამა თუ იმ მიზეზის გამო შეუძლებელია], საკუთარი ინიციატივით ადგილზე უნდა დაათვალიეროს და გამოიკვლიოს მოსარჩელის კუთვნილი №37 ავტოსადგომის ადგილმდებარეობისა და მოპასუხის მიერ აღნიშნული ავტოსადგომის ფლობის არსებობის/არარსებობის ფაქტობრივი გარემოება.

40. საკასაციო პალატა იზიარებს ასევე კასატორის მითითებას სააპელაციო სასამართლოს განჩინების დაუსაბუთებლობასთან დაკავშირებით და განმარტავს, რომ მართლმსაჯულება სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოტანით ხორციელდება. სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთების ვალდებულება დაკავ-

შირებულის სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპთან. სამართლებრივი სახელმწიფოს ნებისმიერი მოქმედება, რომელიც მიმართულია პირის რომელიმე უფლების შეზღუდვისკენ, საჭიროებს დასაბუთებას. თუ სასამართლო არ ასაბუთებს თავის გადაწყვეტილებას ან ასაბუთებს არასაკმარისად, მაშინ შეუძლებელია მიღებული გადაწყვეტილების გადამონმება. ამასთან, აღნიშნული გადაწყვეტილება ფაქტობრივადაც და იურიდიულადაც დასაბუთებული უნდა იყოს. უპირველეს ყოვლისა კი, ნაგებულმა მხარემ უნდა იცოდეს, თუ რა გადაწყვეტილება მიიღო სასამართლომ მის წინააღმდეგ და რა საფუძვლით, რა კონკრეტულ ფაქტებზე, მტკიცებულებებსა და არგუმენტებზე დაყრდნობით, სხვაგვარად მის მიმართ არ იქნება განხორციელებული ეფექტიანი მართლმსაჯულება (იხ. სუსგ №ას-730-698-2016, 7 აპრილი, 2017 წელი).

41. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არაერთ გადაწყვეტილებაში უთითებს, რომ ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა პასუხობდეს მხარის მიერ სამართლებრივ და პროცედურულ საკითხებთან დაკავშირებით წარმოდგენილი არგუმენტების ძირითად ასპექტებს (იხ. გადაწყვეტილება საქმეზე Ruiz Torija v. Spain, §§ 29-30). შესაბამისად, უფლება მოსმენაზე მოიცავს არა მხოლოდ სასამართლოს წინაშე არგუმენტების წარდგენის შესაძლებლობას, არამედ სასამართლოს ვალდებულებას, გადაწყვეტილების დასაბუთებაში მიუთითოს მიზეზები, რომელთა საფუძველზეც გაიზიარა ან უარყო შესაბამისი არგუმენტები. სასამართლომ შეიძლება აუცილებლად არ მიიჩნიოს იმგვარ არგუმენტებზე პასუხის გაცემა, რომლებიც აშკარად არარელევანტური, დაუსაბუთებელი ან სხვაგვარად დაუშვებელია, მსგავსი არგუმენტების მიმართ არსებული სამართლებრივი დებულებების ან მყარად დადგენილი სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე, თუმცა, ყველა გადაწყვეტილება უნდა იყოს ნათელი და საქმეში მონაწილე მხარეებს შესაძლებლობას უნდა აძლევდეს გაიგონ, თუ რატომ გაითვალისწინა სასამართლომ მხოლოდ კონკრეტული გარემოებები და მტკიცებულებები (იხ. გადაწყვეტილება საქმეზე Seryavin and Others v. Ukraine §§ 55-62). სასამართლოს აქვს ვალდებულება, სათანადოდ იმსჯელოს მხარეთა მიერ წარდგენილ დოკუმენტებზე, არგუმენტებსა და მტკიცებულებებზე (იხ. Kraska v. Switzerland, §30; Van de Hurk v. the Netherlands, §59; Perez v. France, §80) (იხ. სუსგ №ას-930-2019, 3 ოქტომბერი, 2019 წელი).

42. სსსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

ბელია.

43. მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევით, რაც გამოიხატა მტკიცებულებათა შეფასების წესის დარღვევაში, რის გამოც გასაჩივრებელი განჩინების დასაბუთება არასრულია და სამართლებრივი საფუძვლიანობის შემონმება კი – შეუძლებელი. აღნიშნულის გამო, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს.

44. სსსკ-ის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ: ა) საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა; ბ) არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა.

45. მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან სახეზეა მტკიცებულებათა ხელახალი გამოკვლევის აუცილებლობა, საკასაციო სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას თავად მიიღოს გადაწყვეტილება დავაზე, ხოლო სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას, მტკიცებულებათა ყოველმხრივი, სრული და ობიექტური განხილვისა და ადგილზე დათვალიერების შედეგად უნდა დაადგინოს დავის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოება, კერძოდ, მოპასუხის მიერ მოსარჩელის კუთვნილი სადავო ავტოსადგომის ფლობის არსებობის ან არარსებობის ფაქტი და ამ გარემოების შესაბამისად გადაწყვიტოს სარჩელის საფუძვლიანობა.

46. სსსკ-ის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განეულება ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქმის ხელახლა განხილვისას, სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი უნდა გადაწყდეს შემავამებელი გადაწყვეტილების გამოტანისას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს საოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

დაადგინა:

1. ლ. გ-ას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 30 ნოემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

აღიარება

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ას-1659-2018

23 ივლისი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ე. გასიტაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. ამბროლაურის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 11 მაისის გადაწყვეტილებით სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს (შემდეგში: მოსარჩელე, სააგენტო, მეიჯარე, პირველი აპელანტი ან კასატორი) სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ;

2. ზ. კ-ქს (შემდეგში: მოპასუხე, მოიჯარე ან მეორე აპელანტი) სააგენტოს სასარგებლოდ, 2015 წლის 7 ივლისს დადებული იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე საიჯარო ქირის 4839,91 (2015 წლის საიჯარო ქირა – 2834,33+2016 წლის საიჯარო ქირა 2005,58 ლარი) ლარის გადახდა დაეკისრა;

3. ამავე გადაწყვეტილებით მოპასუხეს, მოსარჩელის სასარგებლოდ, იჯარის ხელშეკრულებიდან გამომდინარე პირგასამტეხლო – 300 ლარი დაეკისრა; ასევე, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, სახელმწიფო ბაჟის – 154,20 (ას ორმოცდაათოთხმეტი ლარი და ოცი თეთრი) ლარის გადახდა.

4. სააგენტოსა და მოპასუხეს შორის, 2015 წლის 07 ივლისს, გა-

ფორმდა იჯარის ხელშეკრულება, რომლის მიხედვით, მეიჯარემ მის საკუთრებაში არსებული, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ... მდებარე 219216.00 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდი ... მოიჯარეს 15 წლის ვადით, სარგებლობაში გადასცა.

5. იჯარის ხელშეკრულების 2.1 პუნქტის თანახმად, მოიჯარის მიერ ქონებით სარგებლობისათვის გადასახდელი ყოველწლიური საიჯარო ქირა 6050 ლარს შეადგენს; 2.2 პუნქტის საფუძველზე მოიჯარის მიერ ბე-ს სახით გადახდილი 1375 ლარი საბოლოო ანგარიშსწორებისას ჩაითვლება; 2.3 პუნქტის მიხედვით, მოიჯარე ქონებით სარგებლობისათვის ყოველწლიურად იხდის საიჯარო ქირას, ყოველი წლის 31 დეკემბრამდე, მეიჯარის საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვის გზით;

6. იჯარის ხელშეკრულების 3.1.1. პუნქტის მიხედვით, მოიჯარე ვალდებულია, უზრუნველყოს ხელშეკრულებით გადაცემულ ქონებაზე ყოველი წლის დეკემბრის თვეში საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსათვის ინფორმაციის წარდგენა ხელშეკრულების №2 დანართის შესაბამისად; ხელშეკრულების 6.2. პუნქტი განსაზღვრავს საიჯარო ქირის გადაუხდელობის შემთხვევაში მოიჯარისათვის პირგასამტეხლოს დაკისრებას გადაუხადელი თანხის 0.1%-ის ოდენობით, დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე; 6.3. პუნქტის მიხედვით – ხელშეკრულების 3.1.1. მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მოიჯარეს ეკისრება პირგასამტეხლო 500 ლარის ოდენობით; ხოლო 6.6. პუნქტით, მოიჯარის მიერ, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების განმეორებით (დამატებით ვადაში) შეუსრულებლობის და/ან დაწესებულ ვადაში, პირგასამტეხლოს გადაუხდელობის შემთხვევაში, მეიჯარეს უფლება აქვს ცალმხრივად მოშალოს ხელშეკრულება. ამ შემთხვევაში, მოიჯარეს არ აუნაზღაურდება მის მიერ განეული დანახარჯები;

7. ხელშეკრულების 7.1.2. პუნქტის მიხედვით, ხელშეკრულებაწყდება მეიჯარის მიერ ამ ხელშეკრულების 6.6. მუხლით განსაზღვრული ხელშეკრულების მოშლის უფლების განხორციელების შემთხვევაში;

8. სააპელაციო სამართალწარმოების ეტაპი

8.1. ამბროლაურის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 11 მაისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს როგორც მეიჯარემ (პირველი აპელანტი), ისე – მოიჯარემ (მეორე აპელანტი).

8.2. პირველმა აპელანტმა მოითხოვა რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების იმ ნაწილის შეცვლა, რომლითაც არ დაკმაყოფილდა მისი სასარჩელო მოთხოვნა და შესაბამისად – სარჩელის

სრულად დაკმაყოფილება;

8.3. მეორე აპელანტმა მოითხოვა რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების იმ ნაწილის გაუქმება, რომლითაც ნაწილობრივ დაკმაყოფილდა მეიჯარის სარჩელი და შესაბამისად – სარჩელის სრულად უარყოფა.

9. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და დასკვნები

9.1. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილებით მეიჯარისა და მოიჯარის სააპელაციო საჩივრები ნაწილობრივ დაკმაყოფილდა;

9.2. გაუქმდა ამბროლაურის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 11 მაისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება;

9.2.1. სააგენტოს (პირველი აპელანტი, მეიჯარე) სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მეიჯარის სასარგებლოდ მოიჯარეს დაეკისრა 4725 ლარის გადახდა (საიდანაც საიჯარო ქირა არის 4675 ლარი და პირგასამტეხლო – 50 ლარი);

9.2.2. მოიჯარეს, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრა სახელმწიფო ბაჟი 141,75 ლარი.

9.3. სააპელაციო სასამართლომ წინამდებარე გადაწყვეტილების 4-7 ქვეპუნქტებში ასახულ ფაქტობრივ გარემოებებზე მიუთითა და დამატებით აღნიშნა:

9.3.1. დადგენილია, რომ მოიჯარეს მხარეთა შორის დადებული 2015 წლის 7 ივლისის ხელშეკრულებით განსაზღვრული საიჯარო ქირა არ გადაუხდია, რითაც დაირღვა აღნიშნული ხელშეკრულება; მოიჯარის მიერ საიჯარო ქირის გადაუხდელობის გამო, მას მეიჯარის 2016 წლის 17 მარტის №13/12594 წერილით ეცნობა, რომ დაერიცხა პირგასამტეხლო და ეთხოვა ამ წერილის მიღებიდან 5 დღის ვადაში გადაეხადა საიჯარო ქირა და პირგასამტეხლო, წარედგინა მისი გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, წინააღმდეგ შემთხვევაში, გატარებული იქნებოდა კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები. მითითებული წერილი მოიჯარეს 22.03.2016 წელს პირადად ჩაჰბარდა;

9.3.2. მეიჯარის 2016 წლის 29 ივლისის №13/39091 წერილით მოიჯარეს განმეორებით ეცნობა, რომ გადასახდელად ეკისრებოდა საიჯარო ქირა – 6050 ლარი, რომელიც წერილის ჩაბარებიდან 5 დღის ვადაში უნდა გადაეხადა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ვადამდე შეწყდებოდა ხელშეკრულება, ამასთანავე ეცნობა, რომ ხელშეკრულების შეწყვეტა მოიჯარეს არ ათავისუფლებდა საიჯარო ქირისა და პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულებისაგან;

9.3.3. მეიჯარის 2016 წლის 9 დეკემბრის №1/3-1163 ბრძანებით, ცალმხრივად მოიშალა სააგენტოსა და მოიჯარეს შორის გაფორმებული 2015 წლის 7 ივლისის იჯარის ხელშეკრულება;

9.3.4. სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2015 წლის 29 დეკემბრის №7902/01 წერილით დასტურდება, რომ 2015 წლის 7 ივლისს გაფორმებული იჯარის ხელშეკრულების შესაბამისად, მოიჯარემ წარადგინა ინფორმაცია სოფლის მეურნეობის სამინისტროში, შემდგომში სააგენტოს ინფორმირების მიზნით.

9.4. მოცემული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლო ნაწილობრივ დაეთანხმა და გაიზიარა აპელანტების ფაქტობრივი და სამართლებრივი შეფასებები და აღნიშნა, რომ ამბროლაურის რაიონული სასამართლომ სწორად არ შეაფასა საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებები;

9.5. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში: სსკ) 581-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იჯარის ხელშეკრულებით, მეიჯარე მოვალეა გადასცეს მოიჯარეს განსაზღვრული ქონება დროებით სარგებლობაში და საიჯარო დროის განმავლობაში, უზრუნველყოს ნაყოფის მიღების შესაძლებლობა, თუ იგი მიღებულია მეურნეობის სწორი გაძღოლის შედეგად, შემოსავლის სახით. მოიჯარე მოვალეა გადაუხადოს მეიჯარეს დათქმული საიჯარო ქირა. საიჯარო ქირა შეიძლება განისაზღვროს როგორც ფულით, ისე ნატურით. მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ საიჯარო ქირის განსაზღვრის სხვა საშუალებებზედაც. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, იჯარის ხელშეკრულების მიმართ, გამოიყენება ქირავნობის ხელშეკრულების წესები, თუ 581-ე-606-ე მუხლებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული. ამავე კოდექსის 558-ე მუხლის თანახმად, გამქირავეებელს შეუძლია ხელშეკრულება მოშალოს ვადამდე, თუ დამქირავეებელმა ქირა არ გადაიხადა სამი თვის განმავლობაში;

9.6. სსკ-ის 355-ე მუხლის თანახმად, ხელშეკრულებიდან გასვლა ხდება ხელშეკრულების მეორე მხარისათვის შეტყობინებით. ხოლო ამავე კოდექსის 356-ე მუხლის თანახმად, თუ ხელშეკრულებიდან გასვლის ვადა არ არის დადგენილი, მაშინ შეიძლება გამსვლელ პირს ხელშეკრულების მეორე მხარისაგან განესაზღვროს ასეთი ვადა. ვადა უნდა იყოს გონივრული. ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება ქარწყლდება, თუ უარი ვადის გასვლამდე არ იქნება გაცხადებული; სსკ-ის 316-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ვალდებულების ძალით, კრედიტორი უფლებამოსილია მოსთხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება. შესრულება შეიძლება გამოიხატოს მოქმედებისაგან თავის შეკავებაშიც, ხოლო იმავე კოდექსის 317-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკ-

რულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების (დელიქტის), უსაფუძვლო გამდიდრების, ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებიდან. ამავე კოდექსის 361-ე მუხლის თანახმად, ყოველი შესრულება გულისხმობს ვალდებულების არსებობას. ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას;

9.7. საქართველოს უზენაესი სასამართლო 2017 წლის 25 ოქტომბრის ანალოგიურ დავაზე მიღებულ №ას-1163-1083-2017 გადაწყვეტილებაში განმარტავს, როგორც სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილეთა, აგრეთვე, კონკრეტულად, საიჯარო ურთიერთობის მონაწილეთა ქცევის კეთილსინდისიერების სტანდარტის დაცულობაზე, რომელიც საიჯარო ურთიერთობის ცალმხრივად შეწყვეტის უფლების გამოყენების მართზომიერებას შეეხება (იხ. სუსგ №ას-862-828-2016, 24 თებერვალი, 2017 წელი). აღნიშნულ გადაწყვეტილებაში საკასაციო სასამართლომ იმსჯელა სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა ქცევის კეთილსინდისიერების პრობლემაზე, რომელსაც მაშინაც აქვს ადგილი, როდესაც პირის მოთხოვნა ან ქმედება ფორმალურად შეესაბამება მოქმედ მატერიალურ კანონმდებლობას, მაგრამ მისი განხორციელება რომელიმე კონკრეტულ შემთხვევაში უსამართლოა (იხ. სუსგ №ას-528-501-2015, 2015 წლის 4 ნოემბრის გადაწყვეტილება). შესაბამისად, კეთილსინდისიერად ქცევის ფუნქცია აშკარად უსამართლო შედეგების თავიდან აცილებას, რაც პირდაპირ უკავშირდება სამოქალაქო ურთიერთობათა სტაბილურობასა და სიმყარეს. საკასაციო სასამართლოს შეფასებით, კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე, ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე მხარეთა თანამშრომლობა, მეორე მხარის ინტერესების გათვალისწინება, მეორე მხარის უფლებებისა და ქონებისადმი განსაკუთრებული გულისხმიერების გამოჩენა საჭიროა ამ ურთიერთობის ნორმალურად განვითარებისათვის. ასეთ შემთხვევაში, ორივე მხარე იქნება კმაყოფილი: კრედიტორი – ვალდებულების შესრულების მიღებით, ხოლო მოვალე – ვალდებულებისაგან გათავისუფლებით. აღსანიშნავია სსკ-ის 316-ე მუხლის მე-2 ნაწილის დანაწესის ფუნქციაც, რომელიც ხელშეკრულების ყოველ მხარეს, ვალდებულების შინაარსისა და ხასიათის გათვალისწინებით, ავალდებულებს გამოიჩინოს მეორე მხარის ქონებისა და უფლებებისადმი გულისხმიერება. გულისხმიერების ვალდებულება მხარეებისათვის დამატებითი ვალდებულების დაკისრებას არ გულისხმობს, ყოველთვის ვალდებულების შინაარსშივე მოიაზრება და ერთგვარ მორალურ კატეგორიას განეკუთვნება. მოცემულ შემთხვევაში, მეიჯარის მართლზომიერი ქცევის განმსაზღვრელი იყო

სახელმეკრულებო ურთიერთობის მონაწილის კეთილსინდისიერებისა და მეორე მონაწილის უფლებებისა და ქონებისადმი განსაკუთრებული გულისხმიერების ვალდებულება და არა მარტოდ იჯარის ხელმეკრულების ცალმხრივად მოშლის უფლების რეალიზება მისი შეხედულებით. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მხარეთა შორის დადებული იჯარის ხელმეკრულების მოშლის (შენწყვეტის) საფუძველი წარმოიშვა ქირის გადაუხდელობისას. იმავედროულად, მხარე არაერთხელ იქნა გაფრთხილებული ხელმეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის უფლების გამოყენების შესახებ. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სსკ-ის 561-ე მუხლის თანახმად, ხელმეკრულების მოშლის ვადა შეადგენს სამ თვეს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა საქმის გარემოებებიდან ან მხარეთა შეთანხმებიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს. შესაბამისად, საქმის გარემოებების გათვალისწინებით, მეიჯარეს შეეძლო გონივრულ ვადაში, მოეშალა იჯარის ხელმეკრულება ხელმეკრულებისა და სსკ-ის 558-ე და 561-ე მუხლების საფუძველზე;

9.8. მოცემულ შემთხვევაში, დადგენილია, რომ იჯარის ხელმეკრულება დაიდო 2015 წლის 7 ივლისს, ხოლო მისი რეგისტრაცია საიჯარო რეესტრში იმავე წლის 13 ივლისს მოხდა, შესაბამისად, სწორედ 13 ივლისიდან უნდა მოხდეს საიჯარო წლის ვადის ათვლა. მხარეთა შორის გაფორმებული ხელმეკრულების თანახმად, მოიჯარის მიერ ქონებით სარგებლობისათვის გადასახდელი ყოველწლიური საიჯარო ქირა შეადგენს 6050 ლარს. ვინაიდან, მოიჯარეს არ გადაუხდია საიჯარო ქირა, მეიჯარემ მას 2016 წლის 17 მარტის წერილით შეატყობინა, რომ საიჯარო ქირის გადაუხდელობის გამო, დაერიცხა პირგასამტეხლო და ეთხოვა აღნიშნული წერილის მიღებიდან – 5 (ხუთი) დღის ვადაში გადაეხადა თანხა. დადგენილია, რომ მოიჯარემ არ გადაიხადა აღნიშნული თანხა, რის შემდეგაც მას 2016 წლის 29 ივლისს წერილით განმეორებით ეცნობა, რომ ეკისრებოდა საიჯარო ქირა 6050 ლარის ოდენობით, რომელიც უნდა გადაეხადა წერილის ჩაბარებიდან – 5 (ხუთი) დღის ვადაში, წინააღმდეგ შემთხვევაში, ვადამდე შეწყდებოდა ხელმეკრულება, ამასთანავე ეცნობა, რომ ხელმეკრულების შეწყვეტა არ ათავისუფლებდა საიჯარო ქირისა და პირგასამტეხლოს გადახდისაგან. საფოსტო შეტყობინებიდან ირკვევა, რომ აღნიშნული წერილი ადრესატს 02.08.2016წ. ჩააბარდა. დადგენილია, რომ წერილის ჩაბარებიდან 5 (ხუთი) დღის ვადაშიც არ გადაუხდია მოიჯარეს საიჯარო ქირის დავალიანება და პირგასამტეხლო;

9.9. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, მოცემულ შემთხვევაში, იჯარის ხელმეკრულების 6.6. მუხლი მეიჯარეს უფლებას აძლევდა, ცალმხრივად მოეშალა ხელმეკრულება. შესაბამისად, იჯა-

რის ხელშეკრულება ვადამდე შეწყვეტილად უნდა ჩაითვალოს, არა ბრძანების გამოცემიდან, არამედ მეორე წერილის ჩაბარებიდან 5 (ხუთი) დღის უშედეგოდ გასვლის შემდეგ. სასამართლომ დაასკვნა, რომ საქმის გარემოებების გათვალისწინებით, მოცემულ შემთხვევაში მეიჯარემ გონივრულ ვადაში მოშალა იჯარის ხელშეკრულება, ხელშეკრულების 6.6. პუნქტისა და სსკ-ის 558-ე და 561-ე მუხლების საფუძველზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, ზ. კ-ძეს უნდა დაჰკისრებოდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული 1 წლის საიჯარო ქირის, ანუ 6050 ლარის გადახდა. მოცემულ შემთხვევაში, აღნიშნულ ურთიერთობებს სრულად არეგულირებს სსკ-ი. მიუღებელია ზოგადი ადმინისტრაციული ნორმების ანალოგიით გამოყენება სამოქალაქო ურთიერთობებში; სსკ-ის 416-ე მუხლის თანახმად, მხარეებს შეუძლიათ ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად, ხელშეკრულებით გათვალისწინონ დამატებითი საშუალებებიც: პირგასამტეხლო, ბე და მოვალის გარანტია; სსკ-ის 421-ე მუხლის თანახმად, „ბე“-დ მიიჩნევა ფულადი თანხა, რომელსაც ხელშეკრულების ერთი მხარე აძლევს მეორე მხარეს და ამით დასტურდება ხელშეკრულების დადების ფაქტი. ამავე კოდექსის 422-ე მუხლის თანახმად, ბე ჩაითვლება ვალდებულებით გათვალისწინებული გადასახდელის ანგარიშში, ხოლო, თუ არ ჩაითვლება, – ხელშეკრულების შესრულების შემდეგ იგი უკან უნდა დაბრუნდეს; დადგენილია, რომ მოიჯარის მიერ გადახდილია „ბე“ – 1375 ლარის ოდენობით. ხელშეკრულების 2.2. პუნქტის თანახმად, მოიჯარის მიერ გადახდილი „ბე“ – 1375 ლარი უნდა ჩაითვალოს საბოლოო ანგარიშსწორებისას. კანონისა და ხელშეკრულების ჩანაწერის მიხედვით, მოიჯარის მიერ გადასახდელ თანხას უნდა გამოაკლდეს „ბე“-ს სახით გადახდილი – 1375 ლარი, რაც საბოლოო ჯამში 4675 ლარს ($6050 - 1375 = 4675$) შეადგენს;

9.10. სსკ-ის 417-ე მუხლის შესაბამისად, პირგასამტეხლო – მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა – მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის. ამავე კოდექსის 418-ე მუხლის თანახმად, ხელშეკრულების მხარეებს შეუძლიათ თავისუფლად განსაზღვრონ პირგასამტეხლო, რომელიც შეიძლება აღემატებოდეს შესაძლო ზიანს. შეთანხმება პირგასამტეხლოს შესახებ მოითხოვს წერილობით ფორმას. სსკ-ის 420-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს შეუძლია საქმის გარემოებათა გათვალისწინებით, შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო. მოცემულ შემთხვევაში, მეიჯარე სააპელაციო საჩივარში უთითებს, რომ პირგასამტეხლოს – 500 ლარის დაკისრებას იგი ითხოვს ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების გამო, იჯარის ხელშეკრულების 3.1.7. პუნქტიდან გამომდინარე.

რე, კერძოდ, სოფლის მეურნეობის სამინისტროსათვის ინფორმაციის დაგვიანებით წარდგენის გამო. სასამართლოს მიაჩნია, რომ პირგასამტეხლო აღნიშნული ოდენობით შეუსაბამოდ მაღალი არის, რადგან დადგენილია, რომ ინფორმაციის წარდგენა დაგვიანებით მოხდა, რასაც არანაირი ზიანი არ გამოუწვევია. შესაბამისად, საქმის გარემოებათა გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ პირგასამტეხლოს გონივრულ ოდენობად 50 ლარი მიიჩნია; სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია მეორე აპელანტის (მოიჯარის) მითითება იმის შესახებ, რომ სასამართლომ უნდა იმსჯელოს იჯარით გადაცემული ნივთის ნაკლზე, რადგან მოიჯარის მტკიცება, რომ იჯარის ობიექტი ნაკლის მქონე, დამოუკიდებელი დავის საგანია და ამ დავასთან კონკრეტული სამართლებრივი შედეგის განმაპირობებელი ვერ იქნება. ამ გარემოებების გათვალისწინებით სააპელაციო სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა მეიჯარისა და მოიჯარის სააპელაციო საჩივრები (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების 9.2.1-9.2.2 ქვეპუნქტები).

10. საკასაციო სამართალწარმოების ეტაპი

10.1. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო ნესით გაასაჩივრა მეიჯარემ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება სააგენტოს სასარჩელო მოთხოვნის დაუკმაყოფილებელ ნაწილში და სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

10.2. საკასაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით სააგენტოს საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და მიღებულ იქნა არსებითად განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

მეიჯარის საკასაციო საჩივრის სამართლებრივი საფუძვლიანობის არსებითად განხილვის, საქმის მასალების შესწავლისა და მტკიცებულებათა ერთობლივად გაანალიზების შედეგად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, მოცემულ შემთხვევაში კასატორის განაცხადის ნაწილობრივ დაკმაყოფილების საფუძველი არსებობს შემდეგი არგუმენტაციით:

11. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამონმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებში და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვე-

პუნქტში მითითებული ფაქტები; ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. დასაბუთებული შედავებისას, კანონი იმპერატიულად ადგენს საკასაციო სასამართლოს ვალდებულებას, შეამოწმოს სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შესაბამისობა საქმეში არსებულ მტკიცებულებებთან, ანუ შეამოწმოს, გადაწყვეტილების გამოტანისას დატულია თუ არა სსსკ-ის 105-ე და 249-ე მუხლების მოთხოვნები.

12. განსახილველ დავაში საკასაციო სასამართლო კასატორის საკასაციო პრეტენზიის და სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების ფარგლებში აფასებს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას (სსსკ-ის 407-ე მუხლი), ამასთან, აღნიშნავს, რომ არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების სამართლებრივი საფუძველი (სსსკ-ის 412-ე მუხლი).

13. მოსარჩელე სააგენტო (მეიჯარე) საკასაციო საჩივარში პირველ არგუმენტად უთითებს, რომ მოპასუხე მოიჯარემ სარჩელი ცნო 9534,59 ლარის ნაწილში, რაც ყოველგვარი შეფასებისა და გამოკვლევის გარეშე ექვემდებარებოდა დაკმაყოფილებას. კასატორი უთითებს სსსკ-ის 131-ე მუხლზე „ერთი მხარის მიერ ისეთი გარემოების არსებობის ან არარსებობის დადასტურება (აღიარება), რომელზედაც მეორე მხარე ამყარებს თავის მოთხოვნებსა თუ შესაგებელს, სასამართლომ შეიძლება საკმარის მტკიცებულებად ჩათვალოს და საფუძველად დაუდოს სასამართლო გადაწყვეტილებას“.

14. სასამართლოსათვის ამოსავალია ის კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნას. სწორედ მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები და გარემოებები განსაზღვრავენ მისი მოთხოვნის შინაარსს. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსის განმსაზღვრელია სარჩელში მითითებული ფაქტები და გარემოებები. სარჩელის ინდივიდუალიზაცია სარჩელის ელემენტების მეშვეობითაა შესაძლებელი. სსსკ-ის მე-3, მე-4, 83-ე და 178-ე მუხლების ანალიზით შესაძლებელია, დავასკვნათ, რომ სარჩელი შედგება ორი ელემენტისგან: სარჩელის საგნისა და სარჩელის საფუძ-

ვლისგან. სარჩელის საგანია მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხისადმი (სსსკ-ის 178.1 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი), ხოლო სარჩელის საფუძველი – კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნას (სსსკ-ის 178.1 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი). საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 2 მარტის დიდი პალატის გადაწყვეტილებაში (საქმეზე №ას-646-635-2016; პუნქტი 201) მითითებულია: „2007 წლის 28 დეკემბერს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების მიხედვით, მოპასუხის მიერ პასუხის (შესაგებლის) წარდგენა სავალდებულო ხასიათს ატარებს (საქართველოს 28.12.2007წ.-ის კანონი №5669-სსმ), რაც იმაში გამოიხატება, რომ აღნიშნული საპროცესო ვალდებულების შეუსრულებლობა მხარისათვის უარყოფით საპროცესოსამართლებრივ შედეგებს იწვევს. კერძოდ, სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები ითვლება შეუდავებლად და, შესაბამისად, დამტკიცებულად. სსსკ-ის 201-ე მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინებული შესაგებლის წარუდგენლობის ფაქტი თავისთავად განსაზღვრავს მტკიცების საგანს, რადგანაც მოსარჩელე თავისუფლდება სარჩელში მითითებული ფაქტების მტკიცებისაგან. აღნიშნული გარემოება დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის წინაპირობაცაა. საპროცესო კანონმდებლობით დადგენილია მოპასუხის მიერ კონკრეტული შესაგებლის წარდგენის ვალდებულება, კერძოდ, სსსკ-ის 201-ე მუხლის მე-4 ნაწილის შინაარსიდან გამომდინარე, დგინდება, რომ მოპასუხე უნდა შეედავოს მოსარჩელის გამართულ, დასაბუთებულ მოთხოვნას ანუ დავის გადაწყვეტისათვის სამართლებრივად მნიშვნელოვან ფაქტობრივ გარემოებებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები (და არა მისი სამართლებრივი შეხედულებები) დამტკიცებულად ითვლება“. განსახილველ შემთხვევაში მოპასუხემ წერილობით წარდგენილ შესაგებელში წინააღმდეგობა – 9534, 59 ლარის (ცხრა ათას ხუთას ოცდაათობმეტი და ორმოცდაცხრამეტი) ფარგლებში ცნო მის წინააღმდეგ აღძრული სარჩელი (იხ. ს/ფ 48 და 55). სსსკ-ის მე-3 მუხლის მიხედვით, მხარეები იწყებენ საქმის წარმოებას სასამართლოში, ამ კოდექსში ჩამოყალიბებული წესების შესაბამისად, სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით. ისინი განსაზღვრავენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის (განცხადების) შეტანის შესახებ. მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას სარჩელზე, ხოლო მოპასუხეს – ცნოს სარჩელი. ამავე კოდექსის მე-4 მუხლის მიხედვით სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძ-

ლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული შესაგებლები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები.

15. ერთ-ერთ საქმეზე, რომელიც სარჩელის ცნობისა და მისი თანმდევი შედეგების განმარტების საკითხს ეხებოდა, საკასაციო სასამართლომ მიუთითა სსსკ-ის მე-3 მუხლით განმტკიცებულ საპროცესო სამართლის ამოსავალ პრინციპზე – დისპოზიციურობაზე და განმარტა შემდეგი: „დასახელებული ნორმა განამტკიცებს იმ საპროცესო მოქმედებათა ჩამონათვალს, რომელშიც ვლინდება მხარის უფლება, საკუთარი შეხედულებისამებრ განკარგოს მისი საპროცესო უფლებები, იგი ნების ავტონომიის საპროცესო გამოხატულებაა და წარმოადგენს მხარის საპროცესო უფლებათა იმგვარი რეალიზაციის საშუალებას, როდესაც საქმეზე მისაღები გადაწყვეტილება უმთავრესად მხარის ნებაზეა ორიენტირებული. ნორმა იძლევა უფლებათა შემდეგ კლასიფიკაციას: პირი, რომელსაც მიაჩნია, რომ დაირღვა მისი უფლება, თავად წყვეტს ამ უფლების სასამართლო წესით დაცვას საპროცესო კანონმდებლობით შემთავაზებული წესების დაცვით; თავად განსაზღვრავს დავის საგანს და იმას, თუ რა ფაქტებსა და გარემოებებზე დაამყაროს მოთხოვნა; მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას სარჩელზე. ჩამოთვლილთაგან უმეტესი ნაწილი მიმართულია მოსარჩელის უფლებებისაკენ, თუმცა პირთა თანასწორობაზე დამყარებული სამოქალაქო საპროცესო სამართალი ანალოგიურ პირობებს უქმნის მოპასუხეს და ადგენს მის უფლებას, შეთანხმების შემთხვევაში, დავა დაასრულოს მორიგებით, მას ასევე შეუძლია ცნოს სარჩელი. მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობა უფლების განმკარგავი აქტია, რომელიც შეიძლება განხილულ იქნეს მხოლოდ მის სამართლებრივ შედეგთან ერთიანობაში, სარჩელის ცნობა შეუქცევადია და მას ამ ნაწილში გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოჰყვება შედეგად იმდენად, რამდენადაც სარჩელის ცნობას საფუძვლად ედება პრეზუმფცია, რომ მოპასუხე აღიარებს მის მიმართ წარდგენილ პრეტენზიას და არ აპირებს ამ მოთხოვნისაგან თავდაცვის საპროცესო საშუალების გამოყენებას“ (იხ. სუსგ №ას-64-58-2015, 8 აპრილი, 2015 წელი, შდრ. №ას-276-262-2016, 27.05.2016 წ; შეად. სუსგ №398-398-2018, 25 დეკემბერი, 2018წ.).

16. საკასაციო სასამართლოს შეფასებით მოპასუხემ (მოიჯარემ) მის მიმართ წაყენებული სასარჩელო მოთხოვნის ნაწილობრივ ცნობით, იმ ფარგლებში, რაც წერილობითი მტკიცების სტადიაზე – შე-

საგებელშია მითითებული, განკარგა საკუთარი საპროცესო უფლება, ხოლო შემდეგ სასარჩელო მოთხოვნის ნაწილში გარკვეული კორექტირების (ცვლილების) შეტანა დაუშვებელია, ამიტომ სწორედ ამ ფარგლებში უნდა დაკმაყოფილდეს საკასაციო მოთხოვნა.

17. კასატორის სხვა პრეტენზიებთან დაკავშირებით, რომელიც უკავშირდება პირგასამტეხლოს დაკისრებას, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ დასაბუთებული პრეტენზიის არარსებობის პირობებში, ამ მიმართებით გაზიარებული უნდა იქნეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების მსჯელობა და დასკვნები და უარყოფილია საკასაციო საჩივარი, რაც იმას ნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება დანარჩენ ნაწილში უცვლელად დარჩა.

18. სსსკ-ის 55.1 მუხლის თანახმად, სასამართლოს მიერ საქმის განხილვასთან დაკავშირებით განეული ხარჯები და სახელმწიფო ბაჟი, რომელთა გადახდისაგან გათავისუფლებული იყო მოსარჩელე, გადახდება მოპასუხეს ბიუჯეტის შემოსავლის სასარგებლოდ, მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომელიც დაკმაყოფილებულია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. ნაწილობრივ გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

4. სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ (ს/კ ...) ზ. კ-ძის სასარგებლოდ დაეკისროს – 9534,59 (ცხრა ათას ხუთას ოცდაათობმეტი და ორმოცდაცხრამეტი) ლარის გადახდა;

5. ზ. კ-ძეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისროს სახელმწიფო ბაჟის – 476,73 ლარის გადახდა;

7. დანარჩენ ნაწილში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად;

8. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

6. დაუსწრებელი გადაწყვეტილება

მოპასუხის გამომწესებლობა

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-1102-2018

18 თებერვალი, 2021 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ. ალავიძე,
ე. გასიტაშვილი

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

სასარჩელო მოთხოვნა:

1. ი. გ-ქემ (შემდგომ – მოსარჩელე) სარჩელი აღძრა სასამართლოში ე. ბ-ისა (შემდგომ – მოპასუხე) და დ. ა-ის (კ-ს) (შემდგომ – მეორე მოპასუხე) მიმართ ზიანის – 5481 ლარის, მოსარჩელის მიერ ავტომანქანის საჯარიმო სადგომზე გადახდილი 850 ლარისა და ექსპერტიზის ხარჯის – 558,86 ლარის ანაზღაურების შესახებ.

სარჩელის საფუძვლები:

2. მოსარჩელის განმარტებით, 2013 წლის 23 ნოემბერს მოპასუხის ბრალით მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დაზიანდა მოსარჩელის ავტომანქანა. ავტოსატრანსპორტო საშუალება, რომელსაც მოპასუხე მართავდა, ეკუთვნოდა მეორე მოპასუხეს.

3. მოპასუხეებმა მოსარჩელეს ნებაყოფლობით ზიანი არ აუნაზღაურეს.

მოპასუხის პოზიცია:

4. მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს. მოპასუხემ მიუთითა, რომ ავტოსაგზაო შემთხვევისას მოძრაობის წესები დაარღვია მოსარჩელემ, შესაბამისად, ზიანის ანაზღაურება მას არ უნდა დაეკისროს.

5. მეორე მოპასუხემ კი მიიჩნია, რომ არასათანადო მოპასუხეა, რადგან ავტოსაგზაო შემთხვევის დროს ავტომანქანას მართავდა მოპასუხე.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

6. გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 30 ივნისის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით, მოპასუხეთა გამოუცხადებლობის გამო, სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხეებს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 6889,86 ლარის გადახდა. ამავე სასამართლოს 2016 წლის 24 ნოემბრის განჩინებით მოპასუხე საჩივარს ეთქვა უარი, ხოლო დაუსწრებელი გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

7. ზემოაღნიშნული დაუსწრებელი გადაწყვეტილება და განჩინება მისი ძალაში დატოვების შესახებ მოპასუხეებმა გაასაჩივრეს სააპელაციო წესით.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი და ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთება:

8. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 30 მაისის განჩინებით მოპასუხეთა სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

9. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდგომ – სსსკ) 233-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 241-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მხარის გამოუცხადებლობის გამო, გამოტანილი დაუსწრებელი გადაწყვეტილება შეიძლება გაუქმდეს, თუ არსებობს 233-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, ან თუ მხარის გამოუცხადებლობა გამონეული იყო სხვა საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც მას არ შეეძლო თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის.

10. ამავე 233-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების საფუძველზე სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა მოპასუხის განმარტებაზე, რომ 2016 წლის 16 ივნისიდან 2016 წლის 7 ივლისამდე მივლინებული იყო ახალციხის რაიონში ორფოლოს პოლიგონზე, რის გამოც 2016 წლის 30 ივნისს, 14.00 საათზე გურჯაანის სასამართლოში დანიშნულ სხდომაზე გამოცხადება ვერ შეძლო, რაც სასამართლოს აცნობა 2016 წლის 30 ივნისს, 13.50 საათზე.

11. სსსკ-ის 215-ე მუხლის მესამე ნაწილი განამტკიცებს საპატიო მიზეზების ჩამონათვალს, რომელიც მიხედვითაც საპატიო მიზეზად ჩაითვლება მხარის მიერ შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენის შეუძლებლობა, რაც გამონეულია ავადმყოფობით, ახლო ნათესავის გარდაცვალებით ან სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოებით, რომელიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის სასამართლო პროცესზე გამოცხადებას ან/და შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენას.

12. განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ მი-

იჩნია, რომ, მართალია, მოპასუხის მიერ საჩივართან ერთად წარდგენილი იყო მისი მივლინების დამდასტურებელი ცნობა შესაბამისი უწყებიდან, თუმცა მისი გამოუცხადებლობა მაინც ვერ შეფასდა საპატიოდ, ვინაიდან მოპასუხის მივლინება დაიწყო 2016 წლის 16 ივნისს, გურჯაანის რაიონულ სასამართლოში კი სასამართლო პროცესი ჩანიშნული იყო 2016 წლის 30 ივნისს, შესაბამისად, მოპასუხეს ობიექტურად ჰქონდა იმის შესაძლებლობა, რომ მთელი ამ დროის განმავლობაში ეცნობებინა სასამართლოსათვის პროცესზე დასწრების შეუძლებლობის შესახებ და მიემართა შუამდგომლობით საქმის განხილვის გადადების თაობაზე. აღსანიშნავია ისიც, რომ მოპასუხეს სადავოდ არ გაუხია სასამართლოს მიერ პროცესის ჩატარების დროის შესახებ მისთვის ინფორმაციის სსსკ-ის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, 2016 წლის 13 ივნისს, ანუ სხდომამდე 17 დღით ადრე შეტყობინების შესახებ, რაც საქმის განხილვისათვის მოსამზადებლად ან შესაბამისი შუამდგომლობის წარსადგენად მხარისათვის გონივრული ვადაა.

13. სსსკ-ის 102-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ მოპასუხემ ვერ შეძლო სასამართლოსათვის იმგვარი მტკიცებულების წარდგენა, რომელიც დაადასტურებდა, რომ 2016 წლის 13 ივნისიდან 30 ივნისამდე ის მოკლებული იყო შესაძლებლობას, ეცნობებინა სასამართლოსთვის მივლინების შესახებ და მიემართა შესაბამისი შუამდგომლობით.

14. რაც შეეხება მეორე მოპასუხის წარმომადგენლის პროცესზე გამოუცხადებლობას, სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ 2016 წლის 30 ივნისის სასამართლო პროცესზე მეორე მოპასუხის წარმომადგენელი მოწვეული იყო სსსკ-ის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით. სასამართლო პროცესამდე ერთი საათით ადრე მან პირადად წარადგინა სასამართლოს კანცელარიაში შუამდგომლობა საქმის გადადების თაობაზე, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო. მან საჩივართან ერთად წარადგინა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა, რომელიც გაცემულია 2016 წლის 18 ივლისს, სასამართლო პროცესი კი 2016 წლის 30 ივნისს ჩატარდა, რაც არ ადასტურებს მეორე მოპასუხის წარმომადგენლის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებას 2016 წლის 30 ივნისისათვის და ვერ გახდება პროცესზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზი ამავე კოდექსის 215-ე მუხლის მესამე ნაწილის საფუძველზე. გარდა ამისა, სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ როგორც დადგენილია, მეორე მოპასუხის წარმომადგენელმა სხდომის გადადების თაობაზე პირადად წარადგინა განცხადება 2016 წლის 30 ივნისს, რაც ადასტურებს იმას, რომ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა არ იყო იმდენად მძიმე, რომ ვერ გამოცხადებულ-

ყო სასამართლო პროცესზე.

15. საპროცესო კანონმდებლობა, ერთი მხრივ, არ ზღუდავს მხარეთა შესაძლებლობას, ამტკიცონ პროცესზე გამოუცხადებლობის საპატიო საფუძვლები, თუმცა, მეორე მხრივ, მითითებულ ნორმაში იმპერატიული დათქმების გათვალისწინებით, პროცესში მონაწილე მხარის აპელირება ავადმყოფობაზე მხოლოდ იმ პირობებში შეიძლება იყოს სასამართლოს მიერ გაზიარებული, თუ დაცულია ორი კუმულაციური შინაარსის პირობა: ა) ავადმყოფობა დადატურებულია სამედიცინო დანესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით და ბ) აღნიშნული დოკუმენტი პირდაპირ მიუთითებს სასამართლოს პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე.

16. სააპელაციო პალატამ მოიხმო სსსკ-ის 215-ე მუხლი და განმარტა, რომ ამ კანონის მიზნებისათვის, საპატიო მიზეზად ჩაითვლება მხარის მიერ შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენის შეუძლებლობა, რაც გამონეულია ავადმყოფობით, ახლო ნათესავის გარდაცვალებით ან სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოებით, რომელიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის სასამართლო პროცესზე გამოცხადებას ან/და შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენას. ავადმყოფობა დადასტურებულ უნდა იქნეს სამედიცინო დანესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე.

17. მოცემულ შემთხვევაში, მოპასუხეებს არ წარუდგენიათ მტკიცებულებები, რომლებიც უტყუარად დაადასტურებდა სხდომაზე მათი გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზებს, აქედან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნები და მიიჩნია, რომ არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის პროცესუალურ-სამართლებრივი საფუძველი.

18. სააპელაციო პალატამ დამატებით განმარტა რომ, სსსკ-ის 230-ე მუხლის თანახმად, თუ სასამართლო სხდომაზე გამოცხადება მოსარჩელე მხარე, მაგრამ არ გამოცხადდება მისი მოწინააღმდეგე, სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ შემდეგი პირობების არსებობის შემთხვევაში: ა. მოსარჩელე შუამდგომლობს სასამართლოს წინაშე დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე; ბ. არ არსებობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დამაბრკოლებელი გარემოებები, რომლებიც გათვალისწინებულია სსსკ-ის 233-ე მუხლის პირველი ნაწილით; გ. სარჩელში მი-

თითებული და მოწინააღმდეგე მხარის გამოუცხადებლობით დამტკიცებულად ჩათვლილი გარემოებები იურიდიულად ამართლებენ მოთხოვნას. აღნიშნული საფუძვლების კუმულატიურად არსებობა ქმნის დაუსწრებელი გადანყვეტილების გამოტანის ფორმალურ წინაპირობას. სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ მოთხოვნის იურიდიული მართებულობის კვლევა, თავის მხრივ, მოიაზრებს მოთხოვნის მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის სწორად განსაზღვრასა და იმის უტყუარად შემონმებას, სარჩელში მითითებული და კანონის ძალით დადგენილად მიჩნეული გარემოებების სამართლებრივი თვალსაზრისით შეფასება იძლევა თუ არა მოთხოვნის მარეგულირებელი მატერიალური ნორმის შემადგენლობას. მითითებულ წინაპირობათაგან თუნდაც ერთ-ერთის არარსებობა, იწვევს დაუსწრებელი გადანყვეტილების გამოტანაზე უარის თქმას და საქმის არსებითად განხილვის აუცილებლობას იმ განსხვავებით, რომ ასეთ დროს მოპასუხისაგან (მოწინააღმდეგე მხარისაგან) მტკიცებულებების მიღება არ ხდება და სასამართლო მოისმენს მოპასუხის მხოლოდ სამართლებრივ მოსაზრებებს.

19. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოცემულ დავაზე სარჩელში მითითებული და, მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო, დამტკიცებულია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: 2013 წლის 23 ნოემბერს მოხდა ავტოსაგზაო შემთხვევა, რა დროსაც შსს ყვარლის რაიონული სამმართველოს უბნის ისპექტორ-გამომძიებელმა სსსკ-ის 125-ე მუხლის დარღვევის გამო, მოსარჩელის მიმართ შეადგინა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის №გ-ოქმი (საჯარიმო ქვითარი).

20. 2013 წლის 2 დეკემბერს მოსარჩელემ მიმართა ექსპერტიზის ბიუროს და მოითხოვა სამართალდარღვევის ოქმში დაფიქსირებული სამართალდარღვევასთან დაკავშირებით შესაბამისი ექსპერტიზის ჩატარება.

21. 2013 წლის 13 დეკემბერს სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ მიერ გაცემულ იქნა სატრანსპორტო ტექნიკურ ტრასოლოგიური ექსპერტიზის №0... დასკვნა, რომლის თანახმად კონკრეტული ავტოსაგზაო შემთხვევა გამოწვეულია ავტოსაგზაო შემთხვევაში მონაწილე ავტომობილ „ლ-ის“ მძღოლის – მოპასუხის მიერ საქართველოს კანონის „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ 29-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნათა უგულველყოფით, ხოლო ავტოსაგზაო შემთხვევაში მონაწილე ავტომობილ „ტ-ას“ მძღოლს – მოსარჩელეს ტექნიკური თვალსაზრისით საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის თავიდან აცილება არ შეეძლო და მის მოქმედებაში საქართველოს კანონის „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესა-

ხებ“ მოთხოვნათა უგულველყოფა არ აღინიშნება.

22. თელავის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 30 ივლისის დადგენილებით მოსარჩელის საჩივარი დაკმაყოფილდა და შსს ყვარლის რაიონული სამმართველოს უბნის ინსპექტორ-გამომძიებელ ა. მ-ის მიერ 2013 წლის 26 დეკემბერს მოსარჩელის მიმართ №გ... შედგენილი სამართალდარღვევის ოქმი გაუქმდა და საქართველოს შსს კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს 2014 წლის 5 მარტის დადგენილება და მოსარჩელე გათავისუფლდა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისგან.

23. სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ №000184014 სასაქონლო ექსპერტიზის დასკვნით, მოსარჩელის კუთვნილი ავტომანქანა „ტ-ა რ-ისათვის“ მიყენებული მატერიალური ზარალის ოდენობამ საბაზრო ფასებით საორიენტაციოდ შეადგინა 5481 ლარი, ასევე მოსარჩელის მიერ ავტომანქანის საჯარიმო სადგომზე გადახდილია 850 ლარი და ექსპერტიზის ხარჯი – 558,86 ლარი.

24. ავტოსაგზაო შემთხვევაში მონაწილე ავტომანქანა „ლ-ის“ მესაკუთრეა (მფლობელი) მეორე მოპასუხე. შემთხვევის დროს ავტომანქანას მისი ნებართვით მართავდა მისი სიძე – ნასვამ მდგომარეობაში მყოფი და მართვის უფლების არმქონე მოპასუხე (მოსარჩებლე), რაც ცნობილი იყო მეორე მოპასუხისთვის, რომელიც შემთხვევის დროს მოპასუხესთან ერთად ავტომანქანაში იმყოფებოდა, ამიტომ მეორე მოპასუხე ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით სავალდებულო თანამონაწილეა.

25. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სარჩელში მითითებული და, მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო, დამტკიცებულად მიჩნეული ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები იურიდიულად ამართლებდა სარჩელს.

26. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდგომ – სსკ) 992-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ პირს ზიანის ანაზღაურება ეკისრება, თუ არსებობს ზიანი, იგი მიყენებულია მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით, მართლსაწინააღმდეგო მოქმედებასა და ზიანს შორის არსებობს მიზეზობრივი კავშირი და ბრალი ზიანის მიმყენებელს მიუძღვის. ამასთან, ავტოსატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად გამოწვეული ზიანის ანაზღაურება დელიქტური ვალდებულების კერძო შემთხვევაა და, მიუხედავად ბრალისა, მომეტებული საფრთხის წყაროს იურიდიულ მფლობელს (რომელიც შეიძლება მესაკუთრედაც განვიხილოთ) აკისრებს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას, კერძოდ, სსკ-ის 999-ე მუხლის პირველი ნაწილი ადგენს სატრანსპორტო საშუალების იურიდიული მფლობელის ვალდებულებას, ნორმაში ჩა-

მოთვლილ სიკეთეთა ხელყოფის შემთხვევაში, აგოს პასუხი. თავის მხრივ, ნორმის სუბიექტები არიან ვალდებული და დაზარალებული პირები. ვალდებულ პირად კანონი განიხილავს ნივთის მფლობელს, ანუ პირს, რომელსაც ამ ქონებაზე საკუთრება მართლზომიერად აქვს მოპოვებული. უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებული ერთგვაროვანი პრაქტიკის თანახმად, სსკ-ის 999-ე მუხლით გათვალისწინებულ გამონაკლისის საფუძველად უდევს ის გარემოება, რომ სატრანსპორტო საშუალება პოტენციური საფრთხის წყაროა და მისი მოხმარება განაპირობებს შედარებით მაღალი ხარისხით საზიანო შედეგების მიღების შესაძლებლობას, ვიდრე სხვა ჩვეულებრივი საქმიანობისას. ავტოსატრანსპორტო საშუალების ამგვარი თვისების გამო იგი მომეტებული საფრთხის წყაროდა მიჩნეული და, მიუხედავად იმისა, რომ მისი მოხმარება სამართლებრივად ნებადართულია, პასუხისმგებლობა მომეტებული საფრთხის წყაროდან მომდინარე ზიანისათვის, ჩვეულებრივ, სამოქალაქო სამართლებრივ პასუხისმგებლობასთან შედარებით უფრო მკაცურია – ზიანის ანაზღაურების ვალდებულება მომეტებული საფრთხის წყაროს მფლობელს ბრალის მიუხედავად ეკისრება. აღნიშნული გამოწვეულია იმ მატერიალური ობიექტების ფლობითა და სარგებლობით (ექსპლუატაციით ან ნებისმიერი ფორმით მისი გამოყენებით), რომელსაც განსაკუთრებული ხარისხობრივი თვისება აქვთ და ადამიანის მხრიდან მასზე სრული კონტროლის დამყარება შეუძლებელია. (სუსგ №ას-494-463-2010, 9 ნოემბერი, 2010 წელი)

27. სსკ-ის 992-ე მუხლის თანახმად, ანაზღაურებას ექვემდებარება ნებისმიერი ზიანი, მიყენებული მოქალაქის პიროვნების ან ქონებისათვის. ზიანში, პირველ რიგში, იგულისხმება, დაზარალებულის სუბიექტური სამოქალაქო უფლებების დარღვევის ქონებრივი შედეგები. ამასთან, დარღვეული უფლებები შეიძლება იყოს როგორც ქონებრივი, ისე – პირადი ხასიათის. ზიანი შეიძლება გამოიხატოს დაზარალებულის ქონების განადგურებით ან დაზიანებით, დაზარალებულის მიერ გამომუშავების დაკარგვის ან შემციობებით და ა.შ. დაზარალებულს უნდა აუნაზღაურდეს ყველა ქონებრივი დანაკარგი, როგორც რეალური, ასევე გაშვებული მოგება. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ზიანის ანაზღაურების ინსტიტუტი მიმართულია არა ზიანის მიმყენებლის დასჯისაკენ, არამედ პირვანდელი მდგომარეობის აღდგენისაკენ, რომელიც არსებობდა უფლების ხელყოფამდე. მიყენებული ზიანის ოდენობის მტკიცების ტვირთი კი აწევს დაზარალებულს.

28. სსკ-ის 999-ე მუხლის მეოთხე ნაწილის თანახმად, სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი

გარემოებები დამტკიცებულად ითვლება, კერძოდ, მოპასუხე, რომელიც მართვის უფლების არმქონე პირია და შემთხვევის დროს იყო ნასვამი, სატრანსპორტო საშუალებას მართავდა მფლობელის – მეორე მოპასუხის ნებართვით, ანუ მოსარჩელე მიუთითებს ფაქტობრივ გარემოებაზე, რომ მოსარგებლის მიერ სატრანსპორტო საშუალების გამოყენება შესაძლებელი გახდა მფლობელის ბრალით, სარჩელში მითითებული აღნიშნული ფაქტობრივი გარემოება დადასტურებულად ითვლება, შესაბამისად, სააპელაციო პალატამ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნები და მიიჩნია, რომ მოპასუხეებს ზიანის ანაზღაურება სოლიდარულად უნდა დაეკისროთ.

29. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებდა სარჩელს, ამდენად, არ არსებობდა სსსკ-ის 233-ე მუხლით განსაზღვრული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შემაფერხებელი წინაპირობა.

კასატორის მოთხოვნა და საფუძვლები:

30. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე მოპასუხეებმა შეიტანეს საკასაციო საჩივარი და მოითხოვეს მისი გაუქმება შემდეგი საფუძვლებით:

31. კასატორებმა მიუთითეს, რომ მოცემული საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში დანიშნული იყო 2018 წლის 23 მაისს, 12 საათზე. აღნიშნულის შესახებ მხარეებს ეცნობათ ამავე წლის 1 მაისს, მაგრამ პროცესი არ ჩატარდა მოსარჩელის წარმომადგენლის შუამდგომლობის გამო. მოსარჩელეს სხვა წარმომადგენელიც ჰყავდა, თუმცა სააპელაციო პალატამ სრულად გაიზიარა მხარის მოთხოვნა საქმის განხილვის გადადების შესახებ და საქმე საბოლოოდ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა. აღნიშნულით დაირღვა მხარეთა უფლებები, რადგან მათ შესაძლებლობა არ მიეცათ, მორიგებით დაესრულებინათ საქმე. მოპასუხეებს მოსარჩელის განცხადების შინაარსი წინასწარ არ ეცნობათ, ისინი მაინც გამოიძახეს პროცესზე, რომელიც უნდა გადადებულიყო. ერთ შემთხვევაში სასამართლომ გაიზიარა მხარის მიერ მითითებული გარემოება სხდომის გადადების შესახებ, მოპასუხეთა მიმართ კი სასამართლომ მხედველობაში არ მიიღო ავადმყოფობის მიზეზი, რის დასადასტურებლად მონმეთა და სპეციალისტთა დაკითხვის შესახებ შუამდგომლობები უარყოფილ იქნა.

32. კასატორთა მოსაზრებით, პირველი ინსტანციის სასამართლოს არ ჰქონდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების საფუძველი, რადგან მოპასუხემ საქმის განხილვამდე 10 წუთით ადრე აცნობა მოსამართლის თანაშემწეს თავისი გამოუცხადებლობის მიზეზი – იმყოფებოდა ახალციხის რაიონში ორფოლოს პოლი-

გონზე და ვერ მოახერხებდა პროცესზე გამოცხადებას. საპატიო მიზეზით არ გამოცხადდა არც მეორე მოპასუხის წარმომადგენელი, რომელიც იყო ავად საკვებით ინტოქსიკაციის დიაგნოზით. მან საქმის განხილვამდე ერთი საათით ადრე აცნობა სასამართლოს თავისი გამოუცხადებლობის თაობაზე. მას ჰქონდა მუცლის მოვლითი ტკივილი, დიარეა და ვერ მოახერხებდა პროცესში მონაწილეობის მიღებას. სააპელაციო სასამართლომ მხედველობაში არ მიიღო 2016 წლის 18 ივლისს გაცემული სამედიცინო ცნობა სასამართლო სხდომის დღეს ექიმისათვის მიმართვის შესახებ, თითქოს იგი გაცემულია ექიმისათვის მიმართვიდან 18 დღის შემდეგ, ამიტომ მხარის წარმომადგენლის ავადმყოფობა არ ფიქსირდება. სასამართლომ არასწორად ჩათვალა, რომ აღნიშნულ ცნობაში პირდაპირ არ არის მითითებული პროცესზე პაციენტის გამოუცხადებლობის შეუძლებლობის შესახებ, ასევე, მას 30 ივნისს სამედიცინო დაწესებულებისათვის არ მიუმართავს, რადგან ცნობაში მითითებული ექიმი მეორე მოპასუხის წარმომადგენლის მეუღლეა, იგი ბინაზე მკურნალობდა, ამასთან, წარმომადგენელმა თავად წარადგინა რაიონულ სასამართლოში განცხადება სხდომის გადადების თაობაზე. ფაქტობრივად, ცნობაში მითითებულია ის თარიღი, როდესაც მისი გაცემა იქნა მოთხოვნილი, ხოლო მოკლე ანამნეზში ასახულია პაციენტის მდგომარეობა 2016 წლის 30 ივნისისათვის.

33. მოპასუხემ განმარტა, რომ 2016 წლის 24 ნოემბერს მისი საჩივრის განხილვაზე ვერ გამოცხადდა, რადგან იმყოფებოდა სამხედრო ნაწილის დისლოკაციის ადგილზე და ვერ შეძლებდა პროცესზე დასწრებას. აღნიშნულის შესახებ ცნობა გაიცა 2017 წლის 23 იანვარს.

34. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 1 ნოემბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლით და ამავე კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად. ამავე სასამართლოს 2019 წლის 30 სექტემბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებლად.

სამოტივაციო ნაწილი:

35. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთება და მიიჩნევს რომ მოპასუხეებს უარი უნდა ეთქვათ საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე, ხოლო გასაჩივრებული განჩინება, რომლითაც, თავის მხრივ, ძალაში დარჩა პირველი ინსტანციის სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება და განჩინება

მისი უცვლელად დატოვების შესახებ, უნდა დარჩეს ძალაში.

36. განსახილველ საქმეზე საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანს წარმოადგენს სააპელაციო პალატის მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოში, მოპასუხეთა გამოუცხადებლობის გამო, მიღებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების კანონშესაბამისობა.

37. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო პროცესში (სასარჩელო წარმოებაში) ყოველთვის მონაწილეობს ორი ურთიერთდაპირისპირებული ინტერესის მქონე მხარე – მოსარჩელე და მოპასუხე. ამ ორი მხარის აქტიური მონაწილეობა საქმის განხილვაში უზრუნველყოფილია მათი ინტერესით: მოსარჩელის ინტერესი მდგომარეობს იმაში, რომ სასამართლომ დააკმაყოფილოს სარჩელი, გამოიტანოს მისთვის სასურველი გადაწყვეტილება, ხოლო მოპასუხის ინტერესი – ესაა მოსარჩელისათვის სასამართლოს მიერ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა. ამ ინტერესების რეალიზაციისათვის მხარეებს მინიჭებული აქვთ შესაბამისი საპროცესო უფლებები. სამოქალაქო პროცესის ერთ-ერთი თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ საპროცესო უფლებების გამოუყენელობას შეიძლება მოჰყვეს არახელსაყრელი შედეგი იმ მხარისათვის, რომელმაც ეს უფლება არ გამოიყენა. მაგალითად, მხარის ერთ-ერთი საპროცესო უფლებაა მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში. ამ უფლებას შეესაბამება სასამართლოს მოვალეობა შეატყობინოს მხარეს საქმის განხილვის დროისა და ადგილის შესახებ სსსკ 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით. საქმის განხილვა და გადაწყვეტა მხარის შეუტყობინებლად უნდა დაკვალიფიცირდეს, როგორც საქმის გახილვა მხარის მონაწილეობის გარეშე, მის დაუსწრებლად, რაც გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველი (სსსკ-ის 394-ე მუხლი), ასევე საქმის წარმოების განახლების საფუძველია (სსსკ-ის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი).

38. ორივე მხარის მონაწილეობას პროცესში აქვს მრავალმხრივი მნიშვნელობა, მათ შორის იმ თვალსაზრისითაც, რომ სასამართლოს საშუალებას აძლევს შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვით, დაადგინოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები. მაგრამ, რა უნდა მოიმოქმედოს სასამართლომ, როცა საქმის განხილვაზე არ ცხადდება ერთ-ერთი მხარე (რომელსაც კანონით დადგენილი წესით ეცნობა საქმის განხილვის დროისა და ადგილის შესახებ) და არც არაფერი აცნობა სასამართლოს გამოუცხადებლობის მიზეზების შესახებ? საქმის განხილვა და ამ საქმეზე მართლმსაჯულების განხორციელება არ შეიძლება დამოკიდებული იყოს ერთ-ერთი მხარის ნება-სურვილზე.

39. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ დაუსწრებელი წარმოება – ეს ისეთი წარმოებაა, რომლის დროს საქმის განხილვაში არ მონაწილეობს ერთ-ერთი მხარე – მოსარჩელე ან მოპასუხე, რომლებიც გაფრთხილებულები იყვნენ კანონით დადგენილი წესით. საქმის დაუსწრებელი წარმოების მნიშვნელობა მთლიანად განპირობებულია საქმეზე მართლმსაჯულების განხორციელებისა და ამ საქმის განხილვის დამთავრების ინტერესებით. გარკვეული თვალსაზრისით, დაუსწრებელი გადაწყვეტილება არის აგრეთვე სანქცია არაკეთილსინდისიერებისათვის და ნახალისება კეთილსინდისიერებისათვის, რაზეც ნათლად მიუთითებს კანონის მოთხოვნა იმის შესახებ, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისათვის და საქმის განახლებისათვის სრულებითაც არ კმარა წაგებული მხარის უბრალო პროტესტი (საჩივარი), და რომ ამისათვის აუცილებელია დადასტურდეს არამარტო გამოუცხადებლობის მიზეზების საპატიოობა, არამედ ისიც, რომ მას არ შეეძლო დროულად (დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანამდე) ეცნობებინა სასამართლოსათვის ამ მიზეზების შესახებ.

40. დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა, როგორც წესი, დაკავშირებულია სასამართლოს მიერ არაერთი მოქმედების შესრულების განხორციელებასთან (გადაწყვეტილების მომზადება, მისი მხარისათვის ჩაბარება, საჩივრის დასაშვებობის შემოწმება, საჩივრის განხილვა და ა.შ.). იმისათვის, რომ სასამართლოს მიერ განხორციელებული საპროცესო მოქმედებები არ გამოდგეს გაუმართლებელი და მოხდეს სასამართლოს რესურსების მართლზომიერი გამოყენება, მხარე ვალდებულია, დროულად აცნობოს სასამართლოს, რომ ვერ ახერხებს სასამართლოში გამოცხადებას და დაასაბუთოს გამოუცხადებლობის საპატიოობა. მსგავსი განცხადების არსებობისას და გამოუცხადებლობის მიზეზის საპატიოობის დამადასტურებელი მტკიცებულების წარდგენისას, სასამართლო უარს განაცხადებს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე. საპროცესო ეკონომიის მიზნებიდან გამომდინარე, მსგავსი მოქმედებათა განხორციელება შედის არა მხოლოდ სასამართლოს, არამედ მხარის ინტერესებშიც.

41. მხარის სასამართლო სხდომაზე არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობა აღიქმება, როგორც სასამართლოს უპატივცემულობა, რომლის დროსაც მხარის მიერ უგულებელყოფილია სასამართლოს დროის რესურსი და მართლმსაჯულების დროული განხორციელების მიზნები, რაც თავისთავში გულისხმობს, სასამართლოს მიერ მინიმალური საპროცესო მექანიზმების დაზოგვასა და რიგი პროცედურების თავიდან აცილებას, ასევე უკავშირდება მხარეთა ფუნდამენტური უფლების დაცვას – მართლმსაჯულების

დროულ და სწრაფ განხორციელებას. სწორედ მხარის დავალდებულება, რომ მან სასამართლო სხდომის დაწყებამდე გონივრულ ვადაში აცნობოს სასამართლოს მისი სხდომაზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზი, რაც უნდა დასტურდებოდეს შესაბამისი მტკიცებულებით, წარმოადგენს სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელების საშუალებას, რომლითაც აცხადებული იქნება დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა და იმ დროის რესურსისა თუ საპროცესო მექანიზმების დაზოგვა, რაც გამოუცხადებელი მხარის ბრალით იქნა გამოწვეული.

42. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი მოითხოვს და საშუალებას აძლევს მონაწილე სახელმწიფოებს, მონაწილე მათი სამართლებრივი სისტემები იმგვარად, რომ ხელი შეეწყოს სწრაფ და ეფექტურ სამართალწარმოებას, მათ შორის, დაუსწრებელი გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობის კუთხით (იხილეთ: *Azdajic v. Slovenia*, no. 71872/12, 08/10/2015, § 49; *Gankin and Oters v. Russia*, no. 12938/12. 31/05/2016, § 26.), თუმცა აღნიშნული არ შეიძლება განხორციელდეს სხვა პროცედურული გარანტიების, განსაკუთრებით კი მხარეთა თანასწორობის პრინციპის ხარჯზე.

43. სსკ-ის 230-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდება მოპასუხე, რომელსაც გაეგზავნა შეტყობინება 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, და მოსარჩელე შუამდგომლობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე, მაშინ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები დამტკიცებულად ითვლება, ხოლო ამავე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას, სარჩელი დაკმაყოფილდება. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო უარს ეტყვის მოსარჩელეს მის დაკმაყოფილებაზე.

44. ზემოაღნიშნული ნორმების საფუძველზე კანონმდებელი სასამართლოს ავალებს, მოპასუხე მხარის გამოუცხადებლობის შემთხვევაში შეამოწმოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების როგორც საპროცესო-სამართლებრივი წინაპირობების არსებობა (ეცნობა თუ არა მოპასუხეს საქმის განხილვის თარიღი და მისი არასაპატიო გამოუცხადებლობის სამართლებრივი შედეგები კანონით დადგენილი წესით, სხდომამდე გონივრულ ვადაში; იყო თუ არა მოპასუხის გამოუცხადებლობა გამოწვეული არასაპატიო მიზეზით, შუამდგომლობს თუ არა მოსარჩელე დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების შესახებ), ისე იმსჯელოს, ამართლებს თუ არა სარჩელში მითითებული გარემოებანი სასარჩელო მოთხოვნას მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით.

45. ამდენად, მოპასუხის გამოუცხადებლობის შემთხვევაში დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებისათვის უნდა დადასტურდეს შემდეგი წინაპირობები: 1. მოპასუხისათვის საქმის განხილვის შესახებ კანონის მოთხოვნათა დაცვით შეტყობინება; 2. მისი არასაპატიო გამოუცხადებლობა; 3. მოსარჩელის შუამდგომლობა დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების შესახებ; 4. სარჩელში მითითებული ფაქტების იურიდიული მართებულობა მის მოთხოვნასთან მიმართებით.

46. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მითითებული საფუძვლების კუმულაციურად არსებობა ქმნის დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის ფორმალურ წინაპირობას, თუმცა იმისათვის, რათა სასამართლომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის გზით დააკმაყოფილოს სარჩელი, მოსამართლე ვალდებულია, გამოარკვიოს კანონის ძალით დადგენილად მიჩნეული ფაქტობრივი გარემოებები ამართლებენ თუ არა იურიდიული თვალსაზრისით მოთხოვნას. მოთხოვნის იურიდიული მართებულობის კვლევა მოიაზრებს სასამართლოს მხრიდან დამფუძნებელი ნორმების სწორად მოძიებას, რომლებიც დავის გადაწყვეტის ფუნდამენტს წარმოადგენს და იძლევა ამა თუ იმ ურთიერთობის რეგულირების აბსტრაქტულ შემადგენლობას. ნორმის მოძიების შემდგომ სასამართლო ადგენს, სარჩელში მითითებული იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტები დამფუძნებელი ნორმის აბსტრაქტულ აღწერილობას აკმაყოფილებენ თუ არა, რაც დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის გზით სარჩელის წარმატების საფუძველია. (შდრ. სუსგ 2018 წლის 11 მაისის განჩინება საქმეზე №ას-1468-1388-2017.).

47. მოპასუხის გამოუცხადებლობის შემთხვევაში სასამართლო არ იხედება საქმეში, არ ამოწმებს და არ აფასებს მტკიცებულებებს, ვინაიდან ეს საჭირო არაა, რადგან გადაწყვეტილებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტები დამტკიცებულად ითვლება, მაგრამ „იხედება კანონში“, რათა მისცეს ამ დამტკიცებულად ჩათვლილ ფაქტებს იურიდიული შეფასება. თუ ასეთი შეფასების შედეგად აღმოჩნდება, რომ აღნიშნული ფაქტები ამართლებენ შესაბამისი კანონის თანახმად მოსარჩელის მოთხოვნას, სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლომ უნდა გამოიტანოს ჩვეულებრივი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

48. მოპასუხე მხარის სასამართლო სხდომაზე არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობისას, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის კონტექსტში დადგენილად მიიჩნევა დავის ფაქტობრივი გარემოებები, რაც იმას ნიშნავს, რომ სასამართლო დად-

გენილად მიიჩნევს არა მხარის მოსაზრებებს, არამედ, იურიდიული მნიშვნელობის მქონე იმ ფაქტებს, რომლებიც მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმის შემადგენლობას ქმნიან, რაც შეეხება ამა თუ იმ მოსაზრებას, რომელსაც მხარე ავითარებს, ისინი სასამართლოს შეფასების საგანს წარმოადგენს, რა დროსაც საქმის განმხილველი შემადგენლობა ამონმებს ამ ფაქტებს მატერიალური სამართლის დანაწესებთან მიმართებით. თავის მხრივ, უნდა აღინიშნოს, რომ მართლმსაჯულების აქტი, მიუხედავად იმისა, იგი მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპითაა მიღებული თუ ერთ-ერთი მხარის გამოუცხადებლობის შედეგად, ყოველთვის უნდა ემყარებოდეს მატერიალური სამართლის ნორმას. საქმის განხილვაზე ერთ-ერთი მხარის გამოუცხადებლობა, თუნდაც ეს არასაპატიო მიზეზით იყოს განპირობებული, სასამართლოს არ აქვს უფლებამოსილება, გადანყვეტილებას მხოლოდ სამართლებრივი სანქციის ფუნქცია შესძინოს და იურიდიული შეფასების გარეშე დააკმაყოფილოს გამოცხადებული მხარის ყველა პრეტენზია. სწორედ ამგვარი თვითნებობის თავიდან აცილებას ემსახურება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის მე-2 ნაწილის დათქმა.

49. დაუსწრებელი გადანყვეტილების გამოტანისას სასამართლო არ იხილავს მტკიცებულებებს და არ შედის მათ არსებით კვლევაში, მსჯელობს მხოლოდ სარჩელში მითითებულ ფაქტებზე და, სარჩელის შინაარსიდან გამომდინარე, დაუსწრებელი გადანყვეტილება გამოაქვს იმ შემთხვევაში, თუ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას.

50. მოცემულ შემთხვევაში დადგენილია და მხარეთა შორის დავას არ იწვევს შემდეგი ფაქტობრივი გარემოებანი:

51. გურჯაანის რაიონულ სასამართლოში წინამდებარე საქმეზე მოსამზადებელი სხდომა დაინიშნა 2016 წლის 30 ივნისს, 14:00 საათზე.

52. საქმის განხილვის შესახებ მხარეებს ეცნობათ კანონის მოთხოვნათა დაცვით, კერძოდ, მეორე მოპასუხის წარმომადგენელს სასამართლო უწყება ჩაჰპარდა 2016 წლის 9 ივნისს, ხოლო მოპასუხისათვის გაგზავნილი სასამართლო უწყება 2016 წლის 13 ივნისს ჩაჰპარდა მისი ოჯახის წევრს – დედას.

53. არცერთი მოპასუხე საქმის განხილვაზე არ გამოცხადდა, ხოლო მოსარჩელემ იშუამდგომლა დაუსწრებელი გადანყვეტილების გამოტანის შესახებ.

54. განსახილველი საკასაციო საჩივრით სადავოდაა გამხდარი იმ საკითხის შეფასება, საქმის განხილვაზე მოპასუხეთა გამოუცხადებლობა გამოინვეული იყო თუ არა საპატიო მიზეზებით.

55. სააპელაციო პალატის მიერ დადგენილია, რომ მოპასუხის შემთხვევაში, სხდომამდე რამდენიმე წუთით ადრე განხორციელდა ზარი მოსამართლის თანაშემწესთან და აღნიშნულის მიზეზად დასახელებულ იქნა მოპასუხის სამსახურებრივი მივლინება. რაც შეეხება მეორე მოპასუხეს, უშუალოდ მხარის გამოუცხადებლობის მიზეზი სასამართლოსათვის უცნობია. იგი საქმის განხილვაში მონაწილეობას იღებდა წარმომადგენლის მეშვეობით, რომელმაც სასამართლო სხდომის დაწყებამდე ერთი საათით ადრე წარადგინა განცხადება ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებისა და პროცესზე დასწრების შეუძლებლობაზე მითითებით.

56. ამდენად, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ მოპასუხეთა მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს სსსკ-ის 233-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი (მხარის გამოუცხადებლობის შემთხვევაში სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დაუშვებელია, თუ სასამართლოსათვის ცნობილი გახდა, რომ ადგილი ჰქონდა დაუძლეველ ძალას ან სხვა მოვლენებს, რომელსაც (რომლებსაც) შეეძლო ხელი შეეშალა სასამართლოში მხარის დროულად გამოცხადებისათვის) და 241-ე მუხლი (დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს, თუ არსებობს 233-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, ან თუ მხარის გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო სხვა საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც მას არ შეეძლო თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის).

57. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საჩივარი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის განხილვის განახლების შესახებ (საჩივარი დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე) თავისი შინაარსით განსხვავდება როგორც სააპელაციო, ისე საკასაციო და კერძო საჩივრებისაგან. მთავარი განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ საჩივარი დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე შეიძლება ემყარებოდეს მხოლოდ და მხოლოდ იმას, რომ სასამართლო სხდომაზე მხარის გამოუცხადებლობა (ან მოპასუხის მიერ შესაგებლის წარუდგენლობა) გამოწვეული იყო საპატიო მიზეზით. საჩივარი დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე არ შეიძლება ემყარებოდეს გარემოებებს, რომლებიც ასაბუთებენ მის უსწორობას არსებითად, მის შეუსაბამობას საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან, რადგან დაუსწრებელი გადაწყვეტილება მიიღება არა საქმის მასალების საფუძველზე, არამედ მხარის გამოუცხადებლობის გამო. ამიტომ, გამართლებული და ახსნილი უნდა იქნეს ის, რასაც ეს საჩივარი ეფუძნება – კერძოდ გამოუცხადებლობის საპატიობა (სსსკ-ის 238-ე მუხლის „გ“ პუნქტი). სააპელაციო და საკასაციო საჩივრისაგან, დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე საჩივარი იმითაც განსხვავდება, რომ

ამ საჩივარს იხილავს და გადაწყვეტილებას იღებს ის სასამართლო, რომელმაც გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ამ მხრივ გამონაკლისია მეორე (განმეორებითი) დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

58. დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე და 241-ე მუხლების თანახმად, დაიშვება, თუ მხარე, რომელის წინააღმდეგაც იქნა გამოტანილი დაუსწრებელი გადაწყვეტილება, დაამტკიცებს, რომ: ა) გამოუცხადებელი მხარე მონვეული არ იყო ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით; ბ) სასამართლოსათვის ცნობილი გახდა, რომ არსებობდა დაუძლეველი ძალა ან სხვა მოვლენები, რომელსაც (რომლებსაც) შეეძლო ხელი შეეშალა სასამართლოში მხარის დროულად გამოცხადებისათვის; გ) გამოუცხადებელ მხარეს დროულად არ ეცნობა საქმის ფაქტობრივი გარემოებები; დ) არ არსებობს სარჩელის აღძვრის წინაპირობები. ე) არსებობს საპატიო მიზეზი, რის გამოც მხარე ვერ გამოცხადდა სასამართლოში და ამავდროულად, ვერ შეძლო სასამართლოს წინასწარ ინფორმირება. შესაბამისად, გამოუცხადებელ მხარეს, რომლის წინააღმდეგაც გამოტანილია დაუსწრებელი გადაწყვეტილება, შეუძლია, გააქარწყლოს ვარაუდი, რომელიც საფუძვლად უდევს ამ გადაწყვეტილებას, მოითხოვოს მისი გაუქმება და საქმის განხილვის განახლება, თუ დაამტკიცებს, რომ არ არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის წინაპირობები. გამოუცხადებელ მხარეს, რომლის წინააღმდეგაც გამოტანილია დაუსწრებელი გადაწყვეტილება, შეუძლია გააქარწყლოს ვარაუდი, რომელიც საფუძვლად უდევს ამ გადაწყვეტილებას, მოითხოვოს მისი გაუქმება და საქმის განახლება, თუ დაამტკიცებს, რომ არ არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის წინაპირობები.

59. წარმოდგენილი საკითხის სწორად შესაფასებლად უნდა გირკვეს, რა სახის გარემოება შეიძლება, ჩაითვალოს საპატიოდ.

60. სსსკ-ის 215-ე მუხლის მესამე ნაწილი განსაზღვრავს ამა თუ იმ საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობის საპატიოდ მიჩნევის წანამძღვრებს და ასეთად მიიჩნევს ავადმყოფობას, ახლო ნათესავის გარდაცვალებას ან სხვა განსაკუთრებულ ობიექტურ გარემოებას, რომელიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის საპროცესო მოქმედების შესრულებას.

61. კანონის მითითებული დანაწესის თანახმად, საპატიოდ ჩაითვლება ისეთი გარემოების არსებობის სარწმუნოდ დადასტურება, რომელიც ობიექტურად შეუძლებელს ხდის მხარის მიერ საპროცესო მოქმედების შესრულებას, მოცემულ შემთხვევაში კი – სასამართლო პროცესზე გამოცხადებას. ამასთან, ამგვარი საპა-

ტიო გარემოების დადასტურების ვალდებულებასთან დაკავშირებულ მტკიცების სტანდარტს აწესებს სსსკ-ის 102-ე მუხლი, რომლის თანახმად თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ამ გარემოებათა დამტკიცება შეიძლება თვით მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა-განმარტებით, მოწმეთა ჩვენებით, ფაქტების კონსტატაციის მასალებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებითა და ექსპერტთა დასკვნებით. საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით. ამავ ე კოდექსის 103-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით კი, მტკიცებულებებს სასამართლოს წარუდგენენ მხარეები.

62. ამდენად, სათანადო მტკიცებულებით დადასტურებას საჭიროებს საპროცესო ვალდებულების შეუსრულებლობის მიზეზად დასახელებული ყველა გარემოება, რაზეც მხარე აპელირებს (სუსგ 27.11.2019წ. საქმე №ას-920-2019).

63. იმ გარემოებათა დამტკიცების ტვირთი, რომლებზეც მიუთითებს მხარე თავის საჩივარში, როგორც გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზზე, ეკისრება მომჩივანს, ხოლო ამ გარემოებათა შეფასება იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად საპატიოა მხარის გამოუცხადებლობა – სასამართლოს უფლებამოსილებაა. იმისათვის, რათა სასამართლომ მხარის მიერ მითითებული გარემოება გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზად მიიჩნიოს, მას უნდა შეექმნას მხარის გამოცხადების ობიექტური შეუძლებლობის მყარი შინაგანი რწმენა (სუსგ 20.07.2018წ. საქმე №ას-806-806-2018).

64. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სსსკ-ის 215-ე მუხლის მესამე ნაწილი იმგვარად უნდა განიმარტოს, რომ მხარეს საპროცესო მოქმედების შესრულება საპატიოდ ჩაეთვალოს, როდესაც მის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულება ადასტურებს მისგან დამოუკიდებელი ფაქტორების ზემოქმედებით სადავო საპროცესო მოქმედების შესრულების ობიექტური ხელშეშლით გამოწვეულ შეუძლებლობას. მხედველობაშია მისაღები, რომ მართალია სსსკ-ის 215-ე მუხლის მესამე ნაწილის განმარტებასთან დაკავშირებით მეტად მნიშვნელოვანია სასამართლო პრაქტიკის გათვალისწინება, თუმცა კონკრეტული ურთიერთობის დარეგულირებისას სასამართლო ეფუძნება მოცემული დავის ფაქტობრივ გარემოებებს, რაც, ცხადია, ყველა შემთხვევაში განსხვავებულია. სასამართლოს მიერ დადგენილი სამართლებრივი შედეგიც გამომდინარეობს კონკრეტული გარემოებების შეფასებიდან.

65. მოცემულ საქმეზე მოპასუხემ სასამართლო სხდომაზე თა-

ვისი გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზად დაასახელა სამსახურებრივი მივლინებაში ყოფნა, რის დასადასტურებლადაც წარადგინა ცნობა საქართველოს შეიარაღებული ძალების შესაბამისი დანაყოფიდან, რომ მოპასუხე მივლინებაში იმყოფებოდა 2016 წლის 16 ივნისიდან 7 ივლისამდე. ცნობაში აღნიშნულია, რომ მოპასუხე, როგორც სამოქალაქო პირი, მსახურობს მხერხავის თანამდებობაზე და იმყოფებოდა მივლინებაში „ორფოლო“-ს პოლიგონზე.

66. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სასამართლო სხდომაზე კანონით დადგენილი წესით მიწვეულ და საქმის განხილვაზე გამოუცხადებულ მხარეს ევალება არა მხოლოდ იმ გარემოების მტკიცება, რომ სხდომის დღეს ობიექტურად ვერ შეძლება და სასამართლოში გამოცხადებას, არამედ სასამართლოს დარწმუნება, რომ პროცესამდე გონივრულ ვადაში არ ჰქონდა შესაძლებლობა, ეცნობებინა მისთვის თავისი გამოუცხადებლობისა და აღნიშნულის საპატიო მიზეზის შესახებ.

67. მოპასუხემ ვერ დაასაბუთა ის გარემოება, რომ მისთვის ობიექტურად შეუძლებელი იყო სასამართლო სხდომაზე გამოცხადება, ან გამოუცხადებლობის მიზეზის შესახებ სასამართლოს დროული ინფორმირება, შესაბამისად, მისი გამოუცხადებლობა საპატიოდ ვერ შეფასდება. საკასაციო პალატა სრულად იზიარებს სააპელაციო პალატის მიერ წინამდებარე განჩინების პ.12-ში განვიტარებულ მსჯელობას.

68. ამავდროულად, საკასაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს საკასაციო საჩივარში მოპასუხის მითითებაზე, რომ 2016 წლის 24 ნოემბერს იგი კვლავაც იმყოფებოდა მივლინებაში და ვერ დაესწრო მისი საჩივრის განხილვას.

69. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საპროცესო კოდექსით დადგენილი მოწესრიგება, რომელიც იმპერატიულად ადგენს ფორმალურ წესებსა და ვადებს, სავალდებულოა არა მხოლოდ მხარეებისათვის, არამედ სასამართლოსათვისაც და ამ რეგულაციების შეცვლა ან განსხვავებული ინტერპრეტაცია მხარეთა ნებაზე დამოკიდებული ვერ იქნება.

70. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სასამართლო დავის წარმოებისას მხარე ვალდებულია, უზრუნველყოს მისი სათანადო მონაწილეობა საქმის განხილვაში უშუალოდ პირადად დასწრებით ან, ასეთის შეუძლებლობისას, წარმომადგენლის მეშვეობით. წინააღმდეგ შემთხვევაში აღნიშნული ვალდებულების დარღვევას მხარისათვის არახელსაყრელი შედეგი მოჰყვება.

71. სსსკ-ის 215-ე მუხლის მესამე ნაწილის დანაწესი ასევე ადგენს, რომ სასამართლო უფლებამოსილია, მხარის მიერ კონკრეტული საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობა ჩათვალოს სა-

პატიოდ, თუკი აღნიშნული მოქმედება მან ვერ შეასრულა ავადმყოფობის გამო. ამ შემთხვევაში ისევე, როგორც ზოგადად სამოქალაქო სამართალწარმოებისას, მხარეს ეკისრება სადავო გარემოების მტკიცების ტვირთი. მეტიც, კანონის ზემოაღნიშნული დანაწესი პირდაპირ განსაზღვრავს, თუ რა მტკიცებულებით უნდა დადასტურდეს მხარის ავადმყოფობის ფაქტი და ასეთად მიიჩნეოს სამედიცინო დოკუმენტს, რომელიც: ა) ხელმოწერილია სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ; ბ) პირდაპირ მიუთითებს მხარის შეუძლოდ ყოფნაზე კონკრეტული დროის მონაკვეთში (რომლის განმავლობაშიც უნდა შესრულებულიყო სადავო საპროცესო მოქმედება); გ) ასახავს პაციენტის ჯანმრთელობის იმგვარ გაუარესებას, რაც გამოორიცხავს საპროცესო მოქმედების შესრულების შესაძლებლობას.

72. განსახილველ საქმეზე მეორე მოპასუხის წარმომადგენელმა თავისი გამოუცხადებლობა დაასაბუთა ავადმყოფობით, რის დასადასტურებლადაც წარადგინა სამედიცინო ცნობა „ფორმა – 100“. აღნიშნული დოკუმენტით, რომელიც გაცემულია 2016 წლის 18 ივლისს, ირკვევა, რომ წარმომადგენელმა კვებითი ინტოქსიკაცია მიიღო 2016 წლის 29 ივნისს, ხოლო 2016 წლის 30 ივნისს კი აღნიშნებოდა მოვლითი ხასიათის ტკივილი მუცლის არეში. მეორე მოპასუხის წარმომადგენელმა არ უარყო, რომ ცნობის გამცემი ექიმი იყო მისი მეუღლე.

73. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სწრაფი, ეკონომიური და ეფექტიანი მართლმსაჯულების განხორციელება როგორც სასამართლო ხელისუფლების, ისე სამართალწარმოების მონაწილე პირთა პასუხისმგებლობა და საამისოდ ყველა ლეგიტიმური შესაძლებლობის გამოყენებაა საჭირო, რაც თანაბრად უზრუნველყოფს მხარეთა თანასწორობას საქმის განხილვის ყველა ეტაპზე და ხელს შეუწყობს სასამართლოში საქმეთა განხილვის გაჭიანურების არიდებას. სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დამკვიდრებულია პრინციპი, რომლის თანახმად მხარეებს (ფიზიკურ თუ იურიდიულ პირებს), შეუძლიათ საქმე აწარმოონ სასამართლოში როგორც პირადად, აგრეთვე წარმომადგენლის მეშვეობით. სასამართლო წარმომადგენლობა ესაა კანონით გარანტირებული შესაძლებლობა მხარემ აწარმოოს საქმე სასამართლოში წარმომადგენლის მეშვეობით. სასამართლო წარმომადგენელი არის პირი, რომელიც ასრულებს სასამართლოში მარწმუნებლის სახელით და მისი ინტერესების შესაბამისად ყველა იმ საპროცესო მოქმედებას, რაც გათვალისწინებულია კანონით და მარწმუნებლის მიერ გაცემული მინდობილობით. სასამართლო წარმომადგენლობა დაიშვება უკლებლივ ყველა საქმეზე, რომელიც სასამართლოს ექვემდებარება.

რება უწყებრივად. წარმოშობის საფუძვლების მიხედვით განასხვავებენ: ა) ნებაყოფლობით ანუ სახელშეკრულებო წარმომადგენლობას; ბ) იურიდიული პირის წარმომადგენლობას; გ) კანონისმიერ წარმომადგენლობას. ნებაყოფლობითი (სახელშეკრულებო) წარმომადგენლობა წარმოიშობა მხარეთა თავისუფალი ნების საფუძველზე დავალების ხელშეკრულების დადებით (სსკ-ის 709-ე მუხლი). სსსკ-ის 96-ე მუხლი ითვალისწინებს წარმომადგენლის უფლებამოსილების გაფორმების პროცედურებს, ხოლო სსსკ-ის 98-ე მუხლი კი, ითვალისწინებს წარმომადგენლის უფლებამოსილების ფარგლებს.

74. სსსკ-ის 93-ე მუხლის თანახმად, მოქალაქეებს შეუძლიათ საქმე აწარმოონ სასამართლოში პირადად, ხოლო იურიდიულ პირებს ან სხვა ორგანიზაციებს – იმ თანამდებობის პირის მეშვეობით, რომელსაც წესდებით ან დებულებით შეუძლია ამ იურიდიული პირისა თუ ორგანიზაციის სახელით იმოქმედოს. მხარეებს, შეუძლიათ აგრეთვე საქმე აწარმოონ სასამართლოში წარმომადგენლის მეშვეობით. საქმის წარმოება წარმომადგენლის მეშვეობით არ ართმევს უფლებას მხარეებს თვითონაც პირადად მიიღონ მონაწილეობა საქმეში. საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებული ერთგვაროვანი პრაქტიკის თანახმად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 93-ე მუხლის მე-2 ნაწილი არაა იმპერატიული ხასიათის და მხარეს მხოლოდ უფლებით აღჭურავს – თავადაც მიიღოს მონაწილეობა საქმის განხილვაში იმ შემთხვევაშიც კი, თუ მას ჰყავს წარმომადგენელი. მხარისა და წარმომადგენლის ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობის გათვალისწინებით, როდესაც მხარე მისი უფლების დაცვის შესაძლებლობას წარმომადგენელს მიანიჭებს, თუ წარმომადგენელი მინიჭებულ უფლებამოსილებას კეთილსინდისიერად ახორციელებს, წარმომადგენლის საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობა მხარისათვის არახელსაყრელი შედეგის დადგომის წინაპირობა არ შეიძლება გახდეს, რადგანაც მას ამ ურთიერთობის მიმართ კანონიერი ნდობა გააჩნია და ორიენტირებულია ადვოკატის მიერ მარწმუნებლის უფლების კვალიფიციურად დაცვაზე.

75. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სსსკ-ის 105-ე მუხლი ადგენს სასამართლოს მხრიდან მხარეთა მიერ მითითებული გარემოებების შეფასების პირობებს, კერძოდ, სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. მოსაზრებები, რომლებიც საფუძვლად უდევს სასა-

მართლოს შინაგან რწმენას, უნდა აისახოს გადაწყვეტილებაში.

76. ამდენად, სადავო გარემოებების დადგენისას სასამართლო იმსჯელებს საქმეში წარმოდგენილ მხარეთა განმარტებებზე, წერილობით დოკუმენტებსა და სხვა მტკიცებულებებზე ერთობლიობაში, რისი ურთიერთშეჯერებით გადაწყვეტს, სარწმუნოდ მიიჩნიოს თუ არა ამა თუ იმ ფაქტის არსებობა.

77. მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ ერთობლიობაში შეაფასა მეორე მოპასუხის წარმომადგენლის გამოუცხადებლობასთან დაკავშირებული ზემოაღნიშნული გარემოებანი და მიაჩნია, რომ ამ უკანასკნელმა სარწმუნოდ ვერ დაასაბუთა ჯანმრთელობის მდგომარეობის იმგვარი გაუარესების არსებობა, რაც გამოორიცხავდა სასამართლო სხდომაზე მის გამოცხადებას თუნდაც საქმის განხილვის სხვა დროისათვის გადადების მოთხოვნისათვის. საკასაციო პალატა ეთანხმება წინამდებარე განჩინების პ.14-17-ში სააპელაციო პალატის მიერ განვითარებულ მსჯელობას.

78. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ თუ არ არსებობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, სასამართლოს გამოაქვს განჩინება საჩივრის დაუკმაყოფილებლობისა და დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ. სამოქალაქო საპროცესო სამართალწარმოებაში დაუსწრებელი გადაწყვეტილების ინსტიტუტი უზრუნველყოფს მხარეთა მიერ საპროცესო ვალდებულებების შესრულებისადმი პატივისცემისა და მათი პასუხისმგებლობის დონის ამალღებას. ის ემსახურება საპროცესო დისციპლინის განმტკიცებას და პროცესის გამარტივებას. აქედან გამომდინარე, ეს ინსტიტუტი სსსკ-ის მე-3 და მე-4 მუხლებით განმტკიცებული სამართალწარმოების ფუნდამენტური პრინციპების რეალიზაციაა. თუ დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებისას კანონით გათვალისწინებული წინაპირობები დაცულია, მისი გაუქმება სათანადო დასაბუთების გარეშე დაუშვებელია.

79. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორთა მითითებას, რომ სააპელაციო სასამართლომ დააკმაყოფილა მხოლოდ მოსარჩელის შუამდგომლობა სხდომის გადადების შესახებ, ხოლო მოპასუხეთა მიმართ ანალოგიურ მოთხოვნას დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღება მოჰყვა.

80. აღსანიშნავია, რომ საქმის მასალებში წარმოდგენილია მეორე მოპასუხის წარმომადგენლის შუამდგომლობა მისი საჩივრის 2016 წლის 18 ოქტომბრის განხილვისას, საქმის გადადების მოთხოვნით, ვინაიდან წარმომადგენელს ჰქონდა იუბილე და აღნიშნავდა მინვეულ სტუმრებთან ერთად. მოცემული სხდომა გადაინიშნა სხვა დროისათვის.

81. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქმის განხილვის გადადების საპროცესო შესაძლებლობას ითვალისწინებს სსსკ-ის 216-ე მუხლი, რომლის თანახმად საქმის განხილვის გადადება დასაშვებია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, გონივრული ვადით.

82. კანონის მითითებული დანაწესი გულისხმობს, რომ სასამართლო უფლებამოსილია, სხვა დროისათვის გადადოს კანონის მოთხოვნათა დაცვით დანიშნული სასამართლო სხდომა, თუ არსებობს ისეთი ობიექტური გარემოება, რომელიც ამართლებს საქმის განხილვის ვადის დახანებას და არ ემსახურება მის გაჭიანურებას. იმ შემთხვევაში, როდესაც მხარე მოითხოვს საქმის განხილვის სხვა დროისათვის გადადებას, იგი ვალდებულია, სსსკ-ის 102-ე მუხლის შესაბამისად, სარწმუნოდ დაასაბუთოს საკუთარი მოტივების საფუძვლიანობა. მხარის მიერ მოყვანილ არგუმენტებზე საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო, რომელიც უარს ეტყვის მხარეს საქმის გადადებაზე, თუ ვერ დარწმუნდება სასამართლო პროცესის გადადების წინაპირობათა მართებულობაში. საქმის განხილვის სხვა დროისათვის გადადებაზე მსჯელობისას სასამართლო ვალდებულია, გაითვალისწინოს საპროცესო ეკონომიის პრინციპი და მხედველობაში მიიღოს მეორე მხარის ინტერესი, ისარგებლოს ეფექტური, სწრაფი მართლმსაჯულებით.

83. სააპელაციო პალატამ გაიზიარა რა მოსარჩელის შუამდგომლობა პროცესის გადადების შესახებ, საქმის განხილვის გაჭიანურებისაგან თავის არიდების მიზნით, სააპელაციო საჩივრის განხილვა დაადგინა ზეპირი მოსმენის გარეშე, რის შესაძლებლობას მას ანიჭებდა სსსკ-ის 376¹-ე მუხლის მესამე ნაწილი (თუ სააპელაციო საჩივარი შეეხება პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილ განჩინებას საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა და დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ), სააპელაციო სასამართლოს შეუძლია საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე. საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის შესახებ წინასწარ უნდა ეცნობოს მხარეებს.

84. რაც შეეხება კასატორთა მითითებას, რომ ზეპირი მოსმენის გარეშე დავის განხილვამ მათ შეუზღუდათ მორიგების შესაძლებლობა.

85. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამართლებრივი დავა, როგორც წესი, ხანგრძლივ და რთულ პროცესს უკავშირდება. მორიგება ის სამართლებრივი მოვლენაა, რომელიც მხარეთა ნების მაქსიმალური გათვალისწინებით და კანონიერი გზით წყვეტს მხარეთა შორის არსებულ უთანხმოებას. საქმის დამთავრება მორიგებით სამართალწარმოების დასრულების არანაკლებ მნიშვნელოვან-

ნი ფორმაა, ვიდრე საქმეზე გადანყვეტილების გამოტანა. ზოგჯერ მორიგება უკეთესი ალტერნატივაა, თუმცა, მხოლოდ ერთი პირობით – თუ მორიგების შეთავაზება მიზნად ისახავს არა მხოლოდ მოსამართლის განტირთვის, მისი მუშაობის შემსუბუქებას, არამედ მხარეთა შორის დავის საგანზე წარმოშობილი კონფლიქტის სამართლიანად მოგვარებას.

86. სამოქალაქო საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელება ემყარება მიზანს, მონესრიგდეს და აღმოიფხვრას საზოგადოებრივ ურთიერთობებში წარმოშობილი კონფლიქტი, საზოგადოებრივი ურთიერთობების მონაწილეებმა ხელშეშლის გარეშე, მათთვის ხელსაყრელ და სასურველ პირობებში, შეძლონ თავიანთი უფლებების განხორციელება. ამ მიზნის მიღწევის ერთ-ერთი საუკეთესო სამართლებრივი საშუალება მოდავე მხარეთა შორის მორიგებაა.

87. საზოგადოებრივი ურთიერთობების სამოქალაქო-სამართლებრივი მონესრიგების პროცესში მისი მონაწილეების აღჭურვა განსაზღვრული უფლებებითა და მოვალეობებით, განაპირობებს შემდგომში მათ ქცევას არსებული სამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში. საქმის წარმოება და მორიგებით საქმის წარმოების დასრულება, საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული მხარეთა უფლებაა. საქმის შედეგით მატერიალურ-სამართლებრივი დაინტერესება გულისხმობს, რომ საქმის გადანყვეტის შედეგად ერთ-ერთმა მხარემ შესაძლოა შეიძინოს რაიმე მატერიალური სიკეთე, ხოლო მეორე მხარე – ამ სიკეთეს კარგავს. მორიგებისას მდგომარეობა განსხვავებულია, აქ ინტერესი და სამართლებრივი სიკეთით სარგებლობა ერთდროული და ორმხრივია.

88. მორიგებით სამოქალაქო საქმის წარმოების დამთავრება წარმოადგენს მხარეთა უფლებასა და დისპოზიციურობის პრინციპის გამოვლენას. დისპოზიციურობის პრინციპი სამოქალაქო სამართალწარმოებაში – ესაა სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული და გარანტირებული მხარეთა შესაძლებლობა თავისუფლად ისარგებლონ ან განკარგონ თავიანთი მატერიალური და საპროცესო უფლებები. სამოქალაქო საქმის წარმოების მორიგებით დამთავრება პროცესის მონაწილე მხარეთათვის კანონით მინიჭებული დისპოზიციური უფლებამოსილებაა, რომელიც მათი ნების თავისუფალი გამოვლინებისა და ურთიერთშეთანხმების საფუძველზე გარიგების სახით მიიღება და სასამართლოს მხრიდან კანონიერების კონტროლის საფუძველზე მტკიცდება. მორიგება შესაძლებელია, როგორც საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე, ასევე საქმის განხილვის დასრულების შემდეგაც.

89. მატერიალური ნიშნით მორიგება გარიგებაა. გარიგების ყვე-

ლაზე გავრცელებული სახე ხელშეკრულებაა, რომელიც ორ ან მეტ სუბიექტს შორის სამართლებრივ ურთიერთობას წარმოშობს, ცვლის ან წყვეტს. მორიგების ხელშეკრულებად მიჩნევა ორი ძირითადი და არსებითად მნიშვნელოვანი ფაქტორი განაპირობებს. მორიგება ორმხრივი ან მრავალმხრივი ნების გამოვლენის ფაქტია. თუმცა, მორიგება გარკვეულწილად განსხვავდება სსკ-ის 50-ე მუხლით გათვალისწინებული გარიგებისაგან. კერძოდ, გარიგებისაგან განსხვავებით, მორიგება არ შეიძლება იყოს ცალმხრივი ნების გამოვლენის შედეგი. მორიგებაში ცალმხრივი ნების გამოვლენა შეუძლებელია. ცალმხრივი ნება, სამოქალაქო საპროცესო ურთიერთობებში შესაძლოა გამოიხატოს სარჩელის ცნობით (აღიარებით) ან სარჩელზე უარის თქმით, რაც მორიგებას არ წარმოადგენს, თუმცა მაინც იძლევა შედეგს სამოქალაქო საქმის წარმოების შეწყვეტის სახით. მორიგება წარმოადგენს მხარეების მიერ ახალ გარემოებებზე შეთანხმებას. მორიგება უკვე მხარეთა შორის გამოხატული ახალი ნებაა, რაც ახალი გარიგების დადებას გულისხმობს.

90. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სსსკ-ის მე-3 მუხლით გათვალისწინებული დისპოზიციურობის პრინციპის ძალით მხარეებს შესაძლებლობა ეძლევათ საქმის განხილვის ნებისმიერ, მათ შორის, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების ეტაპზე მიაღწიონ მორიგებას, შესაბამისად, საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორთა მითითებას, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ ზეპირი მოსმენის გარეშე დავის განხილვამ, მათ შეუზღუდათ მორიგების შესაძლებლობა.

91. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ საქმეზე დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების საპროცესო წინაპირობები სააპელაციო პალატამ მართებულად დაადგინა, ხოლო კასატორებმა დასაბუთებული საკასაციო პრეტენზიის წარმოდგენის გზით სანინალმდევოს დამტკიცება ვერ შეძლეს. შესაბამისად, სარჩელში მითითებული გარემოებანი მიჩნეულ იქნა უპირობოდ დადგენილად (იხ. წინამდებარე განჩინების პპ 19-24).

92. ამასთან, საკასაციო საჩივარი არ შეიცავს რაიმე პრეტენზიას გასაჩივრებული განჩინებით სარჩელში დასახელებული გარემოებების იურიდიული თვალსაზრისით შეფასებასთან დაკავშირებით. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის მსჯელობას მოსარჩელისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების კანონიერებასთან დაკავშირებით, რომელიც ეფუძნება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სტაბილურ პრაქტიკას.

93. სსსკ-ის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს

გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

94. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განჩინება უნდა დარჩეს უცვლელად.

95. საკასაციო საჩივრის დამკვაყოფილებაზე უარის თქმის პირობებში კასატორების მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი უნდა დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სა-
მოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. ვ. ბ-ისა და დ. ა-ის (კ-ის) საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 30 მაისის განჩინება დარჩეს უცვლელად.

3. კასატორების მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი დარჩეს სა-
ხელმწიფო ბიუჯეტში.

4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასა-
ჩივრდება.

მოპასუხის მიერ პასუხის წარუდგენლობის შედეგები

განჩინება საქართველოს სასჯელით

№ას-1454-2018

30 ივლისი, 2021 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ე. გასიტაშვილი,
ნ. ბაქაქუჩი

დავის საგანი: თანხის გადახდა

აღწერილობითი ნაწილი:

1. სს „ს. ბ-მა“ (შემდეგში – მოსარჩელე ან მოწინააღმდეგე მხარე) სარჩელი აღძრა გ. გ-ის (შემდეგში – მოპასუხე ან კასატორი) მიმართ თანხის დაკისრების მოთხოვნით.

2. მოსარჩელემ განმარტა, რომ 2007 წლის 26 ივნისს მხარეებს შორის გაფორმდა საბანკო კრედიტის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც, მსესხებელზე გაიცა კრედიტი 6 000 ლარის ოდენობით, 24 თვის ვადით, წლიური 27% სარგებლის დარიცხვის პირობით. მსესხებელს კრედიტის თანხა უნდა დაეფარა ხელშეკრულებით განსაზღვრული გადახდის გრაფიკის შესაბამისად, ყოველი თვის 26 რიცხვში. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვნად შესრულებისათვის მხარეთა მიერ გათვალისწინებული იქნა პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დავალიანების თანხის – 0,5%-ის ოდენობით. მოპასუხემ დაარღვია საკრედიტო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება და სესხის დაფარვა საერთოდ არ განუხორციელებია.

3. სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში მოპასუხეს შესაგებელი არ წარმოუდგენია და არც მისი წარმოუდგენლობის საპატიო მიზეზის შესახებ უცნობებია სასამართლოსათვის. ამასთან, არც შესაგებლის წარმოდგენის ვადის გაგრძელების შესახებ შუამდგომლობით მოუმართავს სასამართლოსათვის.

4. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 21 დეკემბრის განჩინებით მოცემულ საქმეზე დაინიშნა მოსამზადებელი სხდომა 2017 წლის 28 დეკემბერს. სასამართლოს მოსამზადებელ სხდომაზე სასამართლომ მიიღო განჩინება სასამართლოს მთავარი სხდომის 2017 წლის 17 იანვარს გამართვის შესახებ, რის შესახებაც, მოპასუხეს ეცნობა უწყების სა-

ჯაროდ გავრცელების გზით.

5. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 17 იანვრის 09.30სთ-ზე დანიშნულ სასამართლოს მთავარ სხდომაზე გამოცხადდა მოსარჩელე და არ გამოცხადდა მოპასუხე. მოსარჩელემ სასარჩელო მოთხოვნა დარიცხული პროცენტის ნაწილში უკან გაიხმო (სსსკ-ის 83¹-ე მუხლი), პირგასამტეხლოს ნაწილში მოთხოვნა დააზუსტა და საბოლოოდ, მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხის მიმართ შემდეგი სახით ჩამოყალიბდა: მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხისათვის 11240 ლარის (საიდანაცესხის ძირითადი თანხაა 6000 ლარი, პროცენტი 3240 ლარი და პირგასამტეხლო 2000 ლარი) გადახდის დაკისრება.

6. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 17 იანვრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით (შესაგებლის წარმოუდგენლობის გამო) სარჩელი დაკმაყოფილდა და მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 11240 ლარი (საიდანაცესხის ძირითადი თანხაა 6000 ლარი, პროცენტი 3240 ლარი და პირგასამტეხლო 2000 ლარი).

7. პირველი ინსტანციის სასამართლომ დაუსწრებელი გადაწყვეტილება დააფუძნა შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს (დამტკიცებულად ჩათვალა):

8. – 2007 წლის 26 ივნისს მხარეთა შორის გაფორმდა საბანკო კრედიტის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზე, მსესხებელზე გაიცა კრედიტი 6 000 ლარის ოდენობით, ხელშეკრულების მოქმედების ვადად განისაზღვრა 24 თვე, წლიური 27% სარგებლის დარიცხვის პირობით.

9. – მსესხებელს კრედიტის თანხა უნდა დაეფარა ხელშეკრულებით განსაზღვრული გადახდის გრაფიკის შესაბამისად, ყოველი თვის 26 რიცხვში.

10. – ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვნად შესრულებისათვის მხარეთა მიერ გათვალისწინებული იქნა პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დავალიანების თანხის – 0,5%-ის ოდენობით.

11. – მოპასუხემ დაარღვია საკრედიტო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება და მას სესხის დაფარვა არ განუხორციელებია.

12. – დარიცხული დავალიანება შეადგენს სესხის ძირ თანხას – 6000 ლარს, ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში დარიცხულ სარგებელს – 3240 ლარს და პირგასამტეხლოს, რაც შემცირებულია 2000 ლარამდე.

13. ამასთან, სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოპასუხეს სარჩელი და თანდართული მასალები ჩაბარდა 2016 წლის 14

ივლისს (იხ. დასტური). ამასთან, დადგენილია, რომ მოპასუხეს შეესაბამებელი არ წარმოუდგენია და არც შესაბამისი წარმოუდგენლობის საპატიო მიზეზების შესახებ უცნობებია სასამართლოსათვის. შესაბამისად, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ საქმეზე დადგენილად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები იურიდიულად ამართლებდა სასარჩელო მოთხოვნას (სსსკ-ის 230.2 მუხლი; სსკ-ის 623-ე-625-ე; 867-ე-868-ე; 417-ე-418-ე მუხლები).

14. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 17 იანვრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება საჩივრით გასაჩივრდა მოპასუხის მიერ.

15. დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნით წარდგენილ საჩივარში მოპასუხემ აღნიშნა, რომ სასამართლოს უნდა უზრუნველყო მოპასუხის მოწვევა სასამართლოს სხდომაზე, რათა ამ უკანასკნელს შესაძლებლობა მისცემოდა საკუთარი პოზიცია დაეფიქსირებინა სარჩელის უსაფუძვლობასთან მიმართებით. საჩივრის ავტორმა მიიჩნია, რომ სარჩელი არაუფლებამოსილმა პირმა ჩაიბარა, რის გამოც, მისთვის უცნობი იყო სასამართლოს სხდომის დღის შესახებ. ამასთან, საჩივრის ავტორმა მიუთითა, რომ სასამართლოს ხელახლა უნდა გაეგზავნა სარჩელი მოპასუხისათვის მას შემდეგ რაც მოსარჩელემ პროცენტის ნაწილში სარჩელი უკან გაიხმო, ხოლო პირაგასამტეხლოს ნაწილში მოთხოვნა დააზუსტა (შეამცირა). საჩივრის ავტორმა მიიჩნია, რომ სარჩელის გამოხმობა პროცენტის ნაწილში) განხორციელდა სასამართლოს მთავარ სხდომაზე, რასაც მოპასუხის თანხმობა სჭირდებოდა. საჩივრის ავტორმა მიუთითა სარჩელის მოთხოვნის ხანდაზმულობაზეც, რაც მისი მოსაზრებით, აფერხებდა სარჩელის დაკმაყოფილებას.

16. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 14 მარტის განჩინებით საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა მოცემულ საქმეზე დაუსწრებელი გადაწყვეტილება. აღნიშნული განჩინება სააპელაციო საჩივრით გასაჩივრდა მოპასუხის (საჩივრის ავტორი) მიერ.

17. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 22 მაისის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა მოცემულ საქმეზე გამოტანილი დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

18. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სსსკ-ის 70.1 მუხლის თანახმად, მხარეს ან მის წარმომადგენელს სასამართლო უწყებით ეცნობება სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დრო და ადგილი. უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაჰბარდება ერთ-ერთ მათგანს ან ამ კოდექსის 74-ე მუხლით გათ-

ვალისწინებულ სუბიექტებს, ხოლო ჩაბარების განსხვავებულ, გონივრულ წესზე მხარეთა შეთანხმების არსებობის შემთხვევაში ამ შეთანხმებით გათვალისწინებული წესით. იმავე კოდექსის 71.1 მუხლის თანახმად, სასამართლო უწყება ადრესატს ბარდება მხარის მიერ მითითებული ძირითადი მისამართის (ფაქტობრივი ადგილსამყოფლის), ალტერნატიული მისამართის, სამუშაო ადგილის, სასამართლოსთვის ცნობილი სხვა მისამართის ან მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული ჩაბარების განსხვავებული წესის მიხედვით. 74.1 მუხლის გათვალისწინებით, თუ სასამართლო უწყების ჩამბარებელმა სასამართლოში გამოსაძახებელი პირი ვერ ნახა მხარის მიერ მითითებულ მისამართზე, იგი უწყებას აბარებს მასთან მცხოვრებ ოჯახის რომელიმე ქმედუნარიან წევრს, ხოლო თუ უწყება ბარდება სამუშაო ადგილის მიხედვით – სამუშაო ადგილის ადმინისტრაციას, ამ კოდექსის 73-ე მუხლის მე-8 ნაწილით დადგენილი წესით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ისინი განსახილველ საქმეში მონაწილეობენ, როგორც მონინალმდებელი მხარეები. უწყების მიმღები ვალდებულია უწყების მეორე ეგზემპლარზე აღნიშნოს თავისი სახელი და გვარი, ადრესატთან დამოკიდებულება და დაკავებული თანამდებობა. უწყების მიმღები ასევე ვალდებულია უწყება დაუყოვნებლივ ჩააბაროს ადრესატს. უწყების ამ ნაწილით გათვალისწინებული პირისათვის ჩაბარება ჩაითვლება უწყების ადრესატისათვის ჩაბარებად, რაც დასტურდება უწყების მეორე ეგზემპლარზე უწყების მიმღების ხელმოწერით. საქმეში არსებული მასალების გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხეს სარჩელი და თანდართული მასალები ჩაჰბარდა დადგენილი წესით. კერძოდ, დადგენილია, რომ სარჩელი და თანდართული მასალები გაეგზავნა შემდეგ მისამართზე: ლანჩხუთი, ..., რაც ჩაბარებული აქვს ადრესატის დედას, ნ. გ-ს. ამდენად, დადასტურებულად იქნა მიჩნეული, რომ მოპასუხის ოჯახის წევრს გზავნილი მიღებული აქვს და არ აქვს გაცხადებული, რომ ის მოპასუხის ოჯახის წევრი არ არის და მასთან არ ცხოვრობს მოპასუხე. საფოსტო დასტურში ცხადად არის დაფიქსირებული, რომ გზავნილის მიმღები, როგორც მოპასუხის დედა ადასტურებს კონკრეტულ მისამართზე მოპასუხის სახელზე გაგზავნილ კორესპონდენციის მიღების ფაქტს, მის დამოკიდებულებას და არ აცხადებს, რომ მისამართზე მოპასუხე არ ცხოვრობს. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოპასუხეს საჩივრით სადავოდ არ გაუხდია საცხოვრებელი ადგილის ნამდვილობის ფაქტი და საჩივრის ფარგლებში არ შედაგებია და უმტკიცებია, რომ ზემოხსენებული მისამართი არ იყო მისი ძირითადი, ფაქტობრივი ადგილსამყოფელი.

19. უარყოფილი იქნა მოპასუხის მოსაზრება, რომ მოპასუხის

მისამართს წარმოადგენდა საკრედიტო ხელშეკრულებაში მოპასუხის მისამართად მითითებული ქ. თბილისი, ..., რამდენადაც, როგორც საქმის მასალებით ირკვეოდა, მისამართი არასრული იყო, რადგან აკლდა სადარბაზოსა და ბინის ნომერი, რის გამოც, აღნიშნულ მისამართზე მოპასუხისათვის გზავნილის ჩაბარება შეუძლებელი გახდა, ხოლო თავად მოპასუხე რეგისტრირებული იყო მისამართზე – ლანჩხუთი, ...

20. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ 2014-2016 წლამდე პერიოდში ბანკის წარმომადგენლებმა რამდენჯერმე სცადეს მსესხებელთან ტელეფონის მეშვეობით დაკავშირება, რა დროსაც, მოპასუხემ უარი განაცხადა ვალდებულების შესრულებაზე და შემდგომ, მან შეწყვიტა ტელეფონზე კომუნიკაცია.

21. შესაბამისად, იმ პირობებში, რომ ადრესატის რეგისტრაციის მისამართზე მოპასუხის ოჯახის წევრს, დედას სარჩელი და თანდართული მასალები ჩაბარდა კანონმდებლობით დადგენილი წესით, სასამართლოს არ გააჩნდა ვალდებულება დამატებით გაეგზავნა გზავნილი საკრედიტო ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატამ მიიჩნია, რომ მოპასუხეზე კანონით დადგენილი წესით განხორციელდა გზავნილის ჩაბარება.

22. ამასთან, დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ მოპასუხის მიერ შესაგებლის დადგენილ ვადაში წარუდგენლობა საპატიო მიზეზით გამოწვეული არ იყო. ამ თვალსაზრისით, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის პრინციპის ფარგლებში, რაც იმას გულისხმობს, რომ მხარეები თავადვე განსაზღვრავენ, თუ როგორ უნდა დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, რა მტკიცებულებებით უნდა დაადასტურონ მტკიცების საგანში შემავალი მათთვის სასურველი ფაქტები.

23. განსახილველ შემთხვევაში აპელანტი განმარტავდა, რომ მის მიერ შესაგებლის დადგენილ ვადაში წარუდგენლობა გამოწვეული იყო საპატიო მიზეზით – სასამართლოში დავის მიმდინარეობის არცოდნით.

24. სსსკ-ის 102-ე მუხლის შესაბამისად, ფაქტობრივ გარემოებათა მტკიცების ვალდებულება აკისრიათ მხარეებს, რომლებიც თავის სამართლებრივ მოთხოვნას აფუძნებენ აღნიშნულ გარემოებებს და შესაბამისად, ისინი მიეთითება მათ მიერ.

25. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ადგენს მხარეთა მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების მტკიცების ტვირთის განაწილების სტანდარტს. მხარეს, რომელიც თავის მოთხოვნას, თუ შესაგებელს აფუძნებს კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებას, ეკისრება მითითებული გარემოების მტკიცების ტვირთი.

26. საქმის მასალებით დადგენილი იქნა, რომ სარჩელი თანდართული მასალებით ჩაბარდა ოჯახის წევრს – დედას, რაც გზავნილის ჩაბარებულად მიჩნევის საფუძველია, თანახმად ზემოთ დასახელებული მუხლებისა. აღნიშნული გარემოების გამაბათილებელი რაიმე სახის მტკიცებულება საჩივრის ავტორს არ წარმოუდგენია, რისი წარმოდგენაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლით გათვალისწინებული მტკიცების ტვირთის ფარგლებში, სწორედ მას ევალებოდა.

27. ამდენად, საჩივრის ავტორის მხოლოდ ზეპირი მითითება, რომ იგი არ ყოფილა ინფორმირებული სასამართლოში დავის არსებობის თაობაზე კანონით დადგენილი წესით, ვერ დაედებოდა საფუძვლად დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებას.

28. მოცემულ შემთხვევაში, იმის გათვალისწინებით, რომ მოპასუხეს წერილობითი შესაგებელი 2016 წლის 24 ივლისის ჩათვლით უნდა წარედგინა და მოპასუხემ შესაგებელი დადგენილ ვადაში არ წარადგინა, არ არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დამაბრკოლებელი გარემოება.

29. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა საჩივრის ავტორის მითითება სარჩელში მითითებული გარემოებების იურიდიულ მართულობასთან მიმართებითაც, კერძოდ, საჩივრის ავტორს მიაჩნდა, რომ დადგენილად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები არ ამართლებდა სასარჩელო მოთხოვნას და იყო ხანდაზმული. საჩივრის ავტორის აღნიშნული განმარტება სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა და აღნიშნა, რომ მოსარჩელის მოთხოვნის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით დაკმაყოფილებისთვის საჭიროა, არსებობდეს ასევე უმთავრესი პირობა – სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად უნდა ამართლებდეს სასარჩელო მოთხოვნას (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის მე-2 ნაწილის დანაწესი), ხოლო მითითებული გარემოებები კი სასამართლოს მიერ ყოველგვარი გამოკვლევისა და შეფასების გარეშე მიიჩნევა დამტკიცებულად (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის პირველი ნაწილის დანაწესი). ანუ, შეიძლება ითქვას, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის რეჟიმში სასამართლო არ შედის მტკიცებულებებისა და საქმის არსებითი კვლევის სტადიაში. იგი მხოლოდ იკვლევს იმ გარემოებას თუ რამდენად შეესაბამება სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები სასარჩელო მოთხოვნას სამართლებრივად, რის შედეგადაც იღებს გადაწყვეტილებას. მოცემულ შემთხვევაში, სასამართლოს მიერ დადგენილად (დამტკიცებულად) მითითებული გარემოებები, იურიდიულად ამართლებდა მოთხოვნას, რის გამოც, სასამართლომ მიიღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება. უარყოფი-

ლი იქნა აპელანტის (მოპასუხე) მითითება სარჩელის ხანდაზმულობაზეც, რამდენადაც ხანდაზმულობა ფაქტია და არა სამართლებრივი შეფასება, რომლის მითითების შემდეგ, სასამართლო ვალდებულია ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად გამოიკვლიოს სასარჩელო მოთხოვნის განხორციელების ხელისშემშლელი გარემოებები. შესაბამისად, ეს ფაქტი შესაგებლის ფარგლებშია მითითებული და სამტკიცებელი გარემოებაა და დაუშვებელია მისი გამოკვლევა სასამართლოს მიერ საკუთარი ინიციატივით (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლის პირველი ნაწილი). სსსკ-ის 201-ე მუხლის მეშვიდე ნაწილის თანახმად, სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში შესაგებლის არასაპატიო მიზეზით წარუდგენლობის შემთხვევაში მოსამართლეს გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება ამ კოდექსის XXVI თავით დადგენილი წესით. სსსკ-ის 232¹-ე მუხლის შესაბამისად, მოპასუხის მიერ ამ კოდექსის 201-ე მუხლის პირველი ნაწილის, „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილ ვადაში პასუხის (შესაგებლის) წარუდგენლობისას, თუ ეს გამოწვეულია არასაპატიო მიზეზით, მოსამართლეს ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ამასთანავე, მოსამართლე დააკმაყოფილებს სარჩელს, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას. როგორც მითითებული ნორმიდან, ისე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXVI თავის ზოგადი ანალიზიდან ირკვევა, რომ ზემოაღნიშნულ პირობებთან ერთად, იმისათვის რომ მოსარჩელის მოთხოვნა დაუსწრებელი გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდეს, საჭიროა, არსებობდეს ასევე უმთავრესი პირობა – სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად უნდა ამართლებდეს სასარჩელო მოთხოვნას (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის მე-2 ნაწილის დანაწესი), ხოლო მითითებული გარემოებები კი სასამართლოს მიერ ყოველგვარი გამოკვლევისა და შეფასების გარეშე მიიჩნევა დამტკიცებულად (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის პირველი ნაწილის დანაწესი).

30. განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას საფუძვლად დაედო სარჩელში მითითებული და ამ განჩინების პპ:8-12-ში დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც იურიდიულად ამართლებდა სარჩელის მოთხოვნას.

31. პალატამ დამატებით განმარტა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის მესამე ნაწილით, მოპასუხის მიერ პასუხის (შესაგებლის) წარუდგენლობის შემთხვევაში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დაუშვებელია ამ მუხლის პირვე-

ლი ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებში მითითებული ერთ-ერთი გარემოების არსებობისას.

32. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, მხარის გამოუცხადებლობის შემთხვევაში, სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დაუშვებელია, თუ სასამართლოსათვის ცნობილი გახდა, რომ ადგილი ჰქონდა დაუძლეველ ძალას ან სხვა მოვლენებს, რომელსაც (რომლებსაც) შეეძლო ხელი შეეშალა სასამართლოში მხარის დროულად გამოცხადებისათვის. გამოუცხადებელ მხარეს დროულად არ ეცნობა საქმის ფაქტობრივი გარემოებები. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლის თანახმად, დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს, თუ არსებობს 233-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძველები ან, თუ მხარის გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო სხვა საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც მას არ შეეძლო თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის. როგორც მოცემულ შემთხვევაში დადგინდა, მოპასუხე მხარემ ვერ დაადასტურა შესაგებლის საპატიო გარემოების გამო წარუდგენლობის ფაქტი.

33. ამდენად, სააპელაციო პალატამ დაასკვნა, არ არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილებისა და მისი ძალაში დატოვების შესახებ განჩინების გაუქმების საფუძველი, თანახმად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე და 233-ე მუხლებისა.

34. ზემოაღნიშნული განჩინება საკასაციო საჩივრით გასაჩივრდა მოპასუხის (საჩივრის ავტორი) მიერ, რომელმაც მოთხოვა გასაჩივრებული განჩინების და დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება.

35. კასატორის პრეტენზია შეეხება სარჩელის ხანდაზმულობას, რომელიც კასატორის მოსაზრებით, არ განეკუთვნებოდა ფაქტის საკითხს, არამედ მიჩნეული უნდა იქნეს სამართლის საკითხად და ამდენად, სასამართლო ვალდებული იყო ემსჯელა თავისი ინიციატივით ამ საკითზე. სარჩელის ხანდაზმულობა კი, თავის მხრივ აფერხებდა სარჩელის წარმატებას.

36. კასატორის პრეტენზია ასევე შეეხება საქალაქო სასამართლოში 2018 წლის 17 იანვარს 9:30სთ-ზე გამართული სხდომის დღის შესახებ მოპასუხის ინფორმირების ვალდებულების დარღვევას, კერძოდ, კასატორი აღნიშნავს, რომ სასამართლომ მხოლოდ მოსარჩელეს შეატყობინა სხდომის დღე და არ შეატყობინა მოპასუხეს.

37. ამასთან, კასატორი აღნიშნავს, რომ მოსარჩელემ გამოიხმო სარჩელი პროცენტის დაკისრების ნაწილში და შეამცირა მოპასუ-

ხისათვის პროცენტის სახით დასაკისრებელი თანხის ოდენობა. აღნიშნული საპროცესო უფლება მოსარჩელემ გამოიყენა სასამართლოს მთავარ სხდომაზე, რასაც სჭირდებოდა მოპასუხის თანხმობა.

სამოტივაციო ნაწილი:

38. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად.

39. განსახილველ შემთხვევაში, კასატორის მიერ გასაჩივრებულთა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 22 მაისის განჩინება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა სააპელაციო საჩივარი და უცვლელად დარჩა მოცემულ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 14 მარტის განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილებაზე წარდგენილი საჩივრის უარყოფის და იმავე სასამართლოს 2018 წლის 17 იანვრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება (შესაგებლის წარმოუდგენლობის გამო).

40. საკასაციო პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს განმარტოს სამოქალაქო საპროცესო სამართალში გათვალისწინებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების ინსტიტუტის სამართლებრივი არსი და მისი მნიშვნელობა, რაც მისი სწორად გამოყენების აუცილებლობითაა ნაკარნახევი: სსსკ-ის მე-4 მუხლის დანაწესით, სამართალწარმოება მიმდინარეობს მხარეთა შეჯიბრებითობის საფუძველზე, რაც გულისხმობს, რომ მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები.

41. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ შეჯიბრებითობის პრინციპი მოიცავს მხარეთა საქმიანობას საქმის ფაქტობრივი გარემოებებისა და მტკიცებულებების სფეროში. მოთხოვნების თუ შესაგებლის ფაქტობრივი დასაბუთება ეკისრებათ თავად მხარეებს. მხარეებმა თვითონ უნდა განსაზღვრონ თუ რომელი ფაქტები დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს და რა კონკრეტულ გარემოებებს დაემყარება მათი შესაგებელი. შეჯიბრებითობის პრინციპის კონკრეტული გამოვლენაა სსსკ-ის 102-ე მუხლის დებულება, რომლის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. შეჯიბრებითობის პრინციპის კონკრეტული გამოვლენაა სსსკ-ის 232¹-ე მუხლიც, რომლის შესაბამისად, მოპასუხის მიერ ამ კოდექსის 201-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი ვადაში პასუ-

ხის (შესაგებლის) წარმოუდგენლობისას, თუ ეს გამოწვეულია არასაპატიო მიზეზით, მოსამართლეს ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ამასთანავე, სარჩელი წარმატებულია, თუ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას; წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლო ნიშნავს მთავარ სხდომას, რის შესახებაც ეცნობებათ მხარეებს ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით. სხდომის ჩატარების შემთხვევაში მოპასუხისაგან მტკიცებულებათა მიღება არ ხდება და სასამართლო მოისმენს მოპასუხის მხოლოდ სამართლებრივ მოსაზრებებს სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით.

42. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ შესაგებლის წარმოუდგენლობისას დაუსწრებელი გადაწყვეტილების ინსტიტუტს, საფუძველი ჩაეყარა 2007 წლის 28 დეკემბერს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილებებით, სახელდობრ, კოდექსს დაემატა 232¹-ე მუხლი, რომლის პირველი წინადადების თანახმად, „მოპასუხის მიერ ამ კოდექსის 201-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილ ვადაში პასუხის (შესაგებლის) წარუდგენლობისას, თუ ეს გამოწვეულია არასაპატიო მიზეზით, მოსამართლეს ზეპირი მოსმენის გარეშე, გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება“.

43. ამდენად, კოდექსში აღნიშნული ცვლილებების განხორციელების შემდეგ მოპასუხის მიერ პასუხის (შესაგებლის) წარმოდგენა სავალდებულო ხასიათს ატარებს (საქართველოს 28.12.2007 წლის კანონი №5669-სსმ), რაც იმაში გამოიხატება, რომ მოპასუხის მიერ აღნიშნული საპროცესო ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მის მიმართ დგება არასასურველი საპროცესო-სამართლებრივი შედეგი, კერძოდ, საქმის განმხილველ მოსამართლეს ზეპირი მოსმენის გარეშე, გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ამასთან, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის ერთ-ერთ წინაპირობად მოსარჩელის შუამდგომლობის არსებობას, როგორც ეს გათვალისწინებულია სსსკ-ის 230-ე მუხლში, კანონმდებელი არ ითვალისწინებს – სსსკ-ის 232¹-ე მუხლით გათვალისწინებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისათვის საკმარისია იმ პროცესუალური შემადგენლობის ნიშნების არსებობა, როგორცაა სარჩელისა და თანდართული დოკუმენტაციის მოპასუხისათვის სსსკ-ის 70-ე-78-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით ჩაბარება და სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში, არასაპატიო მიზეზით, მოპასუხის მიერ პასუხის (შესაგებლის) წარმოუდგენლობა. ამ ფაქტობრივი წინაპირობების კუმულატიურად არსებობა ქმნის დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის ფორმალურ წი-

ნაპირობას, ხოლო, სარჩელის დაკმაყოფილების მიზნებისათვის კი, სახეზე უნდა იყოს ერთი დამატებითი პირობაც, როგორცაა სასარჩელო მოთხოვნის იურიდიული მართებულობა.

44. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სსსკ-ის 232¹-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა არ წარმოადგენს საქმის განხილველი სასამართლოს დისკრეციულ უფლებამოსილებას, რომლის დროსაც სასამართლო თვითონ წყვეტს საკითხს ამგვარი გადაწყვეტილების გამოტანაზე მიზანშეწონილობის საფუძველზე, არამედ კანონით იმგვარი იმპერატიული პირობაა დადგენილი, რომ სასამართლო ვალდებულია გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება. უფრო მეტიც, ამ შემთხვევაში, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას მოსარჩელის შუამდგომლობაც არ სჭირდება. ამ თვალსაზრისით, შესაგებლის წარმოდგენლობის შემთხვევაში, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის ვალდებულება, განსხვავდება სასამართლოში საქმის ზეპირ განხილვაზე – სასამართლო სხდომაზე მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისაგან, რა დროსაც, სასამართლო ხელმძღვანელობს მოსარჩელის მითითებებით და მოპასუხის გამოუცხადებლობის პირველ შემთხვევაში, მხოლოდ მოსარჩელის შუამდგომლობის არსებობისას გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას.

45. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების ინსტიტუტი მიზნად ისახავს სასამართლოს ეფექტურ საქმიანობას, სასამართლო დავების სწრაფად და გაჭიანურების გარეშე გადაწყვეტას, მხარეთა „იძულებას“, განახორციელონ საპროცესო კანონით მინიჭებული უფლებები – საქმის განხილვაში მიიღონ აქტიური მონაწილეობა და ხელი შეუწყონ სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანაში. დაუსწრებელი გადაწყვეტილება თავისი იურიდიული ბუნებით წარმოადგენს სანქციას იმ მხარისათვის, რომელიც არ ცხადდება საქმის განხილვაზე (სსსკ-ის 229-ე, 230-ე, 231-ე, 232-ე მუხლები) ანდა არ ახორციელებს თავის საპროცესო უფლებებს (სსსკ-ის 232¹-ე მუხლი), რითაც ქმნის ვარაუდს, რომ მან დაკარგა ინტერესი, შეენიანაღმდეგოს მის მიმართ აღძრულ სარჩელს (პრეზუმფცია). ასეთ შემთხვევაში, სსსკ-ის XLVI თავში მოცემული წესით საქმის განხილვის დროს მტკიცებულებათა გამოკვლევა არ ხდება, არამედ, კანონის ძალით სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები უპირობოდ დადასტურებულად მიიჩნევა და თუ მათი ერთობლიობა, ქმნის იმ სამართლებრივი შედეგის დადგომის შესაძლებლობას, რომლის მიღებაც მოსარჩელეს სურს, საქმის განხილველი მოსამართლე გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას. (მდრ. სუს-ოს დიდი პალატის გადაწ-

ყვეტილება საქმეზე №ას-121-117-2016, 17 მარტი, 2016 წელი, პ.32; სუსგ №ას-101-2020, 08 ივლისი, 2020 წ; სუსგ №ას-948-884-2017, 12 სექტემბერი, 2017 წ.).

46. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ პირველი ინსტანციის წესით საქმის განხილვისას დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის საკითხს არეგულირებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXVI თავი, კერძოდ კი, მოპასუხის მიერ შესაგებლის შეუტანლობის მოტივით დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისათვის სახეზე უნდა იყოს (სსსკ-ის 232¹-ე მუხლი) შემდეგი წინაპირობები: ა) მოპასუხე სსსკ-ის 70-ე-78-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით უნდა იყოს ინფორმირებული საქმის განხილვის თაობაზე, კერძოდ, მას დადგენილი წესით უნდა ჰქონდეს ჩაბარებული სარჩელი და თანდართული მასალები და ამომწურავად უნდა ჰქონდეს განმარტებული 201-ე მუხლის მეშვიდე ნაწილის ფარგლებში დანიშნული საპროცესო ვადის არასაპატიოდ დარღვევის ნეგატიური შედეგების თაობაზე; ბ) მოპასუხემ ბრალეულად უნდა დაარღვიოს შესაგებლის შეტანისათვის განსაზღვრული ვადა. ამ ფაქტობრივი წინაპირობების არსებობა განაპირობებს სარჩელში მითითებული გარემოებების დადგენილად მიჩნევის აუცილებლობას იმგვარად, რომ სასამართლო არათუ ვალდებული, უფლებამოსილიც არაა შეამოწმოს და შეფასება მისცეს საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებს სარჩელში წარმოდგენილ ნებისმიერ, მათ შორის, საპროცესო ხარჯების საკითხზე.

47. ზემოაღნიშნული საფუძვლების კუმულაციურად არსებობა კი, ქმნის დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის ფორმალურ წინაპირობას, თუმცა, იმისათვის, რათა სასამართლომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის გზით დააკმაყოფილოს სარჩელი, მოსამართლე ვალდებულია, გამოარკვიოს კანონის ძალით დადგენილად მიჩნეული ფაქტობრივი გარემოებები (სარჩელში მითითებული ფაქტები) ამართლებენ თუ არა იურიდიული თვალსაზრისით მოთხოვნას. მოთხოვნის იურიდიული მართებულობის კვლევა, თავის მხრივ, მოიაზრებს მოთხოვნის დამფუძნებელი მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის სწორად განსაზღვრასა და იმის უტყუარად დადგენას, სარჩელში მითითებული და კანონის ძალით დადგენილად მიჩნეული გარემოებების სამართლებრივი თვალსაზრისით შეფასება იძლევა თუ არა დამფუძნებელი ნორმის შემადგენლობას. მითითებულ წინაპირობათაგან თუნდაც ერთ-ერთის არარსებობა იწვევს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე უარის თქმასა და მხარეთა დაბარებას სასამართლო სხდომაზე. ასეთ შემთხვევაში, განსხვავებულია მოპასუხის უფლებრივი მდგომარეობა, კერძოდ, მოპასუხისაგან მტკიცებულებები არ მიიღება,

სამართლებრივი ბალანსი იმგვარია, რომ მოპასუხეს მხოლოდ სამართლებრივი შესაგებლის წარდგენის უფლება აქვს, ანუ თავდაცვის საპროცესო საშუალება მხოლოდ მოთხოვნასთან მიმართებით მისი სამართლებრივი მოსაზრებით შემოიფარგლება (სუსგ 5.06.2020წ. საქმე №ას-975-2019). სსსკ-ის 184-ე მუხლით დადგენილი რეგულაციიდან გამომდინარე, მოსარჩელეს ეკისრება მოპასუხის ინფორმირების მტკიცების ტვირთი (სუსგ №ას-1491-2020, 25 მარტი, 2021).

48. მოცემულ საქმეზე მოპასუხის (კასატორი) წინააღმდეგ გამოტანილი დაუსწრებელი გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა და მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 11240 ლარი (საიდანაც სესხის ძირითადი თანხაა 6000 ლარი, პროცენტი 3240 ლარი და პირგასამტეხლო 2000 ლარი).

49. კასატორის პრეტენზია სარჩელის და თანდართული დოკუმენტების მოპასუხისათვის ჩაბარებულად მიჩნევის ნაწილშია წარმოდგენილი, რაც კასატორის მოსაზრებით, აბრკოლებდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებას, აღნიშნულს საკასაციო პალატა არ იზიარებს და აღნიშნავს, რომ სსსკ-ის 70-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მხარეს ან მის წარმომადგენელს სასამართლო უწყებით ეცნობება სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დრო და ადგილი. უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაჰბარდება ერთ-ერთ მათგანს ან ამ კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტებს. ამავე კოდექსის 74-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ სასამართლო უწყების ჩამბარებელმა სასამართლოში გამოსაძახებელი პირი ვერ ნახა მხარის მიერ მითითებულ მისამართზე, იგი უწყებას აბარებს მასთან მცხოვრებ ოჯახის რომელიმე ქმედუნარიან წევრს (სუსგ: №ას-262-2021, 1 ივნისი, 2021. პპ: 7, 8).

50. განსახილველ შემთხვევაში, დადგენილია, რომ სარჩელი და თანდართული მასალები მოპასუხეს გაეგზავნა შემდეგ მისამართზე: ლანჩხუთი, ..., რაც ჩაბარებული აქვს ადრესატის დედას, ნ. გ-ს.

51. ამდენად, დადასტურებულად იქნა მიჩნეული, რომ მოპასუხის ოჯახის წევრს გზავნილი მიღებული აქვს და არ აქვს გაცხადებული, რომ ის მოპასუხის ოჯახის წევრი არ არის და მასთან არ ცხოვრობს მოპასუხე. საფოსტო დასტურში ცხადად არის დაფიქსირებული, რომ გზავნილის მიმღები, როგორც მოპასუხის დედა ადასტურებს კონკრეტულ მისამართზე მოპასუხის სახელზე გაგზავნილ კორესპონდენციის მიღების ფაქტს, მის დამოკიდებულებას და არ აცხადებს, რომ მისამართზე მოპასუხე არ ცხოვრობს.

52. ამასთან, როგორც ეს სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა

მოპასუხეს საჩივრით სადავოდ არ გაუხდია საცხოვრებელი ადგილის ნამდვილობის ფაქტი და საჩივრის ფარგლებში არ შედავებია და უმტიციცებია, რომ ზემოხსენებული მისამართი არ იყო მისი ძირითადი, ფაქტობრივი ადგილსამყოფელი. შესაბამისად, საქმეში არსებული მასალების გათვალისწინებით, სასამართლომ სწორად მიიჩნია, რომ მოპასუხეს სარჩელი და თანდართული მასალები ჩაჰბარდა დადგენილი წესით. ამასთან, იმ პირობებში, რომ ადრესატის რეგისტრაციის მისამართზე მოპასუხის ოჯახის წევრს, დედას სარჩელი და თანდართული მასალები ჩაბარდა კანონმდებლობით დადგენილი წესით, სასამართლოს არ გააჩნდა ვალდებულება დამატებით გაეგზავნა გზავნილი საკრედიტო ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატამ მიიჩნია, რომ მოპასუხეზე კანონით დადგენილი წესით განხორციელდა გზავნილის ჩაბარება.

53. საქმეზე „გახარია საქართველოს წინააღმდეგ“, რომელიც დაუსწრებელი გადაწყვეტილების კანონიერებას შეეხებოდა, ევროსასამართლომ განმარტა, რომ კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევასთან დაკავშირებით პირველ რიგში უნდა დადგენილიყო, სახელმწიფომ გამოიჩინა თუ არა საკმარისი გულისხმიერება ყველა შესაბამისი ნაბიჯის გადასადგმელად, რათა ეცნობებინა მომჩივნისთვის სამართალწარმოების დაწყების შესახებ ... და ამ კუთხით, უარი თქვა თუ არა განმცხადებელმა მის უფლებაზე – წარდგენილიყო პროცესზე და დაეცვა საკუთარი თავი; და მეორე რიგში, ეროვნული კანონმდებლობა უზრუნველყოფდა თუ არა განმცხადებელს სათანადო საშუალებებით შეჯიბრებითი სამართალწარმოების განსახორციელებლად, მას შემდეგ, რაც მისთვის ცნობილი გახდა დაუსწრებელი გადაწყვეტილებების შესახებ (საქმე „გახარია საქართველოს წინააღმდეგ“ (Gakharia v. Georgia), განაცხადი №30459/13, 17.01.2017).

54. მოცემულ შემთხვევაში, კასატორს დასაბუთებული (დასაშვები) საკასაციო პრეტენზია მისი შესაგებლის წარმოდგენის ვალდებულების ინფრმირების კუთხით არ წარმოუდგენია.

55. სსსკ-ის 59-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილის მიხედვით, საპროცესო მოქმედება სრულდება კანონით დადგენილ ან სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში, ხოლო მე-6მ მუხლის მე-2 ნაწილისა და 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, წლებით, თვეებით ან დღეებით გამოსათვლელი საპროცესო ვადის დენა იწყება იმ კალენდარული თარიღის ან იმ მოვლენის დადგომის მომდევნო დღიდან, რომლითაც განსაზღვრულია მისი დასაწყისი. საპროცესო მოქმედება, რომლის შესასრულებლადაც დადგენილია ვადა, შეიძლება შესრულდეს ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ

საათამდე.

56. მოპასუხეს შესაგებელი უნდა წარმოედგინა 2016 წლის 24 ივლისის ჩათვლით, თუმცა მოპასუხემ შესაგებელი დადგენილ ვადაში არ წარადგინა, არც შესაგებლის წარუდგენლობის საპატიო მიზეზებზე მიუთითებია.

57. განსახილველი დავის ფარგლებში საკასაციო სასამართლოს მიერ შეფასების საგანს წარმოადგენს კასატორისათვის (მოპასუხე) სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ვალდებულების წინაპირობების არსებობა. ამ ტიპის სარჩელის წარმატებულობა, ბუნებრივია, უნდა შემოწმდეს მისი დამფუძნებელი ნორმის/ნორმების წინაპირობებთან მიმართებაში, რაც იმას ნიშნავს, რომ უპირველესად, სასამართლომ სწორად უნდა განსაზღვროს მოთხოვნის მარეგულირებელი სამართლებრივი საფუძველი – კანონის ნორმა, გამოარკვიოს სარჩელში მითითებული ფაქტების შესაბამისობა დამფუძნებელი ნორმის აბსტრაქტულ ელემენტებთან (ფორმალური გამართულობა), დადებითი პასუხის შემთხვევაში, სარჩელსა და შესაგებელში გამოთქმული პოზიციების ურთიერთშეჯერებით გამოარკვიოს სადავო და უდავო ფაქტობრივი გარემოებები (მტკიცების საგანი) და გაანალიზოს მხარეთა შორის მტკიცების საგანში შემავალი ფაქტების დადასტურების ტვირთი (მტკიცების ტვირთი).

58. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სასამართლოს უპირველესი ამოცანაა, დაადგინოს, თუ რას ითხოვს მოსარჩელე მოპასუხისაგან და რის საფუძველზე, ანუ რომელ ფაქტობრივ გარემოებებზე ამყარებს თავის მოთხოვნას. სასამართლომ მხარის მიერ მითითებული მოთხოვნის ფარგლებში უნდა მოძებნოს ის სამართლებრივი ნორმა (ნორმები), რომელიც იმ შედეგს ითვალისწინებს, რისი მიღწევაც მხარეს სურს. ამასთან, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველად განხილული ნორმა (ან ნორმები) შეიცავს იმ აღწერილობას (ფაქტობრივ შემადგენლობას), რომლის შემოწმებაც სასამართლოს ვალდებულებაა და რომელიც უნდა განხორციელდეს ლოგიკური მეთოდების გამოყენების გზით, ანუ სასამართლომ უნდა დაადგინოს, ნორმაში მოყვანილი აბსტრაქტული აღწერილობა, რამდენად შეესაბამება კონკრეტულ ცხოვრებისეულ სიტუაციას და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები. ის მხარე, რომელსაც აქვს მოთხოვნა მეორე მხარისადმი, სულ მცირე, უნდა უთითებდეს იმ ფაქტობრივ შემადგენლობაზე, რომელსაც სამართლის ნორმა გვთავაზობს.

59. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ მოთხოვნა პირის ნებას დაქვემდებარებული და სხვა პირზე მიმართული უფლებაა, რომელიც მისი პროცესუალური განხორციელებისაგან მკვეთრად იმიჯ-

ნება. მოთხოვნა ძირითადად მატერიალურ-სამართლებრივი მნიშვნელობის მატარებელია. მოთხოვნა საპროცესო-სამართლებრივი გაგებით, ყოველთვის მიმართულია სასამართლო გადაწყვეტილების დადგომისაკენ. მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი არის სამართლის ნორმა, რომლის სამართლებრივი შედეგით გათვალისწინებულია სამართლებრივ ურთიერთობაში მონაწილე პირის მიერ რაიმე მოქმედების განხორციელებისა თუ მოქმედების შესრულებისაგან თავის შეკავების ვალდებულება. თითოეული მოთხოვნის დამფუძნებელი სამართლის ნორმა განსაზღვრავს მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს, თუმცა, მისი განმარტება და ფაქტობრივ გარემოებებზე მისადაგება სასამართლოს უფლებამოსილებაა. მოთხოვნის საფუძველი ორი ნაწილისაგან შედგება: ა) ნორმის შემადგენლობა, რომელიც მოიცავს ცალკეულ წინაპირობას და ბ) სამართლებრივი შედეგი, რომელიც კანონის საფუძველზე დადგება იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა ნორმის შემადგენლობით განსაზღვრული ყველა წინაპირობა.

60. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსის განმსაზღვრელია სარჩელში მითითებული ფაქტები და გარემოებები. სარჩელის ინდივიდუალიზაცია სარჩელის ელემენტების მეშვეობითაა შესაძლებელი. სსსკ-ის მე-3, მე-4, 83-ე და 178-ე მუხლების ანალიზით შესაძლებელია, დავასკვნათ, რომ სარჩელი შედგება ორი ელემენტისგან: სარჩელის საგნისა და სარჩელის საფუძვლისგან. სარჩელის საგანია მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხისადმი (სსსკ-ის 178.1 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი), ხოლო სარჩელის საფუძველი – კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნას (სსსკ-ის 178.1 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი). საქმის გარემოებათა ანალიზის საფუძველზე მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსის დადგენა და მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის მოძიება კი, სასამართლოს ვალდებულებაა. სადავო ურთიერთობის შეფასებისას, ზემდგომი ინსტანციის სასამართლო არაა შეზღუდული ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს სამართლებრივი შეფასებებით, შესაბამისად, თუ ზემდგომი ინსტანციის სასამართლო გამოარკვევს, რომ ქვემდგომი სასამართლოს სამართლებრივი შეფასება არ გამომდინარეობს საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან, იგი ვალდებულია, ეს გარემოებები თავად შეაფასოს სამართლებრივად სწორად და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

61. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232¹-ე მუხლის კონტექსტში დადგენილად მიიჩნევა დავის ფაქტობრივი გარემოებები, რაც იმას ნიშნავს, რომ სასამართლო დადგენილად მიიჩნევს არა მხარის მოსაზრებებს, არამედ, იურიდიული მნიშვნელობის მქონე იმ

ფაქტებს, რომლებიც მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმის შემადგენლობას ქმნიან, რაც შეეხება ამა თუ იმ მოსაზრებას, რომელსაც მხარე ავითარებს, ისინი სასამართლოს შეფასების საგანს წარმოადგენს, რა დროსაც საქმის განმხილველი შემადგენლობა ამონებს ამ ფაქტებს მატერიალური სამართლის დანაწესებთან მიმართებით. თავის მხრივ, უნდა აღინიშნოს, რომ მართლმსაჯულების აქტი, მიუხედავად იმისა, იგი მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპითაა მიღებული თუ ერთ-ერთი მხარის გამოუცხადებლობის შედეგად, ყოველთვის უნდა ემყარებოდეს მატერიალური სამართლის ნორმას. საქმის განხილვაზე ერთ-ერთი მხარის გამოუცხადებლობა, თუნდაც ეს არასაპატიო მიზეზით იყოს განპირობებული, სასამართლოს არ აქვს უფლებამოსილება, გადაწყვეტილებას მხოლოდ სამართლებრივი სანქციის ფუნქცია შესძინოს და იურიდიული შეფასების გარეშე დააკმაყოფილოს გამოცხადებული მხარის ყველა პრეტენზია. სწორედ ამგვარი თვითნებობის თავიდან აცილებას ემსახურება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის მე-2 ნაწილის დათქმა.

62. დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისას სასამართლო არ იხილავს მტკიცებულებებს და არ შედის მათ არსებით კვლევაში, მსჯელობს მხოლოდ სარჩელში მითითებულ ფაქტებზე და, სარჩელის შინაარსიდან გამომდინარე, დაუსწრებელი გადაწყვეტილება გამოაქვს იმ შემთხვევაში, თუ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას.

63. შესაბამისად, გასაზიარებელია სააპელაციო პალატის მოსაზრება (იხ. წინამდებარე განჩინების პ. 30), რომ განსახილველ შემთხვევაში, არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის საფუძვლები.

64. კასატორის პრეტენზია შეეხება სარჩელის ხანდაზმულობას, რომელიც კასატორის მოსაზრებით არ განეკუთვნებოდა ფაქტის საკითხს, არამედ მიჩნეული უნდა იქნეს სამართლის საკითხად და ამდენად, სასამართლო ვალდებული იყო ემსჯელა თავისი ინიციატივით ამ საკითხზე. სარჩელის ხანდაზმულობა კი, თავის მხრივ აფერხებდა სარჩელის წარმატებას. შესაბამისად, სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად არ ამართლებდა მოთხოვნას.

65. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სსკ-ის 128-ე მუხლის პირველი ნაწილის დანაწესის შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადა ვრცელდება სხვა პირისაგან რაიმე მოქმედების შესრულების ან მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლებაზე. ხანდაზმულობის ვადების დანესებით, კანონმდებლის მიზანია გამორიც-

ხოს კრედიტორის უფლების განხორციელების არათანაზომიერად ან ბოროტად გამოყენების საფრთხე. გარდა ამისა: ა) ხანდაზმულობის ვადა სასამართლოს უმსუბუქებს ფაქტების დადგენისა და შესწავლის პროცესს და ამ გზით, ხელს უწყობს დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოტანას; ბ) ხელს უწყობს სამოქალაქო ბრუნვის სტაბილიზაციას; გ) აძლიერებს სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტების ურთიერთკონტროლსა და იძლევა დარღვეული უფლების დაუყონებლივ აღდგენის სტიმულიზაციას (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე, თბილისი, 2007, გვ.63; შდრ. სუსგ 11.06.2012 საქმე №ას-547-515-2012).

66. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ზოგადად, ვადებს დიდი მნიშვნელობა აქვს სამართლებრივ ურთიერთობებში წესრიგის შეტანისთვის. დროის ფაქტორი ერთ-ერთ მთავარ როლს ასრულებს პირთა შორის ურთიერთობების სამართლებრივ მოწესრიგებაში. გარკვეული დროის დადგომას ან ვადის გასვლას უკავშირდება კონკრეტული იურიდიული შედეგები – სამართლებრივი ურთიერთობების (შესაბამისად პირთა უფლებებისა ან/და მოვალეობების) წარმოშობა, შეცვლა ან შეწყვეტა. მართლმსაჯულების უმნიშვნელოვანესი მიზანია ადამიანის უფლებების დაცვა, რაც შესაძლებელია საქმეზე მხოლოდ სწორი და ობიექტური გადაწყვეტილების მიღების გზით. მართლმსაჯულების შედეგი სამართლიანობის მიღწევა, აღდგენა, უზრუნველყოფა უნდა იყოს. „ადამიანებისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია განცდა, რომ მათ სამართლიანად ეპყრობიან“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილება № 1/3/534 საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ტ. მ-ი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, 3.).

67. ზემოთ ჩამოთვლილი კანონიერი მიზნების არსებობას იზიარებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოც. გადაწყვეტილებაში საქმეზე სტაბილური და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, სასამართლო განმარტავს: „... ხანდაზმულობის ვადები ემსახურება რამდენიმე მნიშვნელოვან მიზანს, კერძოდ, სამართლებრივ განსაზღვრულობას და საბოლოობას, პოტენციური მოპასუხეების დაცვას ძველი სარჩელებისგან, რომლებისგან თავის დაცვაც შეიძლება რთული აღმოჩნდეს და უსამართლობის თავიდან აცილებას, რომელიც შეიძლება წარმოიშვას, თუ სასამართლოები იძულებული გახდებიან გადაწყვიტონ საქმეები, რომლებიც შორეულ წარსულში მოხდა, იმ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, რომლებიც შესაძლოა, დროის გასვლის გამო არასაიმედო ან არასრული იყოს“ (პ.51). (Stubbings and Others v The United Kingdom, გა-

ნაცხადის ნომერი №22083/93; №220095/93, 22 ოქტომბერი, 1996).

68. აღსანიშნავია, რომ ხანდაზმულობის ვადის გასვლით ისპობა სასამართლოს ან სხვა ორგანოს მეშვეობით პირის მოთხოვნის იძულებით განხორციელების შესაძლებლობა, მაგრამ არა სასამართლოსათვის ან სხვა ორგანოსათვის მიმართვის უფლება. ხანდაზმულობის ვადა სპობს უფლების იძულებით განხორციელების შესაძლებლობას მატერიალური და არა პროცესუალური თვალსაზრისით. საკასაციო პალატამ არაერთ საქმეზე განმარტა, რომ სასარჩელო ხანდაზმულობის ინსტიტუტი წარმოადგენს უფლების დაცვის მატერიალურ-სამართლებრივ საშუალებას, რადგან სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ მოთხოვნა მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით არსებობს, თუმცა სასამართლო წესით ამ მოთხოვნის იძულებითი განხორციელება კონკრეტული წინაპირობის არსებობისას, არ ხდება (შდრ. სუსგ №ას-1428-2018, 27 დეკემბერი, 2018).

69. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სარჩელი აერთიანებს ორ ნაწილს: სარჩელის აღძვრისა და სარჩელის დაკმაყოფილების უფლებას. რადგან სასარჩელო ხანდაზმულობა არის დარღვეული უფლების იძულებითი განხორციელების ვადა, ის უკავშირდება სწორედ სარჩელის დაკმაყოფილების უფლებას. სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის გასვლით ისპობა უფლების იძულებითი განხორციელების შესაძლებლობა მატერიალური და არა საპროცესო-სამართლებრივი თვალსაზრისით. შესაბამისად, სასარჩელო ხანდაზმულობის ინსტიტუტი მიჩნეული უნდა იქნეს მატერიალური სამართლის კუთვნილებად კანონმდებლობაში მისი ადგილისა და სამართლებრივი შედეგების გათვალისწინებით.

70. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სახელშეკრულებო მოთხოვნის ხანდაზმულობაზე მითითების შედეგად წარმოშობილი საწინააღმდეგო უფლება მატერიალურ სამართლებრივი მნიშვნელობით შესაგებელია, რომელიც მოთხოვნის განხორციელებას ხანგრძლივად ან დროებით აფერხებს. „სახელშეკრულებო მოთხოვნის ხანდაზმულობის მიზანია მოვალის დაცვა იმ პროცესის ნაწილად გახდომისაგან, რომელშიც პოზიციის დაცვა რთული ან შეუძლებელია მოთხოვნის სიძველის გამო“. (შდრ: სუსგ №ას-898-860-2014, 09 ოქტომბერი, 2015 წელი). ხანდაზმულობის ვადების გათვალისწინება სასამართლოს მიერ ხორციელდება არა საკუთარი ინიციატივით, არამედ მხოლოდ საქმის განხილვაში მონაწილე მხარეების (მხარის) მიერ აღნიშნულზე მითითების შემთხვევაში. მაგალითად, მოთხოვნის განხორციელების შემაფერხებელი შესაგებლების შემოწმება მიმდინარეობს მოპასუხის შედავების შემოწმების ეტაპზე. ამ ტიპის შედავების წარდგენის დროს მოპასუხე შე-

საძლოა ეთანხმებოდეს სარჩელში გაუღერებულ მხარეთა შორის წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობას (სადავოდ არ ხდიდეს სარჩელში მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებს), ასევე ეთანხმებოდეს ვალდებულების არსებობას და აღიარებდეს მისი მხრიდან ვალდებულების შეუსრულებლობას, თუმცა, უარს აცხადებდეს მის შესრულებაზე, რადგან მოთხოვნა ხანდაზმულად მიაჩნდეს (სსკ-ის 144-ე მუხლი) (იხ. დამატებით: ჰაინ ბოელინგი, ლადო ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდთა, მეორე გამოცემა, თბ., 2004, გვ.170; მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესი სამოქალაქო სამართალში მოკლე შესავალი რელაციის მეთოდში სამოქალაქო კოდექსის მიხედვით შემუშავებული პრაქტიკული მაგალითებით, შტეფან შმიტი, ჰარალდ რიჰტერი, GIZ, 2013, გვ.20).

71. საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ ხანდაზმულობა განეკუთვნებოდა სამართლის საკითხს და აღნიშნავს, რომ ხანდაზმულობა ფაქტის საკითხია. ამასთან, ეს ფაქტი მოპასუხის შესაგებელში ან მოსამზადებელ სხდომაზე უნდა იყოს წამოყენებული, რაც მოცემულ შემთხვევაში, მოპასუხემ თავისი საპროცესო უფლების რანგში არ გამოიყენა (იხ., სუსგ №ას-262-2019, 2 დეკემბერი, 2020 წელი, პ.24).

72. ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო სასამართლო განმარტა, რომ მოვალის პროცესუალური შესაგებელი, მოთხოვნის ხანდაზმულობის შესახებ, ე.წ. უფლების შემაფერხებელ შესაგებელს წარმოადგენს რა შემთხვევაშიც მოვალის შეპასუხება არა თავისთავად უფლების ნამდვილობას, არამედ მისი ხანდაზმულობის მოტივით უკუგდება ემსახურება (აღსანიშნავია, რომ მოთხოვნის ხანდაზმულობაზე მითითებისას, უფლება თავისთავად ნამდვილია და არსებობს, ანუ ასეთი შესაგებლის არსებობისას, მოპასუხე სასარჩელო მოთხოვნას უფლების შემწყვეტი ან გამომრიცხავი პასუხით არ უპირისპირდება, მეტიც, შეიძლება პირდაპირ აღიარებდეს უფლების ნამდვილობას, უბრალოდ მისი სასამართლოს მეშვეობით განხორციელებას აფერხებდეს ხანდაზმულობაზე მითითებით). მოთხოვნის ხანდაზმულობა ფაქტის საკითხია, და განსხვავებით სამართლის საკითხისგან, რა დროსაც, მითითებული ფაქტობრივი გარემოებების ფარგლებში სასამართლო თავად მოიძიებს მოთხოვნის დამფუძნებელ ნორმას და შეუფარდებს საქმეში არსებულ ფაქტობრივ გარემოებებს, ამ შემთხვევაში, მოპასუხე მხარე თავადაა ვალდებული უფლების სასამართლო წესით განხორციელებისგან ასეთი მითითებით დაიცვას თავი, წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლო მოთხოვნის ნამდვილობისა და განხორციელებადობის დადგენის შემთხვევაში, მიუხედავად მისი ხანდაზმულობისა, მოვალეს

დააკისრებს ვალდებულების შესრულებას (იხ., სუსგ №ას-498-2020, 25 ნოემბერი, 2020, პ.38).

73. განსახილველ შემთხვევაში, დადგენილია, რომ მოპასუხის საჩივარში, სააპელაციო და საკასაციო საჩივარში მითითებული ფაქტი მოთხოვნის ხანდაზმულობის თაობაზე, მოპასუხეს შესაგებლის წარუდგენლობის გამო, სადავოდ არ გაუხდია, რის გამოც, საქმის განმხილველი სასამართლო, მოკლებული იყო შესაძლებლობას ემსჯელა დასახელებულ საკითხზე, თავის მხრივ კი, საკასაციო სასამართლო შეზღუდულია იმსჯელოს ისეთ ფაქტებსა და გარემოებებზე, რომელიც ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოთა გადანყვეტილებებსა ან სხდომათა ოქმში არ ასახულა (სსსკ-ის 47.1 მუხლი).

74. კასატორის პრეტენზია ასევე შეეხება საქალაქო სასამართლოში 2018 წლის 17 იანვარს 9:30სთ-ზე გამართული სხდომის დღის შესახებ მოპასუხის ინფორმირების ვალდებულების დარღვევას, კერძოდ, კასატორი აღნიშნავს, რომ სასამართლომ მხოლოდ მოსარჩელეს შეატყობინა სხდომის დღე და არ შეატყობინა მოპასუხეს. აღნიშნულს საკასაციო პალატა არ იზიარებს და დადგენილად მიიჩნევს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 28 დეკემბრის განჩინებით მოპასუხეს შეტყობინების საჯაროდ გავრცელების გზით ეცნობა თბილისის საქალაქო სასამართლოში 2018 წლის 17 იანვრის 9:30 სთ-ზე დანიშნული მთავარი სხდომის შესახებ. აღნიშნული განჩინების პუბლიკაცია განხორციელდა 2017 წლის 29 დეკემბერს.

75. ამდენად, საკასაციო პალატას უსაფუძვლოდ მიაჩნია კასატორის პრეტენზია სასამართლოს მთავარი სხდომის დღის შესახებ მოპასუხის მიმართ ინფორმირების ვალდებულების დარღვევა.

76. ამასთან, კასატორი აღნიშნავს, რომ მოსარჩელემ გამოიხმო სარჩელი პროცენტის დაკისრების ნაწილში და შეამცირა მოპასუხისათვის პროცენტის სახით დასაკისრებელი თანხის ოდენობა. აღნიშნული საპროცესო უფლება მოსარჩელემ გამოიყენა სასამართლოს მთავარ სხდომაზე, რასაც სჭირდებოდა მოპასუხის თანხმობა.

77. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სსსკ-ის მე-3 მუხლით განმტკიცებულია დისპოზიციურობის პრინციპი, რაც მიანიშნებს მხარის უფლებაზე, თავად გადაწყვიტოს დავის სასამართლოში დაწყების საკითხი, ისევე, როგორც მის უფლებაზე, განკარგოს კანონით გარანტირებული შესაძლებლობანი (სარჩელის ცნობა, სარჩელზე უარის თქმა, მორიგება და სხვა). მხარის პროცესუალურ უფლებათა ძირითად ჩამონათვალს სსსკ-ის 83-ე მუხლი ადგენს, თუმ-

ცა, ეს ნორმა არ არის ამომწურავი. ფუნდამენტურ პროცესუალურ უფლებათა შორის არის ამავე კოდექსის 83¹-ე მუხლით რეგლამენტირებული მოსარჩელის შესაძლებლობა, გამოიხმოს სარჩელი, კერძოდ, მითითებული ნორმის პირველი ნაწილით განსაზღვრულია, რომ მოსარჩელეს უფლება აქვს, გამოიხმოს სარჩელი ისე, რომ უარი არ თქვას თავის მოთხოვნაზე. სარჩელის გამოხმობა დასაშვებია საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე. სარჩელის გამოხმობა პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის მთავარ სხდომაზე განხილვისას, ასევე სააპელაციო და საკასაციო წესით საქმის განხილვისას დასაშვებია მოპასუხის თანხმობით. თუ მოპასუხე არ არის თანახმა, სასამართლომ უნდა განიხილოს და გადაწყვიტოს საქმე (იხ. სუსგ №ას-431-431-2018 (ბ), 22.06.2018წ.; №ას-398-398-2018, 25 დეკემბერი, 2018, პ.21).

78. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ კასატორის პრეტენზია ვერც ამ ნაწილში დაედება საფუძვლად საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებას შემდეგ გარემოებათა გამო:

79. დადგენილია, რომ ნაცვლად თავდაპირველი სარჩელით მოთხოვნილი 13390.16 ლარისა (პროცენტი), მოსარჩელემ მოითხოვა 3240 ლარის მოპასუხისათვის დაკისრება. მოსარჩელის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 17 იანვრის განჩინებით სარჩელი მოპასუხის მიმართ დარიცხული პროცენტის 13390.16 ლარიდან 10150.16 ლარის დაკისრების მოთხოვნის ნაწილში დარჩა განუხილველი მისი გამოხმობის გამო (სსსკ-ის 83¹-ე მუხლი) და დაუბრუნდა მოსარჩელეს.

80. კონკრეტულ შემთხვევაში, მართალია საქმის მომზადების სტადია დასრულებული იყო და მოსარჩელემ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 17 იანვარს დანიშნულ სასამართლოს მთავარ სხდომაზე გამოიხმო მოპასუხისათვის დასაკისრებელი პროცენტის (სესხზე დარიცხული სარგებელი) ნაწილში სარჩელის მოთხოვნა, თუმცა, საქმის მასალებით დადგენილი იქნა, რომ მოპასუხე არ ცხადდებოდა სასამართლო სხდომაზე. მოპასუხის სასამართლო სხდომაზე იძულებით მიყვანას კი, კანონი არ ითვალისწინებს. შესაბამისად, საკასაციო პალატა ეთანხმება ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებს, რომ სასამართლო მოკლებული იყო შესაძლებლობას მოპასუხისაგან სხვაგვარად მიეღო თანხმობა. ამასთან, ყურადსაღებ გარემოებას წარმოადგენდა რომ სარჩელის საგანს წარმოადგენდა საკრედიტო სესხი, მასზე დარიცხული სარგებელი და პირგასამტეხლო, ხოლო მოსარჩელის მიერ სარჩელის გამოხმობა შეეხებოდა სესხის თანხაზე დარიცხული სარგებლის შემცირებას. აღნიშნული კი, ერთმნიშვნელოვნად აუმჯობესებდა მოპასუ-

ხის სამართლებრივ მდგომარეობას. ამიტომ, საკასაციო პალატა ეთანხმება ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებს, რომ განსახილველი საქმის ფაქტობრივი მოცემულობის პირობებში სარჩელის ნაწილობრივ გამოხმობის შესახებ შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილებულიყო.

81. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს სსსკ-ის 241-ე მუხლით განსაზღვრული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველები, ასევე, არ არსებობს ამ დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ განჩინების გაუქმების საფუძველი, შესაბამისად, გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება და განჩინება უცვლელად უნდა დარჩეს (სსსკ-ს 410-ე მუხლი).

82. სსსკ-ის 410-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

83. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო არ აკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 410-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. გ. გ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 22 მაისის განჩინება დარჩეს უცვლელად;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

7. გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულება

გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-835-2020

23 სექტემბერი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა
შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ე. გასიტაშვილი,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: წილის მესაკუთრედ ცნობა, ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

1. ჟ.მ.მ-მა (შემდგომ – მოსარჩელე) სარჩელი აღძრა სასამართლოში ე. მ-ის (შემდეგში – პირველი მოპასუხე) და შპს „ო.ჯ.ი.ლ-ი“ (შემდგომ – მოპასუხე კომპანია) მიმართ, რომლითაც მოითხოვა: ა) მოპასუხე კომპანიის 100%-იანი წილის მესაკუთრედ მოსარჩელის აღიარება და ბ) მოპასუხეებისათვის სოლიდარულად 675 018 აშშ დოლარის გადახდის დაკისრება.

2. სარჩელის ფაქტობრივ გარემოებად მითითებულია, რომ მხარეები წარმოადგენენ ერთმანეთის ნათესავებს. კერძოდ, მოსარჩელე დაქორწინდა პირველი მოპასუხის შვილზე. მოსარჩელეს გააჩნდა განსაკუთრებული ნდობა, როგორც მეუღლის ისე მისი დედის – პირველი მოპასუხის მიმართ. მოპასუხე მრავალი წელია ცხოვრობს საქართველოში, ხოლო მოსარჩელე დაკავებულია ბიზნეს საქმიანობით სხვადასხვა ქვეყანაში, რის გამოც, საქართველოში იმყოფება იშვიათად. სწორედ ამიტომ, მოსარჩელეს გაცემული ჰქონდა არაერთი მინდობილობა მეუღლის და მისი დედის – პირველი მოპასუხის მიმართ, რათა მათ განეხორციელებინათ გარკვეული მოქმედებები მისი სახელით. ერთ-ერთი ასეთი ბიზნეს პროექტი იყო ერთ-ერთი კომპანიის წილის შექმნა. მოსარჩელემ მინდობილობა გაუფორმა პირველ მოპასუხეს, რათა დაეფუძნებინა კომპანია, რომლის 100%-იანი წილის მესაკუთრე უნდა ყოფილიყო მოსარჩელე, ხოლო დირექტორები როგორც მოსარჩელე ისე პირველი მოპასუხე. კომპანიის როგორც დაფუძნება, ისე შემდგომი საქმიანობისთვის სრული დაფინანსება და კომპანიის სახელით

ქონების შეძენისთვის თანხების ინვესტირება დაახლოებით 700 000 აშშ დოლარის ოდენობით განხორციელებულია მოსარჩელის მიერ. გასულ წელს მოსარჩელემ მეუღლესთან დაიწყო განქორწინების პროცესი, მათ შორის, სასამართლო დავები ქონების გაყოფასთან დაკავშირებით. ამ პერიოდში მოსარჩელე დაინტერესდა იმ ბიზნესითა და ქონებით, რომლის მართვა მინდობილი ჰქონდათ მის ყოფილ მეუღლეს და მეუღლის დედას – მოპასუხეს, რა დროსაც, აღმოაჩინა, რომ მას არ გააჩნდა არც პარტნიორის და არც დირექტორის სტატუსი მის მიერ შექმნილ და დაფინანსებულ კომპანიაში. მეტიც, პირველმა მოპასუხემ მოსარჩელისგან ფარულად, 2017 წლის დეკემბრის თვეში 675 018 აშშ დოლარად გაასხვისა ღვინის ქარხნის წილი, რომელიც შექმნილი იყო მოსარჩელის მიერ. აღნიშნული თანხა კომპანიის ანგარიშზე ჩარიცხულია 2018 წლის მარტში, რომლის ერთ-ერთ პარტნიორად და დირექტორად რეგისტრირებულია პირველი მოპასუხე.

3. პირველმა მოპასუხემ სარჩელი არ ცნო.

4. მოპასუხე კომპანიამ წერილობითი ფორმით შესაგებელი არ წარმოადგინა, თუმცა, სასამართლოს მთავარ სხდომაზე პირველმა მოპასუხემ, როგორც მოპასუხე კომპანიის წარმომადგენელმა (დირექტორი) მოპასუხე კომპანიის მიმართ წარდგენილი მოთხოვნა ცნო 642 435 აშშ დოლარის ფარგლებში.

5. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 16 აპრილის გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნები დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: მოპასუხეებს მოსარჩელის სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრათ – 675 018 აშშ დოლარის გადახდა. მოთხოვნა მოპასუხე კომპანიის 100%-იანი წილის მესაკუთრედ აღიარების თაობაზე, არ დაკმაყოფილდა.

6. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 16 აპრილის გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა პირველმა მოპასუხემ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 10 სექტემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი მიღებულ იქნა განსახილველად. 30.09.2019წ.-ს თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიმართა მოსარჩელემ და წარადგინა შეგებებული სააპელაციო საჩივარი. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 23 დეკემბრის განჩინებით შეგებებული სააპელაციო საჩივარი მიღებულ იქნა განსახილველად.

7. 2020 წლის 17 ივნისს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას განცხადებით მიმართა მოსარჩელემ/შეგებებული სააპელაციო საჩივრის ავტორმა და მოითხოვა გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის ღონისძიების

გამოყენება. კერძოდ, ყადაღის დადება პირველი მოპასუხის საკუთრებაში არსებულ შემდეგ უძრავ ქონებაზე: 1. ქალაქი თბილისი, ქუჩა ..., სართული 13, ბლოკი VIII, ბინა №13-39, საკადასტრო კოდი: ..., ფართი (მშენებარე), 290.98 კვ.მ. 2. ქალაქი თბილისი, ქუჩა ..., სადარბაზო 13, სართული 13, ბლოკი VIII, ბინა №13-38, საკადასტრო კოდი: ..., ფართი (მშენებარე), 271.54 კვ.მ. 3. ქალაქი თბილისი, ..., №13, საკადასტრო კოდი: ..., ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება, ნაკვეთის დანიშნულება: სასოფლო-სამეურნეო, დაზუსტებული ფართობი: 252.00 კვ.მ., შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: №1 საერთო ფართით 117 კვ.მ (მათ შორის საცხოვრებელი ფართი 110 კვ.მ საზაფხულო ფართი 7 კ.მ).

8. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 18 ივნისის განჩინებით მოსარჩელის/შეგებებული სააპელაციო საჩივრის ავტორის განცხადება გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: პირველ მოპასუხეს აეკრძალა მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, მდებარე: ქალაქი თბილისი, ..., №13 (საკადასტრო კოდი: ... ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება, ნაკვეთის დანიშნულება: სასოფლო-სამეურნეო, დაზუსტებული ფართობი: 252.00 კვ.მ., შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: №1 საერთო ფართით 117 კვ.მ.; მათ შორის, საცხოვრებელი ფართი 110 კვ.მ. საზაფხულო ფართი 7 კვ.მ) გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა.

9. 2020 წლის 26 ივნისს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას კვლავ მომართა დამატებით განცხადებით მოსარჩელემ/შეგებებული სააპელაციო საჩივრის ავტორმა და მოითხოვა გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება, კერძოდ, პირველი მოპასუხისათვის მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მდებარე: ქალაქი თბილისი, ქუჩა ..., სართული 13, ბლოკი VIII, ბინა №13-38, საკადასტრო კოდი: ..., ფართი (მშენებარე), 271.54 კვ.მ. გასხვისებისა და იპოთეკით დატვირთვის აკრძალვა. განმცხადებელმა მოთხოვნა იმით დაასაბუთა, რომ მოთხოვნა, რომლის ოდენობაც შეადგენს 675,018 აშშ დოლარს და რომელიც დაკმაყოფილებულია სასამართლოს გადაწყვეტილებით, უზრუნველყოფილია დაახლოებით 380,000 აშშ დოლარით, არაუზრუნველყოფილი ნაწილი შეადგენს 295 000 აშშ დოლარს. იმის გამო, რომ დიდია მოთხოვნის და აღსასრულებელი გადაწყვეტილების არაუზრუნველყოფილი ნაწილი, ანგარიშებზე შენარჩუნებული თანხები, ამასთან მხოლოდ ერთ უძრავ ქონებაზე გასხვისებისა და იპოთეკით დატვირთვის აკრძალვის გამოყენება გადაწყვეტილების აღსასრულებლად საკმარისი არ არის.

10. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 26 ივნისის განჩინებით მოსარჩელის განცხადება გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ დარჩა განუზილველად.

11. სააპელაციო პალატამ შუალედური ნორმის – საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგი – სსსკ-ის) 372-ე მუხლის გამოყენებით იხელმძღვანელა გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის მარეგულირებელი სსსკ-ის 271-ე მუხლითა და ამ კოდექსის XXIII თავით (სარჩელის უზრუნველყოფა) დადგენილი წესებით.

12. შესაბამისად, პალატამ მიუთითა სსსკ-ის 191-ე მუხლზე, რომლის საფუძველზე სასამართლო უფლებამოსილია მხარის მოთხოვნის საფუძველზე გამოიყენოს სარჩელისა თუ სასამართლო გადაწყვეტილების უზრუნველყოფის ღონისძიება, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სასამართლოს, განმცხადებლის მიერ მითითებული გარემოებების შეფასების შედეგად გაუჩნდება დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას. იმ ფაქტობრივ გარემოებებზე მითითება, რომლებიც ადასტურებენ ვარაუდს უზრუნველყოფის ღონისძიებების გატარების აუცილებლობის შესახებ, ეკისრება განმცხადებელს. აღნიშნული გარემოებების მტკიცების ტვირთი მხარეს ეკისრება იმ ფარგლებში, რომ სასამართლოს შეუქმნას კონკრეტული უზრუნველყოფის ღონისძიების გატარების აუცილებლობის რწმენა, ვარაუდი. ამასთან, საკმარისია მარტოოდენ მითითება ასეთ გარემოებებზე და სავალდებულო არ არის მათი დადასტურება რაიმე მტკიცებულებებით. სასამართლოს დასარწმუნებლად საკმარისია მხოლოდ ალბათობის მაღალი ხარისხით იმ გარემოებების არსებობის ვარაუდი, რომელსაც ემყარება მოსარჩელის მოთხოვნა სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენების აუცილებლობის შესახებ, სხვაგვარად, აღნიშნული გარემოებების არსებობის ალბათობა უნდა გადასწონიდეს ვარაუდს მისი არარსებობის შესახებ.

13. სსსკ-ის 198.2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები შეიძლება იყოს ყადაღის დადება ქონებაზე, ფასიან ქალაქებსა თუ ფულად სახსრებზე, რომლებიც მოპასუხეს ეკუთვნის და არის მასთან ან სხვა პირთან.

14. ამავე კოდექსის 194-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სარჩელის უზრუნველყოფაზე უარის თქმის თაობაზე. სასამართლოსთვის იმავე საგანზე და იმავე საფუძველით ხელმეორედ მიმართვის შემთხვე-

ვაში, მიიღება განჩინება განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ, რაც გასაჩივრდება საჩივრით.

15. სააპელაციო პალატამ დადგინოდა მიიჩნია, რომ:

16. – მოსარჩელის განცხადების საფუძველზე ჯერ კიდევ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ 2018 წლის 18 აპრილის განჩინებით გამოიყენა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, კერძოდ, ყადაღა დაედო მოპასუხე კომპანიის სანესდებო კაპიტალში მეორე მოპასუხის კუთვნილ 100% წილს. ყადაღა დაედო ორივე მოპასუხის საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ თანხას 675 018-675 018 აშშ დოლარის ფარგლებში საქართველოში მოქმედ ყველა საბანკო დანესებულებაში. მოპასუხე კომპანიას, ასევე მის პარტნიორს და დირექტორს პირველ მოპასუხეს აეკრძალა მოპასუხე კომპანიის კუთვნილი ნებისმიერი ქონების გასხვისება, სესხების ან ვალდებულებების აღება ან უზრუნველყოფა, ფულადი თანხების განკარგვა (გარდა საგადასახადო ვალდებულებების შესრულებისა);

17. – ასევე დადგინოდა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 18 ივნისის განჩინებით კი, მოსარჩელის /შეგებებული სააპელაციო საჩივრის ავტორის განცხადების ნაწილობრივი დაკმაყოფილების შედეგად გამოყენებული იქნა გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის ღონისძიება (იხ., ამ განჩინების პ.8).

18. განსახილველ შემთხვევაში, ამ განჩინების პ.9-ში მითითებული განცხადება დასაბუთებულია იმ გარემოებაზე მითითებით, რომ მოთხოვნა, რომლის ოდენობაც შეადგენს 675,018 აშშ დოლარს და რომელიც დაკმაყოფილებულია სასამართლოს გადაწყვეტილებით უზრუნველყოფილია დაახლოებით – 380,000 აშშ დოლარით, მართალია, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 18 ივნისის განჩინებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ განცხადება, თუმცა, არაუზრუნველყოფილი ნაწილი შეადგენს 295 000 აშშ დოლარს და მიუთითებს აუდიტორული ფირმის მიერ 2020 წლის 24 ივნისის დასკვნაზე, რომელშიც აღნიშნულია, რომ უძრავი ქონების მდებარე: ქალაქი თბილისი, ..., №13, საკადასტრო კოდი: ... ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება, ნაკვეთის დანიშნულება: სასოფლო-სამეურნეო, დაზუსტებული ფართობი: 252.00 კვ.მ., შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: №1 საერთო ფართობით 117 კვ.მ. საბაზრო ღირებულება შეადგენს 103 000 აშშ დოლარს.

19. განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმაზე რომ მიუხედავად გადაწყვეტილების

აღსრულების უზრუნველყოფის ღონისძიების შესახებ განცხადების ნაწილობრივ დაკმაყოფილებისა, მოცემულ საქმეზე პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოყენებულია სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებაც (იხ., ამ განჩინების პპ. 15-17).

20. შესაბამისად, იმ პირობებში, როდესაც თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ, 2020 წლის 18 ივნისის განჩინებით უკვე იმსჯელა მოსარჩელის/შეგებებული სააპელაციო საჩივრის ავტორის შუამდგომლობაზე გადანყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ და არ დააკმაყოფილა განმცხადებლის მოთხოვნა უძრავ ქონებაზე მდებარე: ქალაქი, თბილისი, ქუჩა ..., ბინა №13-38, საკადასტრო კოდი: ..., ფართი (მშენებარე), 271.54 კვ.მ. ყადაღის გამოყენების თაობაზე, სსსკ-ის 194-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, სააპელაციო პალატას არ აქვს საპროცესო საფუძველი კიდევ ერთხელ იმსჯელოს იმავე მხარის ხელახალ განცხადებაზე.

21. შესაბამისად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 26 ივნისის განჩინებით მოსარჩელის/შეგებებული სააპელაციო საჩივრის ავტორის განცხადება განუხილველად იქნა დატოვებული. აღნიშნული განჩინება გაასაჩივრა მოსარჩელემ/შეგებებული სააპელაციო საჩივრის ავტორმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება, შემდეგ საფუძველსა და მოსაზრებებზე მითითებით:

22. საჩივრის ავტორმა აღნიშნა, რომ მართალია გამოყენებულია სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, თუმცა ეს არის მოპასუხე კომპანიის 100% წილის ყადაღა და საბანკო ანგარიშებზე თანხის ყადაღა. საჩივრის ავტორის მითითებით, კომპანიის 100% წილი დაყადაღებულია არა ფულადი მოთხოვნის ნაწილში, არამედ წილის მოსარჩელისთვის გადაცემის ნაწილში.

23. ამდენად, სარჩელის უზრუნველყოფის ამ ღონისძიებას განმცხადებლის შუამდგომლობასთან გადანყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ, კავშირი არ აქვს, რადგან შუამდგომლობა თანხის სოლიდარულად დაკისრების ნაწილს ეხება.

24. მეორე უზრუნველყოფა არის 675,018-675,018 აშშ დოლარის ოდენობის ყადაღა საბანკო ანგარიშებზე.

25. ორივე შუამდგომლობის დასაბუთება სწორედ იმას ეფუძნებოდა, რომ რეალურად ამ ყადაღის შედეგი აღმოჩნდა ჯამში მხოლოდ დაახლოებით 277,000 აშშ დოლარის „დაბლოკვა“. ანუ, მართალია, 675,018-675,018 აშშ დოლარის ოდენობის ყადაღა საბანკო ანგარიშებზე სოლიდურად ჟღერს, თუმცა, რეალობაში იქ მხოლოდ 277,000 აშშ დოლარამდეა, მაშინ, როცა მოთხოვნა მასზე დაახლოებით 100,000 აშშ დოლარით მეტია. სწორედ ამაშია პრობლემა და

ამ პრობლემას სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება ვერ ხსნის.

26. საჩივრის ავტორის განმარტებით, 2020 წლის 18 ივნისის განჩინება იყო არსებითად წინგადადგმული ნაბიჯი მოსარჩელის მოთხოვნის (გადანყვეტილების აღსრულების) უკეთესი უზრუნველყოფის კუთხით და როგორც შემდეგ აღმოჩნდა (აუდიტის დასკვნისა და ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე), ამან მოსარჩელის მიერ გადანყვეტილების აღსრულების შანსები დაახლოებით 103,000 აშშ დოლარით გაზარდა. ანუ, თუ იყო დაახლოებით 277,000 აშშ დოლარის უზრუნველყოფა საბანკო ანგარიშებზე „დაჭერილი“ თანხების წყალობით. ეს ციფრი გახდა დაახლოებით 400,000 აშშ დოლარი. მიუხედავად ამისა, დაახლოებით 275,000 აშშ დოლარი არაუზრუნველყოფილი დარჩა. საჩივრის ავტორის მტკიცებით, არ არსებობდა მისი განცხადების განუხილველად დატოვების სსსკ-ის 195.4 მუხლით გათვალისწინებული საფუძველი, კერძოდ, განმეორებითი განცხადებით სასამართლოსთვის მიმართვა მოხდა: ა) სხვა ტიპის უზრუნველყოფის მოთხოვნით; ბ) სხვა საფუძველებით; და გ) სხვა საგანზე. საჩივრის ავტორის მითითებით, მართალია თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 18 ივნისის განჩინებით პირველ მოპასუხეს ერთ-ერთ უძრავ ქონებაზე გასხვისება – დატვირთვის აკრძალვა დაუნესდა, მაგრამ განმცხადებლის მოთხოვნა ეს არ იყო. განმცხადებელს სასამართლოსთვის არ მიუმართავს შუამდგომლობით/განცხადებით იმასთან დაკავშირებით, რომ პირველი მოპასუხის ყველა ან რომელიმე უძრავ ქონებაზე აკრძალვა გავრცელებულიყო. ის, რომ სასამართლომ შუამდგომლობა ამგვარად დააკმაყოფილა, ეს სასამართლოს პრეროგატივაა, თუმცა, განცხადების ავტორი 17 ივნისს ითხოვდა ყადაღას 3 უძრავ ქონებაზე, ხოლო 26 ივნისს ითხოვდა აკრძალვას 1 უძრავ ქონებაზე.

27. ამდენად, ყადაღა თავისი შინაარსით მოიცავს გასხვისება-დატვირთვის აკრძალვის ელემენტებსაც, მაგრამ ეს სხვა სახის უზრუნველყოფის ღონისძიებაა. მართლაც, სსსკ-ის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილში მითითებულია, რომ კოდექსი ადგენს: „სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები შეიძლება იყოს: ა) ყადაღის დადება ქონებაზე, რომელიც მოპასუხეს ეკუთვნის; ბ) მოპასუხისათვის გარკვეული მოქმედების შესრულების აკრძალვა“. ამიტომ, განმცხადებელი არათუ ერთსა და იმავე საგანზე და ერთი და იგივე საფუძველით ითხოვს უზრუნველყოფას, არამედ ორი სხვადასხვა სახის ღონისძიების მიღებას და მასზე „იმავე საგნისა და საფუძველის“ მიდგომა საერთოდ არ უნდა გავრცელდეს. მხოლოდ ამ ნიშნითაც კი (რომ მოთხოვნილი იყო სხვადასხვა სახის უზრუნველყოფის ღონისძიება), მეორე შუამდგომლობა უნდა განხილულიყო.

28. საჩივრის ავტორის მითითებით, რომც უგულებელვყოთ ის, რომ მოპასუხისთვის გასხვისება-დატვირთვის აკრძალვა და ქონებაზე ყადაღის დადება სხვადასხვა სახის უზრუნველყოფის ღონისძიებებია, მეორე მოთხოვნა სულ სხვა ფაქტობრივ საფუძველზე და მტკიცებულებებზე დგას და იგი ამ ნიშნითაც ექვემდებარებოდა განხილვას, კერძოდ: 17 ივნისის განცხადებაში, დასახელებული მოტივაცია იყო ის, რომ მოთხოვნა არასაკმარისად იყო უზრუნველყოფილი და მოთხოვნილი იყო პირველი მოპასუხის საკუთრებაში არსებული მთელი უძრავი ქონების დაყადაღება. იმ მომენტში მოსარჩელეს ხელთ არ ჰქონდა არც ერთი ქონების შეფასება და როგორც მოსარჩელისთვის, ისე სასამართლოსთვის, ობიექტურად უცნობი იყო, სამივე უძრავ ქონებას თუ დაედებოდა ყადაღა, ეს გადაწყვეტილების უზრუნველყოფისათვის საკმარისი იქნებოდა თუ გადაჭარბებულიც კი. სწორედ ამიტომ იყო, რომ სასამართლოს მოუწია თავად გადაენცივითა, თუ რომელი ქონება „ამოერჩია“ უზრუნველყოფად. 26 ივნისის განცხადება სხვა ფაქტობრივ საფუძველს ეფუძნებოდა, კერძოდ წარმოდგენილი იყო აუდიტის შეფასება და ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლითაც დასტურდება კონკრეტული ციფრები და მოსარჩელის მიერ განმარტებული იყო, თუ რატომ იყო 18 ივნისის განჩინებით დამატებული უზრუნველყოფა არასაკმარისი. სასამართლო 18 ივნისის განჩინების მიღებისას ვერაფრით ვერ იმსჯელებდა იგივე საკითხზე, რაზე მსჯელობაც მოსარჩელემ მოითხოვა 26 ივნისის განცხადებით, იმიტომ რომ სასამართლოს წინაშე არ იყო წარდგენილი ინფორმაცია ქონების ღირებულების შესახებ, გამყარებული ორი მნიშვნელოვანი მტკიცებულებით – ქონების შეფასების დოკუმენტითა და ნასყიდობის ხელშეკრულებით, რაც ასაბუთებს, რომ 277,000 აშშ დოლარი (საბანკო ანგარიშებზე) და 103,000 აშშ დოლარი (ქონების ღირებულება) ჯამში ვერ უზრუნველყოფდა 675,000 აშშ დოლარის ოდენობის გადაწყვეტილებას. ამდენად, მეორე განცხადების საფუძველი არ იყო იგივე, რაც პირველის. მეორე განცხადების საგანი პირველისგან განსხვავდებოდა. პირველი განცხადებით, რეალურად, მოსარჩელე მოითხოვდა მოპასუხის მთელი უძრავი ქონების დაყადაღებას. მეორე განცხადებით, მოსარჩელემ აქცენტი გააკეთა მხოლოდ ერთ უძრავ ქონებაზე და ისიც არა დაყადაღების, არამედ გასხვისება-დატვირთვის აკრძალვის კონტექსტში. ამდენად, საგანი, რომელსაც უზრუნველყოფის მოთხოვნა მიემართებოდა, განსხვავდებოდა პირველი განცხადების საგნისგან.

29. საჩივრის ავტორის მოსაზრებით, მეორე განცხადებით, მოთხოვნილი იყო სხვა სახის უზრუნველყოფის ღონისძიება და ამიტომაც მასზე უნდა ემსჯელა სასამართლოს და არ უნდა შეეფარდე-

ბინა 194.5 მუხლის ტესტი (იგივეა საგანი და საფუძველი თუ არა). მიუხედავად ამისა, რომც ვიმსჯელოთ იმაზე, საგანი და საფუძველი იგივეა თუ არა, განმცხადებლის პასუხია, რომ მეორე შუამდგომლობის ფაქტობრივი საფუძველი იყო სულ სხვა და ამასთან, საგანიც იყო განსხვავებული.

30. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საჩივრის ავტორმა მოითხოვა, 2020 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის ღონისძიების შესახებ განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ განჩინების გაუქმება და 26 ივნისის გადაწყვეტილების უზრუნველყოფის შესახებ განცხადების განხილვა და დაკმაყოფილება.

31. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 30 ივლისის განჩინებით მოსარჩელის საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 26 ივნისის განჩინებაზე არ დაკმაყოფილდა დაუსაბუთებლობის გამო, და საქმის მასალებთან ერთად გადმოეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას, შემდეგ გარემოებათა გამო:

32. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ 2020 წლის 18 ივნისის განჩინებით მოსარჩელის განცხადება გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ დააკმაყოფილა ნაწილობრივ და პირველ მოპასუხეს აეკრძალა მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (მდებარე: ქალაქი თბილისი, ..., საკადასტრო კოდი: ...) გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა. ამავე განჩინების ფარგლებში, პალატის მხრიდან შეფასდა და მოსარჩელის მოთხოვნა დანარჩენ ორ უძრავ ნივთთან მიმართებით უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებასთან დაკავშირებით, კერძოდ, 2020 წლის 17 ივნისის განცხადებით, მოსარჩელემ გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მიზნით მოითხოვა ყადაღის დადება პირველი მოპასუხის საკუთრებაში არსებულ სამ უძრავ ქონებაზე, მათ შორის, №01... საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავ ნივთთან მიმართებით, მდებარე – ქალაქი თბილისი, ქუჩა ..., სართული 13, ბლოკი VIII, ბინა №13-38 (271.54 კვ.მ. მშენებარე ფართი).

33. გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის მიზნებისათვის და ასევე იმის გამო, რომ დავის საგანი საჭიროებს დაცვას, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში, მიზანშეწონილი იყო სსსკ-ი 198-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ღონისძიების გამოყენება და სარჩელის უზრუნველყოფის სახით საკმარისი იყო მოპასუხის ერთი უძრავი ქონების გასხვისების და იპოთეკით დატვირთვის აკრძალ-

ვის გამოყენება. ამით კი, ერთი მხრივ, დავის საგნის დაცვის აუცილებლობიდან გამომდინარე დაცული იქნებოდა მოწინააღმდეგე მხარის კანონიერი ინტერესი და მეორე მხრივ, არ მოხდებოდა აპელანტი მხარის კანონიერი ინტერესის შელახვა.

34. შესაბამისად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ განცხადება უნდა დაკმაყოფილებულიყო ნაწილობრივ, კერძოდ, გამოყენებული უნდა ყოფილიყო დავის საგნის ადეკვატური უზრუნველყოფის ღონისძიება და გადაწყვეტილების (სარჩელის) უზრუნველყოფის მიზნით პირველ მოპასუხეს უნდა აკრძალვოდა მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (მდებარე: ქალაქი თბილისი, ..., საკადასტრო კოდი: ...) გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა.

35. რაც შეეხება დანარჩენ ორ უძრავ ქონებას, ვინაიდან მათზე უკვე გამოყენებულია უზრუნველყოფის ღონისძიებები, პალატამ მიიჩნია, რომ აღარ არსებობდა იმავე ქონებაზე უზრუნველყოფის ღონისძიების განმეორებით გამოყენების საფუძვლები.

36. წინამდებარე საჩივრის საფუძვლიანობის კვლევისას სააპელაციო სასამართლომ აგრეთვე აღნიშნა, რომ კონკრეტულ შემთხვევაში, განმცხადებელი მოითხოვს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 16 აპრილის გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფას, რომლითაც სასარჩელო მოთხოვნები დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, მოპასუხეებს მოსარჩელის სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრათ 675 018 აშშ დოლარის გადახდა. მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხე კომპანიის 100%-იანი წილის მესაკუთრედ აღიარების თაობაზე, არ დაკმაყოფილდა.

37. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა აგრეთვე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 18 აპრილის განჩინებაზე, რომლითაც ყადაღა დაედო მოპასუხე კომპანიის სანესდებო კაპიტალში მეორე მოპასუხის კუთვნილ 100% წილს. ყადაღა დაედო ორივე მოპასუხის საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ თანხას 675 018-675 018 აშშ დოლარის ფარგლებში საქართველოში მოქმედ ყველა საბანკო დაწესებულებაში. მოპასუხე კომპანიას, ასევე, მის პარტნიორს და დირექტორს პირველ მოპასუხეს აეკრძალა მოპასუხე კომპანიის კუთვნილი ნებისმიერი ქონების გასხვისება, სესხების ან ვალდებულებების აღება ან უზრუნველყოფა, ფულადი თანხების განკარგვა (გარდა საგადასახადო ვალდებულებების შესრულებისა).

38. აგრეთვე, თბილისის საპელაციო სასამართლომ სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 18 ივნისის განჩინებით პირველ მოპასუხეს დამატებით აეკრძალა მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, მდებარე: ქალაქი თბილისი, ... (საკადასტრო კოდი: ...

ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება, ნაკვეთის დანიშნულება: სასოფლო-სამეურნეო, დაზუსტებული ფართობი: 252.00 კვ.მ., შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: №1 საერთო ფართით 117 კვ.მ. (მათ შორის საცხოვრებელი ფართი 110 კვ.მ. საზაფხულო ფართი 7 კვ.მ) გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა.

39. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ წინამდებარე საქმეზე გამოყენებულია უზრუნველყოფის ღონისძიებები, თუმცა, განმცხადებელი მიუთითებდა იმ გარემოებაზე, რომ მოთხოვნა, რომლის ოდენობაც შეადგენს 675,018 აშშ დოლარს და რომელიც დაკმაყოფილებულია სასამართლოს გადაწყვეტილებით უზრუნველყოფილია დაახლოებით – 380,000 აშშ დოლარით და არა-უზრუნველყოფილი ნაწილი შეადგენს 295 000 აშშ დოლარს, რის დასტურადაც, მან წარმოადგინა აუდიტორული ფირმის მიერ 2020 წლის 24 ივნისის დასკვნა, რომელშიც აღნიშნულია, რომ უძრავი ქონების მდებარე: ქალაქი თბილისი, ..., საბაზრო ღირებულება შეადგენს 103 000 აშშ დოლარს.

40. ამდენად, ყადაღა ადევს, როგორც მოპასუხე კომპანიის საწესდებო კაპიტალში პირველი მოპასუხის კუთვნილ 100% წილს, ასევე, მოპასუხე კომპანიის და პირველი მოპასუხის საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ თანხას 675 018-675 018 აშშ დოლარის ფარგლებში საქართველოში მოქმედ ყველა საბანკო დანესებულებაში. ასევე, მოპასუხე კომპანიის და მისი პარტნიორს და დირექტორს – პირველ მოპასუხეს აეკრძალა მოპასუხე კომპანიის კუთვნილი ნებისმიერი ქონების გასხვისება, სესხების ან ვალდებულებების აღება ან უზრუნველყოფა, ფულადი თანხების განკარგვა.

41. ამასთან იმ პირობებში, როდესაც თბილისის სააპელაციო სასამართლომ 2020 წლის 18 ივნისის განჩინებით უკვე იმსჯელა მოსარჩელის/შეგებებული სააპელაციო საჩივრის ავტორის გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის შუამდგომლობაზე და არ დააკმაყოფილა განმცხადებლის მოთხოვნა უძრავ ქონებაზე მდებარე: ქალაქი, თბილისი, ქუჩა ... სართული 13, ბლოკი VIII, ბინა №13-38 (საკადასტრო კოდი: .., ფართი (მშენებარე), 271.54 კვ.მ) ყადაღის გამოყენების თაობაზე, სააპელაციო სასამართლომ, სსსკ-ის 194-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, გაუმართლებლად მიიჩნია დამატებით ემსჯელა მოსარჩელის/შეგებებული სააპელაციო საჩივრის ავტორის ხელახალ განცხადებაზე პირველი მოპასუხის საკუთრებაში არსებულ იმავე უძრავ ქონებაზე გასხვისებისა და იპოთეკით დატვირთვის აკრძალვის გამოყენების თაობაზე. შესაბამისად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ზემოაღნიშნული ნორმის თანახმად, განცხადება განუხილველად უნდა ყოფილიყო დატოვებული.

42. იმავდროულად, სააპელაციო პალატამ უარყო საჩივარში განვითარებული მსჯელობა და განმარტა, რომ სსსკ-ის 194-ე მუხლის მე-5 ნაწილის მიზნებიდან გამომდინარე, 2020 წლის 26 ივნისის განცხადებით მოთხოვნილი გადაწყვეტილების უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება, შინაარსობრივად იდენტურია 2020 წლის 18 ივნისის განცხადებით მოთხოვნილი უზრუნველყოფის ღონისძიების კონკრეტულ ნაწილთან მიმართებით, კერძოდ, ორივე შემთხვევაში, უზრუნველყოფის ღონისძიების ობიექტი/საგანია ერთი და იგივე ქონება – №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ნივთი, მდებარე – ქ. თბილისი, ქუჩა ..., ბლოკი VIII, ბინა №13-38 (271.54 კვ.მ. მშენებარე ფართი). ამასთან, ორივე შემთხვევაში, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საფუძველია – თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 16 აპრილის გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა.

43. რაც შეეხება განსხვავებას უზრუნველყოფის ღონისძიების სახესთან მიმართებით, კერძოდ, პირველ შემთხვევაში, მხარე მოითხოვდა ქონებაზე ყადაღის დადებას, ხოლო მეორე შემთხვევაში, აკრძალვის ღონისძიების გამოყენებას (სსსკ-ს 198.2 მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული ორი სხვადასხვა სახის უზრუნველყოფის ღონისძიება). აღნიშნულთან მიმართებით პალატამ განმარტა, რომ მართალია თავდაპირველი განცხადებით მოთხოვნილი იყო უძრავ ნივთებზე ყადაღის დადება, თუმცა, ამავე განჩინების გაცნობის შედეგად დგინდება, რომ პალატამ შეაფასა მოთხოვნილი უზრუნველყოფის სახე და მიზანშეწონილად მიიჩნია ყადაღის ნაცვლად აკრძალვის გამოყენება.

44. ამასთან, შეფასება განხორციელდა სამივე ქონებასთან მიმართებით, რაც გულისხმობს, რომ პალატის მხრიდან აღნიშნულ საკითხზე, მათ შორის, კონკრეტულ უძრავ ქონებასთან (ს/კ: №...) მიმართებით უკვე ნამსჯელია, რაც სსსკ-ის 194.5 მუხლით დადგენილი კანონისმიერ დანაწესის შესაბამისად განცხადების განუხილველად დატოვების საფუძველია.

45. აქვე, პალატამ განმარტა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 18 ივნისის განჩინებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა მოსარჩელის მოთხოვნა უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებასთან მიმართებით, შესაბამისად, თუ მხარისათვის მიუღებელი იყო დამდგარი შედეგი, სსსკ-ს 197.1 მუხლის შესაბამისად, მას შეეძლო შესაბამისი დასაბუთებით საჩივარი წარედგინა მოთხოვნის დაუკმაყოფილებელ ნაწილზე, რის ნაცვლადაც, გაუმართლებელია იმავე მოთხოვნით სასამართლოსათვის ახალი განცხადებით მომართვა.

46. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელემ არ გაასაჩივრა განჩინება, დაეთანხმა მის დასაბუთებულობას და აღნიშნულის ნაცვლად დამატებით მიმართა სასამართლოს იგივე საგანთან მიმართებით იმ სახის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებასთან დაკავშირებით, რასთან მიმართებითაც პალატას უკვე ნამსჯელი ჰქონდა და მიჩნეული იყო უსაფუძვლოდ.

47. მართალია საჩივრის ავტორი მიუთითებს განსხვავებულ ფაქტობრივ საფუძველზე, თუმცა, გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების წინაპირობა და ერთადერთი საფუძველი მიღებული გადაწყვეტილების სამომავლოდ აღსრულების უზრუნველყოფაა. შესაბამისად, დაუსაბუთებელია საჩივრის ავტორის მტკიცება განსხვავებულ საფუძველთან მიმართებით, მაშინ როდესაც ორივე განცხადება მიმართულია თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 16 აპრილის გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფისაკენ.

48. განსხვავებული გარემოებების არსებობასთან მიმართებით, პალატამ განმარტა, რომ სსსკ-ის 102.1 მუხლის შესაბამისად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. სწორედ განმცხადებლის ვალდებულებას შეადგენდა სათანადოდ დაესაბუთებინა უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე მოთხოვნა, რისი განუხორციელებლობაც ყოველ მომდევნო ჯერზე ვერ გახდება ერთხელ უკვე განხილული შუამდგომლობის ხელახლა განხილვის საფუძველი.

სამოტივაციო ნაწილი:

49. საკასაციო სასამართლო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მოსარჩელის/შეგებებული სააპელაციო საჩივრის ავტორის საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება კი, დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

50. სსსკ-ის 399-ე და 372-ე მუხლების (შუალედური ნორმები) დისპოზიციური ანალიზიდან გამომდინარე საკასაციო სასამართლო ხელმძღვანელობს პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებისათვის სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი საქმის განხილვის წესებით, თუ აღნიშნული წესები საკასაციო პალატისათვის განსაზღვრულ სპეციალურ ნორმებს არ ეწინააღმდეგება.

51. სსსკ-ის 271-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლოს შეუძ-

ლია, უზრუნველყოს იმ გადანყვეტილების აღსრულება, რომელიც გადაცემული არ არის დაუყოვნებლივ აღსასრულებლად XXIII თავით დადგენილი წესების შესაბამისად. დასახელებული მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, მისი მოგვარების ფარგლებშია გადანყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის საკითხის გამორკვევაც, ამავედროულად, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საკითხის გადანყვეტა დამოკიდებულია მხარის მიერ იმ შესაძლო რისკის გონივრულ დასაბუთებაზე, ამ ღონისძიების გაუტარებლობა, თუ რამდენად შეუშლის ხელს მართლმსაჯულების მიზნების განხორციელებას – საქმეზე მიღებული გადანყვეტილების შემდგომ აღსრულებას. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სსსკ-ის 271-ე მუხლის სიტყვასიტყვითი ანალიზით ირკვევა კანონმდებლის ნება – უზრუნველყოფილ იქნეს გადანყვეტილება, რომელიც დაუყოვნებლივ აღსასრულებლად არ არის მიქცეული, ანუ შესაბამისი წინაპირობების არსებობისას, დასაშვებია ნებისმიერი გადანყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა, გამონაკლისია მხოლოდ დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცეული გადანყვეტილება. კანონის ამგვარი განმარტება დასახელებული ნორმის მიზნებიდან გამომდინარეობს, რამდენადაც სასამართლო გადანყვეტილებით დადგენილი სამართლებრივი მართლწესრიგის აღსრულებამდე, სავალდებულოა კრედიტორის ინტერესების გონივრულ ფარგლებში დაცვა, რათა სამართალწარმოება ფორმალური არ გახდეს (შეადრ. სუსგ №ას-69-63-2015, 19.03.20156; №ას-1249-2018, 30.11.20186.; №ას-1302-2019, 26 დეკემბერი, 2019).

52. გამომდინარე იქიდან, რომ განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო პალატის განხილვის საგანია გადანყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის მოთხოვნით წარდგენილი (დამატებითი) განცხადების განუხილველად დატოვების მართლზომიერება, ამიტომ, საკასაციო პალატამ უნდა იხელმძღვანელოს სსსკ-ის 191-ე მუხლის პირველი ნაწილით. ნორმის დანაწესით მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით, რომელიც უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადანყვეტილების აღსრულებას და შესაბამის დასაბუთებას, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გატარება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად. თუ სასამართლოს გაუჩნდება დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადანყვეტილების აღსრულებას, იგი გამოიტანს განჩინებას სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ. სარჩელის უზრუნველყოფის ღო-

ნისძიების გამოყენება ემყარება მოსამართლის ვარაუდს, რომ მხარის სასარჩელო მოთხოვნა შეიძლება დაკმაყოფილდეს. ასეთი ვარაუდი გავლენას არ ახდენს სასამართლოს მიერ შემდგომი გადანყვეტილების გამოტანაზე.

53. ამავე კოდექსის 271-ე მუხლის მიხედვით, სასამართლოს შეუძლია უზრუნველყოს იმ გადანყვეტილების აღსრულება, რომელიც გადაცემული არ არის დაუყოვნებლივ აღსასრულებლად XXIII თავით დადგენილი წესების შესაბამისად.

54. დასახელებულ ნორმათა შინაარსიდან გამომდინარე, კანონმდებელი შესაძლებლობას აძლევს მოსარჩელეს, საკუთარი კანონიერი უფლებების დაცვის მიზნით, მოითხოვოს ჯერ კიდევ აღუსრულებელი გადანყვეტილების უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება. იმ ფაქტობრივ გარემოებებზე მითითებისა და მათი დამტკიცების ტვირთი, რომლებიც ადასტურებენ ვარაუდს უზრუნველყოფის ღონისძიებების გატარების აუცილებლობის შესახებ, ეკისრება განმცხადებელს. სწორედ განმცხადებელმა უნდა შეუქმნას სასამართლოს კონკრეტული უზრუნველყოფის ღონისძიების გატარების/უზრუნველყოფის ღონისძიების მოცულობის (ანუ, მოპასუხის შეზღუდვის ფარგლები) აუცილებლობის რწმენა, ვარაუდი. ცხადია, ასეთ შემთხვევაში, საკმარისია მარტოოდენ გადანყვეტილების აღსრულების ხელისშემშლელ გარემოებებზე მითითება და სავალდებულო არ არის მათი დადასტურება რაიმე მტკიცებულებებით, რამდენადაც გადანყვეტილების აღსრულების პროცესი, ჯერ კიდევ, არ მიმდინარეობს. სასამართლოს დასარწმუნებლად კი, საკმარისია მხოლოდ ალბათობის მაღალი ხარისხით იმ გარემოებების არსებობის ვარაუდი, რომელსაც ემყარება მოსარჩელის მოთხოვნა გადანყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის გამოყენების აუცილებლობის შესახებ, კერძოდ, ასეთი გარემოებების არსებობის ალბათობა უნდა გადასწონიდეს ვარაუდს მისი არარსებობის შესახებ.

55. იმავდროულად, ზემოაღნიშნული საკითხების დამაჯერებლად დამტკიცება მნიშვნელოვანია, რამდენადაც მსგავსი სახის უზრუნველყოფა წარმოადგენს ერთი მხარისათვის თავისი უფლებების დაცვის გარანტს, ხოლო მეორე მხარეს უზღუდავს კანონიერი უფლებების განხორციელების შესაძლებლობას.

56. შესაბამისად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, გადანყვეტილების უზრუნველყოფის საკითხის გადანყვეტისას და ერთ-ერთი მხარის უფლებების თუნდაც, კანონისმიერ ფარგლებში შეზღუდვისას სასამართლო უნდა ემყარებოდეს დასაბუთებულ ვარაუდს, რომ აღნიშნული საპროცესო ღონისძიების გატარების გარეშე, ობიექტურად შეუძლებელი გახდება ან მნიშვნელოვნად გარ-

თულდება საქმეზე განპირობებული იურიდიული შედეგის – სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება.

57. ამდენად, თუკი განცხადება ემყარება საკუთრების რაიმე ფორმით შეზღუდვას (ყადალის დადება, იპოთეკით დატვირთვის აკრძალვა და ა.შ.), ასეთი შეზღუდვა უნდა განხორციელდეს მხარის ინტერესთა შორის სამართლიანი ბალანსისა და პროპორციულობის პრინციპის გათვალისწინებით. კერძოდ, საკუთრების უფლებაში ჩარევა უნდა პასუხობდეს დასახულ მიზანს და მხოლოდ იმ ფარგლებში ზღუდავდეს მესაკუთრის უფლებებს, რამდენადაც ეს აუცილებელია ამ მიზნის მისაღწევად. „უზრუნველყოფის ღონისძიების სახით საკუთრების შეზღუდვის გამართლება უნდა მოხდეს თანაზომიერების პრინციპის გამოყენებით – სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის საჯარო მიზნისა და საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული კერძო ინტერესების ურთიერთშეჯერების საფუძველზე (შეადრ: სუსგ 2015 წლის 25 ნოემბრის განჩინება საქმეზე №ას-1165-1095-2015).

58. ნიშანდობლივია აღინიშნოს, რომ მართლმსაჯულების სისტემის ეფექტურობა სამართლებრივი წესრიგის განმტკიცებასა და სამართლებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ფუნდამენტური წინაპირობაა. მართლმსაჯულების ეფექტურობა დამოუკიდებელ, მიუკერძოებელ, სამართლიან და დროულ სამართალწარმოებაში ჰპოვებს გამოსხატულებას (იხ. შ. შმიტი, ჰ. რიჰტერი, მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესი სამოქალაქო სამართალში, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), 2013, 3.). როგორი სწრაფიც არ უნდა იყოს მართლმსაჯულება, როგორი სამართლიანი და კანონიერიც არ უნდა იყოს სასამართლო გადაწყვეტილება, მართლმსაჯულების მიზნები და ამოცანები განუხორციელებელი რჩება, თუ გადაწყვეტილება არ აღსრულდება.

59. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო თავის არაერთ გადაწყვეტილებაში ხაზს უსვამს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების მნიშვნელობას და განმარტავს, რომ „სასამართლოსათვის სარჩელის წარდგენის უფლება არ არის თეორიული უფლება და არ უზრუნველყოფს მხოლოდ უფლების აღიარებას საბოლოო გადაწყვეტილების მეშვეობით, არამედ ასევე შეიცავს ლეგიტიმურ მოლოდინს იმასთან დაკავშირებით, რომ გადაწყვეტილება აღსრულდება“ (იხ., „აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ“, განაცხადი №40765/02; *Burdov v. Russia*, no. 59498/00, §34, ECHR 2002-III; *Hornsby v. Greece*, judgment of 19 March 1997, Reports of Judgments and Decisions 1997-II, p. 510, §40 *Hornsby*; *Mutishev and Others v. Bulgaria*, 18967/03, §129, 3 December 2009; *Antonetto v. Italy*,

no. 15918/89, §28, 20 July 2000).“

60. შესაბამისად, უზრუნველყოფის ინსტიტუტის მიზანს წარმოადგენს გადაწყვეტილების რეალურად აღსრულებისათვის მოსალოდნელი დაბრკოლების თავიდან აცილება, მოპასუხისათვის თავისი ქონების განკარგვის უფლების შეზღუდვის თუ კანონით გათვალისწინებული უზრუნველყოფის სხვა საშუალებების გამოყენების გზით“ (იხ., თ. ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი (მეორე გამოცემა), თბ., 2005, 299.).

61. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამართლიანი სასამართლოს უფლება თავის თავში გულისხმობს სახელმწიფოს მხრიდან იმგვარი ნორმატიული მოწესრიგების შექმნის ვალდებულებას, რომელიც უზრუნველყოფს სასამართლოს გადაწყვეტილების ეფექტიან აღსრულებას.

62. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით „საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული სასამართლოსადმი მიმართვის უფლება... უნდა იყოს არა ილუზორული, არამედ ქმნიდეს პირის უფლებებში ჯეროვნად აღდგენის რეალურ შესაძლებლობას და წარმოადგენდეს უფლების დაცვის ეფექტურ საშუალებას“. (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 დეკემბრის №3/2/577 გადაწყვეტილება, II-30).

63. სსსკ-ის მე-2 მუხლის თანახმად, ყოველი პირისათვის უზრუნველყოფილია უფლების სასამართლო წესით დაცვა. სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის არსი მდგომარეობს იმაში, რომ მან მოსარჩელის მატერიალური კანონმდებლობით დაცული უფლებებისა და კანონიერი ინტერესების რეალური განხორციელების საშუალებები გარანტიები შექმნას. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საკითხი დგება, როცა საჭიროა კანონის ეფექტურობის უზრუნველყოფა.

64. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ უზრუნველყოფის საკითხის გადაწყვეტისას და ერთ-ერთი მხარის უფლებების, თუნდაც, კანონისმიერ ფარგლებში შეზღუდვისას, სასამართლო უნდა ემყარებოდეს დასაბუთებულ ვარაუდს, რომ, აღნიშნული საპროცესო ღონისძიების გატარების გარეშე, ობიექტურად შეუძლებელი გახდება ან მნიშვნელოვნად გართულებება სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება. „მიუხედავად სამართლიანი სასამართლოს უფლების უდიდესი მნიშვნელობისა, იგი არ წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებას და შეიძლება შეიზღუდოს გარკვეული პირობებით, რაც გამართლებული იქნება დემოკრატიულ საზოგადოებაში ლეგიტიმური საჯარო ინტერესით“ (იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე: №1/2/466). „უფლების მზლუდავი საკანონმდებლო

რეგულირება უნდა წარმოადგენდეს ღირებული საჯარო (ლეგიტიმური) მიზნის მიღწევის გამოსადეგ და აუცილებელ საშუალებას. ამავე დროს, უფლების შეზღუდვის ინტენსივობა მისაღწევი საჯარო მიზნის პროპორციული, მისი თანაზომიერი უნდა იყოს. დაუშვებელია, ლეგიტიმური მიზნის მიღწევა განხორციელდეს ადამიანის უფლების მომეტებული შეზღუდვის ხარჯზე“ (იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე №3/1/512).

65. სასამართლო ამონებებს მხოლოდ, რამდენად შეუწყობს ხელს უზრუნველყოფის ღონისძიება მომავალი, მოსარჩელისათვის სავარაუდო გადაწყვეტილების დაცვას შესაძლო დაბრკოლებებისაგან აღსრულების ეტაპზე (შეადრ: Beck'sche Kurz-Kommentare Band1, Zivilprozessordnung mit Gerichtsverfassungsgesetz und anderen Nebengesetzen. Begründet von Dr. Adolf Baumbach, Professor Dr. Wolfgang Lauterbach, Dr. Jan Albers, Dr. Dr. Peter Hartmann. Verlag C.H. Beck, Munchen 2003, 2375).

66. ნიშანდობლივია აღინიშნოს, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების თაობაზე განცხადება საჭიროებს კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებებით დასაბუთებას, რომელიც დაარწმუნებს სასამართლოს, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საჭიროებაში (შდრ. სუსგ-ები №ას-1220-2019, 1.10.2019; №ას-1135-1082-2013, 6.10.2014).

67. ამასთან, კანონი ყოველთვის არ იძლევა იმის საშუალებას, მოსამართლემ შეძლოს ისეთი გადაწყვეტილების მიღება, რომლითაც დაცული იქნება ორივე მხარის, როგორც მოსარჩელის, ისე მოპასუხის ინტერესები [თანაზომიერების პრინციპი], მოსარჩელის მოთხოვნის უზრუნველსაყოფად გამოყენებული ღონისძიება ამ მოთხოვნის (სარჩელის საგნის) პროპორციული (ადეკვატური) უნდა იყოს და აშკარა შეუსაბამობა არ იკვეთებოდეს. სწორედ ამიტომ მიუხედავად იმისა, რომ სარჩელის/გადაწყვეტილების უზრუნველყოფის ინტიტუტის მიზანია მოსარჩელის/მოგებულის მხარის მატერიალური უფლების რეალური განხორციელებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა, თუმცა, მხარეთა თანასწორობის პრინციპიდან გამომდინარე, დაცული უნდა იქნეს მეორე მხარის ინტერესებიც – ე.წ. „სამართლიანი ბალანსი“ მოსარჩელის უფლებასა (უზრუნველყოფის სასამართლო წესით სამომავლოდ დადასტურებული უფლების რეალიზაცია) და მოპასუხის ინტერესს (უზრუნველყოფის ღონისძიებამ გაუმართლებლად არ ხელყოს მისი, როგორც მოპასუხის უფლებები) შორის.

68. აღსანიშნავია, რომ სსსკ-ის 198-ე მუხლის პირველი ნაწილისა და მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, საკითხს იმის შე-

სახებ, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიება უნდა იქნეს გამოყენებული, წყვეტს სასამართლო მოსარჩელის განცხადების შესაბამისად. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები შეიძლება იყოს მოპასუხისათვის გარკვეული მოქმედების შესრულების აკრძალვა. სასამართლო გადაწყვეტილების უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებას კანონმდებელი ასევე უკავშირებს სარჩელის სამართლებრივ პერსპექტიულობას და აფასებს, თუ რამდენად მოსალოდნელია სარჩელის დაკმაყოფილება, თუმცა, აღნიშნული დავის სამართლებრივ ბედზე გავლენას ვერ მოახდენს. აღნიშნული საკითხი მით უფრო აქტუალურია, როდესაც საუბარია გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფაზე.

69. მოცემულ შემთხვევაში, დადგენილია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 16 აპრილის გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნები დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: მოპასუხეებს მოსარჩელის სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრათ – 675 018 აშშ დოლარის გადახდა. მოთხოვნა მოპასუხე კომპანიის 100%-იანი წილის მესაკუთრედ აღიარების თაობაზე, არ დაკმაყოფილდა (ამ განჩინების 3.5).

70. 2020 წლის 17 ივნისს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას განცხადებით მიმართა მოსარჩელემ/შეგებებული სააპელაციო საჩივრის ავტორმა და მოითხოვა გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება. კერძოდ, ყადაღის დადება პირველი მოპასუხის საკუთრებაში არსებულ შემდეგ უძრავ ქონებაზე:

71. – ქალაქი თბილისი, ქუჩა ..., ბინა №13-39, საკადასტრო კოდი: ..., ფართი (მშენებარე), 290.98 კვ.მ.;

72. – ქალაქი თბილისი, ქუჩა ..., სართული 13, ბლოკი VIII, ბინა №13-38, საკადასტრო კოდი: ..., ფართი (მშენებარე), 271.54 კვ.მ.;

73. – ქალაქი თბილისი, ..., საკადასტრო კოდი: ..., ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება, ნაკვეთის დანიშნულება: სასოფლო-სამეურნეო, დაზუსტებული ფართობი: 252.00 კვ.მ., შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: №1 საერთო ფართით 117 კვ.მ (მათ შორის საცხოვრებელი ფართი 110 კვ.მ საზაფხულო ფართი 7 კ.მ) (ამ განჩინების 3.5).

74. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 18 ივნისის განჩინებით მოსარჩელის/შეგებებული სააპელაციო საჩივრის ავტორის განცხადება გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: პირველ მოპასუხეს აკრძალა მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, მდებარე: ქალაქი თბილისი, ... (საკადასტრო კოდი: ... ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება, ნაკვეთის და-

ნიშნულება: სასოფლო-სამეურნეო, დაზუსტებული ფართობი: 252.00 კვ.მ., შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: №1 საერთო ფართობით 117 კვ.მ.; მათ შორის, საცხოვრებელი ფართი 110 კვ.მ. საზაფხულო ფართი 7 კვ.მ) გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა.

75. ზემოაღნიშნული განჩინება მოსარჩელეს/შეგებებული სააპელაციო საჩივრის ავტორს არ გაუსაჩივრებია.

76. მაშასადამე, იგი დაეთანხმა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 18 ივნისის განჩინების დასაბუთებას.

77. 2020 წლის 26 ივნისს კი, მოსარჩელემ/შეგებებული სააპელაციო საჩივრის ავტორმა დამატებით მიმართა სააპელაციო სასამართლოს პირველი მოპასუხისათვის, მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მდებარე: ქალაქი თბილისი, ქუჩა ..., ბლოკი VIII, ბინა №13-38, საკადასტრო კოდი: ..., ფართი (მშენებარე), 271.54 კვ.მ. გასხვისებისა და იპოთეკით დატვირთვის აკრძალვის მოთხოვნით.

78. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის მსჯელობას და მიიჩნევს, რომ განმცხადებლის მოთხოვნაზე სააპელაციო სასამართლოს ნამსჯელი ჰქონდა 2020 წლის 18 ივნისის განჩინებაში და დამატებით წარდგენილ განცხადებაში მითითებული გარემოებები არ წარმოადგენდა მოპასუხისათვის საკუთრების უფლების დამატებითი შეზღუდვის დაწესების წინაპირობას,

79. კერძოდ, დადგინდია, რომ სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 18 ივნისის განჩინებით უარყოფილი იქნა განმცხადებლის მოთხოვნა დანარჩენი ორი უძრავი ქონების ნაწილში, ვინაიდან მათზე უკვე გამოყენებული იყო უზრუნველყოფის ღონისძიებები და აღარ არსებობდა იმავე ქონებაზე უზრუნველყოფის ღონისძიების განმეორებით გამოყენების საფუძვლები.

80. ამასთან, დადგინდია, რომ ჯერ კიდევ, სარჩელის აღძვრისას, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 18 აპრილის განჩინებით დაყადაღებულია მოპასუხე კომპანიის სანესდებო კაპიტალში მეორე მოპასუხის კუთვნილი 100% წილი. დაყადაღებულია ორივე მოპასუხის საბანკო ანგარიშებზე განთავსებული თანხა 675 018-675 018 აშშ დოლარის ფარგლებში საქართველოში მოქმედ ყველა საბანკო დაწესებულებაში. მოპასუხე კომპანიას, ასევე, მის პარტნიორს და დირექტორს პირველ მოპასუხეს აკრძალული აქვთ მოპასუხე კომპანიის კუთვნილი ნებისმიერი ქონების გასხვისება, სესხების ან ვალდებულებების აღება ან უზრუნველყოფა, ფულადი თანხის განკარგვა (გარ-

და საგადასახადო ვალდებულებების შესრულებისა).

81. რაც შეეხება, გადაწყვეტილების უზრუნველყოფის დამატებითი ღონისძიების გამოყენების თაობაზე, საჩივრის ავტორის პრეტენზიას განცხადების განუხილველად დატოვების პროცესუალური შედეგის განმაპირობებელ წინაპირობებთან მიმართებით, საკასაციო პალატის განსჯით, 2020 წლის 26 ივნისის განცხადებით მოთხოვნილი გადაწყვეტილების უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება, შინაარსობრივად იდენტურია 2020 წლის 18 ივნისის განცხადებით მოთხოვნილი უზრუნველყოფის ღონისძიების კონკრეტულ ნაწილთან მიმართებით, კერძოდ, ორივე შემთხვევაში, უზრუნველყოფის ღონისძიების ობიექტი/საგანია ერთი და იგივე ქონება – №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ნივთი, მდებარე – ქ. თბილისი, ქუჩა ..., ბინა №13-38 (271.54 კვ.მ. მშენებარე ფართი). ამასთან, ორივე შემთხვევაში, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საფუძველია – თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 16 აპრილის გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა. რაც შეეხება განმცხადებლის მითითებას იმაზე, რომ მიუხედავად გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიებებისა მოთხოვნა, რომლის ოდენობაც შეადგენს 675,018 აშშ დოლარს და რომელიც დაკმაყოფილებულია სასამართლოს გადაწყვეტილებით უზრუნველყოფილი ნაწილი შეადგენს 295 000 აშშ დოლარს, რის დასტურადაც, მან წარმოადგინა აუდიტორული ფირმის მიერ 2020 წლის 24 ივნისის დასკვნა, რომელშიც აღნიშნულია, რომ უძრავი ქონების მდებარე: ქალაქი თბილისი, საბაზრო ღირებულება შეადგენს 103 000 აშშ დოლარს, თუმცა, საკასაციო პალატა კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 18 ივნისის განჩინებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა მოსარჩელის მოთხოვნა უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებასთან მიმართებით (იხ., ამ განჩინების პ. 74). შესაბამისად, თუ მოსარჩელისათვის/შეგებებული სააპელაციო საჩივრის ავტორი მიუღებელი იყო დამდგარი შედეგი, სსსკ-ს 197.1 მუხლის შესაბამისად, მას შეეძლო შესაბამისი დასაბუთებით საჩივარი წარედგინა მოთხოვნის დაუკმაყოფილებელ ნაწილზე, რის ნაცვლადაც, გაუმართლებელი იმავე მოთხოვნით სასამართლოსათვის ახალი განცხადებით მომართვა.

82. საბოლოოდ, ზემოაღნიშნული მსჯელობისა და საქმეში არსებული მტკიცებულებების ურთიერთშეჯერების გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის დასკვნას იმის თაობაზე, რომ გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნ-

ველსაყოფად გამოყენებული ღონისძიებები პირველი მოპასუხის უძრავი ქონების გასხვისებისა და იპოთეკით დატვირთვით აკრძალვის შესახებ, უზრუნველყოფს აღნიშნული ღონისძიებების მიზანს და არსებობდა დამატებითი ღონისძიების (პირველი მოპასუხისათვის, მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მდებარე: ქალაქი თბილისი, ქუჩა ..., ბინა N13-38, საკადასტრო კოდი: ..., ფართი (მშენებარე), 271.54 კვ.მ. გასხვისებისა და იპოთეკით დატვირთვის აკრძალვის მოთხოვნით (იხ., ამ განჩინების პ.77) გამოყენების მოთხოვნით წარდგენილი განცხადების განუხილველად დატოვების სსსკ-ის 194. მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული საპროცესო საფუძველი.

83. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საჩივარი დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ჟ.მ.მ-ის საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 26 ივნისის და იმავე სასამართლოს 2020 წლის 30 ივლისის განჩინებები დარჩეს უცვლელად;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6
ტელ.: (995 32) 2 98 20 75
www.supremecourt.ge